გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№4

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი
2012-2013

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2012 წლის 11 ივლისს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება ა(ა)იპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on July 11, 2012 at NPLE-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by NPLE-Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
ნუგზარ აბრამიშვილი
ვიანორ ახალაია
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
ხათუნა კაკაურიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ელდარ მამისთვალიშვილი
ლევან მიდოდაშვილი
ზურაბ ტიელიძე
ჯემალ ქირია
შოთა ქურდაძე
პაატა ქურდაძე
მარიკა შერაზადიშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ნელი ჭამპურიძე
გედევან ხელაია
თეა ხორგუაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Alexander Mgebrishvili
Nugzar Abramishvili
Vianor Akhalaia
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Khatuna Kakauridze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Eldar Mamistvalishvili
Levan Midodashvili
Zurab Tielidze
Jemal Kiria
Shota Kurdadze
Paata Kurdadze
Marika Sherazadishvili
David Chochishvili
Zurab Chkhikvadze
Neli Champuridze
Gedevan Khelaia
Tea Khorguashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

მარიამ კობერიძე - *მსაზღვრელ-საზღვრული გიორგი მთაწმინდელის ორიგინალური საგალობლების "გალობანი თავედნი შობისათჳს უფლისა"-ს მიხედვით – 6*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *ჭურთის ხეობის ისტორიული და თანამედროვე ტოპონომასტიკური მასალები – 9*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ანა დათუაშვილი - *ამირანისა და პრომეთეს მითი ქართულ ლიტერატურაში – 13*
ანა იმნაძე - *ზვიად გამსახურდია - ლიტერატურული პერსონაჟი ოთარ ჩხეიძის "თეთრი დათვის" მიხედვით – 17*
ალექსანდრე მღებრიშვილი - *ისტორიის მტკივნეული ფურცლები (ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტენდენციის შესახებ) – 21*
ზურაბ ოქროპირიძე - *ზნეობრივი პრობლემა და ყვავილის სიმბოლიკა გოდერძი ჩოხელის თხზულებებში – 25*
თამარ სიდამონიძე - *ევროპული რემინისცენციები გალაკტიონის პოეზიაში – 29*
გიორგი ხორბალაძე - *ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტისა და ნაწარმოების ურთიერთკავშირი (გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ანალიზზე დაყრდნობით) – 34*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

მაია აკოლაშვილი - *MOTIVATION AND IT'S ROLE IN A SECOND LANGUAGE ACQUISITION – 38*
მზია გოგიაშვილი - *ხელის წვრილი კუნთების მომზადება წერისათვის სკოლამდელებში – 42*
ნინო დავითაშვილი - *CONSTRUCTION AND ADMINISTRATION OF ASSESSMENT BY TESTS – 44*
ქეთევან ლომსაძე - *ინტელექტის განვითარება უცხო ენების ადრეული სწავლების ფონზე – 46*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

მაია აზმაიფარაშვილი - *ჭალის ტყეების ეკოლოგიური მნიშვნელობა – 49*
თინათინ ტატულაშვილი - *მონაცემები და ინფორმაცია – 53*
მარიამი უბირია - *ИЗМЕНЕНИЯ КАРДИОРЕСПИРАТОРНОЙ СИСТЕМЫ ПРИ РАЗЛИЧНЫХ ФИЗИЧЕСКИХ НАГРУЗКАХ – 55*

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

ლია ბიბილაშვილი - *სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში – 58*
დავით ბიძინაშვილი - *ღვინის ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში – 61*
გიული გიგუაშვილი - *აგრარული რისკების თავისებურებანი და მართვის ძირითადი მექანიზმები – 65*
ლეილა მამულაშვილი - *ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები კავკასიის რეგიონში – 69*
რუიზან მექვაბიძე - *საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ საქართველოში: განათლებიდან უკუგების ნორმების ანალიზის ეკონომეტრიკული კვლევის პროექტი – 71*
თინათინ მშვიდობაძე - *ეკონომიკური პროცესების ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდები – 77*
ლალი სადაღაშვილი, გივი სადაღაშვილი, ნანული ქოქაშვილი, მარინე ბუზიაშვილი - *ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში – 82*
გელა შაქარაშვილი - *გაზომვითი სისტემების ასპექტები ბიზნესის მენეჯმენტში – 84*
ხალიანა ჩიტაძე, თეა ხორგუაშვილი - *საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები – 89*
თეა ხორგუაშვილი - *რეფორმები სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემაში – 93*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

შალვა ვანიშვილი - *შრომითი თავისუფლება – 97*
შალვა ვანიშვილი - *რომის სამართალი გვიანდელი რესპუბლიკისა და პრინციპატის პერიოდში (კლასიკური სამართალი) – 101*
მალხაზ ლომსაძე - *ყაჩაღობის ობიექტური მხარე – 104*

CONTENTS

Linguistics

Mariam Koberidze - *THE ATTRIBUTIVE-ATTRIBUTED IN ORIGINAL CHANTS BY VENERABLE FATHER GIORGI MTATSMINDELI AFTER "GALOBANI TAVEDNI SHOBISATVIS UPHLISA" – 6*
Nikoloz Otinashvili - *HISTORICAL AND MODERN TOPONOMASTIC MATERIALS OF CHURTI GORGE – 9*

Literature

Ana Datuashvili - *MYTHS ABOUT AMIRAN AND PROMETHEUS IN GEORGIAN LITERATURE – 13*
Ana Imnadze - *ZVIAD GAMSAKHURDIA – LITERARY CHARACTER IN "WHITE BEAR" BY OTAR CHKHEIDZE – 17*
Aleksandre Mgebrishvili - *PAINFUL SHEETS OF HISTORY (ABOUT SOME OF IMPORTANT TRENDS IN GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS) – 21*
Zurab Okropiridze - *MORAL PROBLEM AND SYMBOL OF FLOWER IN THE FICTIONS OF GODERDZI CHOKHELI – 25*
Tamar Sidamonidze - *EUROPEAN REMINISCENCES IN GALAKTION'S POETRY – 29*
Giorgi Khorbaladze - *INTERCONNECTION OF THE AUTHOR'S PSYCHOLOGICAL PORTRAIT AND PIECE OF HIS WRITING BASED ON THE ANALYSIS OF GODERDZI CHOKHELI'S CREATIVE WORK – 34*

Education

Maia Akolashvili - *MOTIVATION AND ITS ROLE IN A SECOND LANGUAGE ACQUISITION – 38*
Mzia Gogiashvili - *PREPARATION OF HAND SMALL MUSCLES FOR WRITING AMONG CHILDREN UNDER SCHOOL AGE – 42*
Nino Davitashvili - *CONSTRUCTION AND ADMINISTRATION OF ASSESSMENT BY TESTS – 44*
Ketevan Lomsadze - *DEVELOPMENT OF INTELLECT ON THE EARLY TEACHING OF FOREIGN LANGUAGES – 46*

Exact and Natural Sciences

Maia Azmaiparashvili - *FLOODPLAIN FORESTS OF ECOLOGICAL IMPORTANCE – 49*
Tinatin Tatulashvili - *DATA AND INFORMATION – 53*
Mariam Ubiria - *CHANGES IN THE CARDIORESPIRATORY SYSTEM DURING THE PHISICAL ACTIVITY IN DIFFERENT TYPES OF ATHLETES – 55*

Business and Management

Lia Bibilashvili - *STATE ROLE IN INTERNATIONAL TRADE REGULATION – 58*
David Bidzinashvili - *PROBLEMS AND PROSPECTS OF DEVELOPMENT OF WINE TOURISM IN GEORGIA – 61*
Giuli Giguashvili - *AGRICULTURAL RISK MANAGEMENT KEY FEATURES AND MECHANISMS – 65*
Leila Mamulashvili - *PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY IN THE CAUCASUS REGION – 69*
Ruizan Mekvabidze - *FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS IN GEORGIA: THE ECONOMETRIC RESEARCH PROJECT FOR THE ANALYSIS AND ESTIMATION OF THE RATES OF RETURNS OF INVESTMENT – 71*
Tinatin Mshvidobadze - *METHODS OF OPTIMIZATION OF ECONOMIC-MATHEMATICAL MODELS – 77*
Leli Sadaghashvili, Givi Sadaghashvili, Nanuli Kokashvili, Marine Buziashvili - *ROLE OF INVERSMENTS IN ECONOMIC GROWTH OF THE COUNTRY – 82*
Gela Shakarashvili - *THE ASPECTS OF SYSTEM MEASUREMENT IN THE BUSINESS MANAGEMENT – 84*
Khaliana Chitadze, Tea Khorguashvili - *COURSES OF TAX POLICY IMPROVEMENT – 89*
Tea Khorguashvili - *REFORMS IN STATE FINANCE MANAGEMENT SYSTEM – 93*

Social Sciences and Law

Shalva Vanishvili - *LABOUR FREEDOM – 97*
Shalva Vanishvili - *THE ROMAN LAW IN THE PERIOD OF THE LATE REPUBLIC AND PRINCIPATE (CLASSICAL LAW) – 101*
Malkhaz Lomsazde - *OBJECTIVE SIDE OF ROBBERY – 104*

ლინგვისტიკა
Linguistics

მსაზღვრელ-საზღვრული გიორგი მთაწმინდელის ორიგინალური საგალობლების ,,გალობანი თავედნი შობისათჳს უფლისა-ს" მიხედვით

მარიამ კობერიძე, სრული პროფესორი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XI საუკუნის ქართველმა მწერალმა, სასულიერო და საზოგადო მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა მრავალი ლიტერატურული ძეგლი დაგვიტოვა, უმთავრესად ნათარგმნი ან ნარედაქციევი. ნათარგმნ თხზულებათაგან შეიძლება დავასახელოთ დიდი სვინაქსარი, თვენი, დიდი პარაკლიტონი, დიდი მარხვანი, ზატიკი, დიდი კურთხევანი, აგრეთვე აგიოგრაფიული თხზულებანი: თეოდორე ტვირონის წამება და წმ. გიორგის წამება. ნარედაქციევი თხზულებებიდან ცნობილია სამოციქულო (საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლენი და კათოლიკე ეპისტოლენი) და ფსალმულნი (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 27; ა. შანიძე, 1946, გვ. 8).

ამ შრომათაგან გიორგი მთაწმინდელმა განსაკუთრებით დიდი შრომა და ენერგია შეალია ,,თუენის" გადმოქართულებას. ,,თვენი" წარმოადგენს მთელი წლის საგალობლებს გაწყობილს თვეების მიხედვით. მან ,,თვენში" ჩართო ორიგინალური საგალობლები (ე. მეტრეველი, 1952, გვ. 182-218), კრებულებს კი დაურთო ვრცელი ანდერძები, რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება ბერძნული და ძველქართული ჰიმნების შესახებ (ლ. ჯღამაია, 1963, გვ. 159-160).

დეკემბრის სათვეო კრებულში 25 დეკემბრის თარიღით შეტანილია ერთი საგალობელი - ,,გალობანი თავედნი შობისათჳს უფლისა", რომელიც მიეწერება იოანე დამასკელს. ეს ტექსტი შეისწავლა კორნელი კეკელიძემ (1980, გვ. 227), გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა (1946, გვ. 353-355), ხოლო მას ვრცელი ნარკვევი უძღვნა ლ. ჯღამაიამ (1966, გვ. 10). საგალობლის უძველესი ნუსხიდან ირკვევა, რომ გიორგი მთაწმინდელს იოანე დამასკელის შობის საგალობლის მიბაძვით შეუთხზავს ორიგინალური ქართული საგალობელი. ტექსტი შეიცავს 8 გალობას, 24 სამოცმარცვლიან ტროპარსა და 150 სტრიქონს (ივ. ლოლაშვილი, 1982, გვ. 10, 16). ლ. ჯღამაიას აზრით, ,,გიორგის თარგმანი იმდენად გადამუშავებული, იმდენად ქართული, დედანთა შედარებით (ტექსტობრივ) იმდენად ახალია, რომ ის, სავსებით თავისუფლად შეიძლება გიორგი მთაწმინდელის ორიგინალურ ნაწარმოებად ჩაითვალოს" (1966, გვ. 189).

გიორგი მთაწმინდელი უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა ენის საკითხებში (ივ. ჯავახიშვილი, 1921, გვ. 125-137). იმ დიდი ღვაწლის დასაფასებლად, რომელიც მას უდაოდ მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, აუცილებლად, საჭიროა, შესწავლილ იქნეს ყველა მისი კალმის ქვეშ გამოსული ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულება (ა. შანიძე, 1946, გვ. 7).

ა. შანიძემ გიორგი მთაწმინდელის თხზულების ,,იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრების" ენის თავისებურებათა განხილვის შემდეგ დაასკვნ, რომ ,,ქართ. სალიტერატურო ენაში დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ... კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი, ის ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს, თავი დააღწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში. ერთი სიტყვით ძეგლიდან ჩანს, რომ ქართული სალიტერატურო ენა შემდგარია ახალ გზაზე... სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში: ,,ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი" უეჭველად საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ მსაზღვრელ-საზღვრულის საკითხს გიორგი მთაწმინდელის საგალობლებში. ,,გალობანი თავედნი შობისათჳს უფლისა" საინტერესო მასალას გვაძლევს საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდის ენობრივი მოვლენების შესასწავლად, კერძოდ, სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის საკითხის გასარკვევად.

მსაზღვრელ-საზღვრული სახელებით ან მასთან გათანაბრებული სხვა სიტყვებით გადმოიცემა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ატრიბუტულია მსაზღვრელი თუ სუბსტანტიური, პირდაპირია წყობა თუ ინვერსიული, ატრიბუტული მსაზღვრელი ბოლოხმოვნიანი სახელით არის გადმოცემული თუ ბოლოთანხმოვნიანით, პრეპოზიციული მსაზღვრელი საზღვრულთან დგას უშუალოდ თუ გათიშულია მისგან, განმარტოებულია მსაზღვრელი, თუ მასთან ერთად წინადადებაში წარმოდგენილია საზღვრული წევრიც, რომელ მრავლობითში დგას მსაზღვრელ-საზღვრული ებიანში თუ ნართანიანში.

მსაზღვრელად გამოყენებულია ნაწევარი, ატრიბუტული სახელი და მართული სახელი.

ნაწევარი ჩვეულებრივ მოსდევს არსებითი სახელით ან საწყისით გადმოცემულ მსაზღვრელს: **,,ენანი იგი** ღმრთისმეტყველთა კაცთანი" (14); **,,ლხინებაჲ იგი** ყოველთა განწირულთაჲ" (11).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისათვის დამახასიათებელი მომდევნო ანუ პოსტპოზიციური მსაზღვრელის გვერდით დასტურდება ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი პრეპოზიციური მსაზღვრელიც.

ატრიბუტული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: **,,ხრწნილებაჲ ჩუენი** შესცვალე უხრწნელებად" (11); ,,ჴორცშესხმული რაჲ იხილვა **მჴსნელი ჩუენი"** (12); **,,გული შენი** განუცდელ არს" (15); **,,საღმრთოჲ ნათელი** გამოუჩნდა სოფელსა" (11).

ატრიბუტული მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს: **,,დიდი წყალობაჲ** მოეფინა სოფელსა" (15); **,,ყოველი სოფელი** განანათლე" (13); **,,ნათელი საღმრთოჲ** გიცნეს და თაყუანი გცეს" (13); **,,თჳსნი შექმნულნი** ღმერთ ყვნა წყალობით" (11); **,,ახალო ყრმაო** ტკბილად მტირალო" (14); **,,ნათელი საღმრთოჲ** გიცნეს და თაყუანი გცეს" (13).

დასტურდება ერთადერთი შემთხვევა, როცა ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულია რიცხვითი სახელი: **,,ერთ სამწყსო** იქმნეს ანგელოზნი და კაცნი" (14).

ატრიბუტულ მსაზღვრელებად უმეტესად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, კუთვნილებითი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელები.

მართული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: **,,ლოცვაჲ პყრობილთაჲ** შეისმინე სახიერ" (13); **,,სძლისა წმიდისა,** ვითარცა მოგუესწავა" (14).

მართული მსაზღვრელი საზღვრულის წინაა: **,,ადამის წყევაჲ** შეიცვალე კურთხევად" (15); **,,ევას წყევისა პატიჟნი** დაიჴსნეს დღეს" (10); ,,თუალთ შეუდგამთ **ზეცისა მჴედრობათაჲ**" (15).

წინადადებაში ერთდროულად დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური და პრეპოზიციული წყობა: **,,სიტყუაო ღმრთისა, მამისა თანა-სწორო"** (15); **,,დიდებულებაჲ შენი, ღმრთისა დედაო,** ამაღლდა **ზეშთა ბუნებისა საზღვართა"** (15); ,,დღეს გამობრწყინდა **განმაცხოებელი ღმრთისა სიტყჳსა შობის დღესასწაული"** (16); ,,ერთბაშად იგუებს ღირსად ცაჲ და ქუეყანაჲ **საუფლოსა მას შობასა ქალწულისასა"** (16).

ერთადერთი შემთხვევაა, როცა მსაზღვრელი გადმოცემულია საკუთარი სახელით: ,, მეუფედ ცათად აღგიარეს შენ, **იესო სახიერო"** (11).

ატრიბუტული მსაზღვრელი ისევე სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, როგორც საზღვრული: ,,იზიარებ **შენსა მას საღმრთოსა** თანა **უკვდავსა დიდებასა"** (13); ,,გიხილეს **ნათელი საღმრთოჲ,** გიცნეს და თაყუანი-გცეს" (13); ,,ოჴწინარეს საუკუნეთა **შობილო ღმერთო"** (13); ,,იშვა რაჲ ბეთლემს **სიტყუაჲ დაუსაბამოჲ"** (14).

მართული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს და სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: ,,აღვიმსთოთ, მორწუნენო, **დიდებულებასასა მას შობასა უფლისასა"** (12); **,,სძლისა წმიდისისა,** ვითარცა მოგუესწავა" (14).

ყურადღებას იქცევს მსაზღვრულის წინ ფუძის სახით გადმოცემული საზღვრული: **,,ტაძარ სიწმინდის** ექმენ მხოლოდ შობილსა" (12).

საგალობლების ენაში მსაზღვრელის საზღვრულთან შეწყობის თვალსაზრისით, ძველი ქართულის ნორმების შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს, არც მსაზღვრელ-საზღვრულის წყობას, და არც ფუძის დაბოლოებას. მსაზღვრელი ისევე სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, როგორც საზღვრული.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ჩვეულებრივია მიცემითსა და ნათესაობითში ემფატიკური ხმოვნის ხმარება: ,,იზიარე შენსა მას საღმრთოსა თანა **უკვდავსა დიდებასა"** (13); ,,იესეს ძირით **აღმოცენებულისა სძლისა წმინდისა,** ვითარცა მოგუესწავა" (14); ,,სიტყუაო **ღმრთისა**, **მამისა** თანა-სწორო ხრწნილებაჲ ჩუენი შესცვალე უხრწნელებად" (16).

გიორგი მთაწმინდელი იყენებს მსაზღვრელ-საზღვრულის უსავრცობო ფორმებსაც: ,,**ადამის** წყევაჲ შეიცვალე კურთხევად" (14); ,,ადამ **სიწმინდის** ექმენ მხოლოდ - შობილსა" (12).

ძველი ქართულის ნორმების შესაბამისად უთანხმდება მსაზღვრელ-საზღვრული ერთმანეთს ნართანიან მრავლობითში: ,,იქმნა უაღრეს **საყდართა ქერბინთა"** (12); **,,თჳსნი ქმნილნი** იჳსნნა" (22); **,,თჳსთა შექმნილთა** განაახლებ წყალობით" (12); ,,ნისლი **ბრალთა ჩუენთაჲ** განდევნე" (15).

ყურადღებას იქცევს მსაზღვრელ-საზღვრულის XI საუკუნისათვის უჩვეულო შეთანხმების შემთხვევები (ა. შანიძე, 1946, გვ. 79). მაგ.: **,,ლოცვაჲ ჩუენთა** მოხედენ, მჳსნელო" (14); ,,ოჳაღრეს წესთა, **ბუნებისა საზღვართა"** (11); **,,ცათა მფლობელი** იშვა რაჲ ჩჩჳლებს" (12); **,,ლოცვაჲ პყრობილთაჲ** შეისმინე სახიერ" (13).

საგალობლების ენაში დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა მსაზღვრელში ან საზღვრულში ერთდროულად დასტურდება როგორც ნარიანი, ისე თანიანი მრავლობითის ფორმა. მაგ.: ,,განკჳრდეს **წესნი ანგელოზთანი**" (11); **,,ღმრთისმეტყუელთა კაცთანი"** (14).

თუ საზღვრულს ახლავს და კავშირით შეერთებული ერთზე მეტი მსაზღვრელი, შეთანხმება ხდება მხოლობით რიცხვში: ,,აღმოსავალთაჲთ მოხუედ **თანა-მფლობელი მამისა და სულისაჲ"** (15); ,,ბუნებით **სწორი მამისა და სულისაჲ** იშვა ჴორცითა" (11); ,,შევ რაჲ მპყრობელი **ცათაჲ და ქუეყნისაჲ**" (15).

გიორგი მთაწმინდელი წინადადებაში ხშირად რამდენიმე იყენებს რამდენიმე წყება მსაზღვრულ საზღვრულს. მაგ.: **,,დიდებულებაჲ შენი, ღმრთისა დედაო,** ამაღლდი ზეშთა ბუნებისა საზღვართა" (15); ,,ლმობიერებით აღვიმსოთ, მორწმუნენო, **დიდებულსა მას შობასა უფლისასა"**

გიორგი მთაწმინდელის ენისათვის დამახასიათებელია განკერძოებული განსაზღვრების ხშირი ხმარება: ,,ბუნებათა და ნივთთა შემცვალებელო, **სიტყვაო ღმრთისა**, მამის თანა-სწორო! " (15); ,,ევმანუელ განკაცნა, **ბუნებით სწორი მამისა და სულისაჲ"** (11); ,,აღდგომაჲ მკუდართაჲ, **ნათელი და ცხორებაჲ**" (16).

ამრიგად, გიორგი მთაწმინდელის საგალობლებში ასახულია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ყველა ის არსებითი მოვლენა, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში არსებობდა და გამოვლინდა ძველი და ახალ ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით.

ლიტერატურა:

1. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
2. ივ. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982.
3. ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI ს-ში, პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრ., IX , თბ., 1952.
4. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946.
5. ა. შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა, იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბ., 1946.
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1921.
7. ლ. ჯღამაია, გიორგი მთაწმინდელის ,,თვენის" უცნობი ანდერძი: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის V სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1963.
8. ლ. ჯღამაია, იოანე დამასკელის შობის საგალობლის გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი: კრებული შოთა რუსთაველი, ისტორია-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.

რეზიუმე

გიორგი მთაწმინდელის საგალობლებში ასახულია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ყველა ის არსებითი მოვლენა, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში არსებობდა და გამოვლინდა ძველი და ახალ ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით.

,,გალობანი თავედნი შობისათჳს უფლისა" საინტერესო მასალას გვაძლევს საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდის ენობრივი მოვლენების შესასწავლად, კერძოდ, სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის საკითხის გასარკვევად.

ნაწევარი ჩვეულებრივ მოსდევს არსებითი სახელით ან საწყისით გადმოცემულ მსაზღვრელს (**,,ენანი იგი** "; **,,ლხინებაჲ იგი")** .

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისათვის დამახასიათებელი მომდევნო ანუ პოსტპოზიციური მსაზღვრელის გვერდით **(,,ქალწულო უბიწოო"; ,,სიტყუაჲ დაუსაბამოჲ"...)** დასტურდება ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი პრეპოზიციური მსაზღვრელიც **(,,ახალო ყრმაო", ,,ყოველი სოფელი"; ,,ადამის წყევაჲ"..).**

მსაზღვრელ-საზღვრული ბრუნებისას მიცემითსა და ნათესაობითში დაირთავს ემფატიკურ ხმოვანს (,,**უკვდავსა დიდებასა";აღმოცენებულისა სძლისა წმინდისა").**

შეინიშნება უსავრცობო ფორმების გამოყენების შემთხვევებიც: **,,ადამის** წყევაჲ"; ,,ადამ **სიწმინდის"...**

ყურადღებას იქცევს მსაზღვრელ-საზღვრულის XI საუკუნისათვის უჩვეულო შეთანხმების შემთხვევები: **,,ლოცვაჲ ჩუენთა"**; ,,**ბუნებისა საზღვართა"** ; **,,ცათა მფლობელი**"; **,,ლოცვაჲ პყრობილთაჲ"** ...

THE ATTRIBUTIVE-ATTRIBUTED IN ORIGINAL CHANTS BY VENERABLE FATHER GIORGI MTATSMINDELI AFTER "GALOBANI TAVEDNI SHOBISATVIS UPHLISA"

Mariam Koberidze, Full Professor

RESUMÉ

Giorgi Mtatsmindeli chants reflect the attributive-attributed relations with all the major events that existed in a live speech and revealed in relation to the old and the new Georgian literary language.

"Galobani Tavedni Shobisatvis Uplisa" (the chant chapters dedicated to the birth of the Lord) gives us a very interesting material to study the linguistic phenomena of Middle Georgian, in particular, to find out the situation between the literary language and the live speech.

"Natsevari" (a certain kind of Old Georgian attributive expressed by a pronoun) usually follows the attributive expressed by a noun;

The Old Georgian literary language norms are featured by the following or post-positional attributives, beside which there are some authenticated facts of emerging of new Georgian specific pre-positional attributives (e.g. "a new child", "every village", "Adam's curse"…).

The 19th century unusual cases of the attributive-attributed agreement are worth to be paid attention; in the dative and genitive cases the emphatic vowels are added to attributives.

ჭურთის ხეობის ისტორიული და თანამედროვე ტოპონომასტიკური მასალები

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ჭურთის ხეობა მნიშვნელოვანი ისტორიული მხარეა ქსნის ხეობაში, აღმოსავლეთ საქართველოში.

ხეობა მდებარეობს ქსნის ზემო წელზე, მდინარე ჭურთულას ხეობაში. ეს მდინარე სოფელ ლარგვისთან მარჯვენა მხრიდან შეერთვის ქსანს.

ხეობის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება და მისი მთელი რიგი ელემენტები დღესაც გამოვლენილი არ არის. ეს ეხება ხეობის ტოპონიმიას, ანთროპონიმიას, ასომთავრულ და ნუსხურ წარწერებს, რომელთა დიდი ნაწილი უკვე განადგურებულია, ისტორიულ რეალიებს და სხვა ფაქტებს.

ხეობის ტოპონიმიის, ანთროპონიმიის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროებია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერები", ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა, რომლებიც მე-18 საუკუნის სხვადასხვა წლებშია შესრულებული, ცალკეული სიგელები, რომლებიც ქსნის ერისთავების მიერ არის გაცემული, ასევე ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები, ცნობილი ისტორიული წყარო, ძეგლი ერისთავთა, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, შოთა მესხიას, დავით გვრიტიშვილის და სხვა ავტორთა შრომები. ვახუშტი წერს: „ამ მთის (ჟამურის) სამხრეთით არის ჭურთის ხევი, რომლის წყალი გასდის ამავე მთასა და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროს წყალი, მუნ ამ ორთა წყალთა შუა არის წინკიბე, ამ ორთა ხევთა უწოდებენ ჭურთას, მიდის აღმოსავლეთად და მიერთვის მონასტერსა ქსანსა" (ვახუშტი).

შრომას დართულ სოფლების სიაში მეცნიერი ჭურთის ხეობაში ასახელებს ექვს სოფელს (იქვე, გვერდი 021).

იოანე ბაგრატიონსაც ხეობის სოფლების დასახელება არ მოაქვს და აღნიშნავს რვა სოფელს (ი. ბაგრატიონი, 39).

წყაროების საფუძველზე შეიძლება ხეობის სოფლებისა და ნასოფლარების დასახელება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წყაროების მიხედვით ზოგი ორ-სამკომლიანი დასახლება სოფლად არის ჩათვლილი,

მეორე კიდევ ის, რომ სოფლად არის ჩათვლილი ის დასახლებები, რომლებიც იწოდებოდნენ საგვარეულო სახელების მიხედვით. ასეთი დასახლებები კი თვით სოფელშია გამოყოფილი, რაც პუნქტის შესწავლას აძნელებს, მაშინ როცა საქმე გვაქვს ხეობის მიგრაციასთან და ლოკალიზაცია ფაქტიურად გაძნელებულია.

ხეობაში დღეს დასახლებული პუნქტებია დორეთკარი, მშველიეთი და მოჭალიეთი, სადაც სულ თორმეტი ოჯახი ცხოვრობს. ნასოფლარებიდან დავადგინეთ: გავაზი, ხრომისწყარო, ლორო, მეწყერი, ციხია, კუცხოეთი, კარა, საბარკლეთი.

1774 წლის ქსნის ხეობის ხალხის აღწერის დავთრის მიხედვით ჭურთის ხეობაში, სოფელ ილურთკარში ცხოვრობდნენ: მხოლოდ ილურიძეები, სულ თხუთმეტი ოჯახი, ბუჯიაანთკარში ოცი ოჯახი: ბუჯიძეები, ზანგურიძეები და ერთი ოჯახი ცეცხლაძე.

დორეულთკარში თხუთმეტი ოჯახი ყველა დორეულის გვარისაა, შველიეთში ყველა შერმადინის გვარისა თოთხმეტი ოჯახია, ამდენივე გავაზში ყველა ბუთხუზის გვარისაა. მოჭალეთში ყველა შერმადინის გვარისაა. ცოტა ცვლილება ხდება 1781 წლის აღწერილობაში ტოპონიმებსა და ანთროპონიმებში.

თუ შევადარებთ ამ ორი დავთრის მონაცემებს, გვხვდება დამთხვევები და განსხვავებები. ხეობის აღწერაში ჩვეულებრივ აღნიშნულია მოსახლის გვარი და თითოეული მეკომურის მამაშვილობაც არის დასახელებული. 1781 წლის აღწერაში ხშირად გვარი არ ჩანს, მაგრამ მამაშვილობაა აღნიშნული, ისე რომ ის მამაშვილობა უკვე გვარად არის შემდგომ ქცეული. მაგალითად, ილურთკარში:

ილურიძე ბიბილასაშვილი
ილურიძე ქიტიასშვილი
ილურიძე ნიკოლოზისშვილი

ეს უკანასკნელი სახელები ხეობაში გვარებად გადაიქცა.

ილურიძე აბრამისშვილი ერთ ოჯახად არის აღწერილი, სადაც ოთხი თავი იყო (ე.ი. ოჯახის უფროსი): ოქროპირი, სიხარული, სოსო და ივანე. 1781 წლის აღწერაში ილურიძე აბრამისშვილი ერთ კომლად არის აღწერილი, სადაც ორი თავი (უფროსია) ივანე და ოქროპირი. სოსო ილურიძე უკვე ცალკე კომლად არის გამოყოფილი, ხოლო სიხარული საერთოდ არაა მოხსენიებული აღწერაში.

ხსენებული ,,აღწერების" მიხედვით ხეობაში მცხოვრებთა გვარების უმეტესობა წინაპრის სახელისგან მოდის, მაგალითად ბუჯიძე, გვარი შემდგომ გვხვდება როგორც ბუჯიაშვილი, ამ გვარიდან სახელის მიხედვით არის გამოყოფილი გვარი იმედაშვილი, ნადირის შვილი, შემდგომ ეწერებიან, როგორც ნადირაშვილად, დათუნაშვილად.

დორეული პაპუნას შვილი შემდგომ პაპუნაშვილია
დორეული ჩიტის შვილი – ჩიტიშვილი
შერმადინი შალიკა სშვილი – შალიკაშვილი

ცეცხლაძე დათუნაშვილი – დათუნაშვილი, რომელიც მერე ცალკე გვარად და ,,სოფლად" ჩამოყალიბდა ისროლსხაში და სხვა.

აღნიშნული გვარების შემადგენლობაში ნანათესაობითარი სახელი გვაქვს, ამასთან შენარჩუნებულია ნათესაობით ბრუნვის ,,ს" ელემენტი და ჩანს პირის ჩამომავლობა (ვისი შვილი იყო ესა თუ ის პიროვნება).

ეს ხეობა მნიშვნელოვანია ისტორიულად, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან ჟამურს ესაზღვრებოდა საიდანაც გზები ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა, დასავლეთით კი ცხრაწყაროს გავლით – ლეხურისა და პატარა ლიახვის ხეობაში, შემდეგ კი – დვალეთში. ხეობაში განლაგებული ციხე-სიმაგრეები ქართულ სახელებს ატარებდნენ. საუკუნეების განმავლობაში და ისინი ქართულ ენაზე მოსაუბრე ძველ ქართველებს ეკუთვნოდათ. ბევრი მათგანი წერილობით წყაროებშია დაფიქსირებული, ნაწილი კი ხალხის მეხსიერებას შემოუნახავს. ეს სახელებია: წინკიბე, ციხია, მაცხოვარი, შევარდენი, გავაზი, მეწყერი, დაკიდულა, მზისკარი, ზეკარი და ასობით სხვა.

აღნიშნული ტოპონიმები ზემოთხსენებული აღწერებში მოცემულია მიცემით ბრუნვაში: ჭურთის ხევს, ილურთ კარს, ბუჯიანთ კარს, დორეულთ კარს, შველიეთს, გავაზს და სხვა.

ხეობის ონომასტიკური მასალები სამას ერთეულზე მეტია და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. როგორც ცნობილია, ჰიდრონომია არის ტოპონიიმის საინტერესო ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია ძველთაძველი დასახლებები. გამოთქმულია ვარაუდი და სრულიად სამართლიანად, რომ მდინარეთა სახელწოდებები ეთნიკურ ცვლასაც უძლებენ.

ხეობის ყველაზე დიდი მდინარეა ჭურთულა, რომელიც სათავეს იღებს ჩრდილოეთით ჟამერის (მხარეა)მთების სამხრეთით კალთებიდან, გაივლის ოც კილომეტრს და სოფელ ლარგვისთან მარცხენა მხრიდან შეერთვის ქსანს.

ხალხური ეტიმოლოგიით ,,ჭურ" არის სიტყვის ძირი, რომელიც უკავშირდება საზოგადო სახელს ჭურს (ანუ ქვევრს), რომელსაც ხეობაში რამდენიმე ადგილას აკეთებდნენ და დასავლურ ქართულ ელემენტად მოიაზრება (საყურადღებოა, რომ მხარეში ბევრი დასავლური ტოპონიმასტიკური ერთეული გვხვდება). მეორე ვერსიით, ეს სიტყვა სა-ჭურველს აღნიშნავს, რომლის არსებობაც შეიძლება საფუძველი მოეძებნოს. მეცნიერული ეტიმოლოგია დასადგენია.

ვახუშტი ბაგრატიონი ხეობის აღწერისას პარალელურად ახსენებს ჭურთის წყალს, ჭურთის ხევს, ცხრაწყაროს წყალს, ცხრაწყაროს ხევს (ვახუშტი, 118).

ქართული ჰიდრონიმთა ძირითადი მაწარმოებლები ,,ურა-ულა" სუფიქსები ხეობაშია დაცული. ისინი იწარმოებიან დასახლებული ან ყოფილი სოფლების მიხედვით და დროს უძლებს. ნასოფლარის სახელწოდებაა რორო, რომლისგანაც ჩანს ნაწარმოები ჰიდრონიმი რორულა, ჭურთულას მარჯვენა შენაკადს ეწოდება როროს წყალიც,

გავაზურა, ჭურთულას მარცხენა შენაკადი, ჩვეულებრივ ეწოდება ასევე გავაზის წყალი.

ჰიდრონომთა მეორე კომპონენტად გვხვდება წყალი წყარო, ხევი, ღელე: კოდის წყალი, ცივი წყალი, (ნასოფლარი კუცხოეთი). ბილუნეთის წყარო (მთის სახელია), საცილობელი ღელე (ლევანაანი), ზერიათ ღელე, (მეწყერი), ნამყენების ხევი, თეთრათხევი, (დორეთკარი), ფაჩურის წყალი (ნასოფლარი) ჭურთულას მარჯვენა შენაკადი.

ტოპონიმიური სახელების მეორე კომპონენტად გვხვდება: მთა, ქედი, მზვარე, უბანი, მიწა კარი.

ფიდო მთა, (დორეთკარის აღმოსავლეთით) ჭახინათის მთა, ქება მთა, (სოფლის აღმოსავლეთით) კუნწუხი ქედი, ამოსახედი ქედი (დორეთკარი).

წყაროთქედი, გრძელი ქედი, ცხრაწყაროს ქედი (მოჭალიეთი);

ციხის მზვარე (ნასოფლარი ციხია).

ილურთკარი (ნასოფლარი მეწყერი).

მახრიაანთკარი (ნასოფლარი) გვარის მიხედვით შერწქმეული.

შალიაანთკარი (ნასოფლარი), ჭავლლიაანთკარი (ნასოფლარი), გვარის მიხედვით არის სახელდებული.

ხეობაში გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად ცნობილი -ეთ და -ათ სუფიქსიანი ტოპონიმები:

ცხომელეთი, მამუეთი ნასახლარების სახელებია. (სოფ. მოჭალიეთი).

მორჩიეთი (ნასოფლარი გავაზი. (ნასახლარების სახელებია), ლაჭრეთი.

ტულეთი (ნასოფლარი გავაზი).

საქორეთი - ამჟამად ნასოფლარი. უფეთი ჭურთულას მარჯვენა მხარეს, ყოფილი უფუკეთი.

ზერიათი (საძოვარი, ლევანანი), ჩაბათის ნასახლარები (ლევანიანი).

თონიათი (დორეთკარი) საძოვარი.

გვხვდება -ებ სუფიქსიანი სახელები, რომლებიც ხეობაში ტოპონიმის სიდიდეს განსაზღვრავს. ნაფუძრები, იგივე ნაფუზრები, თელეები (დორეთკარი), საძროხილეები, მზირალები (ნასოფლარი გავაზი).

გძელეები (ნასოფლარი რორო), გაბურები (მოჭალიეთი) გვარის სიმრავლეს და ამჟამად ახოებისა და ნასოფლარის სახელია.

ღნოლები, ულეები (ახოების სახელებია სოფ. მშველიეთი).

სახილრები, კოდეები (ყოფილი სახნავები, ნასოფლარი ლევანიაანი).

ხეობის თანამედროვე ტოპონიმასტიკურ ერთეულებს, ბუნებრივია, ქართულენოვანი სახელწოდებები ქმნიან. მათი დაჯგუფება კი შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით, კერძოდ, სემანტიკისა და არქაულობის კუთხით. სახელები კი არის წარმოქმნილი კომპოზიტური, რელიგიური, სოციალური, ლანდშაფტური და სხვები.

ჭურთის ხეობის ტოპონომასტიკური მახასიათებლები მრავალფეროვანია, რომლებიც კარგად გამოხატავენ ქართული ენის ბუნებას.

ხეობა ამჟამად გაუკაცრიელებულია, მხოლოდ დორეთკარში ცხოვრობს ხუთი ოჯახი, ორი – მოჭალიეთში. საინტერესოა ტოპონიმთა და ანთროპონიმთა ლოკალიზაცია, რადგან მოსახლეობა გარკვეული ვითარების გამო სხვადასხვა ადგილებში გადასახლდა და ბევრი ასეთი ერთეულის სახელი

სხვა ადგილებშია ლოკალიზებული. მათ პუბლიკაციასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ჩართვა აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. ვ. ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, წიგნი II გეოგრაფია, ქართლი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, ტფ., 1895.
2. ვახუშტი (იქვე, გვერდი 021).
3. ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და შენიშვნები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986.
4. ვახუშტი, ქართლი, ტფ., 1895.
5. თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961.
6. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დ. მეგრელიძისა და ნ. ჯავახიშვილის მიერ. თბ., 1967.

რეზიუმე

ჭურთის ხეობა მდებარეობს მდინარე ქსნის ხეობის ზემო წელზე. მდინარე ჭურთულა არის ქსნის მარჯვენა შენაკადი, რომელიც სოფელ ლარგვისთან უერთდება.

ხეობის ტოპონიმიის, ანთროპონიმების შესასწავლად დიდი მნიშვნელოვანი წყაროებია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების ,,აღწერები", ქსნის ხეობის 1771-1781 წლების სტატისტიკური აღწერა, სადაც სოფლები მოყვანილია მიცემით ბრუნვაში, ხოლო ანთროპონიმები სახელისა და მამის სახელის ჩვენებით. ეს უკანასკნელი კი შემდგომ ცალკე გვარად არის ჩამოყალიბებული.

დღეისათვის ხეობის ტოპონიმიკური ერთეულები სამასზე მეტი და წყაროების მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ჰიდრონიმთა ძირითადი მაწარმოებლებია -ურა -ულა - სუფიქსები. მეორე კომპონენტად გვხვდება ასევე: წყარო, წყალი, ღელე. ტოპონიმთა მაწარმოებლებია: -ეთ, -ის, -ათ სუფიქსები.

სიხშირით გამოირჩევა -ებ სუფიქსი.

ხეობის ტოპონომასტიკურ ერთეულებს ძირითადად ქართულენოვანი სახელწოდებები ქმნიან.

HISTORICAL AND MODERN TOPONOMASTIC MATERIALS OF CHURTI GORGE

Nikoloz Otinashvili, Gori Teaching University

SUMMARY

Churti Gorge is situated on the upper part of the river Ksani. The river Churtula is connected with the Ksani at the village of Largvisi.

To study the toponomy of the Gorge, it is a matter of great importance to search the sources in the book “Records” made by Vakhusti and loane Bagrationi. There is given the statistic description of the Ksani Gorge of 1771-81, where the villages are mentioned in the Dative Case with the corresponding first names. And later as we know fathers names were turned into families last names.

There are more than 300 toponomastic materials today with varieties of productions. Such as ura-ula suffixes.

Also for the second component we can often see-Tskaro (stream), Tskhali (water), Khevi (gorge).

Or suffixes et, is, at, but the suffix – eb is used very widely in plural.

These toponomastic materials mainly contain Georgian names.

ლიტერატურა
Literature

ამირანისა და პრომეთეს მითი ქართულ ლიტერატურაში

***ანა დათუაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი*

მითი ამირანის შესახებ ძალზე ძველია და მას ფესვები წარმართულ ხანაში აქვს გადგმული. იქიდან გამომდინარე, რომ თქმულება ქრისტიანობის წინარე ეპოქაშია შექმნილი, სავსებით გასაგებია მისი ფასი და მნიშვნელობა როგორც ქართველი ხალხის მსოფლმხედველობის წარმოდგენისათვის, ასევე უძველეს ხალხურ წარმოდგენათა მეცნიერული გააზრებისთვის, ამირანის პროტოტიპი ბერძნულ მითოლოგიაში პრომეთეა.

ათწლეულების მანძილზე მიდიოდა მსჯელობა იმის შესახებ, პრომეთეს მითი უფრო ადრე შეიქმნა თუ ამირანის, იქონია თუ არა ერთმანეთზე გავლენა ამ შემთხვევაში ქართულმა და ბერძნულმა მითოლოგიამ, არის თუ არა ეს ორი ვერსია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, და კიდევ უამრავი სხვა შეკითხვა ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ამირანი და პრომეთე აბსოლუტურად სხვადასხვა ქმედებისათვის დაისაჯნენ, მითის არსი მაინც ერთია – ორივე გმირი მეამბოხეა და იბრძვის ღმერთის წინააღმდეგ, არსებული წესების წინააღმდეგ და ამასთან სასჯელი აბსოლუტურად იდენტურია კავკასიონის მწვერვალი და არწივი, რომელიც გულ-ღვიძლს უკორტნის გმირს.

ა. გულიგას სტატიაში ,,მითი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ ნათქვამია, რომ მითის მთავარი ნიშნებია: 1. რეალურისა და იდეალურის შერწყმა, 2. აზროვნების ქვეცნობიერი დონე და 3. გამოსახულების სინკრეტიზმი (http://www.referatcollection.ru/38731.html)

ზემოთ დასახელებული მითები სავსებით აკმაყოფილებს გულიგასეულ აღწერას, რადგან ორივეში არის რეალურისა და იდეალურის შერწყმა. ადამიანი ყოველთვის ისწრაფვის სრულყოფილებისაკენ და თავისი შინაგანი ბუნებით მეამბოხეა, მაგრამ ჩვეულებრივ ადამიანთა უმეტეს ნაწილს არ ძალუძს უარი განუცხადოს არსებულ რეალობას და შეეჭიდოს თავისზე აღმატებულს – ბუნებას, მითის მიხედვით კი ღმერთს, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ გმირი დასაღუპადაა განწირული, ამას ითავისებს კიდეც გმირი ინტუიციურ დონეზე, მაგრამ მითის შემქმნელმა ხალხმა ეს ყველაფერი ასე ფილოსოფიურად არ იცის, რადგან თავისთავად მითი პრიმიტიული თხზულებაა, თუმცა მათში დიდი სიბრძნეა შენახული. ამ სიღრმეების მიღწევა და სიმბოლოებით ასე ღრმად აზროვნება, თავისთავად ცხადია, გამორიცხული იყო მითის შემქმნელთაგან, თუმცა ეს სიბრძნე სავარაუდოდ სწორედ ქვეცნობიერის დონეზეა წინა პლანზე გამოსული. “მითოლოგიაში მოცემულია კოსმიური და ადამიანური ყოფის არქეტიპული მოდელები. სწორად გაშიფრული მითი ადამიანური ცხოვრების მრავალ საიდუმლოს ხდის ფარდას”, – ამბობდა ზვიად გამსახურდია (http://zviadgamsakhurdia.wordpress.com/tag/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98/) და სწორედ ამიტომაცაა, რომ სწორედ მითები გახდა კაცობრიობის ისტორიაში ყველა დიდი შედევრის შექმნის საფუძველი.

ქართული მხატვრული ლიტერატურაც არ არის გამონაკლისი ამ მხრივ და ზემოთ ხსენებული ორივე მითი საკმაოდ პოპულარულია ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, რადგან თავისი არსის მასშტაბურობით შეიძლება ითქვას, რომ პრომეთე-ამირანის თქმულება ყველაზე პოპულარულია კლასიკურ მითებს შორის.

პირველად ქართული ლიტერატურაში გამოჩნდა ამირანის თქმულება მოსე ხონელის პოემაში ,,ამირანდარეჯანიანი“, სადაც კლასიკური მითი ქართული ზღაპრის სახეცვლილ და მწერლის მიერ ინტერპრირებულ ვარიანტს წარმოადგენს.

დიდხანს თვლემდა ამირანი ქართული სულის ქვეცნობიერებაში და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აღდგა ეროვნული თვითცნობიერების გამოღვიძებასთან ერთად: ჯერ აკაკის, ხოლო შემდეგ ვაჟას პოეზიაში.

ქართულ პოეზიაში ,,ამირანი“ თავად საქართველოს სიმბოლოდ იქცა. მიჯაჭვული, შეურიგებელი გმირი ჩვენი სამშობლოს პროტოტიპია აკაკი წერეთლის ლექსში ,,ამირანი“:

,,კავკასიის მთებზე იყო ამირანი მიჯაჭვული
ყვავ-ყორანი ეხვეოდა დაფლეთილი ჰქონდა გული“.

ამირანის ჭრილობა საქართველოს მოუშუშებელი იარაა, რომელიც სასწაულის ძალით ყველა შემთხვევაში მთელდება და ასევე რაღაცა სასწაულის ძალით მთელდება ის წყეული ჯაჭვიც, რომელიც ბოლოს და ბოლოს აუცილებლად დაიმსხვრევა, რადგან გმირი არ აპირებს უსამართლობასთან შერიგებას, არც მონური მორჩილება შეუძლია და სწორედ ამიტომ იტანჯება ასე მწარედ. იქვე თვითონ განმარტავს აკაკი, რომ ,,ამირანი საქართველოა და მისი მტრები ყვავ-ყორნები არიან“.

,,მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი
სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“.

ესეც მითია, ოღონდ მომავლის მითი თანამოძმეთათვის შექმნილი, რათა მათ არ დაყარონ ფარ-ხმალი და ერთ მშვენიერ დღეს არ გადაიქცნენ მორჩილ ცხვრებად, რომელიც ტკივილის შემსუბუქების სანაცვლოდ დათმობს საკუთარ და ქვეყნის ინტერესებს, მითია, რადგან ამბოხებულის ხვედრი საპატიმრო და სასჯელია და ყოველი ბორკილის მსხვრევა მტრისაგან ახალი ბორკილის დადებას განაპირობებს, მაგრამ ზღაპრის კლასიკური ვარიანტი მოითხოვს კეთილ დასასრულს, რაც ასევე ქვეცნობიერი დონიდან მოდის ზღაპარსა და მითებში, არ ვიცით რისი იმედით წინასწარმეტყველებს აკაკი, რომ გმირი შესძლებს ბორკილების დამსხვრევას... მაგრამ სამაგიეროდ ზუსტად იცის, რომ ყველა ზღაპარი კეთილის გამარჯვებით მთავრდება და დაე ნუ ექნებათ უკეთურთ ილუზია, რომ ეს მხოლოდ ზღაპარში ხდება, რადგან სწორედ რეალური სამყაროა ყველაზე დიდი სასწაული.

ვაჟა-ფშაველას ლექსებში: ,,ამირანი“, ,,სიზმარი ამირანისა“ უფრო ღრმა მითოსური სამყაროა. ამირანი კლდეშია და გველებივით ახვევია ჯაჭვები, რომლებიც ზამთრის ატრიბუტს ანუ ქაჯებისა და დევების სამყაროს განასახიერებენ, ამირანი სიმბოლურად გარდაცვალებასა და აღდგომას გამოხატავს, ბოროტისა და კეთილის მარადიულ დაპირისპირებას. როგორც თამაზ ჩხენკელი ამბობს: ,,ვაჟა-ფშაველა უხვად იყენებს ცალკეულ მითოსური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან პასაჟებს თავისი უღრმესი ინტუიციების გადმოსაცემად.“

თუმცა პატრიოტული მოტივი ცხადად ჩანს ვაჟას ლექსშიც, რომელიც ზოგადსაკაცობრიო მითთან ერთად კონკრეტულ-ქართული გასაჭირითაა ნაკარნახევი. ვაჟას, ისევე როგორც აკაკის, ბოღმა ახრჩობს უძლურებისა და უსამართლობისა:

„უზარმაზარი ტანისა
კაცი ვინმე სჩანს კლდეშიო,
გულის მდნობელი ნაღველი
უხმოდ დუღს იმის მკერდშიო.“

ეს ის გულისმდნობელი ნაღველია, რომელიც ასე აწუხებდა და აწუხებს ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს. აქაც ბოროტება მტერია და ამირანი საქართველო, მტერია ყვავ-ყორანიც, დევიცა და ქაჯიც და კიდევ აუარებელი შავი ძალა, რომელიც ყოველგვარ სიკეთეს უპირისპირდება, უპირისპირდება თავისუფლების იდეას:

„პირდაპირ დაყუდებული
ჟანგდება მისი ხმალიო,
მოსვენებასა თაკილობს,
ცრემლსა ღვრის, როგორც ქალიო.“

ვაჟაც, ისევე როგორც აკაკი, დაუმორჩილებლობის იდეას ავითარებს, დაჟანგებული ხმალი მოსვენებას თაკილობს, რადგან საქართველოს არ აქვს უფლება ჩააგოს ხმალი და ამ ხმლის დაჟანგება უფრო დიდი უბედურებაა ვიდრე ის ტკივილი, რასაც აყენებს ყვავ-ყორანი ამირანს. უბედურებაა იყო შეგუებული, მაგრამ ისევ ზღაპარს შევხედოთ. კანონზომიერება მოითხოვს ლოგიკურ დასასრულს და მოთმინება გადაწყვეტს ყველაფერს:

"მუნით ჩამოწვეს ღრუბელი,
გაჩნდეს ცეცხლ-სეტყვა ხშირია,
იძახდენ მართლის ჯვარმცმელნი:
„ვაჰმე, რა დიდი ჭირია!“

ასევე სამშობლოს აგონებს მიჯაჭვული ამირანი გალაკტიონ ტაბიძეს ლექსში „მშობლიური ეფემერა“:

„შეხავსებია კლდეები კლდეებს, აქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია,

ამირანია? მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს ამირანია,
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს და გული ისევ ჩემი გულია,
დაკარგულია? მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს დაკარგულია.“

ასევე მეორე ლექსში: „მე არ მეცალა გორში დავრჩი“ ამირანის იალბუზზე მიჯაჭვის ამბავს ახსენებს ის, რომ ტყვიავს იქით უკვე საზღვარგარეთია:

„მე არ მეცალა, გორში დავრჩი სულ ერთი ღამე -
როგორც კი ლიახვს მოეფინა დილის ნიავი,
გზა ტირძნისისკენ... ვრცელი ველი ტირფონისა.
სამხრეთ-ოსეთის საზღვართან ვარ... აჰა ტყვიავი!
მაშასადამე ერთი ბიჯი და – საზღვარგარეთ!
საითკენაც გსურს, რომ გინდოდეს, წავლენ სიონი...
მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება არეთ –
სულ ახლოს არის თეთრი მთები კავკასიონის,
მთები, რომელზეც, ლეგენდების თქმით, რა ხანია,
მუდმივი თოვლი და მიჯაჭვული ამირანია.“

ეს ლექსი დღეს წინასწარმეტყველებასავით ჟღერს, თითქოს ზმანება ჰქონდაო დიდ პოეტს... მაგრამ ამავე ლექსში შემთხვევით არ ახსენდება კავკასიონი და ამირანი, დაუმორჩილებლობის სიმბოლო, რომელმაც კიდევ ერთხელ უნდა გაალღვოს ჯაჭვი ერთგული ყურშას დახმარებით და მკვდრეთით აღდგეს. ქართველი კაცისათვის მუდამ სასიხარულო იქნება თეთრი კავკასიონის დანახვა, რადგან თეთრი სიკეთის ფერია, ხოლო ამ სითეთრესთან ასოცირდება ამირანი, როგორც დიონისური ღვთაება, რომლის ახსნას აგერ უკვე რამდენიმე ათეული საუკუნე ელოდება ქართველი კაცი.

მოთხრობაში მიჯაჭვული რაინდები გოდერძი ჩოხელი ყველაზე უკეთ ამირანის გოშიას აფასებს, რომელიც ლუარსაბს ბოროტება ჰგონია, რადგან ფიქრობს, რომ გოშიობამ და სხვისი ფეხების ლოკვამ დააკნინა საქართველო და აღარ უნდა იყოს გოშია, მაგრამ დონ-კიხოტი უხსნის: „წამებით ლოკავს ეს საცოდავი გოშია ამ ჯაჭვს ლოკავს, რომ იმის პატრონმა გაწყვეტა შესძლოს, ეს კი მოთმინებით უყურებს, მეტი რა გზა აქვს, თუ ეგ ჯაჭვი არ გაწყვიტა თავისუფლებას ვერ ეღირსება. თავისუფლება დიდი რამეა, ჩემო სანჩო, თავისუფალ კაცს ღმერთთან ბრძოლაც კი შეუძლია, ხოლო ეს რომ არ მოხდეს თავისუფლების შემბორკველს თავისი მჭედლები და კირით-ხუროები ჰყავს“ (გოდერძი ჩოხელი, ,,მიჯაჭვული რაინდები“. გვ. 44).

ამირანის გოშია განასახიერებს იმ ერთგულ, უბრალო ადამიანებს, რომელთა ერთგულებამაც დღემდე მოიყვანა საქართველო, ის ერთი უბრალო ძაღლია, და არა დიდი და კეთილშობილი ლომი ან ვეფხვი, უბრალოდ გოშია, დიახ სწორედ ასეთი უბრალო ხალხის თავდაუზოგავმა შრომამ უნდა შექმნას თავისუფლების იდეა.

ამირანისა და პრომეთეს მითის მსგავსებასა და განსხვავებებზე ვსაუბრობდით დასაწყისში. ამირანი პრომეთეს სახეცვლილი ვარიანტია, თუმცა მათ შორის არის არსებითი სხვაობა, ამირანი არსებულ ძალმომრეობას უჯანყდება, პრომეთე არსებულ სიბნელეს, სწორედ ამიტომ ამირანი ღმერთს ეჭიდავება, პრომეთე კი ცეცხლს იპარავს, რომელმაც უნდა გაანათოს ბერძნული სულის ცნობიერება, პრომეთე ფაქტიურად ცნობადის ხის ნაყოფს აძლევს ადამიანებს, რომელთაც უნდა შეიმეცნონ, რომ შიშვლები და ბნელები არიან, ხოლო ამირანს არ სჭირდება განათლების მოპარვა, ქართული სულის ცნობიერი ისედაც განათებულია. მან იცის, რომ სჭირდება თავისუფლება, რომელსაც ძალით ართმევენ და ეს ძალა ისეთი დიდია თითქოს ზებუნებრივი იყოს, არ ჩანს რეალური შესაძლებლობა მისი დამარცხებისა, მაგრამ ცდა ხომ შეიძლება, მთავარია ბედს არ შეურიგდე, კომფორტზე არ გაიყიდო და შეინარჩუნო სულიერი სიმხნევე, აი სწორედ ამას განასახიერებს ამირანი, რომელიც პრომეთეზე დიდი გმირი არ არის, მაგრამ უფრო დიდი მისია აკისრია ეროვნულ ჭრილში, იგი განასახიერებს განათლებულ ქვეყანას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი მოვალეობაც და ხვედრიც, ხოლო პრომეთეს ქვეყანას ჯერ სჭირდება ცნობადის ცეცხლი, რათა ჩასწვდეს ჭეშმარიტებას და მერე იბრძოლოს ამ ჭეშმარიტების მოსაპოვებლად.

ლიტერატურა:

1. თ. ჩხენკელი, ,,მშვენიერი მძლევარი“, თბ., 1989.
2. გ. ტაბიძე, ,,რჩეული“, ტომი I, გამომცემლობა ,,ლითერასი“, თბ., 2012.
3. აკაკი წერეთელი, ,,ლექსები”, გამომცემლობა ,,ლითერასი“, თბ., 2012.
4. როსტომ ჩხეიძე, ,,ამირანის თქმულება“, „ნაკადული“, 1991.
5. ვაჟა-ფშაველა, ,,თხზულებანი ხუთ ტომად“, ტომი I, გამომცემლობა ,,საქართველო“, თბილისი., 1992.

6. Апинян Т.А., Мифология: теория и события: Учебник. / Т.А. Апинян. Санкт-Петербург, 2005.
7. http://www.referatcollection.ru/38731.html
8. გ. ჩოხელი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი III, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2010.

რეზიუმე

არის მითები, რომელიც ერის სულს ასაზრდოებს იმ აუცილებელი ელემენტებით, რაც მისი სიცოცხლისათვის აუცილებელია. ისინი საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებენ აქტუალობას და იქცევიან ხელოვნების შედევრების შექმნის მუზად. ასეთ მითებს განეკუთვნება ამირან-პრომეთეს მითებიც, რომლებიც მსგავსი შინაარსის, მაგრამ სხვადასხვა იდეის მატარებელია, მითის ფინალი ერთია – აჯანყებული გმირის დასჯა ღმერთისაგან და სასჯელის მოხდის ადგილიც არის ერთი და იგივე. აქედან გამომდინარე ათწლეულები მიდიოდა კამათი იმის შესახებ, ამირანის თქმულება უფრო ძველია თუ პრომეთეოსის მითი. მეცნიერები დღესაც მსჯელობენ რომელმა კულტურამ რომელზე მოახდინა ზეგავლენა, მაგრამ ჩვენი კვლევის მიზანი არ არის მითების ურთიერთზეგავლენის მტკიცება, არამედ იმისა, თუ როგორ გაიგო ეს მითი ქართულმა ლიტერატურამ და რა არსებითი განსხვავებაა ამირანსა და პრომეთეს შორის ერის სულიერი ისტორიის ჭრილში.

მითი ყველაზე კარგად ახასიათებს ერის არსს და პრომეთესა და ამირანის მითის შედარება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამირანის მითის შემქმნელი ერი სულიერად უფრო სრულყოფილია, მას არაფრის მოპარვა არ სჭირდება ღმერთებისაგან, ის თავად თვლის თავს ღმერთების თანასწორად, ხოლო ქართული პოეზიაში ამირანის გაიგივება სამშობლოსთან სწორედ მის უფალთან თანასწორობას გულისხმობს.

MYTHS ABOUT AMIRAN AND PROMETHEUS IN GEORGIAN LITERATURE

Ana Datuashvili, Invited Specialist

RESUME

There are myths that feed a nation's soul with those necessary elements which are essential for life. For centuries, they have been retaining their relevance and becoming muses for creating masterpieces; such myths are the ones of Amiran and Prometheus. Although the myths bear different essences, the contents are similar including the ends - God’s punishment to the rebel hero and the same place for serving the sentence. Consequently, the debates about which one is older Amiran legend or Prometheus myth have been going on for decades. Even up today, scientists have been much discussing which culture influenced first but our purpose is not assertion of inter-influence processes between the myths, we just want to find out how the myth has been perceived in the Georgian literature and what essencial differences are there between Amiran and Prometheus with regard to the nation’s spiritual history.

The myth well characterizes the nation; based on the comparison of these two myths (about Amiran and Prometheus) we can consider the myth creator nation to be spiritually pefect which does not need to obtain anything from gods, moreover it considers itself equal to them. In Georgian poetry the identification of Amiran with the motherland implies its equalty with the Lord.

ზვიად გამსახურდია – ლიტერატურული პერსონაჟი ოთარ ჩხეიძის „თეთრი დათვის“ მიხედვით

ანა იმნაძე, მოწვეული სპეციალისტი

XX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ტრაგიკულ ფურცლებად ჩაიწერა: ჯერ ქართულ-ოსური კონფლიქტი (ე.წ. ცხინვალის ომი), შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირება თბილისში (ე.წ. თბილისის ომი), რომელსაც დამარცხებათა მთელი სერია და ამ ფონზე განვითარებული მძიმე ეროვნული დეპრესია მოჰყვა. აღნიშნულმა პერიოდმა ასახვა ჰპოვა ქართულ ბელეტრისტიკაში. 90-იანი წლების პერიპეტიათა ეპიცენტრში იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც რადიკალურად განსხვავებული კუთხით არის წარმოჩენილი იმჟამინდელი მოვლენების ამსახველ ქართულ პროზაში. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მისი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის გააზრებას რეალურ მოვლენებთან მიმართებით ცნობილი ქართველი მწერლის, ოთარ ჩხეიძის რომან „თეთრ დათვზე“ დაყრდნობით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხატვრულმა პროზამ უფრო ადრე დაიწყო მოვლენათა შეფასება, ვიდრე ეს გააკეთეს ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა. ეს შემთხვევით არ მომხდარა და თავისი მიზეზიც ჰქონდა.

მონოგრაფიაში „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე“ აღნიშნულია, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს *„საზოგადოების დემოკრატიზაციამ და პარტიული „მზრუნველობის“ გაქრობამ ხელი შეუწყო ისეთი ნაწარმოებების დაბეჭდვას, რომლებშიც ჩვენი საზოგადოების პრობლემები დაუფარავად იყო წარმოჩენილი. ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში დამკვიდრდა პლურალიზმი. სოციალისტური რეალიზმი აღარ იყო ერთადერთი მიმდინარეობა და მეთოდი ქართულ კულტურულ სივრცეში“* [გაფრინდაშვილი... 2010:158], თუმცა ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ანალიზისას მივხვდებით, რომ ავტორი არც საუკუნის მიწურულამდე განიცდიდა პლურალიზმის ნაკლებობას და არც სოციალისტური რეალიზმი ყოფილა მისი შემოქმედების მამოძრავებელი ძაფი. დასტურად მხოლოდ „ბორიაყი“ იკმარებს. ამასთან დაკავშირებით სოსო სიგუა განმარტავს, რომ: *„ძველი თაობა, რომლის იდეალები დრომ არ გაამართლა, კომუნისტური დითირამბებით ამთავრებდა ცხოვრებას. მოდიოდა ახალი ძალა, აღზრდილი ბოლშევიზმის წიაღში, რომელიც ძირს უთხრიდა თავის სისხლიან მეურვეებს. ოთარ ჩხეიძე იყო პირველი ჩვენს მწერლობაში, რომელმაც უარყო ერთი მხრივ - სოციალისტური რეალიზმის შაბლონი, მეორე მხრივ - იდეოლოგიური დოგმები, არა თეორიულად, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკით, მხატვრული სიტყვით.“* [სიგუა, 2004:3]. ასეთი სურათი იკვეთება 80-იანი წლების მიწურულამდე.

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად 90-იანი წლების საქართველოს რთულ და დაბურდულ პერიოდს ეხება, სადაც ძნელია ერთი ხელის მოსმით და გადაჭრით დაარქვა საგნებს სახელი, არა იმიტომ, რომ შავი და თეთრი ძნელი გასარჩევია, არამედ ისევ ოთარ ჩხეიძეს დავესესხებით *„რა რად გინდოდა თუ ველარ გაიგებ - ან რისთვის იბრძოდი ან რისთვის იღწვოდი, ანთუ გადარჩი რისთვის გადარჩი, ძოვო და წყაროს დაეწაფო, მერე ეძიო მლაშე მიწა, ლოკო და ლოკო, ისევ რო ძოვო და ისევ წყაროს დაეწაფო?!“* [ჩხეიძე, 2003:1].

ლია კუხიანიძე, განიხილავს რა ოთარ ჩხეიძის შემოქმედებასა და ღვაწლს ქართული მწერლობისა საზოგადოების წინაშე, აღნიშნავს: *„დიდ ისტორიულ წარსულზე და თანამედროვეობაზე წერას ერთნაირი მწერლური გაბედულება უნდა. ამ უკანასკნელს - უფრო მეტიც, რადგან მწერალი იმდენად მართალი უნდა იყოს, რომ დრომ მემატიანედაც აქციოს და როგორც ხელოვანს, ვერაფერი დააკლოს წლების შემდეგ, როცა სიმართლე ტყუილის ჩრდილიდან გამოვა“* [კუხიანიძე, 1999:3]. ოთარ ჩხეიძეს ნამდვილად ჰქონდა ეს სითამამე და რაც მთავარია - სიმართლე.

ზვიად გამსახურდია ერთ ესსეში ხაზგასმით შენიშნავდა: *„ნურავის გაუკვირდება, რომ მე შელლიზე საუბარს მისი აღსასრულით ვიწყებ. პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს“* [გამსახურდია ზ., 1991:229]. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას აღსასრული, ცხოვრების ტრაგიკული ფინალი მართლაც ზუსტი გასაღებია მისივე ცხოვრების გასაგებად. ჩვენც ფინალით დავიწყებთ, როგორ დაასრულა ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა ზვიად გამსახურდიამ, უფრო ზუსტად, როგორ აისახა ეს ფინალი ქართულ პროზაში, კონკრეტულად ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში. მწერალმა გასული საუკუნის ბოლო ათწლეული და ქვეყანაში განვითარებული მოვლენები აღწერა ტრილოგიაში „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“. აქედან პირველი ორი ზვიად

გამსახურდიას ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო წლებსა და დღეებს ასახავს და სწორედ ამ კუთხითაა ჩვენთვის საინტერესო.

ოთარ ჩხეიძე საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას და მის გამომწვევ მიზეზებს სხვა რომანებშიც ეხმიანება. „არტისტულ გადატრიალებას“ მოყვა „თეთრი დათვი“. მკვლევარი ვაჟა ხორნაული სტატიაში „ჯერ ხსნა სად არის!.. ანუ დიდი მწერლის დიდი სიმართლე“ განიხილავს ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას და ასეთ დასკვნას აკეთებს: „“თეთრი დათვი“ და „არტისტული გადატრიალება“ ერთი ზარის ორი მხარეა, ერთი მეომრის ორი მახვილია, ერთი ფიქრის ორი ჭრილობაა“ [ხორნაული, 2002:4]. სოსო სიგუაც იგივე დასკვნას აკეთებს: „თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის თემის გაგრძელებაა „თეთრი დათვი“, რომელშიც მთავარია აფხაზეთის ტრაგედია. ამჯერადაც ავტორის ძიებას მივყავართ „რუსთ ხელმწიფის“ ინტრიგებთან და ძალმომრეობასთან, რაც თეთრი დათვით არის სიმბოლიზებული“ [სიგუა, 2004:4].

ჩვენთვის „არტისტული გადატრიალების“ და „თეთრი დათვის“ პრობლემატიკა ეროვნული ცნობიერების კუთხითაა მნიშვნელოვანი და საინტერესო. სიუჟეტიც და პერსონაჟებიც ამ მოვლენის არსს ემსახურება. რომანების ძირითადი ფაბულა იშლება თბილისის და აფხაზეთის სისხლიანი დღეების ფონზე.

ოთარ ჩხეიძემ რომანში „თეთრი დათვი“ ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ბოლო დღეები აღწერა. აქ ზვიად გამსახურდიას უკვე განწირულს, განდევნილს, ან უფრო სწორად უცხო ქვეყნის დევნილობიდან, დასასრულისთვის, დაბრუნებულს ვხვდებით. შეციებულს, მშიერს, უძილოს რომელიც აშკარად შეგუებულია საკუთარ ბედს, ამის მიუხედავად არ კარგავს ზომიერებას. თუმცა მანამ იყო ზეიმით და დიდებით დაბრუნება, „ზედიზედ აიღო: წალენჯიხა, ხობი, მარტვილი, აბაშა, ფოთი, ზუგდიდი ჰო თავისთვადა. ზედიზედ აიღო და ზეიმით აიღო (აქ სისხლისღვრაზე არსად არაა ხაზგასმა ა.ი.) მოხსნა გამგებლები ხუნტისა, როგორც თვითონაც უწოდებდა, - კრიმინალური ხუნტის მიერ დანიშნულნი, აღადგინა პრეფექტები, პრეფექტურები, <u>შემოირიგა განდგომილნი, შეიწყნარა ურჩნი“</u> [ჩხეიძე, 1999:180]. ავტორი აღწერს საქართველოს განწყობას და ამ ფონზე ზვიად გამსახურდია, გამარჯვებული, ტრიუმფატორი, მაგრამ არსად ჩანს შურისძიება და ბოღმა განდევნილობის გამო „მიუტევებდა და შეივრდომებდა, დაამწყალობებდა თეატრის მოედანზე ყველას ერთადა, ცალ-ცალკე მიღებას ვერ აუდიოდა. შეიწყნარებდა [ჩხეიძე, 1999:181]. შეწყნარებების და მიტევების ფონზე შემოდის გამსახურდიას ანტითეზა - მეორე პერსონაჟი, რომელიც მზაკვრულ გეგმას ამზადებს „ჯერ სადა ხართო, ჯერ კიდევ ბოლომდის ვერ გარკვეულხართო. კბილებში გამოსცრიდა: ჯერ არ დამდგარიყო დროი კამათისა, ანგარიშსწორების დროც არ დამდაგარიყო [ჩხეიძე, 1999:181]. რომანის იმ მონაკვეთში, სადაც მთავარი პერსონაჟი ბაადურ რიკოთელი და ზვიად გამსახურდია ხვდებიან ერთმანეთს, ყველაზე სრულყოფილადაა დახასიათებული და ჩამოყალიბებული ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ-ეროვნულ-ზნეობრივი კრიტერიუმები. ხაფანგში მოქცეული პრეზიდენტი არსად ჩივის საკუთარ ბედს, ავტორმა მას სამშობლოს ჭირისუფლის მძიმე როლი დააკისრა „სამშობლო“ ისიც იტყვის, თითქოს რო, აგერ რო: თვალწინ კუბოში უსვენიაო“ [ჩხეიძე, 1999:183]. საინტერესოა მოსაზრება ორი რუსეთის შესახებ, რომელიც ავტორმა სწორედ ზვიად გამსახურდიას პერსონაჟის მეშვეობით გახსნა, ეს საკითხი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. რუსეთი „დაჩაგრულ“ ერებს „მომმედ“ და მოკავშირედ ეცხადება და ამ სტატუსით ანგრევს საქართველოს. ხსენებულ ეპიზოდში უცნაურად ისმის პრეზიდენტის მითითებები და რჩევები არსებული, მოწინააღმდეგე, ხელისუფლებისადმი, თუ როგორ შეიძლებოდა თეთრი დათვისა და ორი რუსეთისაგან თავის დახსნა, მაგრამ ამის არც სურვილი და არც ცოდნა ჰქონდა ვინმეს „ვერ ახერხებთ. ამას ცოდნა უნდა. მე ვიცი. მე არ დამაცადეთ...“ [ჩხეიძე, 1999:185] (გახსენდება ზვიად გამსურდიასა და ბორის ელცინის ყაზბეგი შეხვედრა და მოლაპარაკება, მერე ისევ ქართველებმა რომ ჩაშალეს). ყველაზე დიდ იდეურ მოწინააღმდეგესაც კი მშვიდად და შეხვედრის სურვილით იხსენებს, მასთან საუბარი და კამათი მოსდომებია, მერაბ მამარდაშვილთან კამათის განწყობაზეა წალენჯიხის ტყეში, მოწამლული, ფიზიკური და სულიერი ტკივილებით გატანჯული პრეზიდენტი. ბაადურ რიკოთელთან საუბრის ერთი ეპიზოდი შეიძლება ვინმეს ხელოვნური და გაზვიადებული ეჩვენოს, ეს სწორედ ის მონაკვეთია, სადაც განწირული პრეზიდენტი შტაინერსა და ფროიდის მოძღვრებაზე ესაუბრება მასთან მიყვანილ „ტყვეს“. მთავარი საფიქრალი ისევ სამშობლო და ის ხალხია, ვის წინაშეც ნებსით თუ უნებლიეთ უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ოთარ ჩხეიძე ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც ეხება იმ საკითხს, რომელსაც ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მითოლოგიზაციამდე მივყავართ „თავი მოუკლავსო. ვითომცაო და ვითომცაო. ყვალაფერი ვითომცაო. აღარც გამოაჩენდნენ, რო არ შეშინებულიყვნენ: მითოსში შევიდა სახელი მისი. ასე თვალდათვალ შეერწყა მითოსსა. შეშინდნენ“ [ჩხეიძე, 1999:363].

ყურადღებას იქცევს ავტორის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ზვიად გამსახურდიას პერსონაჟთან, მის მსოფლმხედველობასთან, ბრძოლის მიზანსა და მიზეზთანაა დაკავშირებული. ეს იდეა სათავეს „არტისტულ გადატრიალებაში“ იღებს. ესაა კავკასიის თემა, ერთიანი კავკასია, რომელიც არც აზიაა და არც ევროპა: „ჩვენ კავკასია ვართ, კოლხეთი ვართ, აკვანი თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა, ამას კავკასია დაამტკიცებს, ჩვენ კავკასია ვართ!.. ჩვენ შევძლებთ აღდგომასა, შევძლებთ“ [ჩხეიძე, 1999:186]. ასეთ განცხადებებს აკეთებს განწირული, მომაკვდავი ზვიად გამსახურდია. კავკასიური მესიანიზმი ხელშესახები და საცნაური სწორედ ამ ეპიზოდში ხდება, კავკასიის თემა „არტისტულ გადატრიალებიდან“ მოყვება „თეთრ დათვს“ - თანამედროვე ცივილიზაცია დაბერდა და მას განახლება სჭირდება. კავკასიური რასა, კოლხური ძარღვი ახალ ცივილიზაციას მხსნელად უნდა მოევლინოს და აღდგომის მადლს აზიაროს.

ოთარ ჩხეიძე, ორივე რომანში, აღწერს რა ზვიად გამსახურდიას, კოლორიტის და სურათის მაქსიმალური სიზუსტისთვის, არც საუბრის მანერას ივიწყებს, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ზვიად გამსახურდიას ემოციური და ქარიზმატული გამოსვლა, იცნობს სიტყვათა წყობას და სტილს.

რომანში ზვიად გამსახურდია, გარდა საკუთარი გვარ-სახელისა, რუხი მგლის სიმბოლური სახითაც შემოდის, რაც მისი ერთგვარი ალტერ-ეგოა. თუმცა ტექსტში ზვიად გამსახურდია ჯოხარ დუდაევს უწოდებს „რუხ მგელს“ – „დუდაევი კავკასიის ნაგაზია, - რუხი მგელია, რუხი მგელი!..“ [ჩხეიძე, 1999:187]. ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია ერთი იდეის, ერთი აზრის ორი განშტოებაა. თეთრი დათვის ინიციატივით СНГ სამიტზე შეგროვილ ჯორს, ცხენს, აქლემს, ვირს, თეთრ მელას სარკეში აჩვენა, როგორ სამაგალითოდ დაისაჯა და გატყავდა რუხი მგელი ურჩობისთვის, „გაბრდღვნილი მგელი გამოჩნდა სარკეში, აღარც რომ ბეწვი, აღარც რო ტყავი აღარ შერჩენოდა. ქარსა, ქარაშოტსა, ქარიშხალს შემოეგლიჯა. მდგარიყო ეგრე, არ გასცლოდა, მყუდრო არ ეძებნა, არ შეჰპუებოდა არც სხვა რამ უბედურებასა, ფეხი არ მოეცვალა ადგილიდანა. ძვალზე დასულიყო. სცვივოდა ნაფლეთნი უკანასკნელნი ხორცისაი. სისხლისაგან ჰო დაწრეტილიყო...“ [ჩხეიძე, 1999:403] რუხი მგლის აღწერაშიც ცნაურდება მისი იგივეობა ზვიად გამსახურდიასთან. მოწამლული პრეზიდენტი კი ასე ჰყავს დახატული: „პრეზიდენტი. გამხდარა. გამწვანებულა თითქოსაო. სიმაღლე არ აკლდა, აწოწილა თითქოს უფროო. ოღონდ ეტყობა რაღაცა მსჭვალავს: მოიხრება, გასწორდება, კიდევ, კიდევა. ნიკაპი ემტვრევა. კბილები ძაგძაგებს. თითქოს ელვააო“ [ჩხეიძე, 1999:183]. კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც გვაფიქრებინებ, რომ რუხი მგელი ზვიად გამსახურდიას პროტოტიპია. ესაა ეპიზოდი, როცა „თეთრ მელას“ (შევარდაძეს) თეთრი დათვის (რუსეთის) ერთ-ერთი დავალება ერთულა, დავალების არ შესრულება კი კარგს არაფერს უქადდა, მსგავსი სასჯელების ორგანიზატორი და აღმსრულები ხშირად თავად იყო და იცოდა რაც ელოდა უარის შემთხვევაში „თქვა მელმან: რაც რო მე ერთხელ მგელს დავმართე, ესენიც იმას დამმართებენო“ [ჩხეიძე, 1999:91]. ამ შემთხვევაში მგელი ჯოხარ დუდაევი ვერანაირად ვერ იქნება, თეთრ მელას - შევარდნაძეს ხელი არ მიუწვდებოდა დუდაევისათვის რამე დაემართნა და დაეშავებინა, აი გამსახურდია კი მისი „წყალობით“ ჯერ სამშობლოდან დევნილი გახდა, შემდეგ კი წალენჯიხის ტყეში ებრძოდა სიკვდილს და მათგან დადევნებულ მდევარს. იგავის მიხედვით კი გატყავებული მგელი თავისას არ იშლიდა და დათვის ყასიდ შეკითხვას, რატომ არ გაეცალე მანდაურობას, თავი რატომ არ გადაირჩინეო, რუხი მგელი გაოცებით პასუხობს „ეს არის სამშობლო ჩემი, აქ დავიბადე და აქ უნდა მოვკვდეო“ [ჩხეიძე, 1999:403]. აქ უნებურად კეთდება პარალელი თარაშ ემხვარის ცნობილ ფრაზასთან „მე იმ გვარისა ვარ უკან დახევა რომ არ სჩვევიაო“ [გამსახურდია, 1958:724].

ვეთანხმებით ლია კუხიანიძეს, რომელიც „თეთრი დათვის“ ზემოთ აღწერილ მონაკვეთს ასე აფასებს: „მგზნებარე მონოლოგი (სადაც თავისი და ქვეყნის დამღუპველი მხოლოდ ერთხელ მოიხსენია - „ზაკვარი“), რომელში არც ბედისადმი სამდურავია და არც ჩივილი, ბაადურმა მაინც მოთქმას შეადარა. „მოთქმას წუთისოფლის სიმუხთლეზე“, რაც ყველაზე უკეთ ახასიათებს უბედური ქვეყნის უბედო პრეზიდენტის და მისი ხალხის მდგომარეობას“ [კუხიანიძე, 1999:5].

ვეთანხმებით ნესტან ფიფიას მსჯელობას, რომელიც განიხილავს რა ოთარ ჩხეიძის „თეთრ დათვს“ აკეთებს დასკვნას, რომ: „ტექსტის ჰორიზონტალური მდინარება დროში ხდება“ (სირაძე, 9) და ეს დრო მეტად მძიმე, ტკივილიანი და ტრაგიკული იყო ქართულ სინამდვილეში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებითი ასპარეზი მიეცა „ინტელექტუალურ ბრბოს“ და ბნელი წარსულის ადამიანებს, როცა ეროვნული თვითმყოფადობის ერთგულებას „პროვინციული ფაშიზმი დაერქვა“ [ფიფია, 2010].

ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზ., წერილები, ესსეები, თბ., 1991.
2. ჩხეიძე ო., თეთრი დათვი. თბილისი, 1999.

3. ჩხეიძე ო., დრომოჭმული ცნებებისა, გაცვეთილი ცნობიერებებისა და მართებული გააზრებისათვის, „ჩვენი მწერლობა“, №35, 2003.
4. კუხიანიძე ლ., ვიჩქაროთ, ჯერ ისევ მოსჩანს ვარსკვლავი, „ახალი საქართველო“, 16-22, 1999 IX
5. ჩხეიძე რ., აგვისტოს შვილები, თბ., 2008.
6. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე), წიგნი II, თბ., 2010.
7. ხორნაული ვ., „ჯერ ხსნა სად არის!..“ ანუ დიდი მწერლის დიდი სიმართლე, „ჩვენი მწერლობა“, №30, 2002.
8. სიგუა ს., ტრაგიკული ათწლეული, „ჩვენი მწერლობა“, 23-29 იანვარი, 2004.
9. ფიფია ნ., უმადლო ჟამი. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e 2010.

რეზიუმე

XX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ტრაგიკულ ფურცლებად ჩაიწერა: ჯერ ქართულ-ოსური კონფლიქტი (ე.წ. ცხინვალის ომი), შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირება თბილისში (ე.წ. თბილისის ომი), რომელსაც დამარცხებათა მთელი სერია და ამ ფონზე განვითარებული მძიმე ეროვნული დეპრესია მოჰყვა. აღნიშნულმა პერიოდმა ასახვა პოვა ქართულ ბელეტრისტიკაში. 90-იანი წლების პერიპეტიათა ეპიცენტრში იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც რადიკალურად განსხვავებული კუთხით არის წარმოჩენილი იმჟამინდელი მოვლენების ამსახველ ქართულ პროზაში. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მისი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის გააზრებას რეალურ მოვლენებთან მიმართებით ცნობილი ქართველი მწერლის, ოთარ ჩხეიძის რომან „თეთრ დათვზე“ დაყრდნობით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხატვრულმა პროზამ უფრო ადრე დაიწყო მოვლენათა შეფასება, ვიდრე ეს გააკეთეს ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა. ეს შემთხვევით არ მომხდარა და თავისი მიზეზიც ჰქონდა.

ZVIAD GAMSAKHURDIA – LITERARY CHARACTER IN "WHITE BEAR" BY OTAR CHKHEIDZE

Ana Imnadze, Specialist under contract

RESUME

The 90s of the XX century has been recorded as a tragic sheet in the history of Georgia: first it was the Georgian-Ossetian conflict (so-called South Ossetia War), then it was the civil war (so-called Tbilisi War) that was followed by long series of defeats and the severe national depression. The mentioned period was reflected in the Georgian Belles-Lettres. President of Georgia Zviad Gamsakhurdia was in the epicenter of the on-going events in the 90s; he is represented from a radically different angle in the Georgian poetry reflecting the events of that time. In the present article we will try to comprehend him in connection with existent circumstances according to “White Bear” by Otar Chkheidze. It should be noted that the events assessment was begun earlier by the fiction than by historians and politicians. That was not happened by accident and everything had its reason.

ისტორიის მტკივნეული ფურცლები
(ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტენდენციის შესახებ)

ალექსანდრე მღებრიშვილი, სრული პროფესორი

ქართველ ერს თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ მიუღია მესამე ძალის მიერ წაქეზებული მეზობლისაგან ტერიტორიული პრეტენზიებით გამოწვეული დარტყმა. ამჯერად, საუკუნეების წინათ მომხდარ მაგალითებს არ ვიხსენებთ. სადღეისოდ მხედველობაში გვაქვს XX საუკუნის უკანასკნელ 10 წლედში დაწყებული ტრაგედია, როდესაც, კვლავ მესამე ძალის მიერ წაქეზებულმა და მხარდაჭერილმა ცხინვლის რეგიონში მცხოვრებმა ოსებმა, ისტორიულად ქართულ მიწებზე პრეტენზიაც და დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს.

თუმცა, ბუნებრივია, ოს ხალხს ჰყავს პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია, რომელიც დღემდე ცდილობს, მოიშოროს თავსმოხვეული კონფლიქტის უღელი და მზად არის, ძველებური, კეთილმეზობლური ცხოვრების რიტმს დაუბრუნდეს.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ოსი ხალხის საუკეთესო შვილის, ცნობილი მეცნიერის ვასილ აბაევის წინასწარმეტყველურ გაფრთხილებაზე, ოსების და რუსების ქართველობასთან დაპირისპირების, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსალოდნელ საბედისწერო შედეგებზე. მან ერთ-ერთმა პირველმა გაფანტა ნისლი ეფემერული მითისა ორი ოსეთის არსებობის შესახებ:

«Главный Кавказский Хребет - естественная граница между Грузией и Осетией, и всякая попитка размыт границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... Надо прежде всего покончить разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право потому, что это будет означать нарушение территоряльной целостности Грузии.

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии к Северной. Кто чочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность»[1].

აღნიშნული მოსაზრება, რომელიც პროფ. ვ. აბაევს ეკუთვნის და 1991 წლის მაისით თარიღდება, მეტყველებს ოსი ეროვნების გარკვეული ნაწილის საღ აზროვნებაზე. ამ ფაქტს ვერ გაურბიან ოსი მკვლევრებიც. პროფ. ლ. ჩიბიროვი, იხილავს რა ზემოთმოყვანილ ციტატას, განაწყენებული ტონით მიუთითებს, რომ პროფ. ვ. აბაევმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა[2] და მოჰყავს ციტატის დამახინჯებული, უფრო მეტიც, ერთ წინადადებამდე შემცირებული ვარიანტი, თუმცა ირწმუნება, რომ მხოლოდ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ამ ერთ მოსაზრებაში შეცდა ცნობილი ოსი მეცნიერი. არადა მანამდე არც ლ. ჩიბიროვს და არც სხვებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ვ. აბაევი მშობლიურ ენასთან ერთად ბრწყინვალედ იცნობდა საქართველოს ისტორიას[3] და მისი არც ერთი სიტყვა არ იყო დაუფიქრებლად, ნაჩქარევად და სინამდვილის გაუცნობიერებლად ნათქვამი.

საინტერესო ნაშრომის – "ოსური საკითხი" – ერთ-ერთი შემდგენელ-რედაქტორი პროფ. აკაკი ბაქრაძე წერს: "შიდა ქართლი, ბუნებრივია მისი ჩრდილოეთი ნაწილით ("ცხინვალის რეგიონით", ე.წ. "სამხრეთ ოსეთით") – ესაა ქართული კულტურის, ენის, რელიგიის, სახელმწიფოებრიობის აკვანი – ყოველთვის იყო და დარჩება საქართველოს განუყოფელ ნაწილად".[4]

პროფ. ვ. აბაევი მოუწოდებდა დაპირისპირებულ[5] მხარეებს, რომ ქართველ და ოს ხალხებს არ ჰქონდათ ერთმანეთის შეძულების, ერთმანეთის მტრობის უფლება, ვინაიდან "საკმაოდ ღრმაა

---

[1] "Независимая газета", 22 янв., 1992.

[2] ლ. ა. ჩიბიროვი, შეხვედრები ვასო აბაევთან, ვლადიკავკაზი, 2000, გვ. 88 (რუს.).

[3] იქვე, გვ. 60-61.

[4] „ოსური საკითხი", /შედგ. ა. ბაქრაძისა და ომარ ჩუბინიძის მიერ. რედ. აკაკი ბაქრაძე და ლიანა ტატიშვილი/, თბ., 1994, გვ. 87-88. (რუს.).

[5] მხედველობაში გვაქვს გასული საუკუნეების მიწურულის ქართულ-ოსური კონფლიქტი.

ჩვენი საერთო ფესვი, საკმაოდ მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს ჩვენი ისტორიული ბედი. ძალიან ბევრი გვაქვს საერთო ქორწინება და საერთო შვილი".[1]

კარგი იქნებოდა ოსი ხალხის გარკვეულ ნაწილს ყური მიეგდო მის წიაღში დაბადებულ-აღზრდილი მოაზროვნე მოღვაწის ამ და სხვა საგულისხმო მოწოდებისათვის და არ განესაჯათ ცივი გონებით, როგორც ამას ლ. ჩიბიროვი აკეთებდა და ვ. აბაევის მისამართით ამბობდა: "ვასილ ივანეს ძემ კი გამოავლინა გაუფრთხილებლობა, მაგრამ ის არ არის პოლიტიკოსი და მისი მოსაზრება არაფერს არ წყვეტს"...[2]

თუმცა ეს ყველაფერი მოგვიანებით, მანამდე კი, 1980 წელს პროფ. ვ. აბაევის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა მოსკოვში. საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ და მეცნიერის დამსახურებისა თუ უაღრესად მდიდარი, შინაარსიანი ცხოვრების დიდი მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს აკადემიკოსმა ო. ტრუბაჩევმა, ა. დესნიცკაიამ, პროფ. ვ. რასტორგუევმა, პროფ. დ. კარამშოევმა და სხვ.

ზუსტად ათი წლის თავზე, ვ. აბაევის დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად ჩრდილოეთ ოსეთის ისტორიის, ფილოლოგიისა და ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.[3] საგულისხმოა, რომ ხსენებული სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში ბევრი სხვა უცხოელი თუ ყოფილი საბჭოთა მკვლევარის გვერდით მონაწილეობდა ერთადერთი ქართველი მეცნიერი პროფ. გენადი ბურჭულაძე.[4] და მაინც, მიუხედავად ყოველივე თქმულისა, გაცილებით უფრო მასშტაბური პროფ. ვ. აბაევის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამზადისი აღმოჩნდა. ფართოდ აღინიშნა მისი საიუბილეო დღეები. ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. გორში) გამართული პირველი სამეცნიერო სესიის პლენარულ სხდომაზე წაკითხულ იქნა პროფ. გ. ბურჭულაძის სპეციალური მოხსენება "ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარო".

მოსკოვში, "მეცნიერთა სახლში" გამართულ საზეიმო სხდომაზე საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძემ დამსწრეთ გააცნო ვასო აბაევისადმი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მისასალმებელი სიტყვა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ცხინვალში ჯაფარიძის ქუჩას ვასო აბაევის სახელი ეწოდა, ხოლო ამ ქუჩაზე თხუთმეტიოდე წლის წინათ მეცნიერისათვის აგებულ ფინურ შენობაში მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა"[5]. ცხინვალის ცენტრში დაიდგა მისივე ძეგლი და ა.შ.

ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა განვლო პროფ. ვ. აბაევმა. მან მრავალრიცხოვანი შრომებით უდიდესი ამაგი დასდო ოსური მეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის განვითარებას. დამსახურებულად ადარებენ ოსი მოღვაწენი ვ. აბაევს ოსი ხალხის განმანათლებელს კოსტა ხეთაგუროვს. "ამ შედარებისას ვ. აბაევი თავს შორს იჭერდა, მაგრამ იგი ხომ მე-20 საუკუნის ოსი ხალხის დიდი და გამორჩეული შვილი გახლდათ, ეს ფაქტია და უეჭველი. ამიტომაც ის მორალურად ვალდებული იყო, თავისი ხალხისთვის სიმართლე ეთქვა, რამდენადაც მწარე არ უნდა ყოფილიყო ეს მათთვის".[6]

ამ კონტექსტში საგულისხმოა ოსი მწერლის რევაზ ასაევის მაგალითიც. მის ურთიერთობაზე ქართულ მწერლობასთან, დამოკიდებულებაზე ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილთან ჩვენ სხვა დროს გვქონდა საუბარი, თუმცა იგივე რ. ასაევი მოგვიანებით სრულიად სერიოზულად მოგვევლინა, როგორც "გაერთიანებული ოსური სახელმწიფოს" ჰიმნის ავტორი. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

რასაკვირველია, პოზიციათა ნაირგვარობა მოხმობილი ნიმუშებით არ შემოიფარგლება, ხოლო ვასილ აბაევის დარი ოსი ხალხის მოაზროვნე ნაწილი მთელი შემართებით ემსახურებოდა ისეთი კულტურული ტრადიციების, ისეთი თბილი ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას,

---

[1] ლ. ა. ჩიბიროვი, შეხვედრები ვასო აბაევთან, ვლადიკავკაზი, 2000, გვ. 81-82 (რუს.).

[2] იქვე, გვ. 88.

[3] სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა ვლადიკავკაზში 1990 წლის 18-20 ოქტომბერს.

[4] უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. "Вопросы иранистики и алановедения», (Научная конференция, посвященная 90-летию В. И. Абаева), тезисы докладов, Владикавказ, 1990, გვ. 32-33.

[5] ც. კახნიაშვილი, მეცნიერულ-ადამიანური ურთიერთობანი პოლიტიკაზე მაღლაა, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2001, №97/3838/, გვ. 6.

[6] გ. ბურჭულაძე, კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი, ჟურნ. "ბურჯი ეროვნებისა", 2001, №5, გვ. 22-22-23.

როგორზედაც წერდა პროფ. სიმონ არველაძე: "ნართებისა და დიდი კოსტა ხეთაგათის მშობელ ხალხთან ქართველთა ძმობა ისევე ნათელი და თავანკარაა, როგორც ლიახვი თავის სათავეში. ისტორიული განვითარების დიდი მდინარეც მუდამ აუმღვრეველ ნაკადად იტოტება ოსთა და ქართველთა ურთიერთობის დასაბამიდან"[1].

დასასრულ, კიდევ ერთი მაგალითის მოხმობა გვსურს იმ გარემოებათა სადემონსტრაციოდ, თუ რა დრამატული გახლდათ ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებული ურთიერთობის ნგრევა ორივე ერის პროგრესული ნაწილისათვის, იმ გარემოებათა ნიმუშად, თუ რა ძლიერია ხსენებულ ორ ერს შორის არსებული საერთო ფესვი, მაკავშირებელი ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციები. ოსი მწერალი და მოაზროვნე მიხეილ ბულკათი 90-იანი წლების დასაწყისში აღშფოთებული მოუწოდებს მწერლებს, ინტელიგენციას ახლად აკვამლებულ ცხინვალში გონებადაბინდული მოთარეშეების წინააღმდეგ:

"არ ვიცი, რა პასუხს გავცემ ხვალ ჩემს შვილიშვილებს ნინო და გიორგი ხაჟალიებს, ან გიორგი და ალან ბულკათებს, როცა წამოიზრდებიან და მკვახედ მკითხავენ (ღმერთო მაღალო, ნუ მაცოცხლებ იმ უმკაცრეს სამსჯავროს დღემდე), ბაბუ, სად იყავი შენ და რას აკეთებდი, როცა ოს-ქართველები ერთმანეთს პურ-მარილს უგინებდნენ და მამა-პაპათა საძვალეებში ურთიერთს მკვდრებს აღარ ამარხვინებდნენო".[2]

ან კიდევ: "შარშან მთაწმინდაზე ავედი, ილიას საფლავის მიწა ამოვიღე ხელისგულზე დაყრილი ბურნუთის მწიკვზე ცოტა მეტი და კოსტა ხეთაგათის საფლავიდან აღებულ მიწას შევურიე. მთაწმინდის და ირიყაურის გაუფრთხილებელი მიწების ნარევი ცელოფანის პაწაწკინტელა პარკში ჩავყარე და ჯიბეში შევინახე. განა ამით ვინმეს რამეს ვუმტკიცებ: არა, ორი უწმინდესი ალაგის წინაშე მინდა ყოველ ჟამს ვიყო სულით და ხორცით მართალი. ეს არის და ეს".[3]

ასე მძიმედ განიცადა ორივე ხალხის მოაზროვნე ნაწილმა ცხინვალის ტრაგედია.

უნდა ითქვას, რომ საბჭოური მემკვიდრეობის ერთ-ერთ არასახარბიელო ასპექტს დღემდე წარმოადგენს წლების მანძილზე არსებული ქართულ-ოსური ურთიერთობების მხოლოდ დადებითი ფაქტების წარმოჩენა. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელი ათწლეულების პირობებში მკვლევართა მიერ ხალხებს შორის არსებული პრობლემების სიღრმისეული სამეცნიერო კვლევა ტაბუირებული იყო. ოსური მხარე ძალებს არ ზოგავდა არსებული ისტორიული რეალობის ფალსიფიცირებისათვის და საკუთარ ფანტაზიებში ქვიშაზე აგებული კოშკებით ცდილობდა ცივილიზებული მსოფლიოსათვის თვალში ნაცრის შეყრას. საწყენია, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობებით დაინტერესებულ ზოგიერთ მკვლევარს დღემდე ვერ დაუღწევია თავი ამ უარყოფითი ტენდენციისათვის.

ამგვარად, სადღეისოდ ჩვენ ვცადეთ ზოგადი შტრიხებით კიდევ ერთხელ წამოგვეწია ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის მტკივნეული ფურცლებიდან.

ლიტერატურა:

1. ლ. ა. ჩიბიროვი, შეხვედრები ვასო აბაევთან, ვლადიკავკაზი, 2000;
2. ოსური საკითხი", /შედგ. ა. ბაქრაძისა და ომარ ჩუბინიძის მიერ. რედ. აკაკი ბაქრაძე და ლიანა ტატიშვილი/, თბ., 1994.

[1] სიმონ არველაძე, სიახლის გრძნობა, "ქართულ-ოსური მოტივები", თბილისი, 1986.
[2] გაზ. "შიდა ქართლი", 1996, №12 /220/, გვ. 3
[3] გაზ. "ცხინვალი", 1996, №4, გვ. 3.

3. "Вопросы иранистики и алановедения», (Научная конференция, посвященная 90-летию В. И. Абаева), тезисы докладов, Владикавказ, 1990.
4. ც. კახნიაშვილი, მეცნიერულ-ადამიანური ურთიერთობანი პოლიტიკაზე მაღლაა, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2001, №97/3838/.
5. გ. ბურჭულაძე, კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი, ჟურნ. "ბურჯი ეროვნებისა", 2001, №5.
6. სიმონ არველაძე, სიახლის გრძნობა, "ქართულ-ოსური მოტივები", თბ., 1986.
7. გაზ. "შიდა ქართლი", 1996, №12 /220/
8. გაზ. "ცხინვალი", 1996, №4.

რეზიუმე

ქართველ ერს თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ მიუღია მესამე ძალის მიერ წაქეზებული მეზობლისაგან ტერიტორიული პრეტენზიებით გამოწვეული დარტყმა. ამჯერად, საუკუნეების წინათ მომხდარ მაგალითებს არ ვიხსენებთ. სადღეისოდ მხედველობაში გვაქვს XX საუკუნის უკანასკნელ 10 წლედში დაწყებული ტრაგედია, როდესაც, კვლავ მესამე ძალის მიერ წაქეზებულმა და მხარდაჭერილმა ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ოსებმა, ისტორიულად ქართულ მიწებზე პრეტენზიაც და დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს.

თუმცა, ბუნებრივია, ოს ხალხს ჰყავს პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია, რომელიც დღემდე ცდილობს, მოიშოროს თავსმოხვეული კონფლიქტის უღელი და მზად არის, ძველებური, კეთილმეზობლური ცხოვრების რიტმს დაუბრუნდეს.

უნდა ითქვას, რომ საბჭოური მემკვიდრეობის ერთ-ერთ არასახარბიელო ასპექტს დღემდე წარმოადგენს წლების მანძილზე არსებული ქართულ-ოსური ურთიერთობების მხოლოდ დადებითი ფაქტების წარმოჩენა. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელი ათწლეულების პირობებში მკვლევართა მიერ ხალხებს შორის არსებული პრობლემების სიღრმისეული სამეცნიერო კვლევა ტაბუირებული იყო. ოსური მხარე ძალებს არ ზოგავდა არსებული ისტორიული რეალობის ფალსიფიცირებისათვის და საკუთარ ფანტაზიებში ქვიშაზე აგებული კოშკებით ცდილობდა ცივილიზებული მსოფლიოსათვის თვალში ნაცრის შეყრას. საწყენია, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობებით დაინტერესებულ ზოგიერთ მკვლევარს დღემდე ვერ დაუღწევია თავი ამ უარყოფითი ტენდენციისათვის

სადღეისოდ, ჩვენ ვცადეთ, ზოგადი შტრიხებით, კიდევ ერთხელ წამოგვეწია ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის მტკივნეული ფურცლებიდან.

PAINFUL SHEETS OF HISTORY
(ABOUT SOME OF IMPORTANT TRENDS IN GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS)

Aleksandre Mgebrishvili, Full Professor

RESUME

Georgian nation has often experienced the attack caused by territorial claims from the neighbour incited by the third force. This time we do not recall back the examples taken place centuries ago. We refer to a tragedy commenced in the last decades of XX century when ossetians living in Tskhinvali region, encouraged and incited by the third force made a claim about Georgian lands and even announced the independence.

However, it's natural that Ossetian people have a progressive intelligentsia which is still trying to get rid of the burden of imposed conflict and is ready to get back to old, neighborly rhythm.

It should be noted that one of the disadvantegous aspects of the soviet heritage is to show only positive aspects in long Georgian-Ossetian relations. It is clear that within the conditions of soviet decades, thorough scientific research of problems between those people were tabbooed. Ossetian side was doing its best to falsify the historical reality and was trying to deceive the civilised world with its fantasies. It is a pity that some researchers interested in Georgian-Ossetian relations have not yet escaped from this negative trend.

At present, with general traits we tried to raise once more some important moments from the painful sheets of history of Georgian-Ossetians relations.

ზნეობრივი პრობლემა და ყვავილის სიმბოლიკა გოდერძი ჩოხელის თხზულებებში

ზურაბ ოქროპირიძე, უფროსი მასწავლებელი

გოდერძი ჩოხელი თავისი ქმნილებებით გვერდში ამოუდგა ქართული მთის საოცრებას – ვაჟა–ფშაველას. თემატური მრავალფეროვნება, საკუთარი ფილოსოფიური ხედვა, განუმეორებელი მხატვრული სამყარო, მუდამ ცისკენ მზირალი... იდუმალ საიდუმლოებათა მკვლევარი. რაც უფრო ახლოს მიდიხარ მასთან სიღრმის ახალ–ახალი შრეები ჩნდება. ვახტანგ ჯავახაძე თავის წიგნში ,,უცნობი" გალაკტიონზე წერდა: ,,....ტაძარში აღმოვჩნდი და გავოცდი, ტაძარში ტაძარი დამხვდა და ის ტაძარი უფრო იდუმალებით იყო მოცული, სადაც ფეხი არავის დაედგა" [6, 7]. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაც ის ტაძარია, რომლის კარიც ფრთხილად უნდა შევაღოთ უფლისადმი ისეთივე რწმენით და სასოებით, როგორითაც იქმნებოდა იგი, თუ გვინდა გული გაგვიხსნას.

ნოვატორულია მისი პროზა, ფორმით და შინაარსით, ეპისტოლურ-ნოველური სტილით, უჩვეულო სიტუაციებითა და კოლიზიებით, საოცარი იუმორით და უნაპირო სევდით. ,,სევდას და ნაღველს უფალი მოუვლენსო ადამიანს სულის მარილად, წმენდსო მას გულის უკეთურებებისგან..." ოღონდ სევდას ისე ფასი არა აქვს, თუ სიხარულს არ დაუთმო ადგილი. სიხარული სევდის მერე ისე ანათებს, როგორც ცვარი, წვიმის მერე მზეზე რომ გამოაბრწყინებს" [5] – წერს ავტორი. მწუხარებისა და ტანჯვის ქურაშია გატარებული მწერლის ნაფიქრ-ნააზრევი. ასეთი სევდა და ტანჯვა ერთეულების ხვედრია. იგი ყოველთვის სულისმიერია, სულის სიდიადის ნიშანია. გოდერძი ჩოხელი გულითა და გონებით იძირება ღმერთში. წმინდა მამათა მოძღვრებითა და სულიწმიდითაა შთაგონებული მისი ქმნილებანი, ხშირად წინასწარმეტყველურნიც. გოდერძი ჩოხელი მთის არწივის ღირსეული მემკვიდრეა. ასეთი თქმა ჰყვარებიაო მწერალს: ვაჟა-ფშაველა ღმერთებს დაუვარდათ ხელიდან, მე ვაჟას დაუვარდიო. ლექსში ,,ტყვია" ვაჟას ნაქონ, მტრისთვის შემონახულ გაუსროლელ ტყვიას უწოდებს თავის თავს. საოცარი მსგავსებაა მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის. წუთისოფელმა ორივეს ,,შხამი ასმია" და „მაინც არ შეკრთნენ ბოლომდე..." დიდი სევდითა და სულიერი სიმარტოვით იცხოვრეს, თითქმის ერთ ასაკში მიიცვალნენ. მათთვის ადამიანი გვირგვინია ბუნებისა და იგი ვალდებულია მისი კანონებით იცხოვროს. მწერლის ასეთ ღრმა რელიგიურ-ფილოსოფიურ ხედვას ნახევრად წარმართულ გარემოში დაბადებული უბრალო მთიელები წარმოაჩენენ: ბუნების ქმნილნი ,,ნამში რომ სამყაროს ხედავენ" – გამიხარდაი, სებაი, ხეჩო... ასეთ ღვთაებრივ წესრიგში აღზრდილი მომავალი მწერალი ქალაქში ჩამოდის და მისდა სამწუხაროდ დაინახავს, რომ ადამიანთა დიდ ნაწილში ის, რაც ,,მთამ ასწავლა, რომ ნდობა უნდა ჰქონოდა კაცისა, თვითონ მთისაც... რომ უნდა დაენდო და ისიც დაგინდობს" [11] – სადღაც გამქრალა. მთის პრინციპები ზედმეტი აღმოჩნდება გამიწიერებული ქალაქისთვის. ადამის მოდგმის დაცემის მასშტაბური სურათები მწერალმა რომანში ,,მგელი" ასახა. მთავარ გმირს, მთიელ ლუკას – იგივე ავტორს აგრესიით შეხვდება ქალაქი. მგლური ბუნება დევნის ლუკას–სიწმინდეს ქალაქიდან. გზად, უკან, მთაში მიმავალი ღრმად აცნობიერებს მომხდარს, უკავშირებს მას ბავშვობაში გაგონილ თქმულებებს ბოროტი სულების, ეშმაკების შესახებ და აღმოაჩენს ადამიანთა უბედურების სათავეს: უფლის ხატმა და მსგავსმა დაკარგა ღმერთი და მასში მგელი-სატანა ჩასახლდა. ავტორიც არაერთხელ გამხდარა ადამიანი-მგლების მსხვერპლი ,,...აქ ბევრმა მომატყუა, ამბობს მწერალი, ერთხელ დიდი თანხა დავკარგე... ყველამ გამამტყუნა – რატომ ენდე უცხოსო?!... აღმოჩნდა, რომ კაცი დაუნდობელი ყოფილა" [11].

,,ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთა რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ-მტაცებელ" [მათე, VII, 15] – მახარებელთა სიბრძნესა და ქართულ რეალობაზე დაყრდნობით ავტორმა განჭვრიტა, რომ ,,საზოგადოება მგლების ხროვად გადაიქცეოდა და წინასწარმეტყველთა ნათქვამი გაცხადდებოდა" [10, 16] ავტორი – სიკეთე პირისპირ დგას ბოროტებასთან, თავადაა მონაწილე რომანში აღწერილი პერიპეტიების. ადამიანი–მგელი ზნეობის, სულის მტერია. ისინი ყველგან არიან, მგლობენ დღისით და ღამით, თავისუფალნი არიან ზნეობა–მორალისაგან, არ ინდობენ ახლობელს, მეგობარს... მგელს განგებამ დაუწესა მგლობა. იგი დაუნდობელია, მაგრამ ათასწილ ჯობია მგელ–ადამიანს, რადგან პირველი სხეულს გვიზიანებს მხოლოდ, მეორე კი სულს ართმევს ადამიანს, მძორად აქცევს მას. მწერალი მოთხრობაში ,,მგელი" მადლიერების გრძნობას ამოიკითხავს მტაცებლის თვალებიდან, რომანში არის ადგილი, სადაც მგლებმა დაინდეს უიარაღო მონადირე, ამ უკანასკნელმა კი მხეცურად ჩახოცა ისინი. ვაჟა-ფშაველას თხზულებაში ,,მგელი" [7, 366] ცხოველი ბუნებას ემდურის რატომ მოავლინა მგლად. იგი შენატრის შვლებს და ირმებს და ინანიებს

ჩადენილ ცოდვებს... თუმცა თავისი ცხოვრების წესის გამო არ სჯის უფალი, რადგან ღმერთს მისთვის არ მიუცია სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი, მხოლოდ კაცს – უმაღლეს ქმნილებას ღვთისა ხელეწიფება თავისი სათნო ცხოვრებით მიუახლოვდეს ღმერთს და დაამტკიცოს, რომ იგი გონებითა და ცნობიერებით აღემატება უფლის სხვა ქმნილებებს, თავის დანიშნულებად მიაჩნია ზეციური მამის სისრულის შეძენა და არამარტო ხორციელი სიამოვნება უგუნური პირუტყვების მსგავსად. ამისთვის უფალმა ურთიერთობის საუკეთესო მოდელი შესთავაზა ადამიანებს: ,,...ყოველი რომელი გინდეთ თქვენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყავთ მათ მიმართ“ [მათე, VII, 12]. მაგრამ ადამიანმა არაერთხელ დაარღვია ეს ,,ოქროს კანონი“ და სატანის სამსახურში ჩადგა. ბოროტმა ძალებმა თავისი სამფლობელოც შექმნეს–დორაისხევი. ეშმაკი მძლავრობს დედამიწაზე, ამიტომ ტირის ადამიანი და მის ბედზე მოფიქრალი გოდერძი ჩოხელიც. საზოგადოება დილემის წინაშე დგას, რაზეც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70–იან წლებში წერდა საქართველოს წამებული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია: ,,ან უფლის კარნახით და სულიერი იდეალებით ცხოვრება და მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ან ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდოპრაგმატიზმი, სინდისის ხმის სისტემატური ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსობაზე“ [15, 6] – ეს უკვე სატანისკენ გადადგმული ნაბიჯია – ორი ურთიერთგამომრიცხველი მსოფლმხედველობაა, რომელიც ვერაფრით ვერ წავა ურთიერთგაგების გზით, რადგან მათი წინააღმდეგობა ღვთიურისა და ეშმაკეულის, აბელურისა და კაენურის ოდინდელი გასაგნებული ბრძოლაა. გოდერძი ჩოხელის თქმით, შეუძლებელია ერთდროულად იყო ცხვარიც და მგელიც ანუ ემსახურო ღმერთსაც და მამონასაც. ბევრს ფიქრობს ავტორი – სადაა საშველი? ღირს კი სიცოცხლე ამ ცოდვილ დედამიწაზე? ადამიანი-მგელი მწერლის სხვა თხზულებებშიც მრავლად გვხვდება, მაგრამ ამ კითხვაზე სრულფასოვან პასუხს აღნიშნულ რომანში იძლევა: ღირს ამქვეყნად ყოფნა, რადგან ბოროტების საპირისპიროდ არსებობენ ავტორის მსგავსი ღვთისშვილნი, ნაწილიანნი. ისინი მარტვილობენ არა საკუთარი ოჯახისთვის მხოლოდ, მათი ურვა საკაცობრიოა. გოდერძი ჩოხელის გმირები რწმენის ყვავილად იშლებიან. სევდის სისავსით მიგვაცილებენ წუთისოფლის ორომტრიალიდან მარადიულობის კარიბჭემდე. თავგანწირვით ებრძვიან ავ სულებს და დაკარგულ ღმერთს აპოვნინებენ ადამიანებს. უფალი მის წიაღში მყოფთ დაიცავს ეშმაკისგან, გადარჩება ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო. ხანდახან შიში გიპყრობს, ისეთი მგლური ამბებია რომანში აღწერილი, მაგრამ მაინც სიკეთითა და სიყვარულითაა სავსე. იგი გვამშვიდებს და თან გვაფრთხილებს – არ მოვწყდეთ უფალს. ქრისტეში ყოფნა, სიკეთის ქმნა – ერთადერთი გზაა, რომელიც გადაარჩენს ადამიანს, ერს, კაცობრიობას. უფლიდან გამოსულ ადამიანს განეშორება რა სული წმინდა, მასში სატანა – მგელი სახლდება, რომელიც ხრავს ადამიანთა სულს. დორაისხეველთა რკალში მოქცეულ ლუკას ხანდახან ეჭვიც ღრღნის, რომ გამჩენმა ხელი აიღო ადამიანზე. ეშმაკი მგლობისკენ უბიძგებს – ,,მგლად იქეცი... იმათია ასპარეზი...“ [3, 373]. ბოროტთან ჭიდილში მას მშველელად თევდორე ევლინება. იგი მგლადყოფილია. მას ერთ საღამოს პირჯვრის გადაწერა დაავიწყდა და ბოროტმა ძალებმა წითელ მგლად აქციეს. წითელი მგელი სისხლის, ძალადობის, ბოლშევიზმის სიმბოლოა. ჯანსაღმა ფესვებმა და გენეტიკამ იგი კვლავ ადამიანად აქცია. თევდორე უფლის რწმენით, (ყვავილით) ჯვრით შეიარაღებული ებრძვის სამგლეთს. ავტორი ძირეულად იკვლევს ადამიანი-მგლის ფენომენს: მგელი, იგივე ეშმაკი ვერ ჭგუობს თავისუფალ ადამიანს და მისი სულის მითვისებას ცდილობს. ადამიან–მგელს შეუძლია ფსევდოსიკეთე–ზნეობით, სინამდვილის გამირაჟებით მოგვაჩვენოს თავი: ,,...ლუკავ, ეს მგლები იმდენს ეცდებიან, რომ შენს კეთილ საქმეს ავად მოაჩვენებენ ხალხს... სისხლს გამოგწოვენ...“ [3, 351]. ადამიანები უპირველესად უნდა ეძიებდნენ ღვთის სასუფეველს, მის გარეშე მყოფთა სულებზე ეშმაკი ნადირობს. უღვთო ცხოვრებიდან ერთი ნაბიჯია მგლობამდე. ,,...რომ არა წმინდა სამება, სამგლეთად მოიქცეოდა მთელი დედამიწა“ [3, 281], ეუბნება თევდორე ლუკას. იგი მუდმივად ინანიებს მგლადყოფნის ჟამს ჩადენილ ცოდვებს, რათა ცათა სასუფეველი მოიპოვოს. დორაისხევი ბოროტების იმპერიად წოდებული საბჭოთა კავშირია, სადაც უფლის ხსენებაც კი აკრძალული იყო. ,,წითელმა მგლებმა“ უარჰყვეს ადამიანი, როგორც უფლის ხატი. თევდორეს მონაყოლიდან ცხადი ხდება დორაისხეველ კომუნისტთა უზნეობა, საშინელი რეპრესიები. მგლური, ,,მოწესრიგებული“ კანონებით იმართება ქვეყანა – ვინაა პირველი? – ვინც შეუბრალებელია. თუმცა, რომანში აღწერილი საბჭოური ყოფის სურათები განზოგადებულია. პრობლემას ავტორი საკაცობრიო ჭრილში განიხილავს. დორაისხევი არაა კონკრეტულად ერთი ქვეყანა, ერთი ეპოქა. მათი კანონებით იმართებოდა 90-იანი წლების საქართველო ,,...ქართველები ერთმანეთს ისე დავერიეთ, ისე დავჭამეთ, როგორც მგლებმა...“ [10, 16]. სატანურმა ძალებმა მოაშთვეს დამოუკიდებელი საქართველო და მისი პირველი პრეზიდენტი, უკანასკნელი კაპიკები წაგლიჯეს გამათხოვრებულ მოსახლეობას, შემდეგ კი მოიცვეს ცხვრის ქურქი, როგორც იწინასწარმეტყველა მწერალმა, მოგვევლინნენ წარმატებულ ბიზნესმენ–ბანკირ–მეწარმეებად... ადამიანმა-მგელმა არ იცის საზღვრები, იგი ყველგანაა, სადაც უარყოფილია

ღმერთი და ბუნება, სადაც უფლის კანონების უხეში დარღვევით უახლესი ტექნოლოგიებით შეიარაღებული კაბინეტებიდან ცდილობენ ადამიანური ყოფიერების წესების დადგენას. გენიალურმა მოაზროვნემ გუდამაყრის მაღალი მთებიდან დაანახვა ერს და კაცობრიობას, რომ ადამიანი აცდენილია განვითარების ჭეშმარიტ გზას. იგი მგლური ალდახითაა მიბმული მიწიერ-მატერიალურს, რომელსაც არ მოაქვს ხსნა ადამიანებისთვის, ხსნა სულიერებაშია. დავაკვირდეთ ჩვენს პლანეტას: ცოდვით დამძიმდა დედამიწა. ადამიანთა, ადამიანსა და სახელმწიფოს, ქვეყნებს შორის მიდის დაუნდობელი ბრძოლა. სიყვარული, მეგობრობა ფიქციად ქცეულა. ადამიანმა ღმერთკაცობის წილ მგელკაცობა ირჩია. ისინი ჰგლეჯენ ერთმანეთს მგლური კანონებით, პოლიტიკით, დემოკრატია–დიპლომატიის ნიღბით. ეს ბრძოლა ხან ღიად მიდის, ხანაც ჰალსტუხქვეშ ამოფარებული არ ჩანს თვალით... დორაისხევული კანონები ლამაზ ლექსიკურ სამოსელში იფუთება: ,,დემოკრატია", ,,სოციალური სამართლიანობა"... ადამიანი რაღაც მოჯადოებულ წრეშია ჩაკეტილი და ვერ პოულობს გამოსავალს.

არაჩვეულებრივად მიმზიდველია თევდორეს მამის, თანდილას სახე. იგი სულ რამდენჯერმე გაიელვებს რომანში, მაგრამ ისაა ყველაზე აღმატებული მხატვრული სახე და მასში პერსონიფიცირდება თხზულების არსი. თანდილა სულიერების მწვერვალია, რწმენის სიმბოლოა. მისი სული ვერ მიითვისეს დორაისხეველებმა, თუმც ბევრს ეცადნენ. მან უფალს შეუნახა იგი. სიკვდილის მოსვლასაც მშვიდად ელოდა: ,,ისეთი რა მოვა, ღვთის ხელიდან რო არ გამოსულაო..." თანდილას სიკვდილი, უფრო სწორად მისი სურნელოვან ყვავილთა თაიგულად ქცევა ,,მგელს" სასულიერო მწერლობის რკალში აქცევს. ამ ღვთაებრივი სასწაულის ჩვენებით მწერალს სურს ჩვენს უღვთო ეპოქაში რწმენის კოცონი აანთოს. ის ალდახი მოგვაცილოს, მიწას რომ ვართ მიჯაჭვულნი და სულის ცხონებაზე გვაფიქროს. მკვლევარი ნანა კუცია ლოგიკურ კითხვას სვამს: რატომ ვერ დაიცვა მამის სულმა თავისი შვილი? სატანური ძალების დიდ შესაძლებლობასთან ერთად აქ ადამიანის დაუდევრობაც ჩანს. თანდილას სული ეხვეწება შვილს – ,,მოძებნე ყვავილიო" – ყვავილის ძებნისას იმდენად გაერთო თევდორე, რომ მიწიერში გადაერთო. თევდორეს დაავიწყდა ყვავილი (ღმერთი), როგორც ჩვენ, ადამიანებს და ბოროტმა ძალებმა მგლად მონათლეს. ამ კითხვაზე პასუხი ქრისტეს მოძღვრებაში დევს: უფალი მართალ გზას უჩვენებს ადამიანს, თუმცა მის არჩევანში არ ერევა. მამამ სწორი გზა მიანიშნა თევდორეს. მან კი მისი დარიგება დაივიწყა. ყვავილს მრავალმნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს საღვთო წიგნებში. ესაიას წინასწარმეტყველებაში (35, 1, 5) ,,მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შროშანივით აყვავდება... იქნება ლხენა და სიხარული... და ერმან ჩემმნან იხილოს დიდებაი უფლისაი..." ,,შროშანივით აყვავება და სიხარული" აქ უფალ იესოს მოვლინებას განასახიერებს. მათეს სახარებაში (6, 26, 27, 28, 32), როდესაც მაცხოვარი ჩვენს მცირედმორწმუნეობას ამხელს, მინდვრის ყვავილების, შროშანის სილამაზესა და მშვენიერებაზე საუბრობს, რომელნიც თავისი ბუნებრივი სილამაზით აღემატებიან თვით დიდებული მეფე სოლომონის ძვირფას სამოსელსაც კი. საინტერესოა, რომ ჩრდ. ამერიკაში მკვლევართა მიერ აღმოჩენილ V საუკუნის კლდეში ნაკვეთ ქრისტიანულ ტაძარში, რომლის აგებასაც ევროპიდან ჩასულ ქრისტიან ბერებს მიაწერენ, ქვაში ამოკვეთილია ოთხფოთლიანი ყვავილი, რომელიც სიმბოლურად ქრისტეს განასახიერებს. [13] ძველ აღთქმაში გაცხადებულია, რომ იესოს წარმომავლობა იესესა და დავითის სახლიდან მომდინარეობს: ,,და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა და ყვავილი ძირისაგან აღმოხდეს." (ესაია 11, 1) იესე აქ ძირია სამყაროს უმშვენიერესი ყვავილისა – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. აგიოგრაფი მწერალი იოანე საბანისძეც ძველი აღთქმის მსგავსად იესეს ძირიდან მომდინარე ყვავილს უწოდებს მაცხოვარს. ,,რამეთუ იესეისა ყვავილად აღმოსცენდა ეკლესიასა წმინდისა ქალწულისა მარიამისაგან ხორციელად..." [14, 448] ხოლო ქრისტესთვის წამებულ წმინდა აბოს ვარდს ადარებს ეკალთაგან გამორჩეულს. ქრისტეს შობიდან III ათასწლეულის გასაყარზე გააფთრებული გლობალურ–მასონური ძალების გააქტიურების ჟამს გოდერძი ჩოხელი ცდილობს ბიბლიურ ფესვებთან მიგვაახლოვოს: თუ იესეა ძირი იესო ქრისტესი – სამყაროს ყვავილისა, მაშინ ,,ყველა ყვავილი ვიღაცის მამაა... ჩვენ ყველანი ყვავილის ჩამომავლები ვართ..." [3, 301] რომანის მიხედვით, ადამიანებმა დავივიწყეთ ჩვენი ძირი – სამყაროს შემოქმედი, წარმომავლობა, რწმენა. ამიტომ გავბოროტდით და დავკარგეთ ზნეობა. ალდახი, იგივე საბელი, ყვავილის საპირისპიროა, იგი მონობაა, ყვავილი კი ქრისტეა, თავისუფლებაა. სიმბოლურია, რომ თევდორე ყველგან ეძიებს ყვავილს, მაგრამ საკუთარ სახლში პოულობს. მკვლევარი ნანა კუცია [12] მართებულად შენიშნავს: იმიტომ, რომ უფალი მუდამ ჩვენთანაა, უბრალოდ, ყოფითში ჩაფლულნი ვერ ვხედავთ მას. მოგვიანებით, მაგრამ თევდორე ჭეშმარიტ გზას დაუბრუნდება – მამისეულ ყვავილს მიაგნებს და სიკვდილის წინ სულიერ განძს ლუკას უტოვებს, როგორც ღვთისგან რჩეულს. ლუკას სიზმარიც ასრულდა ბავშვობაში თეთრმა მოხუცმა რომ დაავალა: ეძებნა ყვავილი. გამოცხადების სცენაში ღმერთმა თავად გაუწოდა ყვავილი ლუკას – ავტორს. ყვავილი რომანში უფალთან ერთად სიკეთეს, ღვთისმშობელს განასახიერებს. ანაც, რომანის ერთ–ერთი პერსონაჟი ამქვეყნიურ უნაზეს

ყვავილად, მიწიერ სიკეთედ მოიაზრება. იგი ლუკას გულს სიყვარულით აღანთებს, რითაც ავტორი ერის მომავლის სულიერ სიჯანსაღეს წინასწარმეტყველებს. მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც ყვავილი ავტორს ღმერთს ახსენებს. უფლისმოყვარე კაცი არა სიმდიდრის მოხვეჭისთვის, არამედ სულისთვის უნდა ზრუნავდეს:

,,ქონების ნაცვლად ნატრობდე ერთ უცხო ლამაზ ყვავილს,
რომელიც სულ ღმერთს გახსენებს, რაც გეხსომება თავი...“ [4, 179]

მოთხრობის ,,სულეთის შესაკრებელი“ პერსონაჟი მოხუცი ქალი ყვავილების თაიგულით (რწმენით) სიყვარულისკენ მოუწოდებს ყველას. იგი ამარცხებს ბოროტებას და ზეცაში გაფრინდება ყვავილებით ხელში. ყვავილად გადაქცევას ნატრობს გოდერძი ჩოხელი – იგივე თანდილა ლექსში ,,ტყვია“ – ,,ტყვია ყვავილად გადვიქცე, ავყვავდე მთაწმინდაზედა“. [4, 77] მწერალი თავისი შემოქმედებით რწმენის უზარმაზარ თაიგულად იქცა, რომელიც ახლაც და მომავალშიც სალ კლდედ აღიმართება მრავალსახოვანი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გოდერძი ჩოხელი საკაცობრიო პრობლემათა მასშტაბური უფლისმიერი ხედვით მსოფლიო დონის შემოქმედია. რომანი ,,მგელი“ კი თავისი ნოვაციებით, თემის აქტუალობითა და ღრმა წიაღსვლებით თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი მეთაური ნაწარმოებია. სატანური ბუნების მგელმა ყველა სფეროში შეაღწია. ზოოლოგიის და სიმღერის მასწავლებლები, რომელნიც პირველები უნდა იცავდნენ ბუნებას, მგლებივით დაედევნებიან ტყეში შევარდნილ შველს, ისინი მძუნაობენ და რყვნიან მომავალ თაობას. მგლეკაცაა სკოლის დირექტორიც სააღდგომო წითელი კვერცხების ათინათი რომ სწვავს თვალებს და უფრო გაშმაგებული სჯის სხვათა დასანახად ჯვარაკიდებულ მოსწავლეს (აღნიშნული სცენა მეორდება მოთხრობაში ,,ლუკას სახარება“). ,,წითელმა“ თუ ,,ჩვეულებრივმა“ მგლებმა მოიცვეს ქვეყანა. წითელი მგლები, საბჭოს თავმჯდომარე და მილიციელი ფიდო, რომელნიც საყვარელ ხბოს გასტაცებენ პატარა ლუკას, ფიგურირებენ მოთხრობაში ,,უგულო“. ეშმაკი არც მწყემსს, მწერლისაგან უგულოდ მონათლულს ტოვებს უყურადღებოდ ხბოწართმეულ ძროხას რომ გადაუჩეხავს ხრამში ლუკას. რომანში ,,სულეთის კიდობანი“ მგელიკა – სატანური მგელი კლავს მოხუც ქალს და პატარა ბავშვს ცოცხლად მარხავს. ამიტომ ამ სამგლეთიდან გარბის ადამიანი. ხეჩოს აღარ უნდა ადამიანად ყოფნა. გამიხარდაი წყალში დაიდებს ბინას თევზივით და იქიდან კიდევ უფრო ამაზრზენი ჩანს ადამიანური ყოფა. აპოკალიფსური მხეცი, წითელი და შავი გველეშაპი, დორაისხეველები, ჭირი და ცოფი ცეცხლმოდებული დედამიწა, შავ კვამლში მგმინავი ხალხი, უფლის დიდებით მობრძანება ერთდროულად განასახიერებენ ავადსახსენებელ საბჭოეთსაც და მეორედ მოსვლის ჟამსაც – ანტიქრისტეს გამეფებას. კეთილი ადამიანები უფლის შემწეობით ამარცხებენ სატანურ-კაენურ ძალებს, მაგრამ მანამდე მწერალი ქრისტესმიერი დათმენისკენ მოგვიწოდებს. ,,...ბოლომდე უნდა გავძლოთ... მხოლოდ ღმერთი... რწმენა გადაგვარჩენს...“ [10, 17]. ვინც შეიმოსება ქრისტეს რწმენით, ის გადარჩება – ,,უცოდველნი ამოფრინდით“ [3, 374] – ჩამოსძახებს ღმერთი ხალხს. ვინც ფრენა ვერ შეძლო ყმუილით შეჰბღავლებს ცას. ,,და კვამლი ტანჯვისა მისისაი უკუნითი უკუნისამდე აღვიდოდის და არა აქუნდეს განსვენებაი დღე და ღამე, რომელთაცა თაყვანის სცენ მხეცსა ანუ მოიღონ ბეჭედი სახელისა მისისაი...“ (გამოცხადება, 14, 11). ,,მგელი“ წინასწარმეტყველებაა, გაფრთხილებაა, რომ მტკიცედ ვიდგეთ სულიერების სადარაჯოზე. შეუძლებელია ეზიარო გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას და მგლად იქცე. იგი ტკბილია, უფლის ყვავილივით სურნელოვანი, საკმევლით გაჯერებული. მწერალმა შესძლო ღმერთის უმაღლეს სამკვიდრებელთან მიახლება. იგი მაძიებელი სულია, როგორც მისი ლიდელთ ბათილაი და ცასწავალა. დორაისხეველთა მგლურმა კანონებმა ვერ გადაწონეს გოდერძის მართლმადიდებლური ხედვა – ზნეობრივი კოდექსი – ,,სული შეინახა წმინდად გახდა სრულქმნილება სრული...“

ლიტერატურა:

1. გ. ჩოხელი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 2007.
2. გ. ჩოხელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 2008.
3. გ. ჩოხელი, ,,მგელი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 2011.
4. გ. ჩოხელი, ,,მე და მე“, თბ., 2007.
5. გ. ჩოხელის წერილი მოსწავლე ელეონორა გვარამაძისადმი, ინახება ადრესატის პირად არქივში.
6. ვ. ჯავახაძე, ,,უცნობი“, თბ., 1988.
7. ვაჟა-ფშაველა, ,,მგელი“, ქართული პროზა, ტ. XII, თბ., 1986.
8. ლ. ჯიყაშვილი, ,,გუდამყრელი იები“, თბ., 2011.
9. ,,კარიბჭე“, №16, 2011.
10. ,,სარკე“, 2-8, VII-2003.

11. ,,კვირის პალიტრა“, 20-26, X-2003.
12. ნ. კუცია, ,,საღმრთო სახელთათვის გოდერძი ჩოხელის რომანში ,,მგელი“, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 2005, №9.
13. ინტერნეტწყარო: www.orthodoxinfo.com ინგლისურიდან თარგმნა ირაკლი ბერიძემ.
14. ქართული მწერლობა, ტ. I, გვ. 448, 1987
15. ზ. გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, 1977.

რეზიუმე

გოდერძი ჩოხელი უდიდესი ჰუმანისტია. მისთვის დედამიწა ერთი დიდი წიგნია მზითა და მთვარით განათებული. წმინდა მამათა მოძღვრებითა და სულიწმინდითაა შთაგონებული მისი ქმნილებანი. იგი ერს სულიერ–ზნეობრივი სრულყოფისაკენ მოუწოდებს. მწერლის ცნობილი რომანის ,,მგელი“ მიხედვით ქრისტეში ყოფნა ადამიანად ყოფნას ნიშნავს, უღმერთო ცხოვრებით ღვთაებრივი მადლი განეშორება ადამიანს და მასში უზნეობა – სატანური ბუნების მგელი სახლდება. იგი მიწიერი მეს ტყვე ხდება. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში უფლის, ღვთისმშობლის, რწმენის სიმბოლოდ ყვავილია გამოყვანილი. ლუკა ყვავილით (რწმენით) ამარცხებს ბოროტებას.

MORAL PROBLEM AND SYMBOL OF FLOWER IN THE FICTIONS OF GODERDZI CHOKHELI

Zurab Okropiridze, Senior Teacher

RESUME

Goderdzi Chokheli is the biggest humanist. The earth is one large book for him light with sun and moon. His creation is inspired with the beliefs of St. Fathers and Holy Spirit. He appeals people to spiritual-moral perfection. According to the writer's famous novel "Wolf" staying in Christ means being as human. When man lives godless, divine grace is separated from him and immorality – satanic natured wolf is diabolized inside him. He becomes captive of earthly "I". As a symbol of God, Virgin, and Belief Goderdzi Chokheli often has a flower in his fictions. Luka defeats cruelty with a flower (belief).

ევროპული რემინისცენციები გალაკტიონის პოეზიაში

თამარ სიდამონიძე, მოწვეული სპეციალისტი

თანაზიარი აჩრდილი ლამის ყოველ ქვეყანაში ჰყავდა გენიოსს. სამშობლოსკენ ირიბი გზებით მოდიოდა /,,მგლოვიარე სერაფიმები“/ და მოსული, იტყვის: ,,ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება“ /,,ფარულ ტკივილებით“/.

,,არაბთა თვალები, ქცეული ელადად, აზია-აღელვებს ოცნებას“ /,,დაბრუნება“/.

აზია ოცნებას აღელვებს, ინგლის-ამერიკაც, მაგრამ განსაკუთრებული სიხშირით გალაკტიონთან საფრანგეთი მოიხსენიება:

,,რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ,
ისევ უცხოეთისკენ მიმაფრენენ ნავები...
რადგან მთელს სიცოცხლეში არავინ მყვარებია,
მე მიყვარს საფრანგეთი, ალპები, იტალია“.

/,,მზადება გასამგზავრებლად“/

საბოლოო ნავსაყუდელი, რასაკვირველია, საქართველო იქნება, მაგრამ ჯერ ირიბი გზებია მოსავლელი. მერე, წლების შემდგომ, იტყვის: ,,საქართველო-პარიზი სხვადასხვა ქნარებია“ /,,ჩანგო, ბევრი კარგი დრო...“/.

პარიზში ფიზიკურადაც ყოფილა, უთქვამს: ,,რა საოცრებებს ფარავს პარიზი, ქვეყნად ყველაფრით უკმაყოფილო“ /,,რუსთაველი პარიზში“/.

ცვეტაევა:

,,В большом и радостном Париже
Все та же тайная тоска...
И дальше смех, и тени ближе,
И боль, как прежде глубока“. (15; 33.)

ფრანგი პოეტი, სიუარესი, რომელსაც გალაკტიონი თავის ერთ-ერთ ლექსში იხსენიებს (,,ჩვენ, პოეტები საქართველოსი“) კლოდელთან და ჟამმთან ერთად, წერდა: ,,იყო ევროპელი იმას კი არ ნიშნავს, ხუთ ენაზე ლაპარაკობდე, ევროპის ქალაქებში დარბოდე, ლონდონში გიცნობდნენ, ბერლინში მეგობრები გყავდეს, ჟენევაში - სახლი, რომში - საწოლი... იყო ევროპელი, ნიშნავს: იყო გერმანელი გოეთესთან და ვაგნერთან, იტალიელი - დანტესთან და მიქელანჯელოსთან, ინგლისელი - შექსპირთან, სკანდინავი - იბსენთან, რუსი - დოსტოევსკისთან...“ ამავე სიტყვებს გაიმეორებდა გალაკტიონიც, რადგან ევროპის მისეული აღქმა სიუარესისეულის იდენტურია.

იმპრესიონისტული ხილვები გალაკტიონსაც აწვალებს - ლურჯი კომში, ცისფერი ატამი... მისი სურათები ვიზიონებია: ,,აკვარიუმში ფერადი თევზი - ესაა რიწა,“ ან ,,ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების...“

თუმც რემბოსავით ფერებისათვის სონეტი არ მიუძღვნია (ა - შავია, ე - თეთრი, ი - წითელი, ო - ლურჯი, უ - მწვანე), უმდიდრესია ფერთა გალაკტიონისეული გამა.

თეოფილ გოტიეს უტყდება, რომ უცხოურშიც:

,,ჩვენ ვეძებდით რამე ღრმას, გვსურდა რამე ქართული,
რითმა, ნიუანსები, რიტმიული ლანდები... მენადები, გედები და ფრთები-ინფანტები“.
/,,გოტიეს“/

მწუხრის ჟამს პრევოს სევდიან რომანს უღრმავდებოდა:

,,ლბილ ბალიშებზე ისვენებს კატა, ნებიერების ბნელი ასული...
მე კი, მოღრუბლულ დღით მოწყენილი, ავიღებ მანონს, სადაც ზონარად
მჭკნარი ალოე არის შთენილი, უკეთეს დროთა მოსაგონარად“.
/,,გადია“/

მალარმე, ბოდლერი, ვერლენი, გოტიე, ვერჰარნი... ხშირია ეს სახელები გალაკტიონის პოეზიაში.

შარლ ბოდლერი გალაკტიონისათვის ,,მწარე და ძვირფასია“. უფრო სწორად, იგი პასუხს მარადიულ შეკითხვაზე: ,,რომელი საათია?“ ასეთს იძლევა: ,,მწარე და ძვირფასი თრობის საათია, ღვინის საათია!“

გალაკტიონი ეყრდნობა ბოდლერის მინიატურას ,,თრობა“:

,,თრობას მიეძალე, თრობაა ყველაფერი. ეგ არის ხსნა ერთადერთი, რათა არ შეიგრძნო ამაზრზენი ტვირთი დროისა, რომელიც დაგცემს, წელში გაგტეხს. ჰოდა, ამადაც თრობას მიეძალე, გამოუნელებელს. ჰო, მაგრამ რითი? ღვინით, პოეზიით, სიქველით, რითაც გენებოს, ოღონდ იყავი მთვრალი და თუ ოდესმე კვლავ გამოფხიზლდები სასახლის კიბეზე, მდინარისპირა პატარა მდელოზე, შენი ოთახის შემზარავ სიმარტოვეში, მაშინ ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყოველივეს, რაც დარბის ან დაქრის, კვნესის ან მიედინება, მღერის ან საუბრობს, ჰკითხე: რომელი საათია? და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი მოგიგებენ: თრობის საათია! თრობისა და თავდავიწყების, რათა არ ვეყმოთ, არ ვემონოთ დროს, არ შევიქმნათ მისი მარტვილნი. თრობას მივეძალოთ დაუსრულებელს: ღვინით, პოეზიით, სიქველით - წადილისამებრ“ (1; 119).

მინიატურაში ,,საათი“ კი ვკითხულობთ, რომ ,,თურმე ჩინელებს სცოდნიათ დროის გამოცნობა კატის თვალებში“.

მარინა ცვეტაევა ,,მოთხრობაში სონეჩკაზე“ წერს: ,,Который час?... И потом опять: Который час? и никогда не слышать ответа, потому что это не ,,Который час? “ а ,,когда смерть? “ (5; 236).

დროისადმი ხარკი ბაირონსაც გაუღია, პასტერნაკსაც შეუწირავს: რუსი პოეტი დროის ლამის ფონეტიკურ ხატებას ქმნის:

,,И тихо так, Господи, тихо, что слышно, как время идет так тихо...“

ოცნება ნაღვლიანია: ,,დაე, მფრინავი ლანდი მიაქანებდეს ფოთლებს, იყოს საღამო ზანტი, მე კი გადავშლი ბოდლერს“ (,,მოსვლას აპირებს წვიმა“).

შედევრი ,,უსიყვარულოდ“ იმავე აზრითაა გაჯერებული, რითაც ბოდლერის ერთ-ერთი მინიატურა. გალაკტიონთან ვკითხულობთ:

,,მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის ხშირად პირველს სჯობს...”

გალაკტიონი სხვაგანაც წერდა შემოდგომის ,,ბურუსდამსხმელ“ სიახლოვეზე, უცნაურ განცდაზე: ,,შემოდგომაა. სულს არა სურს არავინ“ (,,ო, დღეს შემოდგომაა...)

ბოდლერთან: ,,მან იცის ისეთი სიყვარული, როგორიც მხოლოდ შემოდგომითაა შესაძლებელი” (,,ჯიშიანი ცხენი”).

ბოდლერის ,,ნაოსნობის” მსგავსი განცდა იბადება ,,სანთლების” კითხვისას:

,,შორს, ზურმუხტისფერ სივრცეს იქით, სანთლები ჩანდა.
დასასვენებლად მიიწევდა იქ მეზღვაური.
ერთხელ ზღვა გაწყრა, აირია, გაჟინიანდა,
ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურზაური...
და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა.”

ბოდლერის ,,ნაოსნობაშიც” ოცნების უნაპირობა, რეალურისა და ნასურვების არაიდენტურობაა აქცენტირებული.

მსგავს თემაზე ,,მთვრალი ხომალდი” შეუქმნია არტურ რემბოს, ,,ზღვის სასაფლაო“ - პოლ ვალერის. მეზღვაურის განცდაა ლექსში ,,მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები”:

,,წამომყვა ზვირთთა მშფოთვარება და მზეთა დნობა,
თავს არასოდეს ისე არ ვგრძნობ, ვით გრძნობენ სხვები,
მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული, მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური...”

გალაკტიონმა იცის, რომ ჭეშმარიტ პოეზიას ყავლი არ გაუდის. ტკივილითაა გაჯერებული ლექსი ,,ნამდვილი და ხელოვნური ყვავილები“.

აქვე უპრიანია მოხსენიება გალაკტიონის დამოკიდებულებისა ზოგადად ყვავილებთან: ,,ბავშვობიდანვე ჩემი ყვავილებისადმი არაჩვეულებრივი სიყვარულის გრძნობა სავსებით კმაყოფილდებოდა იმ უამრავი ყვავილით, რომლებიც ახალგაზრდა ქალებს მოჰქონდათ ჩემთვის საღამოებზე. მთელი თეატრი ხშირად წარმოადგენდა ერთ უზარმაზარ თაიგულს... თეატრი თვრებოდა ამ სურნელებით. ყვავილებით მორთული იყო ჩემი ბინა... სიცოცხლის ღრმა ანალიზმაც ვერ მოსპო სიყვარული ყვავილებისადმი. ჩემს წიგნს ჰქვია ,,თავის ქალა არტისტული ყვავილებით“. წიგნს წინ უძღვის ციტატები ყვავილების შესახებ: შარლ ბოდლერის, ვილიე-დე-ლილ ადანის, გოტიესი, ვერლენის, რემბოსი. თავის ქალა - სიმბოლო ჩვენი არსებობის და საშინელ წლების, ყვავილები - სიმბოლო არტისტული გრძნობებისა მშვენიერებისადმი. ეს ყვავილები მე მოვათავსე არა პრიუდომის ვაზაში, არამედ თავის ქალაში... შესაძლებელია, მე მშიერი ვიყავი, მაგრამ უკანასკნელი გროში უსათუოდ ყვავილებზე მიდიოდა. ჩემს ბინაში ყოველთვის იყო ყვავილები და ეს მმატებდა ენერგიას... ჟანდარმიც კი გააოცა ჩემს ბინაში ყვავილების სიმრავლემ და ყურადღება აღარ მიაქცია საეჭვო წიგნებს“ (2, 542).

უსათაურო ლექსში წერს: ,,სულში ვატარებ ყვავილს, სავსეს მისტიურ შხამით“. ,,მე მოვალ“-ში იდუმალ სატრფოს ჰპირდება: ,,მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან, მე მოვალ, მე მოვალ-სიზმარი.“

,,სამრეკლო უდაბნოში“ პოეტის ოცნებას გვიმხელს:

,,ქალთა სუნთქვაში დაფარული ყვავილთა სუნი...
სწუხს სხვაგვარ ცრემლებს, თეთრ ბეჭდების თვლებს,
შიშველ, თეთრ ყვავილს...
სწუხს ჩემი სული, ვით სამრეკლო ცის უდაბნოში.“

ლექსს ,,ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს“ ბიბლიური შუქი აჯერებს:

,,ქალები ღამით წავედით ტყეში, თვალებში ფეთქდა ელვა წყაროთა,
ყვავილს, რომელსაც ჰქვია ნუგეში, ჩვენ დავეძებდით და გვიხაროდა.“

თეთრი ნუგეშივით ყვავილი შროშანია, ღვთისმშობლის ყვავილი, გელათის კარედში დახატული, დემეტრეს საგალობელში აღმოცენებული:

,,ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა, ქალწული, შვენიერი შროშანი, მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი: შენგან იშვების მეფე გვირგვინოსანი და მას ჰმონებდეს მეფე მრავალ-ყმოსანი“ /3, 183/.

გალაკტიონს შეეძლო შეეგრძნო ტრაგიკულობა ყვავილის ჭკნობისა: ,,დღეს გაასვენეს შემოდგომით გაწვალებული რეგიის ღერი“...

იდუმალი, საოცარი სახეა ვარდის ხილვა სილაში /,,სილაჟვარდე“.../. ნოვალისის ყვავილსაც სილის მსხვერპლად მოიაზრებს გალაკტიონი: ,,თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ /,,აღარ არის მენესტრელი“/.

ვერლენი გალაკტიონისათვის განსაკუთრებით ძვირფასი სახელი იყო: ,,ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას” (,,ჭიანურები”). როგორც მიხეილ კვესელავა წერს, სიკვდილის წინ ვერლენს უკანასკნელი გროშებით მოუვარაყებია თავისი ღატაკი მანსარდის დამსხვრეული ავეჯი (4, 74).

ფრანგული ეპიგრაფები უძღვის ლექსს ,,ვინ არის ეს ქალი?!“

გალაკტიონთან ვხვდებით უცნაურ დახასიათებებსაც: ,,წიგნი ვედრებიანი, ალოცება სატანის და ოცნება გვიანი ვილიე დე ლილ ადანის...“ (,,გვიანი ოცნება“).

ფრანგული პოეზიის ერთ-ერთი უმშვენიერესი სიმბოლო-პარადიგმათაგანი - გედი არაერთხელ გაკრთება გალაკტიონთან. მალარმეს გედი ცნობილი მხატვრული სახეა.

,,სილაჟვარდეში“ ლირიკული გმირი არის ,,გედი, დაჭრილი ოცნების ბაღით“. ცეცხლის ალის მზერა იდუმალ სურათებს წარმოუდგენს:

,,გუგუნებს ალი მხიარულ ბუხრის, მაფიქრებს ალი და ვწვავ წერილებს,
კიდევ ედება გედები მწუხრის გედებს, ცეცხლისკენ გადაღერილებს...
რაც უფრო შორს ხარ, ძვირფასო დროო, უფრო სავსეა გზა ამ გედებით,
და სიყვარული, ვით ვატერლოო, მოფენილია ამ იმედებით.
სხვა მხარეები უხსოვარ ხნიდან მაწვალებს, მათრობს და მეფერება“.

/,,დგება შემოდგომა“/

შინდისის ჭადრებს უცხოეთში რომ ენატრება, იხსენებს და ღონდება: ,,თქვენთან რბიოდნენ ნათელნი დღენი, ლოცვა ბავშვური, ფერი გედური.“ გედი ფერთა გამასაც უკავშირდება ლექსში ,,ზამთრის მოტივებიდან“:

,,ქვეყნად კვლავ მოდის დაფარულთა ფერთა ხსენება,
მტრედისფერ გზებზე უთეთრესი გედით რხეული...“

გედი და ფერი სხვაგანაც დაწყვილებულად იხსენიება: ,,ასეთია ნაზი ბედი, ბედი რჩეულ ფერის, სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის“ /,,მოვა, მაგრამ როდის?“/

,,მთაწმინდის მთვარეში“ ოცნებაა: ,,დე, მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“ წარმოჩენილია ისიც, თუ ,,სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს“.

ვალერიან გაფრინდაშვილს სპეციალური სტატიაც შეუქმნია ,,გედი პოეზიაში“. გედის პოეტებად სახავს იგი აკაკის, ჟუკოვსკის, პუშკინს, ტიუტჩევს, მეტერლინკს, მალარმეს, რობაქიძეს...

ლია სტურუასთან გედი თეთრი ეკლესიაა, რჩეულიშვილთან - ალავერდი ჭალიდან თეთრი გედივითაა ამოვარდნილი.

რადგან გლაკტიონს ,,სხვა მხარეები აწვალებს“, აწვალებს მათი მელოდიებიც და ფერებიც. ოდენ ზოგადად მიმოვიხილავთ დასავლეთ ევროპის გენიალურ მხატვართა და მუსიკოსთა შესახებ გალაკტიონის პოეზიაში გამოთქმულ მოსაზრებებს. გალაკტიონს ,,ბაიის ბგერაც კი ესმოდა“, მით უფრო - ტკბებოდა გენიოსთა შედევრებით. პოეტი გრაალს ჰგავდა - უფლის სისხლის მტვირთველი მით უფრო იტვირთავდა ფერსა და მელოდიას.

ყველაზე ხშირად გალაკტიონი ბეთჰოვენს იხსენიებს. კომპოზიტორთაგან განსაკუთრებით დიდი გერმანელი ხიბლავს, პოეტთაგან ნოვალისსა და გიოტეს, ჰაინეს, ფილოსოფოსთაგან - შოპენჰაუერს ახსენებს.

იგი ისაა, ,,ვინც ღამით დასწვავს შოპენჰაუერს, რომ უფრო მძაფრად იცხოვროს დღისით“ /,,მაგრამ მე რა ვქნა?“/.

ბეთჰოვენის ხილვა მზინავი ვიზიონია. სხვაზე წერს, ბეთჰოვენის პორტრეტს კი ხატავს:

,,მაშინ ტოვებდა ყველას და ყოველს
და ფეერიულ ალში მცურავი ედარებოდა შეშლილ ბეთჰოვენს
დაუნდობელი და მომდურავი. და მიდიოდა უბედურ ქარში,
რა იყო ქარი ერთადერთისთვის, სამგლოვიარო მან შექმნა მარში“.

/,,ედარებოდა შეშლილს“/

სხვაგან ყაზბეგს იხსენიებს ,,ხევის ბეთჰოვენად“: ,,მე კავკასიის ქედები მთხოვენ, მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის, ვუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთჰოვენს“. ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაში მშობლიური მელოდიები ესმის:

,,სად ზღვის ჭავლებია, ყვავილთა მთოველი,
კვლავ ვხვდებით ერთმანეთს მე და ბეთჰოვენი.
ოცნება მგონია, სიზმარი მგონია:
ქართული მოტივი - მეცხრე სიმფონია!“
გალაკტიონს ,,ნანგრევთა სიჩუმეც“ ესმოდა....
ხშირია მოხსენიება შოპენისა და პაგანინისაც.
,,სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით
და შემდეგ უცნობ პიანინოებს ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით.
როგორც მრავალი ვარდების მფენი, მას სული ჰქონდა უხვად ციური,
მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური.“

სხვაგან საოცარი ხილვა აქვს: ,,ტბა შრიალებდა, როგორც შოპენის მთვარიან ნისლში შესული ვალსი“.

სხვა ლექსში შოპენთან და პაგანინისთან ერთად ვერდიც არის მოხსენიებული:

,,ვარდების ფენით ტრიალებს ჟინი, მთვრალი ვარ შენით, მთვრალია ლხინი,
ოცნებას შვენი, ვით თვალნი შენნი, შოპენი, ვერდი და პაგანინი.
პოეტის ახლო გედება ალი, იგი, უსახლო, გიცქერის მკრთალი,
მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“
/,,მთვრალია ყოფნით“/.

ჩანაწერში ,,დათიკო პავლიაშვილი“ ვკითხულობთ: ,,ეხლა ღამეა. პირველს უკლია ათი წუთი. მოვისმინე შუბერტისა და ბახის მელოდიები. ორთავესთან ელეგიური განწყობაა“ (2, 327).

ევროპაზე წერდა:

,,მათ ბევრი ჰყავთ ხელოვანნი, განა მარტო როდენი?
მათ ახარებთ სულიწმინდა და მადონას ლოდინი“.

და მაინც, ყველა ნავსაყუდელზე ძვირფასი, რა თქმა უნდა, იყო საქართველო. იცოდა, რომ მთაწმინდასთან ,,თვითონ მსოფლიოს მწუხარება აქ შედარებით მხოლოდ ლანდი და მხოლოდ ჩრდილია“ /,,მთაწმინდის იქით“/.

საკუთარ პერსონაზე თუ წერდა:

,,ო, ცრემლი იყო მისი მისივე ეს ფარვანები მონაცრისფერო,
ღამით საწყლები რომ მოისევენ და იწვებიან საბედისწეროდ.
იყო უბრალო, მაგრამ მართალი მისი სიმღერა და სიარული,
და სამუდამოდ იყო ქართული მისი ჰიმნები გენიალური“
/,,ის, დირიჟორი“/

ვერავინ, ვერავითარი პოლიტიკა ვერ გააერთიანებს მსოფლიოს ისე, როგორც ამას ჩადიან გენიოსნი, მათი მაღალი ხელოვნება. გალაკტიონი წერდა:

,,ის ინდოეთი, საქართველო, სპარსეთი, რომი, რომ შეერთდება ერთის გრძნობით და ერთი მიზნით,
მათი მარადი ჰერალდიის ვეფხვი ან ლომი.
თქვენ, აჩრდილებო წარსულისა, ვეღარ დაგიხსნით, წარვლიან თქვენგან
მთელი ჯგუფები, მთელი თაობა, სადაც არავის წაეჩხუბება უკვდავებათა სხვადასხვაობა“.
/,,თქვენ, აჩრდილებო წარსულისა“/

ლიტერატურა:

1. ბოდლერი შ., ლექსები პროზად, თბ., 1991, გვ. 119.
2. ტაბიძე გ., თხზ. 2 ტ., ტ. II, თბ., 1989, გვ. 37-38; 327.
3. ქართული პოეზია, ტ 1, თბ., 1979, გვ. 183.
4. კვესელავა მ., პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977, გვ. 136.
5. Цветаева М., Стихотворения, М., 1991, стр. 33; 236.

რეზიუმე

ნაშრომში წარმოჩენილია ევროპული რემინისცენციები გალაკტიონის პოეზიაში, რომლებსაც პოეტი მიზანმიმართულად და, ზოგჯერ კი, უნებლიეთ მიმართავდა. ეს ყოველივე ილექებოდა პოეტის ქვეცნობიერში და შემდეგ სხვადასხვა ფორმით ისახებოდა მის ქმნილებებში.

EUROPEAN REMINISCENCES IN GALAKTION'S POETRY

Tamar Sidamonidze, Specialist by contract

RESUME

A synthetic character of Galaktion's Poetry is shown in the paper. There are abundant visions and combinations of West and East to the colours of Georgian words in his masterpieces.

ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტისა და ნაწარმოების ურთიერთკავშირი (გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ანალიზზე დაყრდნობით)

გიორგი ხორბალაძე, ასისტენტ-პროფესორი

ნაწარმოების გააზრება კითხვის პროცესში, შეიძლება, იმდენნაირად იქნას სახეცვლილი, რამდენი მკითხველიც ეყოლება ამა თუ იმ ნამუშევარს. უამრავი ლიტერატურული ნიმუში გამხდარა კრიტიკოსთა სამიზნე, მსოფლიო ლიტერატურა მრავალ მაგალითს იცნობს, როდესაც ერთ კონკრეტულ ნიმუშს ათობით კრიტიკოსი განიხილავს და თითოეული მათგანი ცდილობს საკუთარი თვალსაწიერიდან ამოვიდეს, ეკამათებიან ერთურთს, ეთანხმებიან კიდეც ძირეულ საკითხებში, მაგრამ, ფაქტია, ყველა მათგანი აუცილებლად ხედავს მთლიანობის ისეთ ნაწილს, რომელიც მეორეს არ შეუნიშნავს. ჩვეულებრივი მკითხველიც, სწორედ ამ პროცესს გადის ნაწარმოების წაკითხვისას, თუმცა, მეტწილად მისი ფიქრი და დამოკიდებულებათა ცვლა ავტომატურ რეჟიმშია და ხშირად ქვეცნობიერია. და, ვინაიდან, ქვეცნობიერის განშტოებანი ერთობ უკონტროლო გახლავთ, ლიტერატურულ ნაწარმოებს რაღაც მაკორდინირებელი უხილავი ნიუანსი უნდა გააჩნდეს, რათა ყველა აზრობრივი შენაკადი, საბოლოო ჯამში, იმ ძირითად მდინარის კალაპოტში ჩაეშვას, რასაც ნაწარმოების მთავარი ხაზი წარმოადგენს. რა შეიძლება იყოს ეს მაკორდინირებელი ნიუანსი? რა თქმა უნდა, დავა და კამათი ამ საკითხზეც შეიძლება, თუმცა ჩვენი მოსაზრებით, უმთავრესი თავად ავტორის ვინაობა და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტია, რომელიც ხშირ შემთხვევაში მისი ქმნილების წაკითხვამდეც კი ახდენს გავლენას მკითხველზე და მას გარკვეული მოლოდინებისთვის განაწყობს, თუმცა ასევე ხშირია ერთობ ამბიციური განაცხადი ზოგიერთი კრიტიკოსისაც და მკითხველისაც, რომ მთავარი ის არის, რას წერს და არა ის, ვინ წერს?! თითქოს ცამდე მართალია წინამდებარე ფრაზა და სადავო არც არაფერია, მაგრამ, დავაკვირდეთ, არის ეს ასე რეალურად, თუ მხოლოდ თავის ვიტყუებთ? თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ვცდილობთ სახელმოხვეჭილი ავტორების სუსტ ნაწარმოებებშიც დიდებული და გენიალური ნაწილი ვიპოვოთ, თუნდაც ასეთი რამ იქ სულაც არ იყოს, ხოლო უცნობი ავტორის კარგ ნაწარმოებს ეჭვის თვალით ვუმზერთ და კიდევ სხვა გამოვლინებას ველით მისგან, როგორც სავალდებულო წარმოსადგენ მტკიცებულებას. როდესაც კარგად ნაცნობი მწერლის ახალი მოთხრობის წაკითხვას ვიწყებთ, რატომ გვაქვს წინასწარ იმის განცდა და განწყობა, რომ აუცილებლად კარგს წავიკითხავთ, ხოლო აღქმის პროცესში თითქოს სადავეებით გვმართავს ავტორის ავტორიტეტი, რამეთუ წარმოდგენა გვაქვს ჩვენს მიერ ამოკითხული ტექსტი რატომ და როგორ შეიძლება ეთქვა და გაეაზრებინა, ანუ ჩვენ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული გვაქვს ავტორის გარკვეული ფსიქოლოგიური პორტრეტის კონტურები და მის ერთგვარ გავლენას განვიცდით. როგორ უნდა განვსაზღვროთ სწორად

ფსიქოლოგიური პორტრეტი ავტორისა და რა კავშირშია, რეალურად, ნაწარმოები ავტორის ფსიქოლოგიასთან, სწორედ ამის მიმოხილვა გვსურს წინამდებარე ნაშრომში.

რენე უელკი და ოსტინ უორენი წიგნში ,,ლიტერატურის თეორია" აღნიშნავენ: ,,როდესაც ლიტერატურის ფსიქოლოგიაზე ვიწყებთ საუბარს, მხედველობაში შეიძლება გვქონდეს შემდეგი: მწერლის, როგორც ფსიქოლოგიური ტიპისა და ინდივიდის ანალიზი; შემოქმედებითი პროცესის შესწავლა; ნაწარმოებში წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ტიპებისა და კანონზომიერებების განხილვა, და ბოლოს, ლიტერატურის ზეგავლენა მკითხველზე (მკითხველის ფსიქოლოგია). ...გენიალურ მწერალთა ნიჭიერების არსი ყოველთვის იწვევდა ინტერესს. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მას ერთგვარ „შეშლილობას" უწოდებდნენ. (იქიდან მოყოლებული, ეს შეფასება მერყეობს ნევროზსა და ფსიქოზს შორის). პოეტი ,,შეპყრობილი" არსებაა: ის სხვებს არ ჰგავს, იგი ერთდროულად აღემატება კიდეც მათ და მათზე ნაკლებიც არის; მისი არაცნობიერი აღიქმება, როგორც უდაბლესი და, იმავდროულად, უმაღლესი დონის ცნობიერება." [1; 111] გენიალურობა თავისთავშივე გულისხმობს განსხვავებულობას ყველა დანარჩენისგან. ჭეშმარიტი შემოქმედი იმთავითვე ეჭვის ქვეშ აყენებს საკუთარი ფსიქოლოგიის ნორმირებულობას, თუმცა არა მკვეთრად და გარკვევით, არამედ მსუბუქად, ნაწილ-ნაწილ და ბუნდოვანი განზავებით ნაწარმოებებს შორის:

,, - მე შეიძლება გავგიჟდე.
- რატომ?
- ზოგჯერ ისე ახლოს ვგრძნობ ჩემს მოთხრობებს მეშინია, მართლა არ გაცოცხლდნენ" [2; 5]

წერს გოდერძი ჩოხელი და ნათლად წარმოჩინდება მისი დამოკიდებულება საკუთარ შემოქმედებასთან. იგი ისე მკვეთრად შეიგრძნობს და განიცდის იმას, რასაც წერს, რომ მის ფსიქიკაში მოთხრობებს დასასრული არ უნდა ჰქონდეთ, ეს უნდა იყოს მუდმივი პროცესი, შეუჩერებელი ფუსფუსი იდეებისა, შეუყოვნებელი განვითარება სიუჟეტებისა, რომელიც ცნობიერების ნაკადად მოედინება, ოღონდ ქვეცნობიერად. ამის დასტური, გოდერძი ჩოხელთან მიმართებაში, თუნდაც ის გახლავთ, რომ მის სხვადასხვა მოთხრობებში მრავლადაა მსგავსი, თითქმის ერთნაირი სიუჟეტი, რომლებიც სხვადასხვანაირად ვითარდება. გვხვდება შემთხვევებიც, როდესაც ერთ ნაწარმოებში დასმულ პრობლემაზე პასუხის მოძებნა და დასასრული მეორე, სრულიად დამოუკიდებელ ნაწარმოებშია განფენილი. მაგალითად, „ლუკას სახარება"-ში განვითარებულ სიუჟეტს, სკოლის დირექტორის მიერ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით მთავარი პერსონაჟის - ლუკას დასჯას. მცირედი სახეცვლილებით, რომანში ,,მგელი" - მთავარი პერსონაჟი იხსენებს, როგორც საკუთარ თავგადასავალს. რომანში ,,ადამიანთა სევდა" - პერსონაჟი ვაჟი გოგი თითქმის უცვლელად ყვება იმავე, საკუთარ შეთხზულ ტყუილს, რომელსაც შემდგომში მოთხრობა ,,უძლეველი მეომრები"-ს პერსონაჟი ვაჟი გოგი იმეორებს. ,,ლუკას სახარება"-ში ვაჭრებს მიჰყავთ ლუკას საყვარელი ხარი, მოთხრობაში ,,უგულო" მთავარ მოქმედ გმირს კომუნისტები ართმევენ ხბოს, არის აქაც მცირე, განსხვავებული ნიუანსები, მაგრამ აშკარაა, რომ ორივე ერთი ძირეული წუხილის გამომსახველი სიუჟეტია და იდენტურ ემოციებს აღძრავს. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, თუმცა იმის აღნიშვნისთვის, რომ გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ერთ მთლიანობად უნდა იქნეს აღქმული და შესწავლილი, ვფიქრობთ საკმარისია. ახლა კვლავ ძირითად საკითხს მივუბრუნდეთ და ისიც გავარკვიოთ, როგორი პორტრეტი იხატება ავტორისა, თუნდაც ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე. რომანში ,,მგელი" ლუკა იხსენებს მისი დასჯის ფაქტს, მან აღდგომას გააცდინა სკოლა, სააღდგომო რიტუალს ასრულებდა, მის სოფელში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მიცვალებულთა სულის კვერებს მშვილდ-ისარს ესროდა. დირექტორის ცინიკურ სასჯელზე ლუკას თავისი პასუხი აქვს - რწმენა, ურყევი და შეუქცევადი, მას ძაფებით კიდებენ კვერცხებს და არბენინებენ გონების დაკარგვამდე.

,, - აბა შემოარბენინეთ ასი წრე! - ბრძანა დირექტორმა და ბალღები ყიჟინით გაეკიდნენ ლუკას - ერთი, ორი, სამი - ითვლიდა დირექტორი და შუა ეზოში ტრიალებდა ერთ ადგილას. ორმოცდამეთხუთმეტე წრეზე მთელი ეზო თვალებში დაუტრიალდა ლუკას და გონი აერია, მუხლები მოეკვეთა და წაიქცა. დირექტორმა წამოაყენა და ჩაეკითხა:

- აბა აღსდგა ქრისტე?
- ჭეშმარიტად მასწავლებელო!" [3; 111]

მკითხველისთვის ნათელია, რას ნიშნავს გონების წართმევამდე ნაწამები და დამცირებული ბავშვის ეს პასუხი, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, სხვა ნაწარმოებშიც არის გამეორებული. ,,ლუკას სახარება"-ში ლუკა თითქმის სიკვდილის პირამდე მიჰყავთ მამისეული სახარების გამო, თუმცა ის

მოურიდებლად შერბის დირექტორის კაბინეტში და გამოაქვს სახარება, არ თმობს რწმენას, არ ეცემა სულით და არ ეგუება დამარცხებას. ეს ავტორის შინაგანი მეა, მყარად ჩამოყალიბებული და პერსონაჟებში გაჟონილი. მეტიც, ვფიქრობთ, რომ ამავე თემის გაგრძელებაა რომანში ,,მგელი" ლუკას ხარის, ,,ბოჩოლას", სახე, რომელიც ორი დღე-ღამე შეუჩერებლად იბრძვის ,,წითელ ხართან", არ ნებდება, თუმცა მარცხდება და ვერ ეგუება ამ მარცხს. ამ პასაჟის კითხვისას, რატომღაც, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ორი ხარის ბრძოლაზე კი არა, ცხოვრებასთან გამუდმებულ, დაუსრულებელ ჭიდილზეა საუბარი, ჭიდილზე ,,წითელ" საზოგადოებაში მოზღვავებულ უსამართლობასთან, მკაცრ ყოველდღიურობასთან, ძლიერთაგან ნაკლებადძლიერთა ჩაგვრასთან. ამ შემთხვევაში ხარი ასევე ავტორის სახედ მიგვაჩნია და ვთვლით, მასში ავტორის მიერ წინასწარმეტყველურად არის განჭვრეტილი საკუთარი მომავალი. ჩვეულებრივ, ყოველდღიურობასთან გამუდმებულმა ჭიდილმა დაღალა არაჩვეულებრივი მწერალი, რომელიც ვერ შეურიგდა საკუთარ დაღლას და იმ ,,ბოჩოლასავით" გათეთრდა - ,,მთლად ჩონჩხად იყო ქცეული და თავჩაღუნული იდგა, თვალებში სევდა ჰქონდა ჩამდგარი." დახედავ ჩოხელს ავადმყოფობის დროს გადაღებულ ფოტოს და მოგეჩვენება, თითქოს ,,ბოჩოლაზე" კი არა, ამ ფოტოზე საუბრობდეს ავტორი. მებრძოლი სულის, მებრძოლი ფსიქიკის უმოქმედობა დაღუპვას უდრის, ,,მგელი"-ს ლუკას და „ლუკას სახარება"-ს ლუკასნაირი პერსონაჟები არ ჩერდებიან, რწმენას არ კარგავენ და ბოლომდე, არაქათის გამოცლამდე იბრძვიან, არაქათის გამოცლის შემდეგ კი ხარ-„ბოჩოლას" ბედს იზიარებენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები სხვადასხვა რაკურსით ნათლად გვიხატავენ ავტორის სახესა და ფსიქოლოგიურ პორტრეტს. და, რადგან ყველა მწერალზე ამის თქმა შეუძლებელია, მაშინ კიდევ ერთი, განსაკუთრებული ასპექტი მოგვინახავს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისა. კარლ გუსტავ იუნგი წერს: ,,პოეტის პიროვნულ თვისებებს ისევე ცოტა რამ აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებებთან, როგორც ნიადაგს იმ მცენარესთან, რომელიც ამ ნიადაგზე იზრდება. იმ გარემოს შესწავლით, რა გარემოშიც მცენარე არსებობს, შეიძლება ამ მცენარის ზოგიერთ თვისებებს ჩავწვდეთ, მაგრამ ამის შედეგად სრულყოფილ წარმოდგენას მასზე ვერ შევქმნით." [4; 72] გოდერძი ჩოხელის შემოქმედების მაგალითზე, რთულია გავიზიაროთ იუნგის ეს მოსაზრება, მით უფრო, რომ საპირისპიროს მსჯელობს მისი მასწავლებელი და ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი. მისთვის ,,მხატვრული შემოქმედების ნიმუში ავტორის პიროვნული არაცნობიერის სახეცვლილი (სუბლიმირებული, გაკეთილშობილებული) გამოვლენაა". [4; 74] ფროიდის თეორია მისაღებია ამ შემთხვევაში, თუმცა, მაინც დავძენთ, რომ ხელოვნურად გაკეთილშობილებული ჩოხელი ძნელი წარმოსადგენია, რადგან მისეული ნაწარმოებების ნათელს სიყალბის ჩრდილს მიაყენებდა ხელოვნურობა და შედეგიც, გენიალური შემოქმედების სახით, აღარ დადგებოდა. აშკარაა, რომ იუნგის თეზას ვერ მივუსადაგებთ ჩოხელის შემოქმედებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნიადაგიც სიყვარულია და მცენარეც, ისევე როგორც სევდაა სიკვდილიცა და სიცოცხლეც.

„თევზის წერილები" მთავარ გმირს ადამიანობა აღარ სურს, პროტესტს გამოთქვამს მის ირგვლივ მყოფი საზოგადოების მიმართ და ჯიუტად დგება წყალში, რათა თავი თევზად წარმოიდგინოს. მოთხრობაში „ხეჩო", გმირი იჯერებს, რომ ირემია და რეალობას გაურბის. ,,მართალია ნაწარმოებში გამოყენებული მხატვრული გამომსახველობის საშუალებები დაღდასმულია ავტორისეული სუბიექტური ამოცანებით, მაგრამ არ შეიძლება მხატვრული ნაწარმოების დაყვანა მხოლოდ ავტორის შემთხვევით ინტუიციურ განზრახვამდე. ნებისმიერი მხატვრული ნოვაცია ან შემოქმედებითი თავისუფლების ფენომენი, რომელიც თავს იჩენს მასალის შერჩევისას და მხატვრულად ათვისებისას, განპირობებულია შემოქმედის ფსიქოლოგიით, მისი გემოვნებით, მიდრეკილებებით, იდეოლოგიური პოზიციით, მორალური კრედოთი. ხელოვანის მიერ სამყაროს ინტერპრეტაცია წარიმართება მისი განათლების, ინტელექტისა და ფილოსოფიურ-ესთეტიკური პოზიციის გათვალისწინებით". [5; 64]

გამომდინარე უდავოა, რომ მწერალი ბევრად უფრო მტკივნეულად რეაგირებს ნებისმიერ საზოგადოებრივ მანკიერებაზე, ვიდრე სხვა ადამიანები, იგი სხვისთვის მარტივად გადასაწყვეტ პრობლემას მწვავედ და ღრმად განიცდის, რაც, საბოლოოდ, აისახება მისი, როგორც პიროვნების სულიერ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ხოლო ეს ყოველივე გამოვლინებას ერთადერთ კალაპოტში - შემოქმედებაში ახდენს. გამოსავლის ძიებაში ყველაზე მეტად ორ ვერსიას უტრიალებს ავტორი; პირველი, ზემოთ განხილული კატეგორიული პროტესტია, მეორე, უფლისა და გამარჯვების რწმენით ბოლომდე ბრძოლა, რომელიც როგორ შედეგამდე უნდა მივიდეს და როგორი სახით გაგრძელდეს, რთული წარმოსადგენია, ამიტომ ბრძოლის გაგრძელების ყველაზე იდეალურ განვითარებას ავტორი ისე ხედავს, როგორც მოთხრობა ,,სულების შესაკრებელი"-ს გმირის შემთხვევაშია: იგი დადის სოფელ-სოფელ, თაიგულით ხელში, ყველას ეფერება, ყველას სიკეთისკენ მოუწოდებს და ფინალში ცაში მიფრინავს. რომანის ,,მგელი" პერსონაჟი თანდილა, რომელმაც ასევე სიკეთის კეთებაში უბოროტოდ

განვლო წუთისოფელი, ღრმა მოხუცებულობისას, აღსასრულის ჟამს ყვავილების თაიგულად გადაიქცევა. ეს ავტორის სასურველი განვითარებაა მისეული ბრძოლისა, გოდერძი ჩოხელი სხვანაირი მებრძოლი ვერ იქნება, სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერ დააშენებს, მტრულად მტერსაც ვერ შეეხება, თანდილასავით ახლად ამოსულ ბალახზე ფეხის დადგმაც კი ენანება. ეს სურვილი რომ ოცნებად გადაქცევია, ლექსი ,,ტყვია " ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს:

,,ტყვია ყვავილად გადვიქცე,
ავყვავდე მთაწმინდაზედა
და გავუღიმო ვარსკვლავებს,
შემომსხდართ ქართლის ცაზედა. [6; 94]

მაგრამ ვინაიდან ყვავილად გადაქცევა ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება, მაშინ ბრძოლაში დაღლა და ,,ბოჩოლას" ბედის გაზიარებაა რეალური ფინალი ამ ბრძოლისა. სამწუხაროა, რომ ფინალი არც პოეტურია და არც გოდერძი ჩოხელის რომანტიკული და ფაქიზი სულისათვისაა შესაბამისი, მაგრამ პრაგმატულია და გარდაუვალი!

თემის განსავრცობად მსჯელობის გაგრძელება სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენი მოსაზრებების იმაზე ადეკვატურ შეჯამებას ვერც ვინატრებდით, რასაც თავად გოდერძი ჩოხელი გვთავაზობს, როდესაც წიგნში „გუდამაყრელი იები" საკუთარი განცდების შესახებ აღნიშნავს: ,,ყველაფერი მანერვიულებს, ვერ ვეგუები იმას, რასაც ჩემი ცხოვრება ჰქვია. რაღაცა გამახსენდება - კარგი იყო თუ ცუდი იყო, ყველაფერი გულს მტკენს... არ ვიცი, რატომ... რაღაცა არ შედგა... შუა გზაზე გაწყდა ჩემი ცხოვრება, მაშინ გაწყდა, როცა უნდა ყველაზე მეტი შემექმნა, რაღაცნაირად გაწბილებული ვარ.

სურვილი მქონდა, კიდევ რაღაც მეკეთებინა. როგორც მდინარე - კალაპოტში, ისე ვიყავი, მივედინებოდი ჩემთვის. მერე დაიკარგა ეს ყველაფერი და დამრჩა განცდა, რომ რაღაც ვერ მოვასწარი, უთქმელი დავტოვე.

ყველაზე მეტად მეჯავრებოდა უსაქმური კაცი, უუნარო. უცებ მე გავხდი ეგეთი ადამიანი. ცუდად ვარ. ... ვფიქრობდი, მეკეთებინა და რაც შეიძლება მეტი მეკეთებინა საქართველოსთვის! აღმოჩნდა, რო ეს ყველაფერი არაფრისთვისაა. როგორც წისქვილს წყალი დაუშრიტო, ისე დამიშრიტა ცხოვრებამ ენერგია." [7; 89]

აი ასე, რამდენიმე წინადადებით, სრულყოფილად აჯამებს და ამოწურავს გოდერძი ჩოხელი წინამდებარე ნაშრომს. თუნდაც, მხოლოდ ამ არცთუ ისე ვრცელ, ბოლო ციტატაში, იმდენი ღრმა ნააზრევ-ნაფიქრალია ჩატეული, იმდენ სევდასა და ტკივილს შეიცავს, რომ უდავოა და ნათელი - გოდერძი ჩოხელის როგორც მწერლის, როგორც რეჟისორის, საზოგადო მოღვაწისა და ფენომენის კვლევა უნდა გაგრძელდეს ძირეულად და კიდევ უფრო საფუძვლიანად. და როდესაც მისი შემოქმედების კვლევაზეა საუბარი, ბუნებრივად ევლება პარალელი აკაკი ხინთიბაძის მოსაზრებასთან გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის კვლევის შესახებ, რომელიც თავისუფლად შეიძლება გავითავისოთ გოდერძი ჩოხელთან მიმართებაში.

,,ვრცელი და საქმიანი საუბარი გრიგოლ რობაქიძის პოეზიაზე შეუძლებელია, ვიდრე ხელთ არ გვექნება მთელი მისი შემოქმედება, ... რათა ერთ მთლიანობაში გავიაზროთ და სათანადო კვალიფიკაცია მივცეთ.

...გრიგოლ რობაქიძე არ იყო ორდინალური მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. მისი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. რობაქიძე - პოეტი, გვერდს უმშვენებს რობაქიძე - პროზაიკოსს, რობაქიძე - დრამატურგს, რობაქიძე კრიტიკოსსა და თეორეტიკოსს. ასეთი შერწყმა ლიტერატურის გვარებისა და დარგებისა, ასეთი თანაბრად ძლიერი ძალისხმევა სიტყვიერი შემოქმედების სხვადასხვა სფეროში - ნიშანდობლივი ევროპის გამოჩენილ მწერალთათვის, ჩვენში ილია ჭავჭავაძისეული მასშტაბურობის გამოვლენა იყო." [8; 17-18]

დიდ შემოქმედთა ხვედრია გვიანი აღიარება და გოდერძი ჩოხელიც ღირსეული მემკვიდრეა ჩვენი უბადლო გენიოსებისა. სწორედ ამიტომ, კვლევა ჯერ წინ არის და სირთულეც ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული ამ კვლევის გზაზე. თუმცა, რაკიღა თავად გზა უკვე თვალსაწიერზეა, არის იმედიც, რომ ამ გზას, ადრე თუ გვიან ,,მგზავრები" აუცილებლად გაივლიან.

ლიტერატურა:

1. უელკი რ., უორენი ო., ლიტერატურის თეორია, თბ., 2010.
2. ჩოხელი გ., „თევზის წერილები", თბ., 2001.
3. ჩოხელი გ., „მგელი" თბ., 1988.

4. „ლიტერატურის თეორია მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები"; თბ., 2008.
5. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008.
6. ჩოხელი გ., ლექსების კრებული - ,, ,,მე" და მე", „პალიტრა L", 2007.
7. ჯიყაშვილი ლ., „გუდამაყრელი იები" გოდერძი ჩოხელის მემუარები; თბ., 2011.
8. რობაქიძე გრ., „13 სონეტი" თბ., 2004.

რეზიუმე

ნაწარმოების გააზრება კითხვის პროცესში, შეიძლება, იმდენნაირად იქნას სახეცვლილი, რამდენი მკითხველიც ეყოლება ამა თუ იმ ნამუშევარს. ამიტომ ლიტერატურულ ნაწარმოებს რაღაც მაკორდინირებელი უხილავი ნიუანსი უნდა გააჩნდეს, რათა ყველა აზრობრივი შენაკადი, საბოლოო ჯამში, იმ ძირითად მდინარის კალაპოტში ჩაეშვას, რასაც ნაწარმოების მთავარი ხაზი წარმოადგენს. რა შეიძლება იყოს ეს მაკორდინირებელი ნიუანსი? რა თქმა უნდა, დავა და კამათი ამ საკითხზეც შეიძლება, თუმცა ჩვენი მოსაზრებით, უმთავრესი თავად ავტორის ვინაობა და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტია, რომელიც ხშირ შემთხვევაში მისი ქმნილების წაკითხვამდეც კი ახდენს გავლენას მკითხველზე და მას გარკვეული მოლოდინებისთვის განაწყობს. როგორ უნდა განვსაზღვროთ სწორად ფსიქოლოგიური პორტრეტი ავტორისა და რა კავშირშია, რეალურად, ნაწარმოები ავტორის ფსიქოლოგიასთან, სწორედ ამის მიმოხილვა გვსურს წინამდებარე ნაშრომში.

INTERCONNECTION OF THE AUTHOR'S PSYCHOLOGICAL PORTRAIT AND PIECE OF HIS WRITING BASED ON THE ANALYSIS OF GODERDZI CHOKHELI'S CREATIVE WORK

Giorgi Khorbaladze, Assistant-Professor

RESUME

Analyzing a piece of writing can vary among the readers. That's why it should have a coordinating nuance that will finally put all semantic streams in the main river bed representing the principal line of the writing. What can this coordinating nuance be? There can surely be debates on this issue though we assume that it's mainly the personality of an author and his psychological portrait which often influences readers even before reading his piece of work and gives them certain expectations. How to define correctly the psychological portrait of an author and how to link the piece of writing with the author's psychology represents the subject of our discussion in the present thesis.

განათლება
Education

MOTIVATION AND ITS ROLE IN A SECOND LANGUAGE ACQUISITION

***Maia Akolashvili**, Specialist by contract*

Motivation is often defined as the psychological quality that leads people to achieve a goal. For language learners, mastery of a language may be a goal. It is the willingness of a person to do a particular thing or learn a particular set of information.

In the classroom context, motivation can be seen as a continuous interaction process between the learner and the environment. It can be conceptualized either as an impulse arising from the organism or as an attraction arising from an object outside the individual.

Motivation is an important factor and plays a vital role in the learner's achievement. Motivation describes the driving force behind the effort of a learner. Motivation consists of three elements. The first element is **"effort"**. A more motivated learner will put more effort in his or her studies. He will be open to do extra work in order to improve his language skills, spend more time with studying for the language and even deal with the subject on a subconscious level.

The second element is **"desire."** A learner desires to achieve a goal _ in this case to successfully learn a second language.

The last element is called **"affect".** The learner enjoys learning the language. Learning the language is a fun and challenging task which might even lead to enthusiasm.

Each element on its own is not enough to be called motivation. If a learner lacks one element, he will not be motivated and therefore learning will be more difficult for him.

Example: A learner that fulfills the elements "effort" and "desire", but does not enjoy the language at all will maybe study hard, but will have problems to advance. His affective filter would be up.

We know now what motivation is, but not what motivation is caused by. Why is someone more motivated than somebody else?

There are different kinds of motivations, ones that can stand alone as well as go together with each other. In the following paragraphs I will explane the different kinds of motivation.

There are four main types of motivation. It is important to identify all of them and there combinations that assist in the successful acquisition of a second language.

Integrative Motivation

The integrative motivation describes the motivation of a L2-learner to integrate himself in the target language group. In other words: An integrative motivated learner likes the target language group and probably even wants to be a part of it. It is the desire to learn a language in order to communicate with people from another culture that speak that language;

Instrumental motivation

Learners with an ***instrumental motivation*** want to learn a language because of a practical reason such as getting a job, passing an examination, getting a salary bonus , getting into college etc. Many college language learners have a clear instrumental motivation for language learning: They want to fulfill a college language requirement!

Intrinsic Motivation

Intrinsic motivation reflects the desire to learn a language because it is enjoyable. If we are intrinsically motivated, we would not be worried about external rewards such as praise or grades. If we are intrinsically motivated, the enjoyment we experience would be sufficient for us to want to perform the activity in the future. Students who enjoy language learning and take pride in their progress will do better than those who don't.

Extrinsic Motivation

Extrinsic motivation reflects the desire to learn a language because of external rewards such as awards and praise. People who are extrinsically motivated may not enjoy certain activities. They may only wish to engage in certain activities because they wish to receive some external reward.

The teacher should try to raise all kinds of motivation. But the author of this paper considers that the students of our country have very low integrative motivation. A very small number of Georgian students learn English because they like the people that speak the language, admire the culture and have a desire to become familiar with or even integrate into the society in which the language is used. Though this form of motivation is constantly linked to successful foreign language acquisition, opportunities to use the English language in daily verbal exchange in our country are relatively restricted.

There is also limited potential for integrating into the target language community. More often our students are moved by the instrumental motivation, i.e. want to obtain something practical or concrete from the study of a second language. With instrumental motivation the purpose of language acquisition is more utilitarian, such as meeting the requirements for school or university graduation, applying for a job, requesting higher pay based on language ability, reading technical material, translation work or achieving higher social status. Instrumental motivation is often characteristic of second language acquisition, where little or no social integration of the learner into a community using the target language takes place, or in some instances is even desired.

The peculiarity of Georgian students is that they learn English as a foreign language, in comparison with people living in an English-speaking community/country and learning English as their second language.

The learner of the second language is surrounded by stimulation, both visual and auditory, in the target language and thus has many motivational and instructional advantages. As for those who are not living in an English-speaking community/country, they are learning English as a foreign language. Foreign language learners are surrounded by their own native language and have to go out of their way to find stimulation and input in the target language. These students

typically receive input in the new language only in the classroom and by artificial means, no matter how talented the teacher is. So the teacher should help students find integrative motivation. At university level, this may include, any number of foreign exchange programs with other universities, overseas "homestay" programs, or any other activities which may help to motivate students to improve their target language proficiency.

Many of the students do poorly on assignments because they do not understand why to learn a foreign language. Teachers should spend more time explaining why it is important, that it is not only fulfillment of university requirements, but it will help them to function and compete effectively in the global economy of today and the future, will increase job opportunities and salary potential, will develop their intercultural sensitivity, increasing global understanding, will give them the opportunity to enjoy great literary and musical masterpieces and films in their target language, will help them to gain social power (prestige) and many other reasons. But of course it shouldn't be done in a boring form of a monotonous lecture; the teacher may show real examples or invite interesting people who will share their experience. It is very important not to forget about some simple rules. Every teacher should try to create a good and friendly environment in the classroom; they shouldn't forget to reward correct behavior and answers, give the opportunity to choose, be flexible, be creative, involve students into active participation, and one more rule - students are motivated when they experience more success than failure. If they feel incapable, they will give up.

What are characteristics of motivated learners?

The most successful learners are not necessarily those to whom a language comes very easily; they are those who display certain typical characteristics, most of them clearly associated with motivation:

1. ***Positive task orientation:*** The learner is willing to tackle tasks and challenges, and has confidence in his or her success.
2. ***Ego involvement:*** The learner finds it important to succeed in learning in order to maintain and promote his or her own self-image.
3. ***Need for achievement*:** The learner has a need to achieve, to overcome difficulties and succeed in what he or she sets out to do.
4. ***High aspiration:*** The learner is ambitious, goes for demanding challenges, high proficiency, top grades.
5. ***Goal orientation:*** The learner is well aware of the goals of learning, or of specific learning activities, and directs his or her efforts towards achieving them.
6. ***Perseverence:*** The learner consistently invests a high level of effort in learning, and is not discouraged by setbacks or apparent lack of progress.
7. ***Tolerance of ambiguity:*** The learner is not disturbed or frustrated by situations involving a temporary lack of understanding or confusion. He or she can live with these patiently, in the confidence that understanding will come later.

Suggestions for teachers how to create student motivation in the classroom.

There are so many ways for a teacher to develop student motivation:

1. ***Determine why your students are not motivated.*** There are different reasons why students may lack motivation, such as having low self-esteem, problems at home, a learning disability, health issues
2. or depression. Be sure to evaluate each student's situation and try to find out the main reason for the lack of motivation.
3. ***Evaluate your teaching strategies and make the necessary adjustments.*** Take time to review your current teaching style and curriculum and decide if there are some things that you can do differently in order to better motivate your students.
4. ***Show enthusiasm in the classroom.*** In order to motivate students, the teacher should be motivated as well. It is very important for teachers to get excited about the classroom lectures and activities, because this helps to gain the students' attention and keeps them interested in learning.
5. ***Praise students often.*** Don't wait until a student has accomplished something major to give him a pat on the back. Always couple constructive criticism with a praise. You must realize that no matter how nice you make it sound criticism is criticism and many students view it as negative. Don't deliver correction for something done wrong without praising your student for something he has done right.
6. ***Make learning a collaborative effort.*** Allow students to work on a project with a partner or a team. As long as students are closely monitored and realize that the teacher is walking around the room, they will usually stay on task. There is strength in numbers, and students sometimes have more confidence in themselves when working with a partner.
7. ***Allow students to use technology in the classroom*** whenever possible.
8. ***Create excitement when introducing new ideas and concepts.*** Allow students to see how the new lesson relates to their lives. Provide real world examples when possible.
9. ***Check for understanding and review previously covered concepts often.*** To a student, the only thing worse than not understanding is feeling like everyone else understands everything when she is totally lost.
10. ***Realize that each student is an*** individual and, as such, no two students will be motivated in exactly the same way. Some need more encouragement and different techniques than others. The demographics of a classroom are sometimes

extremely varied, and you will have a wide range of socio-economic backgrounds to work with. Something that can mean the world to one student may be totally meaningless to another.

11. ***Let students know that you have high expectations of them*** and that you feel each student is important and has the ability to learn something from being in your classroom. Tell your students that you have faith in them. Constantly remind them that you believe in them.

So, motivation is the backbone of any classroom. When the students are motivated, the teacher can perform his/her job the best. A teacher can do a lot to improve the students' motivation, and the effort involved is an essential part of the teaching profession. Motivation is a necessity so that learning becomes a continuing, improving, interesting and hopefully enjoyable process. You as a teacher, must develop and encourage classroom motivation, i.e. think of and find ways to motivate students to reach their potential, their goals and their dreams.

REFERENCES:

1. Brown, H. Douglas. (1994). Principles of Language Learning and Teaching. New Jersey: Prentice Hall Regents.
2. Crookes, G., & Schmidt R.W. (1991). Motivation: Reopening the research agenda. Language Learning, 41(4), 469-512.
3. Gardner, R.C., & Lambert, W.E. (1972). Attitudes and motivation: Second language learning. Newbury House.
4. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16801

RESUME

The aim of the present article is to find out the significance of motivation as a contributing factor in a second language acquisition.

Motivation is often defined as the psychological quality that leads people to achieve a goal. For language learners, mastery of a language may be a goal.

Motivation is an important factor and plays a vital role in the learner's achievement. It is the backbone of any classroom. When the students are motivated, the teacher can perform his/her job the best.

A teacher can do a lot to improve the students' motivation, and the effort involved is an essential part of the teaching profession.

In the present article we describe different types of motivation with their characteristics and the ways of achieving them.

მოტივაცია და მისი როლი მეორე ენის ათვისებისას

მაია აკოლაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

სტატიის მიზანს წარმოადგენს მოტივაციის, როგორც მეორე ენის ათვისების ხელის შემწყობი ფაქტორის, მნიშვნელობის განსაზღვრა.

მოტივაციას ხშირად განმარტავენ როგორც ფსიქოლოგიურ თვისებას, რომელიც ეხმარება ადამიანს მიზნის მიღწევაში. ეს არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელსაც ემყარება ნებისმიერი აქტივობა. ენის შემსწავლელის შემთხვევაში მიზანს, შესაძლოა, ენის შესწავლა წარმოადგენდეს.

მოტივაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია და თამაშობს უმთავრეს როლს მოსწავლის მიღწევებში. იგი ნებისმიერი სასწავლო პროცესის წარმმართველ ძალას წარმოადგენს. როდესაც მოსწავლე მოტივირებულია, მასწავლებელს საშუალება ეძლევა თავისი საქმე საუკეთესოდ შეასრულოს.

მასწავლებელს უამრავი რამის გაკეთება შეუძლია მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად და მცდელობა მის მისაღწევად მასწავლებლის პროფესიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.

სტატიაში განხილულია მოტივაციის სხვადასხვა ტიპები, თითოეული მათგანის თავისებურებები და მათი მიღწევის გზები და საშუალებები.

ხელის წვრილი კუნთების მომზადება წერისათვის სკოლამდელებში

მზია გოგიაშვილი, აკადემიური დოქტორი

სკოლაში წასვლა ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. მისი გონებრივი, ფიზიკური, სოციალური შესაძლებლობები და უნარები მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბებულია. ამიტომ, ბავშვი, რომელიც სკოლაში მიდის, სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული სკოლისათვის, რათა მან უპრობლემოდ შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევა. სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარე პედაგოგიური პროცესი გარკვეულწილად ითვალისწინებს იმ უნარ-ჩვევების ფორმირებას, რაც მომავალ მოსწავლეს სკოლაში სწავლისათვის სჭირდება.

ბავშვის მომზადება სკოლისათვის შესაძლებელია მხოლოდ მთლიანი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების პირობებში. საბავშვო ბაღის მუშაობაში საჭიროა სპეციალური მომზადება, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ხელის წვრილი კუნთების კოორდინაციის განვითარებას, როგორც სკოლისათვის ბავშვის მომზადების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი შ. ჩხარტიშვილი სკოლაში ბავშვის ნორმალურად სწავლის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა მის მომწიფებას საამისოდ - „შინაგანად მომზადებას იმ გარემოში, იმ სოციალური ცხოვრების პირობებში, რომელიც სკოლისწინარე ასაკისათვის არის დამახასიათებელი. ბავშვი სკოლაში შესასვლელად მზადაა - მომწიფებულია, როცა მისი პიროვნება ყველა ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობებით ისეთ დონეზეა განვითარებული, რომ მას შეუძლია ყოველდღიური დავალებები, რომელსაც სასკოლო ცხოვრება უკარნახებს, თავის თავზე მიიღოს და განახორციელოს.“ [1, 11]

უფროსი სკოლამდელი ასაკი არის გარდამავალი საფეხური სკოლამდელიდან სასკოლო სწავლებაზე გადასასვლელად. ამიტომ, უნდა მომწიფდეს მოტორული აპარატი, სოციალურ-პიროვნული და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

სკოლამდელი ასაკი არის საკმაოდ რთული ასაკი, რომელიც მოითხოვს სიფრთხილეს, რათა ბავშვს გაუადვილდეს თამაშიდან სასწავლო მოქმედებებზე გადასვლა. „ბავშვის ცხოვრებაში, მის გარემოში და მისი პიროვნების განვითარებაში მკვეთრი გარდატეხა ხდება. ეს გარდატეხა უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბავშვის გარემოს და საზოგადოდ ცხოვრების შინაარსის იმ გარდატეხასთან, რომელიც სკოლაში შესვლასთანაა დაკავშირებული“. [2, 60]

სკოლისათვის ბავშვის მომზადებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ხელის წვრილი კუნთების კოორდინაციის განვითარებას. ამას ხელს უწყობს სკოლამდელ დაწესებულებებში მიმდინარე მეცადინეობები. მაგალითად ხატვა, რომლის დროსაც ბავშვი ეჩვევა ფანქარსა და ფუნჯს, ფანქრის თავისუფლად ჭერას, რის შემდეგაც ბავშვს გამოუმუშავდება ხელის სიმსუბუქე, ფორმის, სიდიდის, პროპორციის დაცვის უნარი.

როგორც ცნობილია, ხატვასა და წერას აქვს მსგავსებები. ორივე გრაფიკული საქმიანობაა იმ საგნით, რომელიც კვალს ქაღალდზე ტოვებს. ამიტომ საჭიროა ფანქრისა და ფუნჯის ჭერის სწორი ჩვევის გამომუშავება. მაგრამ ხატვისაგან განსხვავებით წერის დროს საჭიროა ასოების სწორი განაწილება ხაზზე, უჯრებში, პროპორციულობა. წერა, ხატვისაგან განსხვავებით, მოითხოვს სიზუსტეს. ყოველივე ეს ქმნის წერისათვის ხელის სპეციალური მომზადების აუცილებლობას. სწორედ სკოლაში შექმნილი სიძნელე - წერა და კითხვა უქმნის ბავშვს უარყოფით სურვილს, რომ სკოლაში წასვლა აღარ უნდა. ამიტომ, წერის სწავლებისათვის ბავშვის მომზადება საჭიროა სკოლამდელ ასაკში, რათა თავიდან ავიცილოთ წერის სწავლების დროს წარმოშობილი ნეგატიური შედეგები. ხელის წერისათვის მომზადება შესაძლებელია თამაშობებითა და სპეციალური სავარჯიშოების გამოყენებით.

წერის სწავლება სკოლის საქმეა, მაგრამ შეიძლება ბავშვი დაეუფლოს წერის სწავლების უნარ-ჩვევებს მანამ, სანამ უშუალოდ დადგება მის წინ წერის სწავლის ამოცანა. ამით ბავშვს გაუადვილდება სკოლაში წერის სწავლის პროცესი. ამიტომაა დღეს ეს საკითხი რომ დგას სკოლამდელ დაწესებულებებში. მაგრამ ამ სიძნელეების გადალახვა შესაძლებელია, „საჭიროა ამ ორი ასაკობრივი გარემოს ერთმანეთთან შეძლებისდაგვარად დაახლოება“... მაგრამ ეს დაახლოება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ პირდაპირ გადმოვიტანოთ სკოლის მეთოდები საბავშვო ბაღში, ან საბავშვო ბაღისა სკოლაში.“ [3, 56]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერის სწავლებას ხელს უწყობს სახვითი საქმიანობა. ამ საქმით ბავშვის ხელი უფრო მსუბუქი, დახელოვნებული ხდება, რაც ხელს უწყობს წერის სწავლების ჩვევას,

განსაკუთრებით ფანქრით ხატვის დროს. ეს იგივეა, რომ ბავშვს კალამი ეჭიროს, ამას კი ხელს უწყობს პედაგოგი, რომელიც თვალყურს ადევნებს ბავშვის მოქმედებებს, თუ რომელ თითებში უჭირავს ფანქარი, როგორ უჭირავს, როგორ უნდა დააჭიროს ხატვისას ფანქარი და ა.შ. ასევე საჭიროა სპეციალური სავარჯიშოები და თამაშების ჩატარება, რათა ბავშვს გაუადვილდეს თამაშიდან სასწავლო მოქმედებაზე უმტკივნეულო გადასვლა.

როგორც ცნობილია, თამაში ხელს უწყობს მოძრაობის განვითარება-სრულყოფას, დიფერენცირებული უნარის განვითარებას, სივრცით ნიშნებში ორიენტაციას, დაკვირვებულობას, ყურადღებას, სწრაფი მოსაზრებულობის უნარის აღზრდას. ასეთი თამაშები ბავშვისაგან მოითხოვს სენსომოტორულ აქტივობას და ხელს უწყობს შეთანხმებული მოქმედების განვითარებას, აგრეთვე ხელის წვრილი კუნთების განვითარებას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვს წერისათვის ხელის მომზადებაში.

თამაშებში, განსაკუთრებით ქართულ ხალხურ თამაშებში, გვაქვს შეჯიბრის ხასიათის ვარჯიშები, რომელიც სტიმულს აძლევს ბავშვს უკეთ დაეუფლოს თამაშის წესს. ამ თამაშების მნიშვნელობა „იმ უნართა ძალთა გავარჯიშებაში მდგომარეობს, რომელთა მომწიფება უკვე დაწყებულია, მაგრამ გამოიყენება სერიოზული ცხოვრების სიტუაციაში, ბავშვს უფრო გვიანდელ ასაკში დასჭირდება“. [2, 33]

მაშასადამე, ბავშვის მომზადება სკოლისათვის შესაძლებელია მხოლოდ მთლიანი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების პირობებში. საბავშვო ბაღებში გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებები, რომლებიც კეთილსასურველ პირობებს ქმნიან მომავალი მოსწავლისათვის დამახასიათებელი ჩვევებისა და თვისებების ფორმირებისათვის. წერისათვის ხელის მომზადებისათვის საჭიროა ხელის მტევნის და თითების ვარჯიში, ელემენტარული გრაფიკული ჩვევების ფორმირება, ქაღალდის ფურცელზე ორიენტაცია. ამგვარად, ბავშვის სკოლისათვის მომზადების ერთ-ერთი ამოცანაა ხელის წერისათვის მომზადება, რომელიც ჩატარდება ბავშვის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამ მიზნით კი საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული თამაშები და სავარჯიშოები.

ლიტერატურა:

1. შ. ჩხარტიშვილი, სასკოლო ცხოვრების დასაწყისის ფსიქოლოგია. წიგნში „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, წ. 1, „განათლება“, თბ., 1975.
2. რ. ნათაძე, დაბადებიდან თხუთმეტ წლამდე, გამომც. „ნაკადული“, თბ., 1962.
3. ი. კოტეტიშვილი, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების საკითხი, ჟურნ. „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა“, 1970, №3

რეზიუმე

სკოლისათვის ბავშვის მომზადება ესაა, ბავშვის გონებრივი, ფიზიკური, სოციალური შესაძლებლობებისა და უნარების ჩამოყალიბება, რათა სკოლაში მისულს შეეძლოს იმ პრობლემების საკუთარ თავზე აღება და შესრულება, რომელსაც სკოლა უყენებს მას.

სკოლისათვის ბავშვის მომზადებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის მომზადებას წერისათვის და მის კავშირს თამაშსა და სხვადასხვა სავარჯიშოებთან. ისინი ხელს უწყობენ ხელის წვრილი კუნთების განვითარებას, რაც საბოლოოდ ბავშვის წერისათვის ხელის მომზადებაში ყალიბდება.

PREPARATION OF HAND SMALL MUSCLES FOR WRITING AMONG CHILDREN UNDER SCHOOL AGE

Mzia Gogiashvili, Doctor of Pedagogical Sciences

RESUME

Preparation of a child for school is a formation of child's mental, physical and social capabilities and skills to be able to deal with those problems, which he/she meets at school.

One of the important roles of child's preparation for school is a child's preparation in writing and its connection to some games and exercises. Such things develop hands' small muscles, which finally contributes child's preparation for writing.

CONSTRUCTION AND ADMINISTRATION OF ASSESSMENT BY TESTS

***Nino Davitashvili**, Specialist by contract*

Introduction. Assessment perhaps is one of the least understood areas of language teaching and learning. Students and teachers alike cringe when they hear the word "testing". Students see tests as a threat to their competence, because they are afraid they will not perform well. Teachers do not often like to contrast tests, and are not altogether satisfied with the results when they do.

Taking into consideration what I have learnt from my co-teachers of Gori University (I wanted to know what they thought about tests and questioned 35 teachers of English), I may admit that

1. tests are used as punishment because many students do not do the homework.(18 teachers).
2.. tests are the only measure for grading. (9 teachers).
3. tests do not reflect what was taught. (8 teachers).

Results of my Survey



There was a lack of teacher confidence in their own tests.

However, both students and teachers are suspicious of tests. In recent years there has been a growing interest in improving the situation. These problems connected with the assessment of tests is caused by lack of knowledge of construction and administration of tests.

A constructive view. A constructive view of language testing exists when

1. testing is seen as an opportunity for interaction between teacher and a student.
2. students are judged on the basis of the knowledge they have.
3. the tests are intended to help students improve their skills.
4. the criteria for success on the tests are clear to students.
5. Students receive a grade for their performance on a set of tests representing different testing methods (not just one).
6. the test takers are trained in how to take tests-especially those involving unfamiliar formats.
7. the tests are returned promptly.
8. the results are discussed.

Test constructions first make an inventory of the objectives that they want to test. This involves distinguishing broad objectives from more specific ones and important objectives from trivial ones. Test items and procedures are then developed to assess these objectives either separately or along with other objectives. Varying the type of items or procedures testing a particular objective, as well as the difficulty, helps distinguish one student's grasp of the area covered by the objectives from that of another student.

The number of test items or procedures used to measure any given objective depends on several things. First, is the test intended to assess mastery of the objectives or simply some degree of attainment?

If mastery is being assessed, there should be a large enough sample of items to allow its measurement. For example, including only one item on tag questions is unlikely to indicate to the testers that the respondent has a firm grasp of tag questions. But if the testers do not have the testing time to allow for, say three items on tag questions, then they should at least be aware that they are not really testing for mastery.

A respondent's correct answer on one item could be a result of guessing. Testers usually do not have the time to cover all the objectives they would like to, so instead they must satisfy themselves with a sampling.

If the test is designed for use in a course, then the objectives covered might be those most emphasized in the course and those of greatest value for the students as well. Testers may need to resist the temptation to include difficult items of marginal importance simply because they differentiate between the better and poorer achievers.

Discussing test format, my co-teachers admitted that the best variant of test format is to start the test with relatively easy items and then start interspersing easy and difficult items. The instructions should be brief and yet explicit and unambiguous.

If an objective is tasted by more than one item _ then it is possible to speak of mastery of an objective.

The reliability of a test concerns its precision as a measuring instrument. Speaking about reliability, we have to identify at least three factors: test factors, situational factors and individual factors.

Test factors. Test factors include the extent of the sampling of the objective, the degree of ambiguity of the items and restrictions on freedom of response.

Situational factors. The manner in which the examiner presents the instructions, the characteristics of the room (comfort, lighting, outside noises, and other factors can have a bearing on how well the respondents perform on the test.

Individual factors. These include:

1.transient factors, such as the physical and psychological state of mind of the respondent motivation, rapport with the examiner).

2.stable factors, such as a mechanical skill, IQ ability to use English, and experience with such tests.

Validity refers to whether the test actually measures what it purports to measure.

The test must be reliable before it can be valid.

Face validity. This aspect of validity refers to whether the test looks as if it is measuring what it is supposed to.

Content validity. This type of validity refers to the adequacy of sampling of content or objective in a test. Sometimes even commercial tests constructed by experts fail to state what objectives are being covered in the text and which items specifically are testing each of these objectives.

Criterion-related validity. A test can be validated by seeing how closely respondents' performance on specific sets of objectives on a total test parallels their performance at the same time or in the future on another test which is though the measure the same or similar activities.

1.concurrent validity: validation is concurrent if test results are compared with results from another test given at about the same time.

2.predictive validity: validity is predictive if test results are compared with results from another test or another type of measure obtained at a later date.

Construct validity. This form of validity refers to the degree to which theory of the trait being measured, in this case, language.

Convergent validity. validity in testing or given construct, such as listening comprehension, may be attained by testing the same phenomenon in a variety of different ways. The classroom teacher can practice this kind of validation.

Conclusion. Knowledge about construction of the tests and administration of tests help us avoid lots of misunderstandings connected with tests. Tests must reflect what was taught, the instructions should be brief and unambiguous, test format should have a compromise (a compromise is to start the test with relatively easy items and then start interspersing easy and difficult ones. Reliability of a test concerns its precision as a measuring instrument and validity refers to whether a test actually measures what it purports to measure.

REFERENCES:

1.Alderson, J. c., Clapham, and D. wall. (1995). *Language Test Construction and Evaluation*. New York: Cambridge University Press.

2.Brown, J. D., (1998). *New Ways of Classroom Assessment.* Alexandria, VA: TESOL.

3.McNamara, T. (2000). *Language Testing.* Oxford: Oxford University Press.

SUMMARY

The article: "Construction and Administration of Assessment by Tests" deals with the problem of constructing and administration of tests. Many teachers and students find it difficult to construct, administrate and assess by tests. Having huge information about how to make tests, what are the facts that must be taken into consideration, some teachers and students still consider that tests do not reflect what is taught and there is a lack of teachers' confidence in their own tests. The given article discusses some of these problematic questions and pay our attention to test format, test instructions, different types of test reliability and test validity.

ტესტებით შეფასების კონსტრუქცია და ადმინისტრირება

ნინო დავითაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

სტატიაში „ტესტებით შეფასების კონსტრუქცია და ადმინისტრირება“ საუბარია ტესტების აგებაზე და მათი საშუალებით სტუდენტის ცოდნის შეფასებაზე. ბევრი მასწავლებლისა და სტუდენტისათვის ტესტების შედგენა და მათი საშუალებით სდუდენტთა შეფასება პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არსებობს ბევრი ინფორმაცია თუ როგორ უნდა შევადგინოთ ტესტი, რა ფაქტებია გასათვალისწინებელი ტესტის შედგენისას, ბევრი მასწავლებელი კვლავ მიიჩნევს, რომ ტესტს არ შეუძლია ასახოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა. მოცემულ ნაშრომში განხილულია ეს პრობლემური საკითხები და ყურადღება გამახვილებულია ტესტის ფორმატებზე, სხვადასხვა სახის ტესტებზე და მათ ვალიდურობაზე.

ინტელექტის განვითარება უცხო ენების ადრეული სწავლების ფონზე

ქეთევან ლომსაძე, ასოცირებული პროფესორი

პედაგოგიური ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ყოველთვის იყო და დღეს განსაკუთრებით აქტუალურია მოზარდი თაობის ყოველმხრივი თეორიული განათლების წარმატებული განხორციელება. გარკვეული პერიოდები საზოგადოების განვითარებაში შესაბამის ამოცანას აყენებს განათლების სისტემისადმი, რაც აისახება პედაგოგიური მუშაობის მიზნებსა და მიმართულებებში. მიმდინარე პერიოდში გაიზარდა მოთხოვნა უცხო ენების კუთხის ინტენსიური განათლების მისაღებად, რამაც წარმოშვა უცხო ენების ადრეულ საკში (სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში) სწავლების ტენდენცია.

უკვე ორმოცი წელია ევროპის, ამერიკისა და შუა აზიის მრავალ ქვეყანაში ტარდება მრავალმხრივი გამოკვლევები სწავლის პროცესში მშობლიური და უცხოური ენების ურთიერთქმედების დასადგენად. (1) აღნიშნული კვლევები ძირითადად ინტელექტის პრაქტიკულ, ლინგვისტურ და სოციალურ მხარეებს ეხება.

პედაგოგიურ სფეროში არის მოსაზრება, რომ 4-5 წლის ბავშვი უკვე მზადაა უცხო ენის შესასწავლად, სხვა მოსაზრებით ეს ასაკი 3 წლამდეც დადის. მის საფუძველს ქმნის ამ ასაკის მოზარდში კოგნიტური ფუნქციების განვითარების თავისებურებანი, კერძოდ: 3-დან 6 წლამდე ბავშვს განვითარებული აქვს ხატოვანი აზროვნება, რაც მეხსიერების განვითარების გააქტიურების ფონზე მიმდინარეობს. რამდენადაც უცხო ენების შესწავლა ამ ასაკში ძირითადად მეხსიერების საფუძველზე ხორციელდება, ეს განაპირობებს სწავლებაში მაღალ შედეგებს. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ფსიქოლოგთა ნაწილი, რომელიც მეხსიერების ზედმეტად გააქტიურებას აღნიშნულ ასაკში აზროვნების განვითარების (ლიგიკური აზროვნების) შემაფერხებელ გარემოებად მიიჩნევს.

აღნიშნული პრობლემის მეტ-ნაკლებად ასახსნელად ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ექსპერიმენტული კვლევები 7-8 წლის მოსწავლეების ორ ჯგუფზე, კერძოდ: ცდისპირთა ერთ ჯგუფში შედიოდნენ ბავშვები, ხოლო მეორე ჯგუფი კი უცხო ენას ჩვეულებრივ რეჟიმში სწავლობდა (მეორე კლასიდან). ბავშვებზე ჩატარებული იქნა კვლევა ინტელექტის სხვადასხვა მხარის განვითარების დონის დასადგენად, რათა მონაცემთა შედარების საფუძველზე გვემსჯელა მათი განვითარების შესახებ.

კვლევისთვის გამოვიყენოთ ,,პიაჟეს ფენომენის“ დასადგენი ცდის ორი ვარიანტი; უწყვეტი და დისკრეტული მასალისათვის, ასევე კაუფმანების სუბტესტი და რავენის ინტელექტის ტესტის საბავშვო ვარიანტი (10 კითხვა).

ექსპერიმენტი ჩატარებული იქნა თბილისის №88 და №50 საჯარო სკოლებში, სულ 80 8 წლიან მოსწავლეზე, რომელთაგან 40 სწავლობდა უცხო ენების გაძლიერებული პროგრამით საბავშვო ბაღში 4-5

წლის ასაკიდან და 40 კი ჩვეულებრივი საბავშვი ბაღის აღსაზრდელია, რომლებმაც მხოლოდ მშობლიური ენა იციან.

როგორც ცნობილია, სწავლება გავლენას ახდენს ფსიქიკური პროცესების განვითარებაზე. ამიტომ სწავლებამ უნდა უზრუნველყოს ფსიქიკური განვითარების ყველაზე სრულყოფილი ფორმა, მისცეს აღსაზრდელებს ნებისმიერ ასაკში ის, რაც მათი მაქსიმალური განვითარებისათვის არის საჭირო. უცხო ენების სწავლებისათვის ეს პერიოდია 5 წლიდან 9 წლამდე (ოპტიმალური პერიოდი), რადგან ამ პერიოდში ვითარდება როლებიანი თამაშის ფორმა, რაც შეიძლება უცხო ენის შესწავლის საფუძველი გახდეს.

ჩვენი ექსპერიმენტების შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ სამ ცხრილში, ცალკეული მეთოდიკისთვის ცალ-ცალკე.

აღმოჩნდა, რომ ,,პიაჟეს ფენომენის“ საკვლევი მეთოდიკით ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები საკმაოდ თვალსაჩინო სხვაობას გვაძლევს ცდისპირთა ამ ორ ჯგუფს შორის, რაც ცხრილი №1-დან ჩანს:

ცხრილი №1

მოსწავლეები უცხო ენების სწავლების ადრეული პროგრამით	,,პიაჟეს ფენომენის“ არსებობა				,,პიაჟეს ფენომენის არ არსებობა			
	რაოდენობა		%		რაოდენობა		%	
	დისკრეტ.	უწყვ.	დისკრეტ.	უწყვ.	დისკრეტ.	უწყვ.	დისკრეტ.	უწყვ.
	38	22	95%	45%	2	18	5%	55%
მოსწავლეები ჩვეულებრივი პროგრამით	4	2	10%	5%	36	38	90%	95%

კაუფმანების რუბტესტის გამოყენებით ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია №2 ცხრილში:

ცდისპირები	სწორი პასუხების რაოდენობა %			
მოსწავლეები უცხო ენის სწავლების ადრეული პროგრამით	1,2	3,4	5,6,7	8,9,10
	50%	45%	5%	0%
მოსწავლეები ჩვეულებრივი პროგრამით	95%	75%	45%	8%

რავენის ტესტის შედეგები მოცემულია №3 ცხრილში

ცხრილი №3

ცდისპირები	სწორი პასუხების რაოდენობა %			
მოსწავლეები უცხო ენის სწავლების ადრეული პროგრამით	12,3	4,5,6	7,8	9,10
	50%	35%	18%	0%
მოსწავლეები ჩვეულებრივი პროგრამით	95%	75%	50%	15%

ჩატარებული ექსპერიმენტის ფარგლებში და ასევე ცდისპირთა განვითარების დაკვირვების საფუძველზე, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: უცხო ენების სწავლება მოსწავლეებში ანვითარებს მეტყველების პროცესს, სხვა ჰუმანიტარული დისციპლინის შესწავლის უნარს, მშობლიური ენის გაცნობიერებულ შესწავლას, სმენითი, მხედველობითი აღქმის უნარს, ასევე მეხსიერებას, წარმოსახვასა და კომუნიკაციურ პროცესებს.

აღნიშნულ სასწავლო პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა პიროვნულ თვისებებს, აღმოჩნდარომ კომუნიკაბელური ბავშვები უფრო სწრაფად ითვისებენ და სწავლობენ უცხო ენას, ვიდრე ნაკლებად კომუნიკაბელური ბავშვები, შესაბამისად მათთან სწავლებისას მეტი ძალისხმევაა საჭირო, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას და მიზნის გაცნობიერების ფაქტს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული კვლევების შედეგად გამოიკვეთა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: უცხო ენების ადრეულ ასაკში სწავლება გარდა ზემოთაღნიშნული მიღწევებისა,

პიროვნული განვითარების კონკრეტულ-ინდივიდუალურ დონეზე მორგების ღონისძიების გარეშე, იწვევს ლოგიკური აზროვნების განვითარების შეფერხებას. ეს გამოწვეულია მეხსიერების პროცესის ზედმეტად გააქტიურების ფაქტით, რაც ასევე ეხება პრაქტიკული ინტელექტის განვითარების პროცესსაც. უცხო ენების ინტენსიური სასწავლო პროგრამის შემოტანამდე საჭიროა ჯგუფის თითოეული მოსწავლის დიაგნოსტირება მშობლიურ ენაზე, აზროვნების განვითარების დონის დასადგენად. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განისაზღვროს უცხო ენების სწავლების მოცულობა და ინტენსივობა აღნიშნულ ჯგუფთან, რათა არ მოხდეს ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების განვითარების შეფერხება.

უცხო ენის სწავლება ნებისმიერი ასაკიდანაა შესაძლებელი, მთავარია ვიცოდეთ: რა მოცულობით და როგორ ვასწავლოთ. ამას ადატურებს დიმიტრი უზნაძის სიტყვებიც: „სწავლა-სწავლების პროცესი დამთრგუნველად იმოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე, თუ სწავლას მხოლოდ აღმზრდელის მიზნების მიხედვით წარვმართავთ და სათანადო ანგარიშს არ გავუწევთ მოზარდის შინაგან შესაძლებლობათა დონეს“. (1)

ლიტერატურა:

1. ახალი განათლება, 27.10.2010.

რეზიუმე

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად მოიმატა ტენდენციამ ადრეულ ასაკში ბავშვების უცხო ენების სწავლების პროგრამებში ჩართვის კუთხით. ეს ეხება როგორც კერძო სასწავლო პროგრამების, ასევე ასეთი პროგრამებით მომუშავე სკოლამდელ დაწესებულებებს. ეს ტენდენცია კარგა ხანია მუშაობს სხვა ქვეყნებში და ჩვენთანაც ანალოგიურად. მას აქვს გარკვეული წარმატებები უცხო ენების შესწავლაში და ასევე გარკვეული პიროვნულ-სოციალური უნარების ჩამოყალიბების კუთხით ბავშვებში.

ჩვენ ვიკვლიეთ ამ პროგრამების ზემოქმედების შედეგები ლოგიკური აზროვნების განვითარებაზე. ექსპერიმენტებში მონაწილეობდა ცდისპირთა ძირითადი და საკონტროლო ჯგუფის სულ 80 8 წლიანი ბავშვი. შედეგებმა დაგვანახა, რომ ეს პროგრამები აფერხებს ლოგიკური აზროვნების განვითარებას. აღნიშნული შედეგების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ასეთ პროგრამებში ჩართვამდე ჩატარდეს მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების დიაგნოსტირება და ინდივიდუალურად შეირჩეს თითოეული მათგანისათვის უცხო ენის სასწავლო პროგრამის მოცულობა, დრო და მეთოდები.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად აღმოჩნდა, რომ უცხო ენების სწავლება მოსწავლეებში ავითარებს მეტყველების პროცესს, სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების შესწავლის უნარს, მშობლიური ენის გაცნობიერებულ შესწავლას, სმენითი, მხედველობითი აღქმის უნარს, ასევე მეხსიერებას, წარმოსახვას და კომუნიკაციურ პროცესებს.

განსაკუთრებით ავითარებს წარმოსახვასა და მეხსიერებას, თუ უცხო ენების სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი ენობრივი გარემოს გარეშე. როცა ბავშვი იზრდება უცხოური ენის გარემოში, რეალურად შედეგი უფრო სწრაფად და მარტივად მიიღწევა წაბაძვის საფუძველზე.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა პიროვნულ თვისებებს. აღმოჩნდა რომ კომუნიკაბელური ბავშვები უფრო სწრაფად ითვისებენ და სწავლობენ უცხო ენას, ვიდრე ნაკლებადკომუნიკაბელური ბავშვები, შესაბამისად მათთან სწავლებისას მეტი ძალისხმევაა საჭირო, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას და მიზნის გაცნობიერების ფაქტს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული კვლევების შედეგად გამოიკვეთა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: უცხო ენების ადრეულ ასაკში სწავლება მიუხედავად ზემოთაღნიშნული მიღწევებისა პიროვნული განვითარების კონკრეტულ-ინდივიდუალურ დონეზე მორგების ღონისძიების გარეშე, იწვევს ლოგიკური აზროვნების განვითარების შეფერხებას. ეს გამოწვეულია მეხსიერების პროცესის ზედმეტად გააქტიურების ფაქტით, რაც ასევე ეხება პრაქტიკული ინტელექტის განვითარების პროცესსაც. მეხსიერება და პრაქტიკული აზროვნება დიდი ინტენსივობით ვითარდება და ლოგიკური აზროვნების განვითარების პროცესს აკლდება ენერგია განვითარებისთვის. ამიტომ უცხო ენების ინტენსიური სასწავლო პროგრამის შემოტანამდე საჭიროა ჯგუფის თითოეული მოსწავლის დიაგნოსტირება მშობლიურ ენაზე აზროვნების განვითარების დონის დასადგენად. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განისაზღვროს უცხო ენების სწავლების მოცულობა და ინტენსივობა აღნიშნულ ჯგუფთან, რათა არ მოხდეს ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების განვითარების შეფერხება.

DEVELOPMENT OF INTELLECT ON THE EARLY TEACHING OF FOREIGN LANGUAGES

Ketevan Lomsadze, Associate Professor

RESUME

At the last period the tendency of teaching foreign languages to children has risen.

At deals with private teaching programs and under school institutions, witch works with the same programs as well. This tendency has take part in other countries as well as in our country for long time.

It has its certain successes in the progress of language learning and in formation of personal –social abilities. We analysed the results of the influence of this program on the development of logical thinking. Eighty children at the age of 8, who were divided into two groups, took part in our experiment. The first group was called the basic and the second was the group under control.

The results showed that there programs obstacle development of logical thinking. In order to prevent such results it is necessary to provide diagnostic of pupils cognitive development and the methods of teaching programs, its time and size which should be selected individually for per child.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

ჭალის ტყეების ეკოლოგიური მნიშვნელობა

მაია აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ასევე რეგიონალური და გლობალური თვალსაზრისით. კავკასიის ეკორეგიონი ერთ-ერთია იმ ორას ეკორეგიონს შორის, რომლებიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ აღიარებულია კონსერვაციისათვის პრიორიტეტულ ადგილებად შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები, ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებები, მცენარეულობის ტიპების მრავალფეროვნება და ბიომების იშვიათობა გლობალურ დონეზე.

რელიეფის სირთულე და არსებითად განსხვავებული კლიმატი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას განაპირობებს. საქართველოს **ძირითადი ბიომებია:** ჭალის ტყეები, ნახევარუდაბნო, სტეპი, არიდული მეჩხერი ტყე, ფართოფოთლოვანი, წიწვოვანი და შერეული ტყის ბიომები, სუბალპები, ალპები, სუბნივალური და ნივალური ბიომი, ჭაობები და შიდა წყლები.

ჭალის ტყე მეტად საინტერესო ეკოლოგიური ობიექტია. ვითარდება ტერასაზე ჰიდრომორფულ პირობებში. ამ ტყეს აქვს დიდი წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. წყალდიდობების დროს ის იცავს სოფლის მეურნეობის კულტურებს განადგურებისაგან. წარსულში ამ ტყეს ფართო გავრცელება ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთა და დაბლობებზე. უფრო ტიპიურად გამოსახული იყო მტკვრის ნაპირებზე, იორისა და ალაზნის ქვედა მიმდინარეობაზე. საკმარისად კარგი კორომები იყო შენახული ლიახვის ხეობაზე გორსა და სოფ. კარალეთის შუა, მაგრამ თითქმის ყველგან განადგურებულია და მხოლოდ მისი ნაშთებიღაა შემორჩენილი. [1]

ცნობები ამ ტყის შესახებ ნაკლებად გვხვდება ლიტერატურაში. დაწვრილებითი მიმოხილვა აქვს ნ. კეცხოველს. [2] მისი აზრით, ამ ტყეებისათვის მთავარი და დამახასიათებელი ხეებია: ვერხვი, ხვალო (Populus hybrida M. B.), ოფი (P.nigra L.) და მურყანი (Ajnus barbata Anders) ტირიფები (Salix australior Suders. S. alba L.,S. Caprea L.), ცოტა უფრო მშრალ ადგილსამყოფელზე - ჭალის მუხა (Quercus longipes Stev.) და ჭალის თელა (Ulmus suberosa Moench), მეორე ტერასაზე აგრეთვე (U. Foliacea Gilib). ქვეტყეში მრავლადაა კუნელი (Crataegus kyrtostyla), ქაცვი (Hippophae rhamnoides). [1]

ჭალის ტყის ანალოგი გავრცელებულია შუა აზიის ველებში, უდაბნოებსა და ნახევრადუდაბნოებში, იქაურ მდინარეთა ჭალებში, რომელთაც ტუგაის ტყეს უწიდებენ. ტუგაის ტყეების შემადგენლობაში მონაწილე ხის ჯიშები ჩვენი ჭალის ტყის ხეებისაგან განსხვავდება.

ჩვენი ჭალის ტყეები გავრცელებულია მტკვრის ხეობაში, მდ. ალაზნის, ივრის არაგვის, ქსნის, პატარა ლიახვის, დიდი ლიახვის, ფცის, ფრონის, მაშავერის, ალგეთის, ვერეს, ძამას, თეძამის და სხვა მდინარეთა ჭალებში.

მდინარეულ აუზებში ფორმირდება რამოდენიმე ტერასა. მდინარის დონეზე გავრცელებულია ალის ტერასა. თავის მხრივ ჭალის ტერასა იყოფა ორ ტერასად - დაბლივ და მაღლივ ტერასებად. მათ შორის საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი იტბორება მდინარის მიერ და გრუნტის წყლების დონე ხე-მცენარეულობის ფესვთა სისტემის არეალშია. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ დაბლობი ტერასა პრაქტიკულად ყოველწლიურად იტბორება, ხოლო მაღლივი - რამდენიმე წელიწადში ერთხელ. ყოველ შემთხვევაში, ჭალის ტერასები თანამედროვე ტერასებია.

ჭალის და მდინარის სხვადასხვა ტერასები მკაფიოდ განსხვავდება დატენიანების ხასიათის მიხედვით. ჭალის ტერასის შემთხვევაში ადგილი აქვს პერიოდულ დატბორვას და ხე-მცენარეულობის ფესვთა სისტემის განლაგებას გრუნტის წყლების არეალში. მდინარეული ტერასები კი იტბორება და გრუნტის წყლები იმდენად ღრმადაა, რომ ისინი არ აღწევენ ფესვთა სისტემის არეალს.

მდინარის პირას პირველ და მეორე ტერასის გადაკვეთაზე არსებული ტყე მისთვის დამახასიათებელია საკვები ნივთიერებით მდიდარი ლამიანი ნიადაგი, პერიოდული დატბორვა, გრუნტის წყლის სიახლოვე. მდინარისპირა ტყე მრავალსართულიანია. ზედა სართული, უკავია ხვალოს, ოფს, ჭალის მუხას, თელას; მეორე სართული — ტირიფს, თუთას, მაჟალოს, ნეკერჩხალს, ხოლო ქვედა სართული — სხვადასხვა სახეობის კუნელს, ზღმარტლს, შინდს, შინდაწლას და სხვა სახეობებს. სართულები ერთმანეთში ხვიარა მცენარეებითაა გადახლართული. საქართველოში ამ სახის ტყეები ფართოდ იყო გავრცელებული, ამჟამად მცირე მასივებია (ჭიაური — ალაზანზე; ყორუღი – იორზე და რუათავი – მტკვარზე გარდაბნის მიდამოებში) შემორჩენილი. მდინარისპირა ტყეს დიდი მნიშვნელობა აქვს წყალდიდობისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისა და სანადირო ფაუნის შენარჩუნებისათვის.

ჭალის ტყე მდინარის პირველ ტერასაზეა გავრცელებული და მისი ნიადაგი ჩვეულებრივ უფრო ლამიანია, ადრე გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს, რამდენიმე ხანს წყლით იფარება და სწორედ ამითაც აიხსნება ის მოვლენა, რომ მისი ბალახეული საფარი მრავლად შეიცავს ისეთ მცენარეებს, რომელნიც ჩვეულებრივ რიყეებისათვის არის დამახასიათებელი. ხშირი მოვლენაა რიყის ცოტაოდენ დაცილებული ჭაობები, უმთავრესად კი ლელიანი შექმნილი Phragmites communis Trin მიერ. [3]

ჭალის ტერასაზე ფორმირდება ალუვიური ნიადაგები. ესაა ახალგაზრდა, თანამედროვე ნიადაგები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია შრეობრივი აღნაგობა და მინერალური ნაწილის ტრანსფორმაციის საწყის სტადიაზე ყოფნა. ამ ნიადაგების ქიმიზმი ბევრადაა განპირობებული საკვლევი აუზის ამგები ქანებს ქიმიზმით [3].

მდინარის ნაპირიდან დაცილებით რელიეფის შემაღლების მიხედვით ჭალაში გარკვეული ეკოლოგიური რიგი იქმნება. მდინარის სიახლოვეს, სადაც ნიადაგში გრუნტის წყალი საკმაოდ ზემოთ არის, ტირიფები და ვერხვები ჭარბობენ, შემაღლებულ უფრო დაწრეტილ ადგილებში კი გავრცელებულია მუხები და თელები. ცალკეული ხეების მიხედვით შეიძლება ზოგან ეს კანონზომიერება დაირღვეს, სამაგიეროდ ცენოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ეს ეკოლოგიური რიგი უფრო მყარია [2].

ჭალის ტყეები მრავალფეროვან ვარიანტებს ქმნიან, რომელთა შორის შესაძლებელია აღინიშნოს:

1. ტირიფნარი (უმთავრესად Salix australior Anders.)
2. ვერხვნარი (Populus hybrida MB.) ამ დაჯგუფებას მდინარის უახლოესი სანაპიროები უჭირავს.
3. ვერხვნარ-ტირიფნარი უშუალოდ წყლის პირზე ვრცელდება და ხშირად პირველ დაჯგუფების შემნაცვლელია.
4. მურყანი (Alnus barbata G.A.M.).
5. ვერხვნარ-მუხნარი (P. hybrida M. B. + Quercus longipes Stev.) წყლის პირიდან ჩვეულებრივ იგი მეორე ზოლის დაჯგუფებაა და მუხნარის ზოლში გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს.
6. მუხნარი, რომელშიც გაბატონება ჭალის მუხას მიეკუთვნება. იგი ამ ტყის მესამე ზოლად უნდა დაისახოს.

7. მუხნარ-თელნარი (Q. Longipes Stev.+Ulmus suberosa Moench) ეს უკანასკნელი ზოლია წყლის პირიდან, რომელიც უშუალოდ ეკვრის ველებს, მაგრამ ველისა და ამ ტიპის ტყეთა შორის ჩვეულებრივ გარდამავალი საფეხურიც არსებობს ბუჩქნარის სახით.
8. ბუჩქნარი, რომელშიც ველის ელემენტები საგრძნობლად ჭარბობს. [2]

ვ. გულისაშვილი კავკასიაში ცალკე ბუნებრივ ზონად გამოყოფს ბარის ტყეების ზონას. თავის მხრივ, ეს ზონა იყოფა ორ ქვეზონად: სუბტროპიკული და ზომიერად თბილი კლიმატის ქვეზონად. პირველ ქვეზონაში შედის კოლხეთის და თალიშის ბარის ტყეები, ხოლო მეორეში - თერგის, ალაზნის, მტკვრის, და სხვ. მდინარის ბარის ტყეები. ვ. გულისაშვილი აღნიშნავს, რომ მტკვრის, ქსნის, იორის, ალაზნის, და სხვათა მდინარისპირა ტყეები პირველ ტერასებზეა წარმოდგენილი ახალგაზრდა ალივიური ნიადაგებით და ამ ტყების ზოგჯერ ტუგაის ტყეების სახელწოდებით განმარტავენ. თუმცა კავკასიაში მდინარსპირა ტყეებს ხშირად განსაზღვრავენ როგორც ტუგაის ტყეებს, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ნიადაგური პირობებით, ისე ჯიშების შედგენილობითა და მათ მიერ შექმნილი ცენოზების ხასიათით.

ვ. გულისაშვილის მიხედვით მდინარისპირა ტყეები წარმოდგენილია ხვალოთი (Populus hybrido M.B). ოფით (Populus nigra L). ტირიფით (Salixaustralior Andress), თელით (Ulmus suberosa Moench), ქაცვით (Hippophae rhomnoides L.).

აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყე შესწავლილია ძირითადში კახეთის მაგალითზე. [3,4] მათ მიერ განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეების ნიადაგების მიკრომორფოლოგია. თ. ურუშაძის და უ. ინანაშვილის შესწავლილი აქვთ ალაზნის ველის ჭალის ტყეები და ნიადაგები. მათ მიერ მოცემული ჭალის ტყის ეკოლოგიური რიგი შემდეგნაირია: უშუალოდ მდინარის პირას ახალგაზრდა ალუვიურ ნაფენებზე, კუნძულებზე და ძველ კალაპოტებში ვიწრო ზოლად ან მცირე ჯგუფებად გვხვდება ტირიფები, მოშორებით ვერხვები, შემაღლებულ უფრო დაწრეტილ ადგილებში გავრცელებულია მუხნარები და მუხნარ-თელნარები.

ნ. კეცხოველის [2] აზრით ჭალის ტყის დეგრადაციის ეტაპებია: 1. ვერხვნარი, 2. ვერხვნარ-ტირიფნარი, 3. ტირიფნარი, 4. ბუჩქნარი, 5. რიყის მცენარეულობა, 6. რიყე, 7. მდინარე.

ამ ტყის შევიწროვება ორი მხრიდან წარმოებს:



ადამიანს გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ჭალის ტყის მოსპობაში. ბუნებრივი ფაქტორების მოქმედებას განსაკუთრებულად ადამიანის ფაქტორი აჩქარებს. ისეთ ადგილებში, სადაც ვერხვები უკვე ამოჩეხილია, ტირიფნარი ვითარდება. ვერხვი პირველ ხანებში კიდევ იძლევა საკმაოდ ძლიერ ნაბარტყს, მაგრამ თანდათანობით უკან იხევს და ადგილს უთმობს ტირიფებს, სხვა წარმომადგენლები თითო ოროლაღა გვხვდება ტირიფის გაჩეხვის ან სხვა მოვლენის მიერ განადგურების შედეგად ვითარდება ჭალის ტიპის ბუჩქნარი. საბოლოოდ ისპობა ჭალის ტყე, მხარის ლანდშაფტი.

ჩვენს მიერ შესწავლილი იყო მდინარე ლიახვის ხეობის გასწვრივ შემორჩენილი ჭალის ტყის ელემენტები. შერჩეული იყო ორი სანიმუშო ფართობი გორის რაიონში (სოფელი შერთული).

სანიმუშო ფართობი №1. ჭალის ტყე სავალალო მდგომარეობაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიურად უფრო მშრალი ვარიანტები გვხვდება მუხნარი და მუხნარ-თელნარის სახით, ხოლო მშრალიდან გარდამავალი მუხნარ-ვერხვნარის ტყეების სახით. როგორც ნ. კეცხოველი [2] აღნიშნავდა ეს ტყე მეტ-ნაკლებად ხელუხლებელი სახით იყო შემორჩენილი, ამჟამად კი სულ სხვა სურათი გვხვდება.

Quercus Longipe	Purus communis
Ulmus campestris	Prunus spinosa L.
Crataegus monogyna	Corylus avellana L.
Pyrus communis L.	Clemtis vitalba l.
Populus hybrido M.B	Salix alba L.
Populus nigra L.	Coros mas L.
Alnus incana Willd	
Acer campestre L.	
Malus communis L.	
Lonicera caprifolium	

სანიმუშო ფართობი №2.

Populus hybrido M.B.	lonicera caprifolium L.
Populus nigra L.	Clematis vitalba L.
Salex caprea L.	Ligustrum vulgarae L.
Salex australior Anders	Ligustrum vulgarae L.
Salex puspurea L.	Elaeagnus augustifolia L.
Trifolium repens	

აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეებს ძველთაგანვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ღონისძიებანი მიმართული უნდა იყოს იქით, რომ აღდგენისა და დაცვის პროცესები დაჩქარდეს, შენარჩუნებული იქნას შემორჩენილი ლიახვის ხეობის მუხნარის ტიპის კორომები. რადგან მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ბუნებრივ საწარმოო ძალას. ის, ერთი მხრივ, დამცველია სოფლის მეურნეობის, მეორე მხრივ, შეიცავს მრავალ გამოსაყენებელ მცენარეებს ტექნიკური, სამკურნალო თუ სხვა მრავალი თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეული საფარი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1959, გვ. 441
2. ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ., 1935, გვ. 72
3. თ. ურუშაძე, უ. ინანიშვილი, ალაზნის ველის ტყეები და ნიადაგები, თბილისის სატყეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XXVII, თბ., 1973, გვ. 210.
4. ა. ურუშაძე, მდ. მტკვრის ჭალის ტყის თავისებურებანი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა სამეცნიერო შრომათა კრებული, თბ., 1997.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ჭალის ტყე, მეტად საინტერესო ეკოლოგიური ობიექტი, რომელიც ვითარდება ტერასაზე ჰიდრომორფულ პირობებში. ამ ტყეს აქვს დიდი წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. წყალდიდობების დროს ის იცავს სოფლის მეურნეობის კულტურებს განადგურებისაგან. წარსულში ამ ტყეს ფართო გავრცელება ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთა და დაბლობებზე. უფრო ტიპიურად გამოსახული იყო მტკვრის ნაპირებზე, იორისა და ალაზნის ქვედა მიმდინარეობაზე. საკმარისად კარგი კორომები იყო შენახული ლიახვის ხეობაში, მაგრამ თითქმის ყველგან განადგურებულია და მხოლოდ მისი ნაშთებიღაა შემორჩენილი.

FLOODPLAIN FORESTS OF ECOLOGICAL IMPORTANCE

Maia Azmaiparashvili, Associated Professor

ABSTRACT

The paper discusses the riparian forest, very interesting ecological unit, which develops terrace water flow conditions. The wood has a great importance saving water and soil protection. This forest destruction during floods to protect agricultural crops. In the past, this had advanced by forest and plains of eastern Georgia to do. Sufficiently good stands were stored in the valley, but almost all have been destroyed and only remnants of his balances.

მონაცემები და ინფორმაცია

თინათინ ტატულაშვილი, სრული პროფესორი

პრობლემურ-ორიენტირებულ სივრცეში ამოცანის დასმა არის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი არსებული პრობლემის გადასაწყვეტად.

ნებისმიერი ამოცანის გადაჭრისას (ამოხსნისას) საჭიროა სხვადასხვა რესურსების სიმრავლე. რესურსების ერთიანობა პრობლემის (ამოცანის) დროულად და სწორად გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს. რესურსების სიმრავლიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ინფორმაცია. იმისათვის, რომ სამართლებლივად გადავწყვიტოთ პრობლემა, საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ „მონაცემები“ და „ ინფორმაცია“.

მონაცემები - ნიშნავს ფაქტს და შედგება: ციფრებისაგან (A), ასოებისაგან (B), სიმბოლოებისაგან (C), დაუმუშავებელი ფაქტებისაგან (D), ხდომილებებისაგან (E), ოპერაციებისაგან (F), ე.ი. მონაცემები შეგვიძლია წარმოვადგინოთ ფორმალიზებული სახით:

$M=A \cup B \cup C \cup D \cup E \cup F$

ინფორმაცია - ეს არის მონაცემები დამუშავებული სახით, რომელსაც აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა იმ პირებისათვის, რომლებიც იღებენ მას და გამოიყენებს გადაწყვეტილების მიღებისას (ამოხსნისას). ინფორმაცია, $I=\Phi(M)$, ეს არის მონაცემებისა და მათი მნიშვნელობათა ერთიანობა.

მონაცემების დამუშავება ეს არის მონაცემთა ტრანსფორმაცია, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი სახით:

მონაცემები შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად: - პირველადი (შემავალი და გამომავალი) - საშუალედო - ეტალონური - მაკონტროლებელი - ცვლადი - მუდმივი - საცნობარო - საარქივო.

შემავალ ინფორმაციას მიეკუთვნება ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შედეგის მისაღებად. იგი შეიძლება შედგებოდეს როგორც ცვლადი, ისე მუდმივი მონაცემებისგან. მუდმივს მიეკუთვნება მონაცემები, რომლებიც „დიდი ხნით“ ინახება. ცვლად მონაცემებს მიეკუთვნება მონაცემები, რომლებიც მონაწილეობენ დამუშავების ერთი ციკლის დროს.

გამომავალი მონაცემები მიიღება დამუშავების შედეგად და მიეკუთვნება გამომავალ ინფორმაციას.

შუალედური ინფორმაცია - ეს არის მონაცემები, რომლებიც მიიღება დამუშავების შედეგად, მაგრამ იგი არ შედის გამომავალ ინფორმაციაში.

პირველადი მონაცემები - ეს არის მონაცემები, რომლებიც მიიღება ამოცანის (პრობლემის) ანალიზის შედეგად.

მაკონტროლირებელი ამოცანები - ეს არის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება შესრულებული სამუშაოს დიაგნოსტიკასათვის.

ეტალონური მონაცემები - ეს არის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ამოცანის პარამეტრების „უტყუარობის“ შესამოწმებლად.

საცნობარო მონაცემები - ეს არის მონაცემები ტექნიკურ საშუალებებზე, პროგრამულ საშუალებებზე, შესასწავლ მოვლენებზე (კანონები, ფიზიკური მუდმივები და სხვა).

საარქივო მონაცემები - ეს არის მონაცემები, რომლებიც ინახება გარკვეული დროის მონაკვეთში. მონაცემების სტრუქტურული სქემა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:



პრობლემურ ორიენტირებული არე → პირველადი მონაცემები → შემავალი მონაცემები → ეტალონური, მაკონტროლებელი საარქივო და საცნობარო მონაცემები → საშუალედო მონაცემები → გამომავალი მონაცემები → გამომავალი მონაცემების ფორმირება → რეკომენდაციები დოკუმენტების სახით ყოველი ეტაპისათვის.

პრობლემურ-ორიენტირებული სივრცის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ და გამოვყოთ პრობლემა და გაუკეთოთ სისტემატიზაცია მონაცემებს. ამასთან დაკავშირებით მონაცემები დასმულ პრობლემაზე შეიძლება გადავყოთ, როგორც ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ამოცანის ამოხსნის ორგანიზაციისათვის და ინფორმაცია პრობლემის ამოხსნის საშუალებებზე.

ინფორმაციისათვის აუცილებელია მისი ფასი, ვარგისიანობა და სიზუსტე. ინფორმაციის ვარგისიანობისთვის აუცილებელია: ინფორმაციის სრულობა, შესაბამისობა, დროულობა, მოთხოვნილებისდა მიხედვით ზუსტი, გასაგები მნიშვნელოვნება, შესაბამისი პიროვნებისთვის ხელმისაწვდომობა, შესაბამისი კომუნიკაციის გამოყენება. კომუნიკაციად შეიძლება განვიხილოთ: მსჯელობა (ლაპარაკი), სატელეფონო ზარი, ეკრანი, ელექტრონული ფოსტა, წერილობითი განაცხადი, საფოსტო კავშირები, ფაქსი, კომპიუტერული კავშირები. ყოველი ხელმძღვანელისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფორმაციის ფლობა და ცოდნა, რომელიც მას ესაჭიროება.

- სტრატეგიულ ინფორმაციას იყენებენ დირექტორები და ტოპმენეჯერები.
- ტაქტიკური ინფორმაცია გამოიყენება ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად ყველა დონის მენეჯერების მიერ.
- ოპერატიული ინფორმაცია - გამოიყენება განსაზღვრული პირების მიერ, მაგალითად სექციის ხელმძღვანელი.
- ინფორმაცია, რომელიც ინახება ფაილში მათ მოთხოვნამდე არის პასიური ინფორმაცია.
- გეგმიური ინფორმაცია ორიენტირებულია მომავალზე და შედგება პროგნოზისაგან, რომელსაც შეიძლება მივაკუთნოთ: პროგნოზი მასალებზე, ეკონომიკური პროგნოზი (საპროცენტო განაკვეთები), ფასების პროგნოზირება, კონკურენტების შესაძლო მოქმედებების შეფასება.
- მაკონტროლირებელი ინფორმაცია ამოცანის შედეგს და გეგმიურს ადარებს ერთმანეთს. აგრეთვე აუცილებელია ყოველდღიური ინფორმაცია.

რეზიუმე

ამოცანის - პრობლემის გადასაჭრელად (ამონახსნის მოსაძებნად) აუცილებელია ინფორმაციის როგორც ფლობა ისე მათი გამოყენება, მართვა, რომელიც ეხმარება მენეჯერებს და ხელმძღვანელ პირებს ადმინისტრირებაში.

სტატიაში „ მონაცემები და ინფორმაცია“ განხილულია:

- მონაცემები და ინფორმაცია, როგორც ცნებები;
- მათი განსხვავება;
- მათი ურთიერთკავშირი;
- მათი შესაძლო ფორმალიზება;
- კლასებად დაყოფის ვარიანტი;
- სტრუქტურული სქემა;
- ვარგისიანობა და სხვა.

DATA AND INFORMATION

Tinatin Tatulashvili, Full Professor

RESUME

For solving the task-problem(to find solution) it's important to have information and having using managing abilities, which helps the managers and organization leaders in administrative work. The article "Data And Information" includes:

- Data and information, as well as concepts;
- The difference;
- The relation between them;
- The possibility of formalizing them;
- Class partitioning option;
- Structural scheme;
- Fitness and other.

ИЗМЕНЕНИЯ КАРДИОРЕСПИРАТОРНОЙ СИСТЕМЫ ПРИ РАЗЛИЧНЫХ ФИЗИЧЕСКИХ НАГРУЗКАХ

***Мариам Убирия**, Доктор медицинских наук*

Наше тело - удивительно сложный механизм. Все его клетки и ткани поддерживают между собой связь и их деятельность чётко скоординирована.Трудно представить, насколько согласованно функционируют все системы человеческого тела.

В течение столетий ученые изучали, как работает организм человека, как изменяются функции или физиология организма во время занятий физической деятельностью и спортом. Хотя начало исследованиям функций человеческого тела положили древние греки, только к 1500 году был сделан значительный вклад в понимании как структуры, так и функций организма человека.

Физиология упражнений- относительно новая отрасль в мире науки. Первым опубликованным учебником по физиологии физических нагрузок была работа Ф. Ла Гранжа "Физиология физической нагрузки" (1889). Как физиология всегда была основой клинической медицины, так и физиология физических нагрузок всегда представляла необходимую информацию для многих других отраслей, таких, как физическое воспитание, физическую подготовленность, сохранение здоровья.

Начиная изучать физиологию физических нагрузок и спорта, необходимо выяснить реакцию организма на определённый вид нагрузки. Такая реакция называется срочной адаптацией. Представление о срочной адаптации облегчит понимание постоянной адаптации, происходящей в организме, когда он сталкивается с повторяющимися циклами физических нагрузок, например, изменения функции сердечно - сосудистой системы, частоты дыхания, внутренней температуры и температуры тела, мышечной деятельности.

Адаптационные реакции сердечно - сосудистой системы на тренировочные нагрузки многочисленны. Эти изменения касаются:

- размеров сердца;
- систолического объема;
- частоты сердечных сокращений;
- сердечного выброса;
- кровотока;
- артериального давления;
- объема циркулирующей крови.

При изучении срочной адаптации на физическую нагрузку нас интересовало немедленная реакция организма на отдельные виды нагрузки. Физиологическая адаптация вследствие постоянных физических нагрузок повышает способность выполнять физическую нагрузку, а также эффективность выполнения. При силовых тренировках увеличивается сила мышц, при аэробных повышается эффективность функционирования сердца и легких, а также увеличивается выносливость организма. Эти адаптации специфичны для различных типов тренировочных нагрузок.

МАТЕРИАЛЫ И МЕТОДЫ

Чтобы изучить изменения кардиореспираторной системы в динамике мы исследовали 15 студентов-спортсменов от 18 до 25 лет лиц мужского пола. Все исследования проводились в условиях относительного покоя. Спортсмены испытуемые были представителями различных видов спорта: борьба, футбол, бокс, плавание, армреслинг.

Нагрузки давали на велоэргометре в течение 7-10 минут с сопротивлением 3 кг. Скорость движения не более 30-40 км в час. Изучали влияние физических нагрузок на вегетативные функции организма: (сердечно - сосудистую (пульс и артериальное давление) и процесс дыхания.

ПОЛУЧЕННЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ

Период восстановления после нагрузки представляет собой гетерохронный процесс в виду того, что восстановление вегетативных функций происходит неоднородно. Желательно рассмотреть каждый из этих процессов по - отдельности.

Во время дыхания организм обеспечивается кислородом, который в свою очередь, принимает участие в образовании энергетических ресурсов, нужных для жизнедеятельности организма. Увеличение потребления кислорода находится в прямой зависимости от энергозатрат, т.е. чем больше физическая нагрузка, тем больше потребление кислорода и через некоторое время достигает максимального пика. Заметно меняется в это время внешнее дыхание, оно становится частым и глубоким. Ввиду этого меняется винтиляция легких которая может достигнуть 150-200 литров и более.

Во время 10 минутного испытания на велоэргометре, когда скорость достигает 30 км в час, частота дыхания увеличивалась от 35 до 42-х в минуту, тогда как в состоянии покоя этот показатель равняется 14-16 в минуту. На 5 минуте покоя дыхание возвращалось в исходное состояние.

Из-за возросшей энергетической нагрузки параллельно дыханию увеличивается сердечно - сосудистая деятельность, что влечет за собой увеличения артериального давления и пульса.

После нагрузки сердечная деятельность приходит в норму позже чем дыхание: на 10-ой минуте покоя дыхание уже в норме, а пульс восстановлен на 60-80%. Волнообразное течение восстановления сердечного ритма наблюдается у спортсменов, у которых в покое имеется сердечная аритмия. Восстановление сердечного ритма не зависит от вида спорта но зависит от степени натренированности и составляет в среднем 40 минут и более. Изменения артериального давления тоже очень показательны: систолическое увеличивается до 200-220 мм, диастолическое чаще всего у спортсменов снижается. В период восстановления на 20-ой минуте систолическое давление приходит в норму, а диастолическое требует большего времени восстановления.

Таким образом, восстановление показателей сердечно - сосудистой деятельности происходит асинхронно и фазово, то есть артериальная давление быстрее приходит в норму чем сердечный ритм так что восстановление вегетативных функций идет гетерохронно.

ВЫВОДЫ

1. При больших физическихнагрузках вегетативные функции организмов меняются значительно и их показатели приближаются к максимальным возможностям.
2. Период восстановления вегетативных функций продолжается от 20-ти до 40 минут и представляет собой гетерохронный процесс.
3. Период восстановления зависит от степени натренированности и от индивидуальных особенностей испытуемого.
4. После окончания опыта дыхание в некоторых случаях становится глубоким и редким,что носит индивидуальный характер.

ЛИТЕРАТУРА:

1. Дж. Х. Уилмор, Д.Л. Костил, Физиология спорта Киев, 2001.
2. С. Л. Совершаева, В. В. Аристова, М. Н. Убирия, Системная и легочная гемодинамика в норме и при потологии системы дыхания, Архангельск, 1999.
3. Агаджанян Н. А, Ермакова Н. В, физиологическое обоснование региональных аспектов проблемы экологии человека 1994.
4. Барбашова З.И, Акклиматизация к гипоксии и ее физиологические механизмы, Ленинград, 1960.
5. Cooper K. H. (1968) Aerobics - New York: Evans.

კარდიორესპირატორული სისტემის ცვალებები ფიზიკური დატვირთვის დროს სხვადასხვა სახის სპორტსმენებში

მარიამ უბირია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ კარდიორესპირატორული სისტემის აღდგენითი პროცესები სპორტსმენების ორგანიზმში მიმდინარეობენ ასინქრონულად. სისხლის არტერიული წნევა უფრო ადრე უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ვიდრე გულის ცემის სიხშირე. ხოლო გარეგანი სუნთქვის პროცესი უფრო ადრე უბრუნდება ნორმის ფარგლებს, ვიდრე გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირება.

CHANGES IN THE CARDIORESPIRATORY SYSTEM DURING THE PHISICAL ACTIVITY IN DIFFERENT TYPES OF ATHLETES

Mariam Ubiria, Doctor of Medical Sciences

RESUME

The recovery investigation revealed that, the processes of the cardiorespiratory system in the athletes body occur asynchronously. Blood pressure returned to initial condition than the beating of the heart rate and the process of external respiration returned to normal earlier than the functioning of the cardiovascular system.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში

***ლია ბიბილაშვილი**, ასოცირებული პროფესორი*

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ღია ეკონომიკაზე გასვლა. ამის აუცილებლობა გამოწვეულია არა მარტო საქართველოს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გაფართოების საჭიროებით, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი მონაწილეობის გაღრმავებით, არამედ, საერთოდ, განვითარების ახალი მოდელის ჩამოყალიბებით. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია: მსოფლიოს ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რის გამოც ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, პირველ რიგში, მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციები განაპირობებს, პოსტინდუსტრიული საზოგადოების დამკვიდრება, როდესაც განვითარების მთავარ ფაქტორად ცოდნა, ინფორმაცია გვევლინება, რომელიც თავისუფალ გავრცელებას მოითხოვს. ქვეყნისათვის უფრო მომგებიანია არა კონფრონტაციული, არამედ თანამშრომლობითი, კოოპერაციული ურთიერთობების გაღრმავება, რაც ყველაზე უფრო უკეთესად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში შეიძლება განხორციელდეს.

ეკონომიკის გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის თანამედროვე პირობებში, როდესაც კომპანიებისათვის ხელმისაწვდომი ხდება სხვა ქვეყნების ბაზრები (რესურსების, საქონლისა და მომსახურეობის, შრომითი და ა.შ), საერთაშორისო ბიზნესი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. საერთაშორისო ბიზნესი არის მოგების მიღების მიზნით ქვეყნის საზღვრებს გარეთ რესურსების და საქონლის (მომსახურების) გადაადგილებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

მსოფლიო მასშტაბით ღია ეკონომიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ბიზნესმა შეასრულა. კომპანიებმა გავლენის სფეროების გაფართოებისა და ახალი ბაზრების ასათვისებლად უცხო ქვეყნებში ათეულობით ფილიალი გახსნეს, ადგილობრივ ფირმებთან სტრატეგიული კავშირები განავითარეს, ეროვნულ ქვეყნებში პროტექციონისტულ ბარიერებს გვერდი შეგნებულად აუარეს და ბიზნესი საერთაშორისო-ინტერნაციონალური გახადეს. აღნიშნულ პროცესებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შემდეგმა ფაქტორებმა:

- კავშირგაბმულობის გაფართოებამ, რამაც შესაძლებელი გახადა ინფორმაციის სწრაფი გადაცემა;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად საქონლის, მომსახურეობისა და მუშახელის გადაადგილების დაჩქარებამ;
- საერთაშორისო ფინანსური, სავაჭრო და ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების საფუძველზე განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ქვეყნებს შორის კავშირის დამყარებამ;
- გაჯერებულმა ან მცირე და ნაკლებ მიმზიდველი შიდა ბაზრისგან განზიდულობამ;
- სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის ნაკლები დანახარჯებით გაფართოებამ.

ფირმების უმრავლესობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების გატანა საზღვარგარეთ, ამასთან საერთაშორისო ბიზნესი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებს. აქ დიდ როლს თამაშობს ამ საკითხების გააზრება არა მარტო კონკრეტული კორპორაციის, არამედ, მოცემული ქვეყნების ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები დამოკიდებულია მთავრობის იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობასთან, უცხოურ კაპიტალდაბანდებებთან და ვალუტის კურსთან. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია ამ მიმართულებით მოიცავს ისეთ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც გააწონასწორებს კომპანიების, მუშაკების და მომხმარებლების ინტერესებს. ყველა მონაწილე სუბიექტს საერთაშორისო ვაჭრობაში განსხვავებული მიზანი გააჩნია. სახელმწიფო ვალდებულია,

განახორციელოს კონტროლი საკუთარ რესურსებზე. დაიცვას ადგილობრივი მეწარმეების ინტერესები, რაც მიიღწევა პროტექციონიზმის პოლიტიკით. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც მხოლოდ პროტექციონიზმის ან მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკას ახორციელებდეს. ნებისმიერი სახელმწიფო იმ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, რომელიც ყველაზე უფრო უკეთ შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, მისი სადღეისო და სამომავლო განვითარების მოთხოვნებს. პროტექციონისტულ ეკონომიკურ პოლიტიკას სახელმწიფო ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს, როგორიცაა: საბაჟო ტარიფები, კვოტები, სუბსიდიები, პროდუქციის შეზღუდული სტანდარტიზაცია და დამსჯელი ღონისძიებები. ტარიფების უმეტესი ნაწილი პროტექციონისტული ხასიათისაა. ისინი ზრდიან ფასებს იმპორტირებულ საქონელზე, რითაც ასტიმულირებენ ადგილობრივ წარმოებას.

ტარიფებთან ერთად, იმპორტის შემცირების მიზნით, მრავალი ქვეყანა ირჩევს სხვა ტაქტიკას. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია კვოტების დაწესება. კვოტები ზღუდავენ იმპორტირებული პროდუქციის მოცულობას. იმპორტირებული კვოტის შემოღება ხშირად სამამულო პროდუქციის რეალიზაციის გარანტად გვევლინება. კვოტები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად. მაგ.: ასეთი მოლაპარაკების შედეგად, იაპონია იძულებული გახდა ხელოვნურად შეემცირებინა ავტომობილების კვოტების მოცულობა აშშ-ის ბაზარზე. იმპორტული კვოტის შემოღება, ზოგჯერ კონკრეტულ ქვეყანაზე ზემოქმედების მიზნით ხორციელდება. ექსპორტული კვოტა შეიძლება ეროვნული, ბუნებრივი რესურსების გამოლევის გამო ან საზღვარგარეთის ბაზარზე მიწოდების შეზღუდვით საექსპორტო პროდუქციაზე ფასების ასამაღლებლად განისაზღვროს.

კვოტების უკიდურესი ფორმა არის ემბარგო. ცალკეული სახეობის პროდუქტებით ან მთლიანად ქვეყანასთან ვაჭრობის აკრძალვა. (ასე მაგალითად, რუსეთმა აკრძალა ქართული ღვინის შეტანა თავის ქვეყანაში. კუვეიტში ერაყის შეჭრის შედეგად გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, აიკრძალა ერაყის ნავთობის ექსპორტი გაეროს წევრ ქვეყნებში). მიუხედავად იმისა, რომ ემბარგოს საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივები, ისინი ასევე გამოიყენება ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის მიზნით. ორივე შემთხვევაში მას გაუარესებული ეკონომიკური შედეგი მოსდევს.

მსოფლიოს ქვეყნები ადგილობრივი მეწარმეების სტიმულირებისათვის იყენებენ სუბსიდიებს, სუბსიდია არის დახმარება ფულადი ან მატერიალური ფორმით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სპეციალური ფონდებიდან მიეცემათ იურიდიულ პირებს. საქართველოსათვის სუბსიდიების გამოყენება უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვიდრე პროტექციონიზმის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები. სუბსიდიების მიცემით სახელმწიფო ეროვნულ მეწარმეებს საშუალებას აძლევს კონკურენცია გაუწიონ იმპორტულ საქონელს, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებით და უფრო დაბალი ღირებულებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სუბსიდიები გამოეყოს იმ ახალშექმნილ დარგებს, რომლებიც იმპორტის ჩამნაცვლებელ პროდუქციას აწარმოებენ. სუბსიდიების მიზანია დახმარება ამა თუ იმ დარგების, სანამ ისინი დამოუკიდებლად კონკურენტუნარიანები გახდებიან.

იმპორტის შეზღუდვის კიდევ ერთი გზა არის იმ სტანდარტების შემოღება, რომლებიც ადგილობრივ მეწარმეებს უფრო ხელსაყრელ პირობებში აყენებს. მსოფლიოს ქვეყნები აწარმოებენ ლიცენზიების უცხოელებისადმი მიყიდვას საქმიანობის მთელ რიგ სფეროებში. მსოფლიოს იმპორტის 90%-სათვის ეს ღონისძიება არის მნიშვნელოვანი ზღუდე. სხვა ქვეყნები მოითხოვენ საიმპორტო საქონლის სპეციალურ ტესტირებას. ამგვარი ტესტირება, უმეტესად, ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოტივით ხორციელდება (მაგ., იაპონიამ დაადგინა საზღვარგარეთიდან შემოტანილი ბრინჯის საკუთარი სტანდარტი, ამ სტანდარტმა მთლიანად გამოაძევა ბრინჯის ექსპორტიორები ადგილობრივი ბაზრებიდან).

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ვითარდება თავისუფალი ვაჭრობა და ქვეყნები ცდილობენ ამ თვალსაზრისით არ შეუქმნან ბარიერები ერთმანეთს. რიგ შემთხვევაში, სახელმწიფოები იძულებულები ხდებიან, დააწესონ შეზღუდვები იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობაში უკანონო მეთოდებს მიმართავენ. ქვეყნები ცდილობენ შეზღუდონ თავიანთ ბაზარზე იმ სახელმწიფოების შეღწევა, რომლებიც ამას ცდილობენ ადგილობრივ ბაზარზე დემპინგური ფასების დაწესების გზით. დემპინგი ეს არის საზღვარგარეთ გასაყიდ საქონელზე უფრო დაბალი ფასების დაწესება, ვიდრე ამ ქვეყანაშია. ამ მოვლენის აღმოფხვრის მიზნით, სახელმწიფოები იყენებენ ანტიდემპინგურ გადასახადს, რის გამოც იზრდება იმპორტირებული

საქონლის ფასი. ასეთ პოლიტიკას გააჩნია ორმაგი ბუნება - ერთი მხრივ, ის იცავს ადგილობრივ ბაზარს, ხოლო მეორე მხრივ - ზრდის პროდუქციაზე ფასებს.

პროტექციონიზმის წინააღმდეგ არსებობს რამდენიმე არგუმენტი, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: 1) პროტექციონიზმის ძირითადი ტვირთი მოდის მომხმარებელზე; 2) პროტექციონიზმი სერიოზულ ზარალს აყენებს წარმოების სფეროში დასაქმებულ იმ კომპანიებს, რომლებიც დაკავებულნი არიან იმპორტირებული საქონლის გაყიდვით, რადგან ცვლილებები ამ პოლიტიკაში იწვევს გაუთვალისწინებელ ზარალს.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული პროტექციონიზმი ზღუდავს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ყველა მხარის ინტერესს. მრავალი განვითარებადი ქვეყანა, თავისი აღორძინებადი ეკონომიკის დაჩქარების მიზნით, დღეისათვის ხსნის საკუთარ ბაზრებს, რადგან სავაჭრო ბარიერები ზღუდავენ ეკონომიკურ განვითარებას დ.ს.თ-ს სივრცის ქვეყნები დღეს უარს ამბობენ „საბჭოთა პოლიტიკაზე“, რომელიც მათ უქმნიდა ხელოვნურ ბარიერს სხვა დანარჩენ სამყაროსთან კავშირში.

იმისათვის, რომ საერთაშორისო ბაზარზე კომპანიამ წარმატებას მიაღწიოს, მეწარმეებმა უნდა გაითვალისწინონ მათთვის საინტერესო ქვეყნის ეროვნული, კულტურული, ეკონომიკური და საკანონმდებლო თავისებურებანი., ასევე ამ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, ვინაიდან ქვეყანაში, სადაც არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაა, არა მარტო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, არამედ სამამულო მეწარმეთა დამაგრებაც კი ჭირს.

ლიტერატურა:

1. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, 2008.
2. დუჩიძე ნ., საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია, 2003.
3. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მიმოხილვა, საგარეო საქმეთა სამინისტრო თბ., 2000.
4. სამადაშვილი უ., ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2007.
5. ბიბილაშვილი ლ., წიქარიძე ლ., საგარეო ვაჭრობა, 2012.

რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მსვლელობა დამოკიდებულია მთავრობის იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობასთან, უცხოურ კაპიტალდაბანდებებთან და ვალუტის კურსთან. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია ამ მიმართულებით მოიცავს ისეთ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც გააწონასწორებს კომპანიების, მუშაკების და მომხმარებლების ინტერესებს. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს კონტროლი საკუთარ რესურსებზე, დაიცვას ადგილობრივი მეწარმეების ინტერესები, რაც მიიღწევა პროტექციონიზმის პოლიტიკით.

ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული ორიენტირებული პროტექციონიზმი ზღუდავს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ყველა მხარის ინტერესებს

STATE ROLE IN INTERNATIONAL TRADE REGULATION

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

In the article it is mentioned that the leading of international economical relationship depends on this decision of government which is connected to international trade, foreign capital investment and couse of currency. The goal of the state is to balance the interests of companies, workers and users, what is achieved by politics if protectionism.

In the article, is discussed these important things of state protectionist economical politics such as tariffs, quotas, subsidies, standards and licenses. There is directed that the protectionism, based on long period practice, limits the interest of sides participating in international trade.

ღვინის ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

დავით ბიძინაშვილი, *სრული პროფესორი*

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და ყველაზე დინამიკურად განვითარებადი დარგია.

მსოფლიოში ტურიზმის 300-მდე მიმართულება არსებობს. ციფრებში კი ტურიზმისაგან მიღებული ეფექტი შემდეგნაირად გამოიყურება: საერთო შემოსავლები - 455,4 მილიარდი დოლარი; ტურიზმში დასაქმებულია 300 მილიონზე მეტი ადამიანი; ყოველ 2,5 წამში მსოფლიო ტურიზმში იქმნება ერთი დამატებითი სამუშაო ადგილი; ყოველდღიურად ტურისტულ ინფრასტრუქტურაში 2,1 მილიარდიანი ინვესტირება ხდება. ტურიზმის სფეროში მსოფლიოს ლიდერი ქვეყნებია: საფრანგეთი, აშშ, იტალია, შვეიცარია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, მექსიკა, კანადა, გერმანია, იაპონია, ფინეთი, რუსეთი. თითოეული მათგანისათვის წლიური შემოსავალი ტურიზმიდან 7,5 მლრდ. დოლარიდან იწყება და 74,9 მლრდ. დოლარს აღწევს.

რაც შეეხება საქართველოს, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნავენ, რომ ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად მრავალი შესაძლებლობა არსებობს, დაწყებული საზღვაო კურორტებით, გაგრძელებული მთის კურორტებით, სათხილამურო სპორტით, მინერალური წყლებით, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა სახის ტურიზმით. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირსშესანიშნაობებით. საქართველოს ტერიტორიაზეა 12000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო, 150 მუზეუმი, 102 კურორტი, 119 ნაკრძალი, 7 ეროვნული პარკი და კიდევ სხვა მრავალი სიმდიდრე.

ღვინის ტურიზმი საქართველოში ფეხს ახლა იდგამს, რაც ტრადიციული მეღვინეობის და მდიდარი სამზარეულოს მქონე ქვეყნისთვის უჩვეულო რეალობაა.

თუმცა ამ პარადოქსს მარტივი ახსნა აქვს – საბჭოთა ასწლეულში მევენახეობა-მეღვინეობის დარგს სახელმწიფო კოლმეურნეობები განაგებდნენ, რომელთაც ღვინის ტურების ორგანიზება აზრადაც არ მოსვლიათ. დღეისათვის, ღვინის სარესტორნო და ტურისტული ბიზნესის განვითარების კვალდაკვალ, დაიწყო ღვინის ტურიზმის აღორძინება. ღვინის კომპანიები ინფრასტრუქტურის იმგვარ მოდერნიზებაზე ფიქრობენ, რის შემდეგაც ადვილად შეძლებენ ტურიზმში ჩართვას. ეს მათთვის დამატებითი შემოსავალიც იქნება და პოტენციურ კლიენტებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაც.

მაინც რა უნდა შესთავაზონ ტურისტებს ღვინის კომპანიებმა? ამ კითხვას ბევრი მარტივად უპასუხებს-ქართული სუფრა და ღვინო. თუმცა, კიდევ უფრო კრეატიული და მრავალმხრივი მიდგომაც არის შესაძლებელი. ნადიმისა და გართობის გარდა, კერძო კომპანიაში ტურისტების სტუმრობას შემეცნებითი და საგანმანათლებლო დატვირთვაც შეიძლება ჰქონდეს.

თეორეტიკოსები, რომლებიც მსოფლიო ტურიზმის ტენდენციებს იკვლევენ, თვლიან, რომ დაახლოებით ათი წლის შემდეგ თემატური ტურიზმი სუპერპოპულარული გახდება, განსაკუთრებით კი მისი მნიშვნელოვანი სეგმენტი – ღვინის ტურიზმი.

დღეს ღვინის რეგიონების ტურისტებისათვის, გარდა ტრადიციული ღვინის მარშრუტებისა და სპეციალური ცერემონიალებისა თითქმის ყველაფერია შესაძლებელი-ვენახში პიკანტური ქორწილის გადახდიდან თუ ვენახების თავზე საჰაერო ბურთით ფრენიდან დაწყებული, გლეხებთან ერთად ყურძნის კრეფითა და ცხენებით ჯირითით დასრულებული. ტურში შედის შემეცნებითი ექსკურსიები, ვენახებისა და მარნების მონახულება, ღვინის საწარმოს მონახულება, ასევე მონაწილეობა თემატურ, კულტურულ ღონისძიებებში, მაგალითად ღვინის დაწურვის დღესასწაულზე და ა.შ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ღვინის ტურის დროს შეგიძლიათ შეიძინოთ ორიგინალური ღვინო და საჩუქრადაც კი მიიღოთ იგი. ამ ტურში მხოლოდ დეგუსტაციისთვის არავინ მიდის, აქ მთავარი იმ საიდუმლოსთან ზიარებაა, რომლის მიხედვითაც მზადდება ესა თუ ის აუთენტური ღვინო.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობა, როგორც ამპელოგრაფული, ისე ღვინის ტექნოლოგიის თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთი თვალსაჩინო იყო. ქართველი მეურნენი შთამომავლობით გადმოცემული, მამაპაპური ცოდნა-გამოცდილებით უაღრესად განსწავლულნი, შეუდარებლები იყვნენ. საქართველოს თითოეულ მხარეს საკუთარი ვაზის ჯიშები და ღვინის დაყენების შესაბამისი ტექნოლოგია ჰქონდა, რომელიც ტოლს არ უდებდა საფრანგეთისა და სხვა მოწინავე ევროპული ქვეყნების ვაზის კულტურას.

თუ წარსულში ქართველთა დასაქმების უმთავრესი საშუალება ვაზის კულტურა იყო, დღეს ვენახის გამშენებელი და ღვინის დამყენებელი მეურნე თითებზე ჩამოსათვლელია. უკუღმართად ჩატარებული ე.წ. ,,აგრარული რეფორმის'' მეოხებით სოფლები გაუკაცრიელდა, მამაპაპური საცხოვრებლიდან აყრილი მოსახლეობა ხსნას უცხოეთში ამაოდ ეძებს, ქართული სოფელი კი ჩვენს თვალწინ კვდება. ასეთ პირობებში მევენახეთა საშუალო ფენის შექმნაზე ლაპარაკი ზედმეტია. მრავალათასწლოვანი ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობა არსებობის საშიშ ზღვარზეა. ვიმედოვნებთ, ხელისუფლება სათანადო დასკვნებს გააკეთებს, კრიტიკულად შეაფასებს მიმდინარე უარყოფით მოვლენებს და აგრარულ რეფორმას ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის გზით წაიყვანს. მით უმეტეს, დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება...

ამჟამად უკიდურესად შეზღუდულია ვაზის ჯიშობრივი ასორტიმენტი, ხოლო მამაპაპური მარნების უმეტესობა გაჩანაგებულია. სადაც ნაგებობანი და იარაღ-ჭურჭელი გადარჩენილია, ფაქტიურად უმოქმედოდაა. თუ სადმე ოჯახში დღეს ღვინოს აყენებენ, ძირითადი ჭურჭელი შუშისაა, ხოლო ამ ბოლო ხანებში - პლასტმასისა. საწნახლები და ქვევრები დეკორაციებად იქცნენ... ამას წინათ, მევენახეობა-მეღვინეობის ,,გაცოცხლებულმა'' ინსტიტუტმა თავის პრიორიტეტად ღვინის ტურიზმი გამოაცხადა, მაგრამ თუ ქართული ეროვნული ეთნოგრაფია მკვდრეთით არ აღდგა, ღვინის ტურიზმს არაფერი ეშველება.

სწორედ ასეთი მრავალმხრივი ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა კომპანია ,,შუმის'' განკარგულებაში არსებული მეღვინეობის მუზეუმი, ეთნოგრაფიული კუთხე ღია ცის ქვეშ და ვაზის ჯიშების საკოლექციო ვენახი.

,,შუმის'' ისტორია 2001 წლიდან იწყება. რუსეთის ემბარგომდე კომპანია ინტენსიურად ვითარდებოდა. წინანდალში, ჭავჭავაძეების ისტორიული მამულის გვერდით, მდინარე კისისხევის ნაპირას, არქიტექტურულმა ჯგუფმა ,,არსმა'' დააპროექტა მეღვინეობის კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებდა: საწარმოს, საძველეს, სადეგუსტაციო დარბაზს, ღვინის მუზეუმსა და ბიზნესის მრავალმხრივი განვითარებისათვის მნიშვნელოვან სხვა კომპონენტებს. ეს ინფრასტრუქტურა საკუთარ თავში იმთავითვე მოიაზრებდა ღვინის ტურიზმს, შემეცნებით-საგანმანათლებლო ელემენტებით.

2006 წლის რუსეთის ემბარგომ და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ღვინის ბიზნესს დიდი დარტყმა მიაყენა, რის გამოც კომპლექსის დასრულება შეფერხდა. თუმცა, კომპანიის განკარგულებაში უკვე არსებობს კეთილმოწყობილი ღვინის მუზეუმი, ეთნოგრაფიული კუთხე ღია ცის ქვეშ, სადეგუსტაციო დარბაზი და ვაზის ქართული ჯიშების საკოლექციო ვენახი, რაც ,,შუმს'' საშუალებას აძლევს, საზოგადოებას შესთავაზოს შემეცნებით-საგანმანათლებლო ტური: ღვინის მუზეუმში უნიკალური არქეოლოგიური არტეფაქტების დათვალიერება, ცოცხალ ეთნოგრაფიულ კუთხეში ქართულ მეღვინეობასა და სამზარეულოსთან დაკავშირებული ტრადიციების გაცნობა, კომპანიის ღვინოების, მათ შორის-ბიოღვინოს დეგუსტაცია, საკოლექციო ვენახში დაცული ვაზის ქართული და უცხოური ჯიშების დათვალიერება.

,,შუმის'' მეღვინეობის მუზეუმის კონცეფციით, დამთვალიერებელმა უნდა მიიღოს პასუხი კითხვაზე, რატომ არის საქართველო ღვინის სამშობლო. მუზეუმში გამოკრულია რუკა, რომელზეც ასახულია კულტურული მევენახეობის ისტორიული არეალი და მეღვინეობის უძველესი კერები. აქვე წარმოდგენილია ეროვნული მუზეუმის მნიშვნელოვანი ექსპონატების ასლები - ღვინის წარმართული ღვთაების - ბადაგონის ქანდაკება, ვაზის ლერწების ვერცხლის გარსაკრავები და ა.შ. თუმცა, მუზეუმის მთავარი ღირსება არის კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან თანამშრომლობით გამოფენილი ორიგინალური არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებსაც აქ დაცვის საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი. ეს ნივთები დამთვალიერებელს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მეღვინეობის უძველეს ტრადიციებზე მოუთხრობს.

კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრითა და III ათასწლეულით დათარიღებული თიხის საღვინე ჭურჭლეული შესრულების უმაღლესი ტექნიკით და დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა. სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა სტილის, სხვადასხვა ხელოსნური სკოლის ჭურჭელი გვიჩვენებს, რომ ისტორიულად საქართველოში თიხის დამუშავების სხვადასხვა მეთოდი არსებობდა. ჭურჭლის მრავალფეროვანი ფორმები და მრავალნაირი ფუნქციური დანიშნულება მიგვითითებს მეღვინეობის განვითარების მაღალ დონეზე.

მუზეუმის ცენტრალური ექსპონატი, რომელსაც ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია, ძვ.წ. XII საუკუნით დათარიღებული ქვევრია. ეს არის საქართველოში აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი ქვევრი, რომელიც შეგვახსენებს, რომ ქართული მეღვინეობა რამდენიმე ათასწლეულს ითვლის.

,,შუმის'' ეთნოგრაფიული კუთხე ღია ცის ქვეშ გვიჩვენებს, რომ ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები დღესაც ცოცხალია. აქ წარმოდგენილია ქართული სოფლის ყოფისა და სამზარეულოს ატრიბუტები: საწნახელი, არყის სახდელი (ე.წ. „ზაოტი"), პატარა ქვევრები - ქოცოები, თონე, ურემი და სხვა ნივთები. მნიშვნელოვანია, რომ თონე და ,,ზაოტი'' მოქმედია და სტუმარს შეუძლია, თვითონაც გამოაცხოს პური და მონაწილეობა მიღოს ,,ჭაჭის'' გამოხდაში.

ვაზის ქართული ჯიშების საკოლექციო ვენახი, ,,შუმის'' გარდა, საქართველოს ღვინის კომპანიებს შორის მხოლოდ ,,ქინძმარაულის მარანს'' აქვს. რამდენიმე ახლა აპირებს მსგავსი ვენახების გაშენებას. კერძო კომპანიების ეს ინიციატივა ერთი-ორად დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკოლექციო ვენახების მოვლა-პატრონობა მხოლოდ ხარჯთან არის დაკავშირებული და მისგან პირდაპირი ეკონომიური სარგებელი არაფერია.

,,ქინძმარაულის მარნის'' საკოლექციო ვენახში ვაზის ქართული ჯიშები, ძირითადად, ძველი კოლექციებიდან არის გადმოტანილი, ,,შუმმა'' კი უფრო რთული გზა აირჩია. ძველი კოლექციებიდან ქართული ჯიშების გადმოტანის პარალელურად, კომპანიის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოგზაურობენ და ვაზის იშვიათი ქართული ჯიშების ნიმუშები მოსახლეობიდან მოქვთ. ამ თვალსაზრისით ,,შუმის'' საკოლექციო ვენახს არა მარტო შემეცნებით-საგანმანათლებლო, არამედ დიდი სამეცნიერო ღირებულებაც აქვს. ვაზის ქართული ჯიშების დაცვა, ამავე დროს, ჩვენი მევენახეობის ისტორიის დაცვასაც გულისხმობს. თითოეული ეს ჯიში ცოცხალი ისტორიული ძეგლია და ვალდებულნი ვართ დავიცვათ ისინი.

ვაზის ქართული ჯიშების საკოლექციო ვენახის გაშენება ,,შუმმა'' 2005 წლიდან დაიწყო. ეს კოლექცია პრაქტიკულად ქართული ვაზის მუზეუმია. კოლექციის შევსება დღესაც გრძელდება.

,,შუმის'' კოლექციაში უკვე იდენტიფიცირებულია ქართული ვაზის ისეთი ჯიშები, რომელთა ნახვა შეუძლიათ ,,შუმის'' საკოლექციო ვენახში: ადრეული თეთრი, ალექსანდრეული, ასურეთული შავი, ახმეტის წითელი, ბეგლარის ყურძენი, ბუა ყურძენი, ბუერა, ჩიტისთვალა ბოდბური, ცოლიკოური, ცოლიკოური მცვივანი, დანახარული, დიდშავი, დიღმურა, დონდღლაბი შავი, გაბეხაური შავი, გორულა (კლონი), გორული მწვანე, იმერული შავი, ინსტიტუტის გრძელმტევანა, იყალთოს წითელი, ჯაჭვაძისეული, კამური შავი, კაპისტონი წიწილიანი, კახის თეთრი, კრახუნა, კურკენა, მირზაანული, მსხვილთვალა თეთრი, მურადოული, მწკლარტა, მხარგძელი ყვითელი, ქისი, ქვიშური, ქველოური, რცხილი, რქაწითელი ვარდისფერი, რქაწითელი წითელი, რქაწითელი, ღვინის თეთრი, საფენა, საფერავი ბუდეშურისებური, საფერავი ფაჩხა, შავთხილა, სეურა, სირგულა, ტაგიძურა შავი, თამარის ყურძენი, ტყუპკვირტა, უბაკლური, ვერტყვიჭალის თეთრი, წნორის თეთრი, ჭროღა, წყობილა, ხარისთვალა მესხური, ხარისთვალა თეთრი, ხიხვი ლოლაძის, ხუშია შავი, ზაქათალის თეთრი.

ტურიზმის ინდუსტრია დღეს სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოსთვის, როგორც კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოსათვის, უპირველესი დარგია ღვინის ტურიზმი და, ეს რომ პრაქტიკულად განხორციელდეს ყოველი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე, შემდეგი ღონისძიებები უნდა გატარდეს:

1. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციულ კერებში აღირიცხოს დღეს მოქმედი მევენახე-მეღვინეები, რომლებიც შთამომავლობით მისდევენ მეურნეობის ამ დარგს; აქვთ ტრადიციული მარნები და ინვენტარი, ფლობენ მამაპაპურ წესზე ღვინის დაყენების ხელოვნებას. ადგილებზე თითოეული ასეთი ოჯახი, ფიქსაციის თანამედროვე საშუალებებით, შესწავლილი უნდა იყოს და სათანადო მომზადების შემდეგ ჩაირიცხოს ღვინის ტურიზმის მარშრუტში.

ასეთი ღონისძიებების გარეშე საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარება წარმოუდგენელია.

2. ეროვნულმა ქვევრმა და ქვევრის ღვინომ ქრისტეს აქეთ მესამე ათასწლეულში, როგორც იქნა, აღიარება ჰპოვა. საქართველო მექვევრეობის ერთ-ერთი უპირველესი და უძველესი კერაა. უმი-სველი თიხისაგან ამხელა ჭურჭლის აშენება მსოფლიოში უნიკალური მოვლენაა და ამ სასწაულის პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ საქართველოში შეუძლიათ. ჯერჯერობით მექვევრეობის კერები ცოცხალია და გადაუდებელია მოქმედ მექვევრეთა აღრიცხვა. მათ კულტურული მემკვიდრეობის გადამრჩენ ხელოვანთა ტიტული უნდა მიენიჭოთ და მოქმედების სრული თავისუფლება და მუშაობის ხელსაყრელი პირობები შეექმნათ.

საუკეთესო მექვევრეთა გამოვლენის მიზნით საქართველოს მასშტაბით უნდა ჩატარდეს კონკურსი – ვინც ყველაზე დიდ ქვევრს ააშენებს! ყველა მექვევრეს, რომელიც ამ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს, შრომა უნდა აუნაზღაურდეს. კონკურსში გამარჯვებულები არა მარტო დაჯილდოვდნენ, არამედ სახალხო ოსტატებად უნდა აღიარონ, მუშაობისა და ნედლეულის მოპოვების თავისუფლება უნდა მიეცეთ.

ქვევრი და საერთოდ თიხის ეროვნული ჭურჭელი ქართველი ხალხის ყოფას უნდა დაუბრუნდეს.

საქართველოს მასშტაბით უნდა ჩატარდეს საველე-ეთნოგრაფიული კვლევა ძიება, რათა გამოვლინდეს მივიწყებული და მოქმედი ტრადიციული მარნები, საწნახლები, საწნეხები (წბერები) და ამ დარგთან დაკავშირებული ყველა ინვენტარი, რომლითაც მოფენილია მთელი ჩვენი ქვეყანა. მათი აღრიცხვა და დაცვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ბაზაზე უნდა განხორციელდეს. გადაუდებელი სამუშაოებია ჩასატარებელი დასავლეთ საქართველოში, სადაც გრანდიოზული ხის საწნახლები და სხვა ინვენტარი ხელაღებით ისპობა. მარნებს და იმ ნივთებს, რომლებიც მეცნიერულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ და სახელმწიფოს მიერ უნდა იყვნენ დაცულნი. სასურველია, ისინი ტურისტულ მარშრუტებშიც იყვნენ გათვალისწინებულნი.

ვიდრე საქართველოს მეცნიერული პოტენციალი გააჩნია, ამ ურთულეს და უდიდეს სამუშაოს მეცნიერები სიამოვნებით შეასრულებენ, თუ მინიმალური დაფინანსება და მუშაობის პირობები ექნებათ.

ვიმედოვნებთ, ხელისუფლება და შესაბამისი დარგების მესვეურები კეთილ ნებას გამოიჩენენ და ამ საშვილიშვილო საქმის შესასრულებლად სათანადო ღონისძიებებს დროულად გაატარებენ.

ლიტერატურა:

1. www.gnta.ge
2. http://geostat.ge
3. http://maf.ge
4. http://www.economy.ge

რეზიუმე

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და ყველაზე დინამიკურად განვითარებადი დარგია.

ღვინის ტურიზმი ფეხს ახლა იდგამს საქართველოში, რაც ტრადიციული მეღვინეობის და მდიდარი სამზარეულოს მქონე ქვეყნისთვის უჩვეულო რეალობაა.

თუმცა ამ პარადოქსს მარტივი ახსნა აქვს – საბჭოთა ასწლეულში მევენახეობა-მეღვინეობის დარგს სახელმწიფო კოლმეურნეობები განაგებდნენ, რომელთაც ღვინის ტურების ორგანიზება აზრადაც არ მოსვლიათ. დღეისათვის, ღვინის სარესტორნო და ტურისტული ბიზნესის განვითარების კვალდაკვალ, ღვინის ტურიზმის აღორძინება დაიწყო. ღვინის კომპანიები ინფრასტრუქტურის იმგვარ მოდერნიზებაზე ფიქრობენ, რის შემდეგაც ადვილად შეძლებენ ტურიზმში ჩართვას. ეს მათთვის დამატებითი შემოსავალიც იქნება და პოტენციურ კლიენტებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაც.

მაინც რა უნდა შესთავაზონ ტურისტებს ღვინის კომპანიებმა? ამ კითხვას ბევრი მარტივად უპასუხებს - ქართული სუფრა და ღვინო. თუმცა, კიდევ უფრო კრეატიული და მრავალმხრივი მიდგომაც არის შესაძლებელი. ნადიმისა და გართობის გარდა, კერძო კომპანიაში ტურისტების სტუმრობას შემეცნებითი და საგანმანათლებლო დატვირთვაც შეიძლება ჰქონდეს.

თეორეტიკოსები, რომლებიც მსოფლიო ტურიზმის ტენდენციებს იკვლევენ, თვლიან, რომ დაახლოებით ათი წლის შემდეგ თემატური ტურიზმი სუპერპოპულარული გახდება, განსაკუთრებით კი მისი მნიშვნელოვანი სეგმენტი – ღვინის ტურიზმი.

PROBLEMS AND PROSPECTS OF DEVELOPMENT OF WINE TOURISM IN GEORGIA

Davit Bidzinashvili, Full Professor

SUMMARY

Tourism is one of the world economy - one of the largest, most profitable and dynamically developing fields.

Wine tourism in Georgia now become foot, which is unusual for traditional winemaking and a rich cuisine of the country's reality.

Theorists who explore the world of tourism trends, suggest that about ten years later would become super popular thematic tourism, especially in the important segment - wine tourism.

The wine regions for tourists, besides the traditional wine routes and special ceremonial almost anything is possible - vineyard wedding in piquant payment if Ballooning over the vineyards from the peasants, and horseback

riding along with the grape krepita completed. The tour includes educational excursions, and vineyard Cellar, a wine company to visit, as well as the thematic cultural activities, such as the celebration of wine making, etc. The most interesting thing is that when you buy the original wine tour and wine present even get it. This tour is not only a sampling, here is the secret key with eucharist, which is made from authentic wine or another.

აგრარული რისკების თავისებურებანი და მართვის ძირითადი მექანიზმები

გიული გიგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

„დღეს რისკი წაგების შანსი კი არა - მოგების შესაძლებლობაა,…
უმწეო მოლოდინი კი არა - გაცნობიერებული არჩევანია“.

პიტერ ბერნსტაინი

საქართველოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად მეცნიერებიც და პოლიტიკოსებიც ერთხმად აღიარებენ აგრარულ სექტორს. მიუხედავად ბოლო წლებში სახელმწიფოს აქტიური მხარდამჭერი პოლიტიკისა და საზოგადოების მხრიდან ქართული სოფლისადმი განსაკუთრებული ინტერესისა, მემკვიდრეობით მიღებული მიწის სიყვარულისა და აგრარული ტრადიციების სრულყოფისა, სოფლის მეურნეობა კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე მაღალრისკიან ბიზნესად. აგრარული რისკების ზუსტად შეფასება, მათი თავისებურებების შესწავლა და მართვა აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგრარული ბიზნესის განვითარებისათვის, რასაც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფაში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2011 წლის მონაცემებით, აგრარულ სექტორზე მოდის საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57.0 პროცენტი, დასაქმებული მოსახლეობის 63.2 პროცენტი, თვითდასაქმებული მოსახლეობის 81.5 პროცენტი და დაქირავებით დასაქმებულების 30.5 პროცენტი, უფრო თვალსაჩინო ხდება საკვლევი თემის აქტუალობა. [1]

ჩვეულებრივ, რისკს განვსაზღვრავთ, როგორც ნებისმიერ მოვლენას, რომლის შედეგადაც კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგები შესაძლებელია მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდეს. რისკთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას არაერთმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი კვლევები. როგორც პიტერ ბერნსტაინი /Peter L. Bernstein/ ნაშრომში „ღმერთების წინააღმდეგ: რისკის მოთოკვა“ განმარტავს: „სიტყვა „რისკი” წარმოიშვა ძველი იტალიური სიტყვისაგან „Risicare“, რაც „გადაჩვევას” ნიშნავს. ამ აზრით, რისკი უფრო არჩევანია, ვიდრე კენჭისყრა; მოქმედებები, რომელთა შესასრულებლად მზად ვართ, რაც არჩევანის თავისუფლებას გულისხმობს - აი, რა არის რისკი სინამდვილეში.“ მისივე ინფორმაციით, რისკის თანამედროვე კონცეფცია აღრიცხვის ინდო-არაბულ სისტემას ეფუძნება, რომელიც დასავლეთში შვიდი-რვა საუკუნის წინათ გახდა ცნობილი. თუმცა, რისკთან დაკავშირებული პრობლემების სერიოზული შესწავლა მხოლოდ რენესანსის ეპოქაში დაიწყო: ერთ-ერთმა ფრანგმა არისტოკრატმა, რომელიც თანაბრად იყო გატაცებული მათემატიკით და აზარტული თამაშებით, ფრანგ მათემატიკოსს - ბლეზ პასკალს - ასეთი ამოცანა შესთავაზა: როგორ გავყოთ ბანკი დაუმთავრებელ თამაშში, როდესაც ერთ-ერთი მოთამაშე იგებს. ბლეზ პასკალმა, თავის მხრივ, ასევე ცნობილ მათემატიკოსს, პიერ ფერმას მიმართა. სწორედ მათმა თანამშრომლობამ მისცა დასაბამი ალბათობის თეორიას, რომელიც რისკების შესწავლის მათემატიკური საფუძველი გახდა. [2]

რისკთან დაკავშირებით საინტერესოა კევინ ბიულერის განმარტება. მისი აზრით, „რისკი საქმიანი ცხოვრების აუცილებელი შემადგენელია, ხოლო მისი მართვა - იმ მასშტაბური სამუშაოს ნაწილი, რომელსაც ნებისმიერი კომპანია ახორციელებს ფასეულობათა შესაქმნელად. მაგრამ მრავალი კორპორაციის კრახი, გვიჩვენებს იმას, რომ უამრავ კომპანიას არ გააჩნია არა მხოლოდ რისკების მართვის

ადეკვატური სისტემა, არამედ ცუდად ესმის რისკის ხასიათი, რომელთანაც არის დაკავშირებული მისი საქმიანობა.“ [3]

ცალკეული სახის რისკების და მათი მართვის თავისებურებების მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველთაგანია დევიდ ნიუბერის და ჯოზეფ შტიგლიცის „სასაქონლო ფასების სტაბილიზაციის თეორია: რისკების ეკონომიკის შესწავლა”, რომელიც 1981 წელს გამოიცა ოქსფორდში (Newbery, D. And J. Stiglitz, The Theory of Commodity Price Stabilization: A study in the Economics of Risk, Claderon Press, 1981, Oxford). [4]

არჩევენ ოთხი სახის რისკს:

1. საბაზრო რისკი, ანუ საბაზრო ფასების უარყოფითი ცვლილებებისადმი დამოკიდებულება (ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ფასებში, სავალუტო კურსებში, საპროცენტო განაკვეთში ან საბირჟო საქონლის ფასებში).
2. საკრედიტო რისკი, რომელიც მსესხებლის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.
3. საოპერაციო რისკი, ანუ იმ დანაკარგების ალბათობა, რომლებიც არაადეკვატური (როგორც შიდა, ასევე - გარე) მოვლენების შედეგად წარმოიქმნება.
4. ბიზნესის მასშტაბის რისკი დაკავშირებულია მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკის ან კონკურენციის ცვლილებასთან და ასახავს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის დამოკიდებულებას შემოსავლების რყევებზე.

რაც შეეხება აგრარული სექტორის საქმიანობის შედეგებს, იგი ბევრადაა დამოკიდებული ბუნებრივ სტიქიაზე - მკაცრი კლიმატური პირობები, ხანძრები, გვალვა, წყალდიდობები და სხვა, განაპირობებს რისკების თავისებურებებს აგრარულ სექტორში. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა არის კვების პროდუქტების ძირითადი მიმწოდებელი, ამიტომ მაღალი რისკის გამო წარმოების მოცულობის შემცირება უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. კვების პროდუქტების უმეტესობა არის სწრაფად ფუჭებადი საქონელი, რომელიც არ ექვემდებარება ხანგრძლივ შენახვასა და მარაგების შექმნას, რაც დამატებით ზრდის რისკის ხარისხს; სოფლის - მეურნეობის მნიშვნელოვანი თავისებურება მდგომარეობს იმაშიც, რომ შედეგები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებულია მცენარეებისა და ცხოველების განვითარებისა და ზრდის ბიოლოგიურ პროცესებთან.

ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, აგრარული რისკი არის მოსალოდნელი შედეგების გაურკვევლობა (განუსაზღვრელობა), რაც იწვევს ინდივიდუალური კეთილდღეობის შემცირებას და ზიანს. აგრარული ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელია რისკების ეფექტური მართვა. აგრარული რისკები არ არის მხოლოდ ცალკეული ფერმერების პრობლემა და საზრუნავი, ამგვარი რისკები ქმნის პრობლემებს რესურსების განაწილებაში და შესაბამისად საყოველთაო პრობლემად იქცევა. მაღალი რისკების შემთხვევაში ფერმერი არ ცდილობს ახალი ტექნოლოგიის განვითარებას, რის გამოც ზარალდება მთლიანად საზოგადოება.

აგრარული რისკ-ფაქტორების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ბიზნესებისაგან განსხვავებით, ფერმერებისთვის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კერძო კომპანიებისთვის საკმაოდ რთულია მისაღები შემოსავლის და შესაბამისად, მოგების წინასწარი პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია აგრარული რისკების მართვა, რაც თავის მხრივ მოიცავს იმ სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების შეჩევას, რომლებიც შეამცირებენ ამ რისკების ნეგატიურ ფინანსურ გავლენას.

საქართველოს აგროსექტორში ეფექტიანი მართვის სისტემის შექმნისათვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი ეტაპების გათვალისწინება:

1. მიზნის განსაზღვრა.
2. რისკების იდენტიფიცირება.
3. რისკების ანალიზი.
4. რისკების მართვა. ეს უკანასკნელი მოიცავს არახელსაყრელი პირობების დადგომის პროგნოზირებას და მათი გამოვლენის ალბათობის შემცირების ღონისძიებების შემუშავებას.

აგრარულ ბიზნესში რისკების მართვას განსაკუთრებული ყურადღება მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან დაეთმო, რასაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), რომელმაც 2001 წელს გამოსცა კვლევა „შემოსავლების რისკის მართვა აგროსექტორში” (Income Risk Management in Agriculture, OECD, 2001, Paris).

აგრარული რისკების მართვა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ამიტომაც, განვითარებული ქვეყნები ცდილობენ დანერგონ აგრარული რისკების მართვის

მოდელები და ამით მიაღწიონ ერთი მხრივ აგრარული სექტორის წილის გაზრდას მშპ-ში, ხოლო მეორე მხრივ აგრარული სექტორიდან შემოსავლების ზრდას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

OECD-ს კვლევები ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავებით, რომელიც უმთავრესად ბიოლოგიურ-კლიმატურ ფაქტორებს ეყრდნობა, აგრარულ სექტორში არსებულ რისკებს სამ ძირითად ჯგუფში აერთიანებს:

- სახიფათო ანუ კატასტროფული რისკები. მათ განეკუთვნება არასასურველი ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკები, ანუ ე. წ. ფორსმაჟორი (მაგ.: წყალდიდობა, მეწყერი, ცუნამი, ქარიშხალი, სეტყვა და სხვა);
- საბაზრო ანუ პოტენციურად დაზღვევადი რისკები. მათ განეკუთვნება ბაზარზე პროდუქციის ხარისხის კონტროლი, კონკურენციის შედეგად საბაზრო წილის დაკარგვა და ფასების შემცირებით პოტენციური შემოსავლების დანაკარგი;
- ნორმალური ანუ ე. წ. რეგულირებადი რისკები. მათ განეკუთვნება საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო გარემოს ცვლილება და სხვა მარეგულირებელი ნორმების გამკაცრებით გამოწვეული რისკები . [5]

აგრარული რისკების მართვის სტრატეგია პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს:

- შიდა აგრარული სტრატეგია – დაბალი რისკის მატარებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და გაშენება ან მოკლე საწარმოო ციკლი, საწარმოო პროგრამების დივერსიფიკაცია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეტაპობრივი წარმოება;
- დარგის გარე სტრატეგია (რისკების განაწილების სტრატეგია) – დაზღვევა, ორმხრივ ფონდებში მონაწილეობა, ფიუჩერსული გარიგებები და კონტრაქტები.

მხოლოდ ერთი კონკრეტული რისკების მართვის მექანიზმის გამოყენებით, ბუნებრივია, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ, რამეთუ მოგება დამოკიდებულია ბიზნესგარემოში არსებულ სხვადასხვა ფაქტორებზე, ამიტომ უმთავრესად გამოიყენება მეთოდების კომბინაცია, რომელიც მოიცავს როგორც სამეურნეო სტრატეგიებს, ასევე საბაზრო ინსტრუმენტებს და პოლიტიკის ელემენტებს.

ნორმალური რისკების შემთხვევაში რისკების მართვისთვის საჭიროა დივერსიფიკაცია, რაც გულისხმობს ფერმერის საქმიანობის ტერიტორიულ განცალკევებას, ან რამდენიმე კულტურის მოყვანაზე ერთდროულ სპეციალიზაციას. დივერსიფიკაციის დროს მცირდება ფერმერის სპეციალიზაციის სარგებელი და იკარგება წარმოების მასშტაბის დადებითი ეფექტი.

კატასტროფული რისკის შემთხვევაში აუცილებელია მთავრობის მიერ ზიანის ანაზღაურება ან საჯარო დაზღვევის გზით ზიანის კომპენსაცია.

საბაზრო რისკების მართვისთვის ძირითადად კერძო კონტრაქტები და კერძო დაზღვევა გამოიყენება. მკვეთრად ამცირებს რისკის ხარისხს ფერმერთა გაერთიანება კოოპერატივების, ამხანაგობების, ასოციაციების და სხვა სახით. ამ შემთხვევაში ხდება ფინანსური და სხვა რესურსების გაერთიანება, რის გამოც ერთ ფერმერზე ხარჯები მცირდება ან/და ხდება ცალკეული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება, ვიდრე ეს ერთი ინდივიდის შემთხვევაში იქნებოდა. გადანაწილდება ზარალიც, მისი არსებობის შემთხვევაში.

აგრარულ სექტორში რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მექანიზმია რისკების დაზღვევა. მზღვეველის როლში შესაძლოა გამოდიოდეს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სუბიექტი. ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნებში აგრარული რისკების დაზღვევა მთლიანად კერძო სექტორს აქვს გადაცემული, რომლის სტიმულირებისათვის მთავრობა ქმნის სპეციალურ მხარდამჭერ პროგრამებს. კატასტროფული რისკების შემთხვევაში კი მთავრობა იღებს ვალდებულებას დაფაროს მიყენებული ზიანი. ამით ხდება კერძო სადაზღვევო კომპანიების სტიმულირება და მათი სადაზღვევო რისკების შემცირება. ბაზარზე კერძო სექტორის ინტერესი მით უფრო მეტია, რაც უფრო დიდია სადაზღვევო ბაზარი და მაღალია ფერმერთა სადაზღვევო კულტურა. დაზღვევა ხორციელდება როგორც მოსავლის, ისე შემოსავლების, ამინდის, ფასების და ა. შ.

ბოლო პერიოდში დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში რისკების მართვისათვის აქტიურად იყენებენ ჰეჯირებას. იგი წარმოადგენს მომავალში საბაზრო პირობების არასასურველი ცვლილებებისგან მოსალოდნელი რისკის შემცირებას ან კომპენსაციას. მოსავლის ზრდის პერიოდში ფერმერი ყიდის მომავლის კონტრაქტს (ფიუჩერსული კონტრაქტი), რითაც ის ფასების მომავალში შემცირების გამო წარმოშობილი დანაკარგისაგან იცავს თავს. თუმცა, საკუთრივ ამ მეთოდის გამოყენებას ახლავს მცირედი რისკები ფერმერისთვის (მიღებული მოსავლის ხარისხის შეუსაბამობა სტანდარტებთან, საქონლის შენახვის ხარჯები, ტრანსპორტირების ღირებულების გაზრდა და სხვა). ჰეჯირება საინტერესო

მექანიზმია აგრარული რისკის მართვისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, განუვითარებელი ფინანსური ბაზრების ქვეყნებში ეს მექანიზმი ფერმერებისთვის პრაქტიკულად გამოუყენებელი რჩება.

აგრარულ სექტორში რისკების მართვის საერთაშორისო პრაქტიკა ძალიან განსხვავებულია. არ არსებობს უნივერსალური მოდელი, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას მოერგება. შესაბამისად, საქართველოში აგრარული რისკების მართვის მექანიზმების ფორმირებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ის ქცევითი და მოტივაციური თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის. ფერმერთა მხრიდან ინფორმაციის არარსებობისა და რისკების მართვის მწირი გამოცდილების პირობებში დარგის განვითარებაში წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკისრება. საინვესტიციო აქტივობის ზრდის, კვალიფიციური ადამიანური რესურსების მობილიზების, ფერმერთა ინფორმირების და განათლების დონის ამაღლების, საგადასახადო მექანიზმების და სადაზღვევო ბაზრის სრულყოფის მეშვეობით მას შესწევს უნარი მოახდინოს აგრარული სექტორის სტიმულირება და მდგრადი განვითარება.

ლიტერატურა:

1. http://froph.com
2. თ. კუპრავა, რისკების მართვა და განვითარებადი ბაზრები, ჟურნალში „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, 2008, №2 (11).
3. თ. დუდაური, რისკების მართვის თავისებურებები სოფლის მეურნეობაში, ჟურნალში “ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009, №4.
4. Newbery, D. And J. Stiglitz, The Theory of Commodity Price Stabilization: A study in the Economics of Risk, Claderon Press, Oxford, 1981.
5. Hardaker, J. Brian, Ruud B.M. Huirne, and Jock R. Anderson, Coping with Risk in Agriculture, CAB International, Washington, DC, USA, 2004, p. 237-238.

რეზიუმე

მსოფლიო აგრარულ სექტორში მომატებულმა რისკებმა და რისკების მართვის მეცნიერების განვითარებამ, დღის წესრიგში დააყენა აგრარული რისკების მართვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. აგრარული რისკი არის მოსალოდნელი შედეგების გაურკვევლობა (განუსაზღვრელობა), რაც იწვევს ინდივიდუალური კეთილდღეობის შემცირებას და ზიანს.

არ არსებობს აგრარული რისკების მართვის უნივერსალური მოდელი, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას მოერგება, ამიტომ უმთავრესად გამოიყენება მეთოდების კომბინაცია, რომელიც მოიცავს როგორც სამეურნეო სტრატეგიებს, ასევე საბაზრო ინსტრუმენტებს და პოლიტიკის ელემენტებს.

სტატიაში "აგრარული რისკების თავისებურებანი და მართვის ძირითადი მექანიზმები" განხილულია აგრარული რისკების სახეები და ამ რისკების მართვის ძირითადი მექანიზმები: რისკების დაზღვევა და სახელმწიფო რეგულირება.

AGRICULTURAL RISK MANAGEMENT KEY FEATURES AND MECHANISMS

Giuli Giguashvili, Associate Professor

ABSTRACT

Gradual improvement of risk management mechanisms in the world, increased risks in agricultural sector and development of risk management science raised the need to develop risk management mechanisms in agricultural sector. Agricultural risk is an uncertainty of a possible consequence, which leads to the reduction of individual well-being and harm. Risk management in agriculture is a comparatively new science, as well as the world practice in agricultural risk management.

There is no universal model for agricultural risk management, which will fit in any other country, is mainly used as a combination of methods, which include both agricultural strategy and market instruments, and government policy.

In the article "Agricultural Risk Management Key Features and Mechanisms" discusses the types of agricultural risk and the basic mechanisms of risk management: State regulation of insurance and risk.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები კავკასიის რეგიონში

ლეილა მამულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მსოფლიოსა და რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ღია, ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ ნათელი გახადა, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც კი ამგვარი აგრესია ზოგიერთი ქვეყნისათვის პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად რჩება.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიამ გააუარესა მთელი კავკასიის რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების გარემო. ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული არასტაბილურობა და მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე. რეგიონში პროცესების მშვიდობიანი განვითარება და თანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება საქართველოს უსაფრთხოებისათვის პოზიტიურ შესაძლებლობებს შეიცავს. რადგანაც საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია, მისი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კერძოდ, ნატოს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება. საერთაშორისო ვითარების მუდმივ ცვლასთან ერთად საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა პოლიტიკური პროცესები. ქვეყნის სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას, რაც ეკონომიკაში თავისუფალი ბაზრის პრინციპების ფართოდ დანერგვით, მკაცრი ფისკალური დისციპლინითა და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარებით მიიღწევა. საჭიროა ღია, პარტნიორული და თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყველა სახელმწიფოსთან და სახელმწიფოთა გაერთიანებებთან, განსაკუთრებით ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ეკონომიკის მაღალი ტემპით სტაბილური გრძელვადიანი ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. საქართველოს ხელისუფლება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის თავისუფალ განვითარებას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, კაპიტალის მოზიდვისთვის საჭირო საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, მცირე მთავრობის პრინციპის შენარჩუნებას, კონსერვატიული ფისკალური და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების შესაძლო გადმოდინება საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკონომიკას. კავკასიაში არსებული კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს მის უსაფრთხოებაზე და ჰუმანიტარული კრიზისების განვითარების პოტენციური წყაროა.

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი. ამ ქვეყნების შეიარაღებული დაპირისპირების განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. საჭიროა განხორციელდეს თვალსაჩინო ეკონომიკური ზრდისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისაკენ მიმართული ეფექტიანი ქმედებები. გამოწვევად რჩება გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტი. ეკონომიკური კრიზისის გავლენის შემცირების მიზნით 2009 წლის დასაწყისიდანვე განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ, მთავრობამ დაიწყო მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც კერძო ინვესტიციების შემცირების პირობებში ეკონომიკის მნიშვნელოვან სტიმულირებას წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი თანხები მიიმართა საგზაო ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, რამაც დასაქმებასაც შეუწყო ხელი და, სხვადასხვა სექტორებში სამუშაო ადგილების შემცირების მიუხედავად, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა. გარდა ამისა, 2009 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადი 25%-იდან შემცირდა 20%-მდე, რითაც სახელმწიფომ დაახლოებით 250.0 მლნ ლარის დამატებითი ინვესტირება განახორციელა საქართველოს ეკონომიკაში.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა საბოლოო ჯამში შეასუსტა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა და წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკის 8%-მდე შემცირების მიუხედავად, წლის მეორე ნახევარში დაიწყო ეკონომიკის ეტაპობრივი ზრდა. წლის ბოლოს ეკონომიკური ვარდნა 3.9%-ით დაფიქსირდა.

გასული პერიოდის გლობალური უარყოფითი ეკონომიკური მოვლენების გათვალისწინებით, ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტის, ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის მისაღწევად აუცილებელია ზრდის ტემპის მატების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელშიც იგულისხმება თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით, რაც წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის საფუძველს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელია: სექტორული კვლევა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად; ღონისძიებების გატარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება; მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი; კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;

საკმაოდ მნიშვნელოვანია საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის, ხარისხის ინფრასტრუქტურისა და საგარეო ვაჭრობის განვითარება. ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა უცხოური ინვესტიციების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. საქართველოს ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე პირდაპირ გავლენას იქონიებს ამ ქვეყნებიდან ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. მოხდება ტურისტული კომპანიების სტიმულირება აღნიშნულ ბაზრებზე საქმიანობის უფრო აქტიურად წარმართვისათვის.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარებისთვის და სავაჭრო სტრუქტურული გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების რეგულარული ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ფესტივალების და დღესასწაულების ორგანიზება;
- გამოფენების მოწყობა;
- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია პრესით და ტელევიზიით;
- მედიის წარმომადგენლებისათვის პრეს-ტურების მოწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამოიწვევს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობისა და უცხოური ინვესტიციების ზრდას ქვეყნის ეკონომიკაში; წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას; სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურულ გაუმჯობესებას და სავაჭრო რეჟიმების განვითარებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის, (გადამუშავებული ვარიანტი), თბ., 2010
2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.

რეზიუმე

მსოფლიოსა და რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. რუსეთის ფედერაციის 2008 წლის აგვისტოში განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ გააუარესა მთელი კავკასიის რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების გარემო. ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული არასტაბილურობა და მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე. რეგიონში პროცესების მშვიდობიანი განვითარება და თანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება საქართველოს უსაფრთხოებისათვის პოზიტიურ შესაძლებლობებს შეიცავს. რადგანაც საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია, მისი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კერძოდ, ნატოს და ევროკავშირის

აღმოსავლეთით გაფართოება. საერთაშორისო ვითარების მუდმივ ცვლასთან ერთად საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა პოლიტიკური პროცესები. ქვეყნის სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას, რაც ეკონომიკაში თავისუფალი ბაზრის პრინციპების ფართოდ დანერგვით, მკაცრი ფისკალური დისციპლინითა და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარებით მიიღწევა.

PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY IN THE CAUCASUS REGION

Leila Mamulashvili, Associate Professor

RESUME

The processes existed in the World and the region significantly changed Georgian security environment for the last few years. The military aggression of the Russian Federation in August 2008 worsened the security environment in the whole Caucasus. Herewith, instability in the north Caucasus and mountainous Karabachos has a negative influence on the Georgian security environment. Peaceful development of the processes and formation of cooperative atmosphere has positive opportunities for the Georgian security. As Georgia is a part of European and Euro Atlantic Space, current integration processes are necessary for its security, namely, widening of NATO and European Union to the East. Together with the permanent change of the International conditions, internal political processes make a significant influence on formation of the Georgian security. For the country stability and its secure development it is important to keep the high rate of long-term economic growth, which is achieved by establishing free market principles in economics, strict fiscal discipline and healthy monetary policy.

საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ საქართველოში: განათლებიდან უკუგების ნორმების ანალიზის ეკონომეტრიკული კვლევის პროექტი

რუიზან მექვაბიძე, აკადემიური დოქტორი

პრობლემის აქტუალობა და კვლევის სიახლე

უდავოა, რომ დღეისათვის მეტი შესაძლებლობა გვაქვს და ხელმისაწვდომია მონაცემების მიღება ინდივიდების განათლებისა და მის მიხედვით ანაზღაურების შესახებ ანაზღაურებაზე განათლების გავლენის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად. დღეს, ამ მიმართულებით, ლიტერატურა შეფასების ფართო სპექტრს იძლევა. შეფასებებში სხვადასხვა სახის განსხვავებებია თუმცა ისინი ასახავენ რეალურ დამოკიდებულებას საგანმანათლებლო კვალიფიკაციასთან მიმართებაში. ამიტომ ლიტერატურის ფართო სპექტრიდან ყურადღებას გავამახვილებთ მათგან უფრო მნიშვნელოვანზე, საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმებთან მიმართებაში.

განათლებიდან უკუგების ნორმების შეფასება 1950 წლიდან იწყება (Mincer, 1974, 1993; Becker, 1975; Schultz, 1961; Willis, 1986). საბჭოთა კავშირის შრომის ბაზრისა და ადამიანური კაპიტალის შესახებ შრომები ეყრდნობოდა აგრეგატულ ეროვნულ ან რეგიონალურ დონეზე მონაცემებს. სიტუაცია შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და დამოუკიდებელ ქვეყნებში ეს ცვლილება 1993 წლიდან შეიმჩნევა.

განათლებიდან უკუგების ნორმების შეფასების სწავლება განავითარა მინცერმა. ის პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც ადამიანური კაპიტალის კონცეფცია შემოიტანა ინდივიდის ანაზღაურების განაწილებაში და ამისათვის გამოიყენა ანაზღაურების სტანდარტული ფუნქცია განათლებიდან უკუგების ნორმის შესაფასებლად. სწორედ აღნიშნა ვილისმა 1996 წელს, რომ "... მინცერის ანაზღაურების ფუნქცია ერთერთია იმ წარმატებული ისტორიისა, რომელიც ეხება თანამედროვე შრომის ეკონომიკას ..."

განათლება საშუალებაა ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაძენად, რომლის შედეგადაც იზრდება პროდუქტიულობა. პროდუქტიულობა კი ზრდის რესურსებს ახალი მიმართულებების განსავითრებლად, როგორიცაა: ტექნოლოგიები, ახალი ბიზნესი, მოსახლეობის კეთილდღეობა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. განათლება საზოგადოების სარგებლიანობის "საქონელია", რადგან განათლების მაღალი დონე ინდივიდის ინტელექტის დონესთან შესაბამისობაშია (Jim Saxton., 2000). მაგრამ ასეთი მიდგომა არასრულია, რადგან ამ შემთხვევაში იგნორირებულია განათლების საინვესტიციო ღირებულება. განათლებაში ინვესტიციებიდან უკუგების ნორმის აღრიცხვამ ეკონომისტები დააინტერესა ამ საუკუნის დასაწყისში. განათლების მიხედვით, ანაზღაურებაზე ეფექტის შეფასება გაკეთებულია სწავლაზე გაწეული გადასახადების მიხედვით სწავლის მოცემული დონისათვის (R. Mekvabidze, 2011).

როგორც მინცერი აღნიშნავდა, განათლებული მუშები ბევრად წარმატებულები იყვნენ, გაუნათლებელ მუშებთან შედარებით: მაღალი ხელფასით, დასაქმების დიდი მდგრადობით და შემოსავლის ზრდის მობილურობით (Mincer, 1993). განათლების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ორი ძირითადი მექანიზმის გამოყენებითაა შესაძლებელი. პირველი მექანიზმია ახალი ცოდნის შეძენა და მეორე - განათლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ცოდნის დიფუზიითა და ტრანსმისიით.

21-ე საუკუნის ეკონომიკის პირობებში, განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. ინვესტიცია განათლებაში ხელს უწყობს სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ამაღლებას თითქმის ყველგან. მთავრობის მიერ მთავარი გამომწვევი მიზეზია უმაღლესი განათლების ფინანსური რეფორმა უმაღლეს განათლებაზე კერძო მოთხოვნის გაზრდისა და შეზღუდული სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებში (Maureen Woodhall, 2006), რაც საქართველოშიც აისახა. ამ პირობებში დისკუსიის საგანი ეკონომიკური კონცეფციებია: უკუგების ნორმის სოციალური გააზრება და კერძო ინვესტიცია განათლებაში, განათლებაში ღირებულების გადანაწილება და შემოსავლის მქონე კონტინგენტის მიერ სტუდენტური სესხების იდეა. ამ საკითხებთან, უშუალოდ განათლებასთან დაკავშირებით, როგორც სოციალურ ინვესტიციაზე, ჩართულია სარგებლიანობის ფართო ქსელი, რომლის შევსების წყარო კვლევაა და ტექნოლოგიური ინოვაციები.

ჩატარებულია შრომის (Mark Collins, Anna Vignoles, James Walker 2007) ანალიზი, რომლის მიხედვითაც გამოკვლეულია უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლების ანაზღაურების დამოკიდებულება სხვა პროფესიებთან კავშირში. ამასთან დადგენილია, რომ უმაღლეს განათლებაში პროფესიონალი მასწავლებლების საშუალო საათობრივი ანაზღაურება ისეთივეა, როგორც ყველა სხვა მომსახურეობისა, თუმცა ისინი მუშაობენ მეტ დროს. თუმცა, რეგრესიულ ანალიზში, ავტორები არ განიხილავენ დროის მონაკვეთში ცვლილებების ბუნებას. ეს იმიტომ, რომ შერჩევის მცირე მოცულობები ხელს უშლიან უმაღლესი განათლების აკადემიური პერსონალის ხელფასის გადახდის შეფასებას წლის მაჩვენებლების საფუძველზე.

ანაზღაურებაზე განათლების გავლენის შეფასება საკმაოდ ჩავარდნილია ამ მიმართულებით არსებულ ლიტერატურაში. კერძოდ, ნაშრომების - Richard Blundell, Loraine Dearden, Barbara Sianesi, 2007 და Card, 2006 - მიხედვით, რომლებშიც განხილულია და შეფასებულია გავლენის მიზეზი. სპეციფიკაცია საკმაოდ მოქნილია და შეიძლება გადაფაროს განათლების შედეგი, რომელსაც ადგილი აქვს ინდივიდის მიერ წლების მიხედვით განათლების სრულყოფას ბუნებრივი მიმდევრობით (R. Mekvabidze, 2010).

საინტერესოა კვლევითი სამუშაო - Heckman, James J. & Urzua, Sergio & Vytlacil, Edward, 2008- სადაც განვითარებულია ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდი მოდელებისათვის ინფორმაციის მრავალჯერადი, მოუწესრიგებელი დამუშავების გზით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დამუშავება განსაზღვრულია მულტინომიალური მოდელის არაპარამეტრული ვერსიით. ამ მხრივ, კიდევ უფრო მეტად საინტერესოა კვლევის შედეგები მიღებული 2008 წელს (James J. Heckman, 2008).

საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზი შეიძლება ოთხი მიმართულებით განვიხილოთ:

1. განათლების ტრანსფორმაციის მოტივაცია;
2. განათლების ტრანსფორმაციაში მოქმედი ფაქტორები;
3. განათლებაზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის გავლენა;
4. გლობალური უნივერსიტეტები, ღია უნივერსიტეტები და დისტანციური განათლების ქსელები, როგორც განათლების ტრანსფორმაციის შედეგები.

ნაშრომი (R. Mekvabidze, P.Mekvabidze, 2007, 2008) ხსნის და განიხილავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკურ განათლებაზე და რომლებიც არსებითია განვითარებადი ქვეყნებისათვის, ასევე მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებისათვის და, კერძოდ, პოსტ საბჭოთა ქვეყნებისათვის, რადგან ისინი

ჯერ კიდევ საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან. ასევე, განსჯის დონეზე განხილულია თანამედროვე პირობებში და, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების გავლენა განათლებაზე და ახალი მოთხოვნები განათლების ეკონომიკის შესწავლისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

განათლების ეკონომიკის შესწავლა დღეისათვის კიდევ უფრო აქტუალურია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) განვითარების ფონზე, მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში, რამაც ცოდნაზე დაფუძნებული განათლების ეკონომიკის ახალი ხედვის აუცილებლობა მოითხოვა. განათლების ეკონომიკა გახდა სამეცნიერო კვლევებისა და დისკუსიის საგანი და დღეისათვის სწრაფად განვითარებადი მიმართულება.

ინვესტიცია განათლებაში და განათლებიდან უკუგების ნორმების შესწავლა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან კონტექსტში აქტუალურია არა მარტო განვითარებული ქვეყნებისათვის, არამედ განვითარებადი ქვეყნებისთვისაც, რაც იმას ნიშნავს, რომ განათლების ეკონომიკა სახელმწიფოს მუდმივი ყურადღების ქვეშაა მოქცეული. დღეისათვის ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და შესაძლებლობები ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის დაკავშირებულია ინტელექტუალური პოტენციალის (ადამიანური კაპიტალის) აკუმულირებასთან. ინდივიდები მათი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევებით და პროფესიული გამოცდილებით განსაზღვრავენ ქვეყანაში ეკონომიკურ ცვლილებებს. (Mark Collins, Anna Vignoles, James Walker, 2007).

ინვესტიცია განათლებაში მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის პერიოდშია და განათლების ტრანსფორმაციას განიცდის. ამასთან, მიმდინარე პერიოდში საქართველოს შრომის ბაზარი ხასიათდება დიდი შეუსაბამისობით საგანმანათლებლო კაპიტალსა და შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნილ უნარს შორის. იმის გამო, რომ ამ მიმართულებით საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა, განათლებაში მიმდინარე რეფორმები და განათლებაში ინვესტიციებიდან უკუგების მნიშვნელობა ქვეყნისათვის შეფასებული არ არის. ეს კი ნიშნავს, რომ რეფორმების (საგანმანათლებლო, ეკონომიკური) გატარებისას შეიძლება დავუშვათ შეცდომები, რომელთა გამოსწორებას კვლავ მრავალი წელი დასჭირდება.

სახელმწიფო ინვესტიცია განათლებაში დაბალია განვითარებადი ქვეყნების სტანდარტების მიხედვით, მაშინ, როდესაც საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრალური მიმმართველი უნდა იყოს ინვესტიცია განათლებაში სამი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორით:

- განათლების დონე და განათლებაზე დანახარჯების გადანაწილება;
- საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა;
- განათლების მომსახურეობის ეფექტური მექანიზმი.

ქვეყნისათვის ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირების კვლევის მნიშვნელობა ცხადია, თუმცა კომპლექსური კვლევა ამ მიმართულებით საქართველოში არ ჩატარებულა. ბუნებრივია, 90-იან წლებამდე გეგმიური ეკონომიკის პირობებში ეს საკითხი საინტერესო არ იყო, რადგან ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და გათვლილი. რაც შეეხება 90-იანი წლების შემდეგ პერიოდს, როდესაც ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღმოჩნდა და ეკონომიკურმა განათლებამ ახალი მიმართულება მიიღო, ასეთი კვლევის სირთულე დაკავშირებულია ეკონომიკური კადრების (პერსონალის) გადამზადების პროცესთან. დღესაც ეკონომიკურ განათლებაში საკმაოდ შეიმჩნევა დაბნეულობა, განსაკუთრებით, ეკონომიკური სპეციალობების მიხედვით სასწავლო პროგრამების დანერგვასთან და კვლევების აქტუალობასთან დაკავშირებით.

საქართველოში, განათლებაში ინვესტირებიდან უკუგების ნორმების შესწავლა, მისი შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელის აგება და სტანდარტული შეფასებების მიღება დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის, 1990– დღემდე, კვლევის საშუალებას არ იძლევა არსებული სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე, რადგან არ არის გათვალისწინებული ისეთი ფაქტორი, როგორიცაა განათლებაზე დახარჯული წლების რიცხოვნება, რის გამოც არ აისახება განათლების ეფექტი პროდუქტიულობაზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი კოეფიციენტი მოსალოდნელ ეკონომეტრიკულ მოდელში კორელირებულია დაკვირვების გარეშე დარჩენილ მაჩვენებლებზე, რომლებიც ასევე, კორელირებულია ანაზღაურებასთან. ამ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი შეიძლება ასახავდეს ორივე ეფექტს, კერძოდ, განათლების გავლენას პროდუქტიულობაზე და დაკვირვების გარეშე დარჩენილი ცვლადებით გამოწვეულ ეფექტს, რომელმაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს პროგნოზირებადი კოეფიციენტის

წანაცვლება, რის შედეგადაც, სტანდარტული მეთოდით შეფასებამ შეიძლება აჩვენოს განათლებიდან უფრო დაბალი უკუგება, ვიდრე სინამდვილეშია, ამ შემთხვევის გათვალისწინების გარეშე.

განხილული მიმართულებით კვლევამ უნდა მოიცვას საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პერიოდი და ყურადღება უნდა გამახვილდეს განათლებაში ანაზღაურებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიის ფაქტორების გათვალისწინებაზე ინტელექტუალური კაპიტალიდან მოგების ნორმის თეორიულ და ემპირიულ ანალიზზე გარდამავალი ეკონომიკის პირობებში.

კვლევამ უნდა მოიცვას ძირითადი მიმართულებები:

- განათლებაში ინვესტიციებიდან უკუგების ეკონომეტრიკული მოდელის აგება და შეფასება;
- ინტელექტუალური კაპიტალის მქონე პროფესიული ჯგუფების უკუგების ნორმების შედარებითი ანალიზი;
- განათლების ეფექტების შესწავლა სხვადასხვა ტიპის ბაზრების მიხედვით, როგორიცაა: დასაქმება და დაუსაქმებლობა;
- განათლების სხვადასხვა ფორმებში ინვესტიციებიდან მოგების ნორმები.

კვლევამ უნდა მოიცვას საქართველოში ადამიანური კაპიტალის ფორმირების შემდეგი ძირითად მახასიათებლები: განათლების დონე და პროფესიული გამოცდილება, რომლებიც განსაზღვრავენ ხელფასის დიფერენციაციას, დასაქმების შესაძლებლობას და ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებიდან უკუგების ნორმების განსაზღვრას.

მოსალოდნელი შედეგებით უნდა აისახოს:

1. განათლებაში ინვესტიციებიდან უკუგების ნორმების დინამიკის განსაზღვრა;
2. ხელფასის ფუნქციის შეფასება;
3. განათლებაში ინვესტიციების მნიშვნელობა;
4. განათლების როლი ეკონონომკიკური ზრდის მაჩვენებელში ცოდნის აკუმულირებისა და გადაცემის გზით;
5. განათლების რეფორმის ეკონომიკური აზროვნების დემონსტრირება ცოდნის აკუმულირებისა და გადაცემის გზით.

სანაცვლოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს საფუძველი ექნება განსაზღვროს:

1. საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმების მოდერნიზაციის ეკონომიკური ასპექტის პროგნოზი;
2. განათლებაში ინვესტიციების ნორმები შრომის ბაზართან მიმართებაში და განათლების სისტემის ფორმირებისას მისი გათვალისწინება.

კვლევის_მეთოდოლოგია

განათლება ინვესტიციაა ადამიანურ კაპიტალში ჩადებული და ფაქტობრივად, ეს არის გაცვლა, რომლისგანაც უკუგება მომავალში შეიძლება გამოიხატოს შემდეგ მაჩვენებლებში:

ა/ ანაზღაურება;
ბ/ დასაქმება;
გ/ არასაბაზრო კერძო ეფექტები;
დ/ ეკონომიკური ზრდა.

კვლევისათვის გამოყენებული უნდა იყოს ემპირიული კვლევის მონაცემები ხელფასების მიხედვით იმ ინდივიდებისა, რომლებმაც განათლების შედეგად გარკვეულ შედეგს მიაღწიეს:

ა/ სრული განაკვეთზე მომუშავე ინდივიდების განათლების შედეგად მიღწეული ანაზღაურება;
ბ/ სრულ განაკვეთზე მომუშავე უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების ანაზღაურება მიღწეული:

- უმაღლესი განათლებით;
- საბაკალავრო განათლებით;
- პროფესიული განათლებით;
- სპეციალობის მიხედვით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ანაზღაურების ხელფასით;
- სპეციალობის მიხედვით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ანაზღაურების ხელფასი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის გათვალისწინებით.

შეისწავლება საათობრივი ანაზღაურება ყველა ინდივიდისათვის შერჩევაში (მოიცავს არასრული განაკვეთით დასაქმებულებსაც). დამოკიდებული ცვლადები გამოიყენება რეგრესიაში log ფორმით საათობრივი წმინდა ანაზღაურების მიხედვით. ასევე ანაზღაურების განტოლებების შეფასებისას

შედარდება უმაღლესი განათლების მიხედვით საათობრივი გადახდა სხვა შერჩეული ჯგუფების მიმართ გადახდასთან. შესაძლებელი იქნება გენდერის მიხედვით კვლევა, კვალიფიკაციის დონის შეტანა მოდელში საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ სხვადასხვაობის დინამიკა აკადემიურ პერსონალის საათობრივ ანაზღაურებასა და სხვა პროფესიულ დაჯგუფებებს შორის, რაც შეიძლება გაპირობებული იყოს უფრო პერსონალური მახასიათებლებით, ვიდრე მათ მიერ დაკავებული დასაქმების ადგილით.

დასაქმების ადგილის მიხედვით ფიქტიური ცვლადების ვექტორი მოიცავს სხვადასხვა ნომენკლატურას დასაქმების ადგილის მიხედვით.

მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრობლემა შემდეგია:

- შეიძლება ეს იყოს ის შემთხვევა, როდესაც აკადემიური პერსონალი საშუალოდ მეტ-ნაკლებად უნარიანია შრომის ბაზარზე, ვიდრე სხვები და მეორე, უფრო მთავარი არის ის, რომ ინდივიდს უნდა, რომ მან მიიღოს ის სამუშაო, რომელიც მისთვის მისაღებია და თავი თავისუფლად იგრძნოს, რადგან დარწმუნებულია, რომ სამუშაოს თავს კარგად გაართმევს. მაგრამ ეს არჩევანი ჩვენ არ შეგვიძლია გავითვალისწინოთ მოდელში.
- აუცილებელია, განვიხილოთ ხანგრძლივობა, როდესაც შუალედი უმაღლეს განათლების აკადემიურ პერსონალის ანაზღაურებასა, მათ შორის ვისაც სხვა თანამდებობა უკავიათ, მისასადაგებელია სხვადასხვა გადახდის ფასებში მახასიათებლების მოცემული მიმდევრობებისათვის.
- ჩასატარებელია გამოკვლევა საქმიანობათა გამოყოფილი მიმდევრობისათვის, რომლისთვისაც ზოგიერთ ჯგუფს უნარი აქვს დაიცვას თავისი მაღალი ანაზღაურება.

მონაცემები და ცვლადები

ცვლადების შემოტანა საჭიროა ყველა იმ კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს:

საშუალო სკოლის დამთავრება (პირველი ხარისხი);
ბაკალავრის ხარისხი;
MA (სამაგისტრო) ხარისხი;
PhD. ხარისხი (სადოქტორო ხარისხი) ;
პროფესიული კვალიფიკაცია.

მონაცემების წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს მონიტორინგული კითხვარის მონაცემები, რომლებიც სისტემატიურად კეთდება შინამეურნეობებისა და ინდივიდებზე დაყრდნობით და დაიხვეწოს აუცილებლობის შემთხვევაში. ეს მონაცემები ასახავენ შედეგებს და მოიცავენ შერჩევის მოცულობას, წყაროს და სტრუქტურის მიხედვით შინამეურნეობებისა და ინდივიდების შემოსავალსა და დანახარჯებს, დასაქმებასა და განათლების დონეს. ამ მონაცემებით შეიძლება გაკონტროლდეს ადამიანური კაპიტალის შესახებ თეორია ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოში.

სამწუხაროდ, ძირითადი ინფორმაცია შეიცავს ნაკლებ ინფორმაციას ფირმების სპეციფიურ მახასიათებლებზე, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის ფუნქციისათვის. ამის გამოსასწორებლად შეიძლება დამატებითი გამოკვლევის ჩატარება. დამატებით ჩვენ კიდევ გვჭირდება მონაცემები და მათთვის სპეციალური კითხვარის დამუშავება, რომ სპეციალური გამოკვლევის გზით დავადგინოთ დამოკიდებულება გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენა-ანაზღაურებაზე მათი ფორმების მიხედვით:

- თვიური ანაზღაურება ხელფასის, ბონუსის, გრანტის, წარმატებულობის, უპირატესობის, შემოსავლების სახით, სამუშაოს პირველად ადგილზე თვის გათვალისწინებით;
- ჯამური თვიური ანაზღაურება ხელფასის, ბონუსის, გრანტის, წარმატებულობის, უპირატესობის, შემოსავლების სახით სამუშაოს პირველად და მეორე ადგილებზე თვის გათვალისწინებით;
- თვიური გადახდისა და საკუთრივ გამომუშავების ფორმით პირველად სამუშაო ადგილზე და მოიცავს აგრეთვე იმ ფულსა და გადახდას, რომელიც დროულად არ იყო მიღებული დასაქმებულის მიერ;

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული გამოკითხვის შედეგები არ მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელფასებს (მუდმივი შრომითი შემოსავალი), რომელიც ყველაზე უკეთესად

გამოხატავს ანაზღაურების კლასიკური ფუნქციის შეფასებას. გარდა ამისა, ინფლაციაც ხელს უშლის ანაზღაურების შეფასებას და წარმოადგენს შეცდომის წყაროს.

გამოსაყენებელია ანაზღაურების მონაცემების რეგულირება ინფლაციის გათვალისწინებით თვეების მიხედვით. ანაზღაურების სტანდარტული განტოლების შესაფასებლად გამოვიყენებთ დეფლაციის პროცედურას ინდივიდუალური ანაზღაურების მიმართ. ადამიანური კაპიტალის შესასწავლად სხვა, ძირითადი ცვლადებია: განათლებაზე მოსული წლები, განათლების დონე, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, შრომის ბაზრის გამოცდილება, მიმდინარე დამქირავებელთან მუშაობის გამოცდილება.

შერჩევები

ძირითადი შერჩევა დამოკიდებულია გამოკვლევის შინაარსა და სირთულეზე და კვლევაში მონაწილე ინდივიდებზე.

ლიტერატურა:

Mincer Jacob., Schooling , Experience and Earning. New York : Nat. Bur. Econ. Press, 1974.

Willis Robert J., Wage Determinants: A Survey and Reinterpretation of Human Capital Earnings, 1986.

Schultz, T.W., Investment in Human Capital , American Economic Review, 1961.

Jim Saxton, Investment in Education: Private and Public Returns. January 2000, www.house.gov/

Ruizan Mekvabidze, Research as the Main Aspect for Knowledge Creation in the Frame the Modern Educational Reforms. International Technology, Education and Development Conference, INTED, 2011, 7-9 March, Valencia, Spain.

Mincer Jacob. "Education and Unemployment", in Studies in Human capital edited by Jacob Mincer. Cambridge, UK: Edward Elgar, 1993.

Ruizan Mekvabidze, The Aspects of Education and Research for Knowledge Creation in the Frame of the Modern Higher Educational Reforms (**The Case of Georgia**). International Congress on Knowledge, Economy & Management. October 28-31, 2011, Istanbul, Turkey.

Maureen Woodhall, International conference of the economists of education in memory of Jean Claude Eicher. Dijon, France 21-23 June 2006,

Ruizan Mekvabidze, Salary Curves: Econometric Research for Gori Region. The third International conference "Education and Development of "Gori University, 12 October, 2010, pp. 173-177,

Mark Collins, Anna Vignoles, James Walker. Higher Education Academic Salaries in the UK. Published by Center for the Economics of Education. London School of Economics. ISBN 07530 2086 6, 2007

Ruizan Mekvabidze, Pikria Mekvabidze. The Aspects of Globalization of Economic Processes**.** Co-Authored. International Scientific -Practical Conference "Globalization, World Crisis and South Caucasus. Kutaisi, Publishing House: "Innovation" 16-17 May, 2009, pp. 82-87

Heckman, James J. & Urzua, Sergio & Vytlacil, Edward "Instrumental Variables in Models with Multiple Outcomes: The General Unordered Case," IZA Discussion Papers 3565, Institute for the Study of Labor (IZA), 2008, http://ideas.repec.org/p/iza/izadps/dp3565.html

Card D. Estimating the Returns to Schooling: progress on some persistent econometric problems", Econometrica, 69, 2001,

Ruizan Mekvabidze, Curricula, Syllabi Design and Teaching Methods for the Module "Quantitative Economic Methods and Models", 4th International Silk Road Symposium "New Trends in Higher Education", International Black

Sea University by supported of the Ministry of education and Science of Georgia. Tbilisi, Georgia, 4-6 May, 2007, pp. 317-324.

რუიზან მექვაბიძე, ფიქრია მექვაბიძე, განათლების ეკონომიკა: განათლების ეკონომიკური ასპექტი და მის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები. გორის უნივერსიტეტის I საერთაშორისო კონფერენცია „ცოდნა ცხოვრებისათვის“, 3-4 აპრილი, 2008

Ruizan Mekvabidze, For Modern Curricula Design of Transformation in Economic Education**.** Following educational reforms in Georgia: For Supporting of Higher Economic and Professional Education. Workshop by financial support of US Embassy in Georgia. ISBN 978 9941 12-318-4, Publisher: “Universal”, Gori University, 25-27 June, 2008. pp. 30-39

რეზიუმე

ნაშრომი წარმოადგენს ეკონომეტრიკული კვლევის ჩატარების პროექტის ვერსიას ინვესტიციებიდან უკუგების ნორმების ანალიზისა და შეფასებისათვის. განხილულია კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია და აქცენტი გაკეთებულია იმ მოსალოდნელ შედეგებზე, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო რეფორმების სრულყოფას საქართველოში.

FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS IN GEORGIA: THE ECONOMETRIC RESEARCH PROJECT FOR THE ANALYSIS AND ESTIMATION OF THE RATES OF RETURNS OF INVESTMENT

Ruizan Mekvabidze, Academic Doctor

RESUME

The work presents the preliminary econometric research project for realizing of the analysis and estimation of the rates of returns of investment in education. It considers the research goals, research methodology, the expected results and their role for the fulfillment of the educational reforms in future in Georgia.

ეკონომიკური პროცესების ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდები

თინათინ მშვიდობაძე, ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკურ-მათემატიკურმა მიმართულებამ თავისი წარმოშობის მომენტიდან დღემდე განიცადა სერიოზული განვითარება და სრულყოფა. დიდია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების როლი ეკონომიკური თეორიის განვითარებაში. მსოფლიო კონკურენციის მაღალი დონე, წარმოებისა და მოხმარების სულ უფრო მზარდი მასშტაბები რესურსების შეზღუდულობის პირობებში აუცილებელს ხდის ეკონომიკის მართვის პრაქტიკაში გამოყენებულ იქნას მოწინავე მათემატიკური და ინსტრუმენტული მეთოდები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონე ახალ სიცოცხლეს აძლევს რეალური ეკონომიკური პროცესების მოდელირებას. ეს უკანასკნელი შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნას ხარისხობრივი მმართველობითი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან ფაქტორთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას [1,2].

აღნიშნული საკითხები დიდ მნიშვნელობას იძენს დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის განვითარების პირობებში. აუცილებელი ხდება ეკონომიკის გონივრული და სწორი მართვა, რამაც სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარება.

მათემატიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენება ეკონომიკურ კვლევასა და, შესაბამისად, პრაქტიკაში რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ოპტიმიზაციის მეთოდები (ანუ უფრო ზუსტად ოპერაციათა კვლევა) ეკონომიკაში. ეს ის მეთოდებია, რომლებიც ძირითადად მუშავდება მათემატიკურ დაპროგრამებაში, თამაშთა თეორიაში და ა.შ. მათემატიკური ოპტიმიზაციის მეთოდი ისეთი პროცესია, რომლის დროსაც ხდება ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილებების ძებნა ამა თუ იმ კრიტერიუმის მიხედვით [3].

დინამიკური ოპტიმიზაციის მეთოდი. ქვეყნის ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს, რაშიც ენერგეტიკული, ქსელური ხასიათის ინფრასტრუქტურის ობიექტები საკვანძო ადგილებს იკავებენ. ასეთი ტიპის ქსელების მოწყობა საკმაოდ დიდ საწყის კაპიტალდაბანდებას მოითხოვს, ამიტომ ფინანსური და ტექნიკური დასაბუთების საწყის ეტაპზე მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენება შესაძლებელ ეკონომიკურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სოციალურ რისკებს მკვეთრად ამცირებს.

განვიხილოთ ოპტიმიზაციის დინამიკური ამოცანა ელექტროსადგურების ოპტიმალური განვითარებისა, სადაც განისაზღვრება დადგენილი სიმძლავრე, რიგითობა და ვადები ძირითადი მაგენერირებელი მოწყობილობის შეყვანისა. მოცემული ამოცანა არის მრავალპარამეტრული, საჭიროებს ელექტროსადგურების და ელექტროკავშირების აღრიცხვას. ამიტომ მისი გადაჭრისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეკომპოზიციის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს რთული ამოცანის დაყოფაში, მთელ რიგ შედარებით დამოუკიდებელ ამოცანებად.

დინამიკური პროგრამირების მეთოდი წარმატებით გამოიყენება იმ ადიტიური ფუნქციების ოპტიმიზაციისათვის, რომლებიც წარმოდგენილია ოპტიმიზირებული პარამეტრების ფუნქციების ჯამის სახით. მაგალითად საჭიროა განვსაზღვროთ ოპტიმალური სტრატეგია მაგენერირებელი სიმძლავრეების P_j შესაყვანად j სისტემის ელექტროსადგურებზე (j=1,2,.....J). ვთქვათ ოპტიმალურობის კრიტერიუმს წარმოადგენს მოყვანილი ხარჯების მინიმუმი მოცემული დადგენილი სიმძლავრის ჯამური შეყვანისა ყველა სადგურში. ვიპოვოთ ფუნქციის მინიმუმი:

$$\min \partial(P_1, P_2, \ldots P_j, \ldots P_T)$$

კავშირის პირობების შესრულებისას

$$\sum_{j=1}^{J} P_j = P_{\Sigma max}$$

ოპტიმალურობის თვალსაზრისით, ზოგიერთი მნიშვნელობა შეიძლება აღმოჩნდეს ნულის ტოლი, რაც ნიშნავს ელსადგურის მშენებლობის არამიზნობრიობას შესაბამის პუნქტებში. ფუნქციის ადიტიურობა ნიშნავს მისი ჩანაწერის შემდეგი სახით შესაძლებლობას:

$$\partial(P_1, P_2, \ldots P_T) = \sum_{j=1}^{T} g_j(P_j)$$

აქ $g_j(P_j)$ მოყვანილი ხარჯებია ელსადგურების აღმართვასა და ექსპლუატაციაზე ელექტროსადგურებში.

დინამიკური პროგრამირების ერთ-ერთი უმთავრესი იდეაა ერთჯერადი ოპტიმიზაციის ფუნქციის შეცვლა მრავალი ცვლადების მრავალჯერადი ოპტიმიზაციის ფუნქციით.

ოპტიმიზაციის პროცესი იშლება ბიჯებად შესაბამისი მნიშვნელობებით დამოუკიდებლად j პარამეტრებისა. ჩვენ შემთხვევაში, ეს პარამეტრი იღებს დისკრეტულ მთელრიცხვიან მნიშვნელობებს j=1,2,.....J. მოცემულ ამოცანაში ელსადგურების დადგენილმა სიმძლავრეებმა აგრეთვე შეიძლება მიიღოს მხოლოდ დისტრეტული P_j მნიშვნელობა.

დინამიკური პროგრამირების მეთოდის გასაადვილებლად განვიხილოთ გამარტივებული რიცხვული მაგალითები ელსადგურების განვითარებისა და სიმძლავრეების განსაზღვრისათვის.

ვთქვათ, აუცილებელია განვსაზღვროთ სასარგებლო სიმძლავრე ახალ ელექტროსადგურებში, რომლებიც შეიძლება აღიმართოს ოთხ პუნქტში j=1,2,3,4 და დავაყენოთ ჯამური მაგენერირებელი სიმძლავრე

$$P_{\Sigma max} - \sum_{j=1}^{4} P_j - 4_{sadart}$$

ოპტიმალურობის კრიტერიუმად ავირჩიოთ მოყვანილი ხარჯების მინიმუმი ელსადგურების აღმართისა და ექსპლუატაციისას:

$$\min \theta = \min \sum_{j=1}^{4} g_j\ (P_j)$$

სადაც $g_j\ (P_j)$, j=1,.....,4 ცნობილი ფუნქციებია მოყვანილი ხარჯების ყოველ ელსადგურზე. ვთქვათ, ასეთი ელსადგურები იცვლება დისკრეტულად 1 ბიჯით. საწყისი ეკონომიკური დახასიათებები - ხარჯები $g_j\ (P_j)$ მოყვანილია ცხრილში .

დინამიკური პროგრამირების გამოყენებით ოპტიმიზაციის შედეგები პირველი ბიჯისათვის

j	P_j მნიშვნელობები				
	0	1	2	3	4
1	0	10	20	25	30
2	0	8	22	26	29
3	0	7	16	29	34
4	0	6	13	24	31

მეთოდის გამოყენების გეომეტრიული ილუსტრაცია ნაჩვენებია ნახ-ზე. პირველ ბიჯზე განიხილება სისტემის ნაწილი, რომელიც შედგება შესაძლო ელსადგურის შენების ერთი პუნქტისაგან.

განვიხილოთ ყოველი შესაძლო განვითარების სტრატეგიები ასეთი „სისტემისა“ P_Σ სიმძლავრით თან ვცვალოთ სიმძლავრის მნიშვნელობა პირველ P_1 პუნქტზე. ყველა შესაძლო დიაპაზონზე ხარჯებისა, შესაბამისი მნიშვნელობები აღვნიშნოთ f_1- ით. რადგან სისტემა შედგება მხოლოდ ერთი სადგურისაგან, შეიძლება ჩავწეროთ

$$f_1(P_\Sigma) = g_1\ (P_1)$$

$$P_\Sigma = (P_1); \quad 0 \le P_\Sigma \le P_{\Sigma max}.$$

აქ f_1 პირობითად პირველი ბიჯების ხარჯების ოპტიმალური მნიშვნელობაა. P_Σ - სისტემის მდგომარეობის პარამეტრი; P_1 - ცვლადის მნიშვნელობა პირველ ბიჯზე.

როგორც ჩანს პირველ ბიჯზე არ არის ოპტიმიზაცია: მიუხედავად ამისა მოცემული შედეგები საჭიროა შემდგომი ბიჯებისათვის.

გადავიდეთ მეორე ბიჯზე. განვიხილოთ სისტემა, რომელიც ელსადგურების შენების ორი პუნქტისაგან შედგება, j=1,2. ისევ დავსვათ მინიმალური ხარჯების განსაზღვრის ამოცანა სისტემაში P_2 სიმძლავრით; ამ პარამეტრის მდგომარეობის ყველა შესაძლებელი მნიშვნელობისათვის აშკარაა:

$f_2(P_\Sigma) = \min\ [g_1\ (P_1) + g_2\ (P_{2)})]$. რადგან $P_1 = P_\Sigma - P$

და $g_1\ (P_1) = f_1(P_1) = f_1(P_\Sigma - P_2)]$.

როგორც ვხედავთ მინიმიზაცია აუცილებელია შევასრულოთ ორი ცვლადით P_1და P_2. მაგრამ, გამოვიყენებთ რა პირველი ბიჯის გათვლის შედეგებს, დავიყვანოთ ამოცანა ფუნქციის მინიმიზაციამდე ერთი ცვლადიდან:

$$f_2(P_\Sigma) = \min\ [g_2\ (P_2) + f_1(P_\Sigma - (P_2))]$$

ამასთან $\quad 0 \le P_2 \le P_\Sigma; \qquad 0 \le P_\Sigma \le P_{\Sigma max}.$

ნახ-ზე სწორკუთხედში პირობითად მოცემულია ოპტიმალური ხარჯები ოპტიმიზაციის თითოეულ ბიჯზე. ციფრები სწორკუთხედების თავზე გვიჩვენებს პირობით ოპტიმალურ სიმძლავრეებს შესაბამის პუნქტებში. ისრები გვიჩვენებს სიმძლავრის ნაზრდს წინა ბიჯებთან შედარებით, რიცხვები

რგოლებში - ხარჯებს პირობითად ოპტიმალური გეგმისა. ოპტიმალური სტრატეგია, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ მინიმუმს ნაჩვენებია სქელი ისრებით.

განვიხილოთ, ოპტიმიზაცია P_Σ=2 -სათვის მეორე ბიჯზე j=2. (5) და (6) თანაფარდობასთან შესაბამისად,

$$f_2(P_\Sigma=2) = \min\begin{cases} g_2(P_2 = 0) + f_1(P_\Sigma - P_2 = 2 - 0 = 2) = 0 + 20 = 20 \\ g_2(P_2 = 1) + f_1(P_\Sigma - P_2 = 2 - 1 = 1) = 8 + 10 = 18 \\ g_2(P_2 = 2) + f_1(P_\Sigma - P_2 = 2 - 2 = 0) = 22 + 0 = 22 \end{cases}$$

განვიხილოთ როგორ გამოიყენება ბელმანის ოპტიმალურობის პრინციპი პირობით ოპტიმალური ტრაექტორიის არჩევისას მესამე და შემდგომ ეტაპზე. თუ სისტემას, რომელიც შედგება ორი პუნქტისაგან j=1,2. აქვს სიმძლავრე, P_Σ=2, მაშინ როგორიც არ უნდა იყოს სიმძლავრე პუნქტებში j=3,..., სიმძლავრეები j=2 და j=1 პუნქტებში უნდა იყოს ოპტიმალური. ზოგადად, ბელმანის განტოლების მიხედვით გვაქვს

$$f_1((P_\Sigma) = \min\,[g_j(P_j) + f_{j-1}(P_\Sigma - P_j)].$$



ოპტიმალური სტრატეგიის დადგენის მაგალითი დინამიკური პროგრამირების გამოყენების დროს.

ბოლო ბიჯზე გვაქვს $f_4(4)=\min 3$, P_4^0 =2 (P_4^0 - ოპტიმალური სიმძლავრე ელსადგურისა j=4).

ოპტიმალურ ამოხსნას ვიღებთ ე.წ. უკანა სვლით. რადგან ჯამური დადგენილი სიმძლავრე ოპტიმალურობის ვარიანტში ტოლია $P_{\Sigma/=1,2,3}=P_\Sigma - P_4^0 = 2$, გვაქვს, რომ P_3^0=1. ანალოგიურად $P_{\Sigma/=1,2}=P_{\Sigma/=1,2,3}-P_3^0 = 1$-თვის გვაქვს, რომ P_2^0=1. მაშასადამე, პირველი სადგურის სიმძლავრე ტოლია ნულია, ე.ი. ამ რეგიონში არ არის მიზანშეწონილი ელსადგურის აგება.

თამაშთა თეორია. უკანასკნელ წლებში გაიზარდა თამაშთა თეორიის როლი ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებების მრავალ სფეროში. ეკონომიკაში იგი გამოიყენება არა მხოლოდ საერთო სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, არამედ საწარმოოს სტრატეგიული პრობლემების ანალიზისთვის, საორგანიზაციო სტრუქტურების და სტიმულირების სისტემის შემუშავებისათვის. ზოგიერთმა იგი

შეაფასა, როგორც რევოლუცია ეკონომიკურ თეორიაში. ეს მოსაზრება არ არის ძალზე თამამი, რადგან ახალი თეორია თავიდანვე მიზნად ისახავდა რაციონალური ქცევის აღწერას ურთიერთდაკავშირებულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღებისას. ისეთი სფერო, როგორიცაა სტრატეგიული ქცევა, კონკურენცია, კოოპერაცია წარმოადგენს ძირითადს თამაშთა თეორიაში, უკავშირდება უშუალოდ მართვის ამოცანას.

მაგალითად გამოდგება გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება საფასო პროდუქციის გატარებას, ახალი ბაზრების დაპყრობას, საწარმოების შექმნას, ინოვაციას, ვერტიკალური ინტეგრაციის სფეროში ლიდერების და შემსრულებლების გამოკვეთას. ამ თეორიის დებულებები გამოსადეგია ყველა სახის გადაწყვეტილებების მიღებისას, თუ ამ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენას ახდენენ სხვა მოქმედი პირობებიც. ეს პირობები ან მოთამაშეები არ არის აუცილებელი იყვნენ საბაზრო კონკურენტები; მათ როლში შეიძლება იყვნენ სუბმიმწოდებლები, წამყვანი კლიენტები, ორგანიზაციის თანამშრომლები კოლეგები და ა.შ.

თამაშთა თეორიის ინსტრუმენტები გამოიყენება, როცა თანამონაწილეთა შორის არსებობს მნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულება გადახდის დარგში. თამაშთა თეორიის გამოყენებას აქვს თავის საზღვრებიც. ზოგიერთ შემთხვევაში თამაშთა თეორიის ინსტრუმენტები გამოსაყენებელია მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ თამაშის გაფართოებისას 10-ზე მეტი ეტაპით მოთამაშეები ვეღარ იყენებენ შესაბამის ალგორითმებს და ვერ ახერხებენ თამაშის გაგრძელებას წონასწორული სტრატეგიებით.

თამაშთა თეორია რთული დარგია. მისი გამოყენებისას უნდა დავიცვათ სიფრთხილე და გამოყენების საზღვრები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება უპრიანია ერთჯერადად, პრინციპულად მნიშვნელოვან საგეგმო სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის მსხვილ კოოპერატიულ ხელშეკრულებათა მომზადებისას.

ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონე განაპირობებს მიღებულ იქნას ხარისხობრივი მმართველობითი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან ფაქტორთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ნაშრომში განხილულია რეალური ეკონომიკური პროცესების ოპტიმიზაციის რამდენიმე მეთოდი მათემატიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით. აღნიშნული საკითხები დიდ მნიშვნელობას იძენს დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის განვითარების პირობებში. აუცილებელი ხდება ეკონომიკის გონივრული და სწორი მართვა, რაც სამომავლოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

ლიტერატურა:

1. Белкин В. Д., Экономические измерения и планирование, Мысль, М., 2000.
2. Лотов А., Введение в экономико-математическое моделироание, Наука, М., 2001.
3. Кротов В. Ф., Гурман В. И., Методы и задачи оптимального управления, Наука, М., 1998.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია რეალური ეკონომიკური პროცესების ოპტიმიზაციის რამდენიმე მეთოდი მათემატიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით. კერძოდ განიხილება დინამიკური ოპტიმიზაციის მეთოდი და თამაშთა თეორია. ნაჩვენებია დინამიკური პროგრამირების მოდელის გამოყენების მაგალითი, რომელიც რეკომენდაციების გაკეთების საშუალებას იძლევა სხვადასხვა ვარიანტების შედარების საფუძველზე, თუ რა დროში და რა სიმძლავრის ელექტროსადგურები უნდა აშენდეს რეგიონში.

ამ მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია ეკონომიკის გონივრული და სწორი მართვისათვის, რაც სამომავლოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

METHODS OF OPTIMIZATION OF ECONOMIC-MATHEMATICAL MODELS

Tinatin Mshvidobadze, Associate Professor

SUMMARY

In article it is considered methods of optimization of real economic processes with using of modern achievements in sphere of mathematics: statistical dynamic methods of optimization and the theory of games. The presented model of dynamic programmatic usage gives the chance to make recommendations how to compare different versions and what kind of electric power station should be built in region.

The using of these methods provides development of economy, and raises its competitiveness.

ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში

ლალი სადაღაშვილი, *აკადემიური დოქტორი*
გივი სადაღაშვილი, *აკადემიური დოქტორი*
ნანული ქოქაშვილი, *აკადემიური დოქტორი*
მარინე ბუზიაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

საქართველოს ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა შესაფერისი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინვესტიციური აქტიურობა. ეს კი მიიღწევა სათანადო ეკონომიკურ–ორგანიზაციული სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებით, ინვესტიციური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ზრდის და მათი ეფექტიანი გამოყენების გზით. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მწარმოებელ დარგებში ინვესტიციური რესურსების დაბანდება, სხვა თანაბარ პირობებში ხელს უწყობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებაში მის ცივილიზებულ ჩართვას. ინვესტიციურ აქტივებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი ასახულია ჯ. მ. კეინზის თეორიულ მემკვიდრეობაში. კეინზური თეორია, უწინარეს ყოვლისა, ეფექტური მოთხოვნის თეორიაა, რომლის მთავარი არსი ისაა, რომ ერთობლივი მოთხოვნის აქტივიზაციისა და სტიმულირების მეშვეობით ზემოქმედება მოვახდინოთ საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და მიწოდებაზე, რაშიც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ინვესტიციებმა. რაც უფრო მაღალი იქნება ინვესტიციების მომგებიანობა, მათგან მოსალოდნელი შემოსავალი და მოცულობა მით უფრო მეტი და მაღალი იქნება წარმოების მასშტაბები და ტემპები. ინვესტიციების ზრდა მოწოდებულია სტიმული მისცეს მოთხოვნას, ხოლო გადახდაუნარიანი მოთხოვნა მიგვიყვანს დასაქმების ამაღლებასთან და ეროვნული შემოსავლის ზრდასთან. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ინვესტიციურ აქტივობასთან, ხოლო ეკონომიკური ზრდა, თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებს განახორციელოს აქტიური ინვესტიციური პროცესი განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე.

ინვესტიციები, წარმოქმნის მიხედვით, შეიძლება იყოს ადგილობრივი ან უცხოური. საქართველოსათვის ეკონომიკური ზრდის უმთავრეს კომპონენტს ინვესტიციები წარმოადგენს. 2008 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როცა მსოფლიოში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, საქართველოს, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის შედარებით დაბალი ხარისხის ქვეყანას, ამ პროცესების ნეგატიური შედეგი ნაკლებად შეეხო. საქართველოს ეროვნული საივესტიციო სააგენტოს განცხადებით, წინასწარი მონაცემებით 2011 წელს საქართველოში 950 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. 2011 წელს ინვესტიციების საპროგნოზო მაჩვენებელი 900 მილიონი აშშ დოლარი იყო. თუმცა დაგეგმვის დროს ყოველთვის არსებობს 30%–იანი ცდომილების ალბათობა. სააგენტოს მონაცემებით, 2012 წელს საინვესტიციო მაჩვენებლები 2011 წლის შედეგებს გადააჭარბა. „ბი ჯი კაპიტალის“ პროგნოზით, 2011 წელს საქართველოში 900 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი 850 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიციას პროგნოზირებს. მსოფლიო

ბანკის მონაცემებით 2010 წელს საქართველო, ინვესტიციების მოცულობის მიხედვით 132 ქვეყანას შორის 82–ე ადგილზეა 810 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით.

უცხოური ინვესტიციები 3 კატეგორიად იყოფა:

– პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), რომელიც საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას გულისხმობს;

– პორტფელის ინვესტიციები;

– სხვა ინვესტიციები.

პირდაპირია ინვესტორი, რომელიც საწარმოს აქციების არანაკლებ 10%–ს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს ფლობს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

ინვესტიციები გვხვდება შემდეგი სახის: ა) ფინანსური ინვესტიციები ბ) ფიზიკური ანუ მიზნობრივი ინვესტიციები გ) ინტელექტუალური ინვესტიციები. ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არა გვაქვს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის სრულყოფილი ინფრასტრუქტურა და არც ინვესტიციების სამივე სახეობის შესახებ ინფორმაციული მონაცემები მოგვეპოვება. ფინანსური ინვესტიციები, თავის მხრივ შეიძლება დავყოთ: ა) პორტფელურ ინვესტიციებად ანუ დაბანდებებად ფასიან ქაღალდებში ბ) საკრედიტო–დეპოზიტური ოპერაციები. ინვესტიციების მიერ კაპიტალის მოთავსება ბანკებში დეპოზიტური ანაბრის სახით, შემდგომ მათი კრედიტების სახით გამოყენების მიზნით გ) რეალური ინვესტიციები – ხანგრძლივ ვადიანი დაბანდებები სახალხო მეურნეობის დარგებში. სომხეთში 2011 წელს მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შევიდა, რაც გასულ წელთან შედარებით 16%–ით მეტია, აზერბაიჯანში 3 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, უკრაინაში 7.5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შევიდა, რუსეთში კი 48.5 მილიარდი დოლარისა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს 2011 წელს საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების შესახებ საბოლოო მონაცემები ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია.

ინვესტიციები წარმოქმნის მიხედვით არის ადგილობრივი და უცხოური. ადგილობრივი ინვესტიციების წყაროა სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები, საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრები, მოსახლეობის დანაზოგები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ადგილობრივი ინვესტიციების წილი მცირეა, ხოლო უცხოური ინვესტიციების წილი კი გაზრდილია. საინვესტიციო საქმიანობა, აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით საქართველოში ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს.

ინვესტიციების როლის განსაზღვრას ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში განაპირობებს უსაფრთხო საინვესტიციო გარემო. საინვესტიციო გარემო, როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკურ გეოგრაფიული, გეოპოლიტიკურ-ეკოლოგიური და სხვა ურთიერთობების ფართო სისტემას. იგი ფორმირდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების და მოვლენების ზეგავლენით მართვის მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე და ხელს უწყობს (ან ხელს უშლის) მყარი ინვესტიციური მოტივების წარმოშობას.

ინვესტიციების როლის განსაზღვრის სრულყოფის გზებში ქვეყნის ეკონომიკის ზრდისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა:

- სამეურნეო-ეკონომიკური და სამართლებრივი რეჟიმის ლიბერალიზაცია, მისი ისეთნაირი მოწყობა, რომელიც მიმართული იქნება ინვესტიციურ დაბანდებათა დაჩქარებისაკენ, საინვესტიციო მოტივაციების ზრდისკენ, რაც საბოლოო ჯამში აისახება ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპების გამოვლენაში.

- საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ტვირთვის შემსუბუქება მწარმოებლებისათვის, მათთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც, ეკონომიკურ საფუძველს განუმტკიცებს, რათა მათ მაღალ სამეცნიერო ტექნიკურ ბაზაზე განავითარონ წარმოება.

ლიტერატურა

1. ლ. ქოქიაური, ინვესტიციების ბენეფისი, თბ., 2010.
2. მ. თეთრუაშვილი, ინვესტიციური პროცესების რეგულირების საკითხები საქართველოში, თბ., 2003.
3. 24 საათი საინვესტიციო პროგნოზი http:/24saati.ge/index.phpl/ptint/25923.01.03.2012

რეზიუმე

ნაშრომში „ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში“ განხილულია ინვესტიციების არსი, მათი კატეგორიები. ნაჩვენებია ინვესტიციების საპროგნოზო მონაცემები, როგორც მსოფლიო ბანკის მონაცემების, ასევე საერთაშორისო სავალურო ფონდის მონაცემების საფუძველზე. განხილული FDI-ის მონაცემები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ხანგრძლივ დინამიკაში გვიჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წლის მეორე ნახევარში პირველი ნახევრის სიდიდეს აჭარბებს, რაც ინვესტიციების როლს ამაღლებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პირობაა საინვესტიციო გარემოს შექმნა და ინვესტიციური აქტუალობა. რაც უფრო მაღალი იქნება ინვესტიციების მომგებიანობა. მათგან მოსალოდნელი შემოსავალი და მოცულობა მით უფრო მეტი და მაღალი იქნება წარმოების მასშტაბები და ტემპები. ინვესტიციების ზრდა მოწოდებულია სტიმული მისცეს მოთხოვნას, ხოლო გადახდაუნარიანი მოთხოვნა მიგვიყვანს დასაქმების ამაღლებასთან და ეროვნული შემოსავლის ზრდასთან.

ROLE OF INVERSMENTS IN ECONOMIC GROWTH OF THE COUNTRY

Lali Sadaghashvili, Academic Doctor
Givi Sadaghashvili, Academic Doctor
Nanuli Kokashvili, Academic Doctor
Marine Buziashvili, Specialist under contract

RESUME

In the work “the function at Investments increasing the growth of Economical’’ is discussed the information according world bank’s and international valute funds prognose. The importance of countries economical environment depends on investing progress, improving the incomes of economics and level its risen. Growing of investing system gives chance of rising the country economical incomes, which are related with the activities forming the rising of investments role in developing the country economics.

გაზომვითი სისტემის ასპექტები ბიზნესის მენეჯმენტში

გელა შაქარაშვილი, სრული პროფესორი

ბიზნესში სათანადო შედეგების მიღწევა შეუძლებელია შეფასების (გაზომვითი, დიაგნოსტიკური) სისტემების გამოყენების გარეშე, რასაც ხშირ შემთხვევაში არ ექცევა სათანადო ყურადღება და მხოლოდ ბიზნეს-გეგმის მიმართულებების საფუძველზე მიმდინარეობს კომპანიებისა და სხვა ორგანიზაციების მართვა, რის შედეგადაც უმეტეს შემთხვევებში მცირდება კომპანიების წარმატებების და მოგების ხანგრძლივობა, ამდენად აუცილებელია განვითარდეს და გამოყენებულ იქნას შეფასების ინტელექტუალური სისტემების (ბიზნეს-მეტრიკის) ის მიმართულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის ეფექტური მართვის ხანგრძლივ პერსპექტივას.

ბიზნესის გაზომვითი სისტემები ცალსახოვან გამოსახულებას იძლევა რეალური მდგომარეობის შესახებ და უზრუნველყოფს, როგორც მენეჯერის სამომავლო სტრატეგიის საფუძვლიან წინაპირობებს და თანამედროვე მდგომარეობის მონიტორინგს, ისე საპროგნოზო მაჩვენებლების დადგენის სიზუსტეს. აღნიშნული მოცემულობის დიაპაზონი ვრცელი მოცულობისაა და საუკეთესო პირობებს ქმნის მენეჯერისათვის გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღების საქმეში. ბიზნეს-მეტრიკის გამოყენების პირობებში ორგანიზაცია ვერ შედგება და არ ექნება მას პერსპექტივა, თუ მენეჯერი ხელმძღვანელობს

მოძველებული მეთოდებით და თუ მას არ ახასიათებს მუშაობის ძირითადი პრინციპი, "გაიმეტე სხვისთვის ის, რაც საკუთარი თავისთვის გემეტება", მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე სხვა ადამიანებს ეხება და ორგანიზაციის შედეგი მათ საქმიანობაზეა დამოკიდებული. ბიზნესის გაზომვითი სისტემების გამოყენებისას მენეჯერმა სათანადოდ უნდა განმარტოს, როგორც შესასრულებელი დავალების არსი, ისე მიზანშედეგობრივი მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნეს-მეტრიკა ვერ უზრუნველყოფს სასურველ შედეგს. ამდენად, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბიზნესის გაზომვითი სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირება დამოკიდებულია „წმინდა-გამჭვირვალობის", სანდო და „მყარი-სიზუსტის" ინფორმაციაზე, რაც ხშირად იგნორირებულია, ეფექტური მართვის საკვანძო ფაქტორად მენეჯერები უმეტესად მოიაზრებენ ორგანიზაციის ფინანსური მენეჯმენტის მანევრირება-მანიპულაციებს და ა.შ., რაც უმეტეს შემთხვევაში კრიზისულ ვითარებებს წარმოქმნის, ზუსტი დაკვირვების პირობებში მენეჯერს გაზომვების სისტემა თავად ეხმარება სხვადასხვა ფაქტორების დადგენაში და უზრუნველყოფს აგრეთვე როგორც ორგანიზაციის ინექციურ, ისე მასტიმულირებელი ფაქტორების გამოვლინებას გარკვეული პერიოდის მონაკვეთებშიც და ორგანიზაციის განვითარების დინამიკაშიც, გამართული გაზომვითი სისტემა დიდ დახმარებას უწევს მენეჯერს მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები და მიღწეული იქნას ეფექტური მართვის მაღალი დონე (ხარისხი).

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხარისხის გაზომვების მეტრიკა (მეტროლოგია-სტანდარტიზაცია) მიიჩნეოდა მენეჯმენტის ეფექტურობის ძირითად წყაროდ, რომელიც ძირითადად პროდუქციის შექმნისა და საწარმოო პროცესის მონიტორინგით შემოიფარგლებოდა, ხოლო თანამედროვე არსით ბიზნესის გაზომვითი სისტემები თავის განსხვავებული ფუნქციონალური დატვირთვით გაცილებით ფართო არეალს მოიცავს და სათანადოდ გამოყენების პირობებში ბიზნესის პროექტირებიდან ორგანიზაციის საბოლოო სრულყოფილებამდე და ფუნქციონირების სრულ ეტაპზე ემსახურება ბიზნესის ეფექტურ მართვას, იგი წარმოადგენს წარმატების საფუძველს და უნდა მივიჩნიოთ მენეჯმენტის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად, ხოლო ხარისხის გაზომვის სისტემები, რომელიც ცნობილია როგორც მოძრაობა მთლიანი ხარისხის მართვა, ძირითადად გამოიყენებოდა სამრეწველო საწარმოთა ფუნქციონირებისას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვამ ძირითადად კონტროლის ფუნქცია შეითავსა და აქცენტები ხარისხის შესახებ მხოლოდ პროდუქციასთან მიმართებაში იკვეთებოდა, რამაც გარკვეულ წილად დადებითი როლი შეასრულა მსოფლიო სამრეწველო ინდუსტრიის განვითარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ხარისხის გაზომვის მაკონტროლებელი სისტემები და ბიზნესის გაზომვითი სისტემები. თანამედროვე ეტაპზე განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების საბაზრო ეკონომიკის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ეს სისტემები უახლოვდება ერთმანეთს და მიუხედავად განმასხვავებელი ნიშანთვისებებისა ოპტიმიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე აუცილებლად მოხდება ამ ორი მიმართულების ინტეგრირება, მითუმეტეს ბიზნესში, ზოგადად ეკონომიკაში და საერთოდ დემოკრატიულ სახელმწიფოში, გარდა სახელმწიფო ძალოვან-მაკონტროლებელი სტრუქტურებისა და სასჯელაღსრულების ინსტიტუტებისა, კონტროლის ფუნქცია არ გააჩნია არც ერთ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებას, ამდენად კონტროლის ფუნქციამ თანამედროვე ეტაპზე თვისობრივად მიიღო საკოორდინაციო, მარეგულირებელი და სარეკომენდაციო ხასიათი, რაც გაცილებით პროდუქტიულია ბიზნესის განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბიზნესის გაზომვითი სისტემა არ ატარებს მაკონტროლებლის ფუნქციას და იგი წარმოადგენს ეფექტური მართვის ინსტრუმენტს, მოცემულ სისტემაში გათვალისწინებულია აგრეთვე ადამიანური ურთიერთობების საკითხების გაზომვები და ვინაიდან მენეჯმენტის საფუძვლების ფუნდამენტალურ საკითხში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ნათლადაა წარმოდგენილი ურთიერთობების ფართო სპექტრი, სადაც: როგორც სიტუაციების, კონფლიქტების, მოტივაციების, ქაოსის და გუნდური მართვის ფაქტორები, ისე ფსიქოლოგიური განწყობის, მენტალიტეტის, ამბიციების, შეთქმულების და სხვა ადამიანური გამოვლინებები. მოცემული ფაქტორები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ბიზნეს-ორგანიზაციების და სხვა დაწესებულებების მენეჯმენტის ეფექტურობას, ბიზნესის გაზომვითი სისტემების გამოყენებისას აუცილებელია ზემოაღნიშნული ფაქტორების გამოვლინება და კვლევა (გაზომვა-დიაგნოსტიკა), ვინაიდან მოცემული ფაქტორები ადეკვატურად მოქმედებენ ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენებზე და პროცესებზე და იგი ახდენს გავლენას ორგანიზაციის პროდუქტიულობაზე და მის ბიზნეს-მაჩვენებლებზე, რაც უმეტესად გამოვლინდება სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის, ეკონომიკური ტრანსფორმაციის ან კონკრეტული კომპანიის, ორგანიზაცია დაწესებულებების რესტრუქტურიზაციის და სხვა ცვლილებების პერიოდში.

ზემოაღნიშნულ ადამიანური რესურსების მოცემული ფაქტორების იგნორირება აფერხებს ბიზნესის განვითარებას და იკვეთება სამი ძირითადი მომენტი:

<u>პირველი:</u> - ზემოაღნიშნული მოცემული ადამიანური ფაქტორები უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის მმართველობასა (ბიზნესმენსა) და დაქირავებულს შორის ურთიერთობებში, მმართველების მიმართ დაქირავებულების უარყოფითი გამოვლინებების გამო;

<u>მეორე:</u> - ზემოაღნიშნული მოცემული ადამიანური ფაქტორები უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის მმართველობასა (ბიზნესმენსა) და დაქირავებულს შორის ურთიერთობებში, დაქირავებულების მიმართ მმართველების უარყოფითი გამოვლინებების გამო;

<u>მესამე:</u> - ზემოაღნიშნული მოცემული ადამიანური ფაქტორები უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციაში დაქირავებულთა შორის ურთიერთობებში;

მოცმული შემთხვევების კვლევებში ბიზნესის გაზომვითი სისტემამ უნდა გამოავლინოს არსებული უთანხმოებების მიზეზთა დეტალური ანალიზი და მიღებული შედეგების შედარება მოახდინოს სხვა ნორმალური ურთიერთობების პერიოდში არსებულ ბიზნეს-მაჩვენებლებთან, დადგინდეს სხვაობა და განისაზღვროს ნორმალიზების ღონისძიებები.

ბიზნესის გაზომვითი სისტემის კონფიგურაციაში ასახულია: ხარისხის გაზომვის სისტემის, ეკონომიკური ანალიზის, ფინანსური ანალიზის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და ეკონომიკური სტატისტიკის კვლევის ძირითადი მეთოდების იმგვარი სინთეზი, რომელთა მოქნილი და კომპაქტური ელემენტების და მექანიზმების საშუალებით სისტემა გამოირჩევა დიდი წარმადობით და გამოყენების ოპტიმალურობით, რის შედეგადაც მიიღწევა:

- გაზომვითი პროცესის ოპერატიულობის მაღალი ხარისხი;
- „წმინდა-გამჭვირვალობის“, სანდო და „მყარი-სიზუსტის“ ვრცელი ინფორმაცია;
- ბიზნეს-მაჩვენებლების დამუშავების სრული და ოპტიმალური პაკეტი;
- სიტუაციის შესაბამისი, შედეგზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სარეკომენდაციო ღონისძიებების სხვადასხვა ვარიაციები;

გაზომვითი სისტემის შედეგად დადგენილი მაჩვენებლები, ორგანიზაციის ბიზნესის სტრატეგიული მიმართულებების საფუძველს წარმოადგენს. ვაჭრობისა და მომსახურების ბიზნესში, საცალო ვაჭრობის კომპანიების მაგალითზე ბიზნესის გაზომვითი სისტემამ საქონლის კატალოგის შესაბამისად უნდა დაამუშაოს მომხმარებელთა (მყიდველთა) კატეგორიები არა მარტო მომენტალური გადახდისუნარიანობის, არამედ კრედიტის საფუძველზე განვადებით მიმღები მომხმარებლების (მყიდველთა) მიმართებით და ამ ბოლო შემთხვევაში კი, აუცილებლობა მოითხოვს მომხმარებლის შრომისუნარიანობის გაზომვას. ბიზნესის გაზომვითი სისტემამ უნდა უზრუნველყოს აგრეთვე საკრედიტო რისკების გაზომვაც და თუ სავაჭრო კომპანიის ბიზნეს გაზომვითი სისტემა მაღალი სიზუსტით ახორციელებს საკრედიტო რისკების დადგენას, რომელიც მაღალი ხარისხის რისკების ჯგუფს მიეკუთვნება, კომპანიის წარმატებულობა იქნება გარანტირებული და ხანგრძლივი, რაც არ შეინიშნება საქართველოს სავაჭრო კომპანიებში და საკრედიტო რისკების გაზომვები და მყიდველთა დაკრედიტება დაფინანსება ხორციელდება საბანკო სექტორის საშუალებით. ხოლო, რაც შეეხება ბიზნესის სხვა სახეობებს, როგორიცაა სამრეწველო სამეწარმეო ბიზნესი, ამ შემთხვევაში ბიზნესის გაზომვითი სისტემა გაცილებით რთული ამოცანების წინაშე დგება და ვაჭრობისა და მომსახურების სახეობებთან განსხვავებით მათ მეტი სამუშაოების ჩატარება უწევს, საავტომობილო წარმოების კომპანიების მაგალითზე სისტემამ უნდა დაადგინოს არა მარტო გაყიდვებთან დაკავშირებული საკითხები, არამედ საწარმოო პროცესის სრული ციკლი და მასთან დაკავშირებული რისკების სრული პაკეტი. რისკების გაზომვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საბანკო და სადაზღვევო კომპანიებისათვის.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში და ზოგადად ბიზნესში, გაზომვითი სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება წარმატების საწინდარია, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გაზომვები არასაკმარისია ან მცდარი? თუ გადაწყვეტილება მცდარი საკრედიტო პარამეტრების საფუძველზე მიიღება, როგორი იქნება რისკების განსაზღვრის ხარისხი? ან როგორი იქნებოდა მცდარი საინჟინრო გაზომვების შედეგად მიღებული პროდუქციის ხარისხი? და ა.შ. ამდენად გაზომვითი სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება დამოკიდებულია შეფასების შესაბამის კრიტერიუმებზე, კრიტერიუმების დადგენა კი მხოლოდ კონსოლიდირებული მართვის პირობებშია შესაძლებელი, კრიტერიუმებით განისაზღვრება მენეჯმენტის ეფექტურობა. კრიტერიუმები, როგორც ეფექტურობის მსაზღვრელები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ღირებულებებსა და საბაზრო მოთხოვნებს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიები აღიარებენ, რომ სტრატეგიის

განხორციელებისათვის საჭიროა შეფასდეს პროგრესი და არა კონტროლი, ვინაიდან კრიტერიუმების მიხედვით კონტროლის შეფასება ან გაზომვა არ ხორციელდება, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია აგრეთვე ბიზნესის გაზომვითი სისტემით ადამიანურ რესურსებში დავადგინოთ ან გავზომოთ „გამოცდა“ და დავდოთ დასკვნები, თუ როგორ წაადგება ესა თუ ის კადრი კომპანიას, ვინაიდან ბიზნესში გამოცდა არ იზომება, არც ერთი სერიოზული კომპანია, ორგანიზაცია-დაწესებულება შრომითი რესურსის დაქირავებისას არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას არ დებს კონტრაქტს გამოცდის საფუძველზე, კონტრაქტორის საბოლოო გადაწყვეტილება გამომდინარეობს დადგენილი საგამოცდო პერიოდის და პიროვნების ისტორიის გაზომვების შესაბამისად. ანალოგიური დამოკიდებულებაა ბიზნეს პარტნიორთა ურთიერთობებში და ზოგადად პიროვნების შეფასების კრიტერიუმებში. სათანადო კრიტერიუმების შერჩევას და მის შეასაბამის გამოყენებას ბიზნეს-მეტრიკის გაზომვითი სისტემის ტექნოლოგია უზრუნველყოფს და მასზეა დამოკიდებული სისტემის მოქნილობა და შედეგიანობა, ვინაიდან არა მარტო მენეჯერისათვის უნდა იყოს მარტივი და გასაგები სისტემის მართვა, არამედ გაზომილი პარამეტრების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები და დავალებები ცხადი უნდა იყოს კომპანიაში დასაქმებულ შესაბამის კადრისათვისაც, ვინაიდან გუნდური მართვის პრინციპიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა კომპანიის შედეგებზე თანაბრად ნაწილდება კომპანიის ყველა წევრზე, მოცემული საკითხის სრული განხილვისათვის გავაანალიზოთ მობილური ქსელების მომხმარებელთა ბიზნეს გაზომვითი სისტემით დადგენილი კრიტერიუმები (იხ. ცხრილი 1), რომლის გამოყენებაც შესაძლოა, როგორც მობილური ტელეფონების წარმოების კომპანიებისათვის, ისე ამ პროდუქციით მოვაჭრე სუბიექტებისათვის.

ცხრილი 1

ბიზნესის გაზომვითი სისტემის მიერ მიღებული კრიტერიუმების დადგენის მაჩვენებლები
(მობილური ტელეფონების მომხმარებელთა მიხედვით)

მომხმა-რებელი	მოხმარების საჭიროება	მობ. ტელ სახეობა, მწარმოებ-ელი ფირმა	ღირებულ ება (ფასი)	გამოყენების დრო და საშუალო ხანგრძლი-ვობა დღეში (სთ)	მომხმარე-ბელთა სეგმენტი	დემოგრაფ. მაჩვენებ-ლები	მოხმარების მიზნები
ა)	ახლობლე-ბთან საუბარი	მე-2 თაობა A	საშუალო	საღამო 2	სახელმწიფო საჯარო მოხელე	47 წლის დაოჯახებ. მეუღლე, ორი შვილი	პირადი
ბ)	სამსახურე-ბრივი	მე-2 თაობა B	დაბალი	სამუშაოს პერიოდი 3	დაქირავე-ბული, მომუშავე ხელფასზე	40 წლის ქორწინებაში არ მყოფი	პირადი და სამსახუ-რებრივი
გ)	გართობა, ჰობი	მე-3 თაობა C	მაღალი	თავისუფალ დროს 5	სამხედრო მოსამსახურე	25 წლის ქორწინებაში არ მყოფი	პირადი
დ)	კავშირების მობილუ-რობა და ოპერატი-ულობა	ბოლო თაობა D	მაღალი	ყოველთვის 7	ბიზნესის წარმომად-გენელი	35 წლის დაოჯახებ. მეუღლე.	სამსახუ-რებრივი

მოცემული ბიზნეს გაზომვითი სისტემის შედეგად მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე ნათლად წარმოჩინდება შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ბიზნესის მენეჯმენტში, ცხრილში ნათლად აისახა, რომ 40 წელს გადაცილებული ა) და ბ) მომხმარებლები გ) და დ) მომხმარებელთან შედარებით ნაკლებ თანხას ხარჯავს, როგორც მობილური ტელეფონის შეძენისას, ისე სასაუბრო დროს გამოყენებისას და ა.შ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული სისტემით გაზომილი შედეგების მიხედვით ვლინდება აგრეთვე მრავალი სხვა ნიშანთვისებები, რომლების გათვალისწინებაც კრიტერიუმების დადგენისათვის აუცილებელია. დ) მომხმარებლის მაგალითზე დგინდება, რომ წარმატებული ბიზნესმენისათვის აუცილებელია მობილურობა და ოპერატიულობა, რის გამოც ის არ ზოგავს ხარჯებს მაღალტექნოლოგიური ტელეფონის შეძენისათვის და სხვებთან შედარებით მეტ თანხებს ხარჯავს სასაუბრო დროში. ანალოგიური გაზომვითი კვლევების საფუძველზე მიღებული კრიტერიუმების ერთობლიობის შეჯერებისას იკვეთება კანონზომიერებების დადგენის პერსპექტივა და სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებების კლინიკებსა თუ ლაბორატორიებში მიმდინარე მეცნიერული კვლევები საფუძველს უყრის სხვადასხვა კანონზომიერებების, პრინციპების, თეორიებისა და დებულება-განმარტებების სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და ეკონომიკის განვითარებას.

ლიტერატურა:

1. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008.
2. ბაბუნაშვილი გ., მღებრიშვილი ბ., შუბლაძე გ., მენეჯმენტი, თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 1998.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.
4. გოცირიძე მ., მენეჯმენტი (სამრეწველო ფირმის მართვის საფუძვლები), თბ., 1992.
5. პაიჭაძე ნ., პერსონალის მართვა, თბ., 2003.
6. ტუღუში მ., ყირიმლიშვილი ნ., მენეჯმენტის საფუძვლები (ლექციების კურსი), თბ., 2005.
7. Майкл МЕСКОН,Майкл АЛЬБЕРТ, Франклин ХЕДОУРИ - Основы МЕНЕДЖМЕНТА (ПЕРЕВОД С АНГЛИЙСКОГО), Издательство «ДЕЛО», М., 1997.
8. Sense and Nonsense in the Office. (LKellaway, FT Prentice Half, 2000).
9. P. J. Componation, D.R. Uttley, J.J. Swain, - Using Risk Reduction to Measure Team Performance (Engineering Management Journal, December 2001)
10. R. S. Kaplan and DP. Norton, - The Strategy Focused Organization (Harvard Business School Press, 2000).
11. A. Neely, C. Adams and M. Kenner-ley, -The Scorecard for Measuring and Managing Business Success (FT Prentice Hall, 2002) .
12. M. J. Epstein and R.A. Westbrook,- Linking actions to profits in strategic decision making (MIT Sloan Management Review, spring 2001).
13. A. R. Rucci, S.P. Kirn and R.T. Quinn,- employee-customer-profit chain at Sears ("Harvard Business Review, Jan.-Feb., №1. 1998).
14. P. Doyle- alue-Based Marketing: Marketing Strategies for Corporate Growth and Shareholder Value (Wiley, 2000).

რეზიუმე

წარმოდგენილ შრომაში - „გაზომვითი სისტემის ასპექტები ბიზნესის მენეჯმენტში“ ასახულია ბიზნეს-მეტრიკის გამოყენების საკითხები, გადმოცემულია გაზომვითი სისტემების ასპექტები და მნიშვნელობები ბიზნესის მართვაში, დადგენილია, თუ რაოდენ საჭიროა და რა დახმარებას უწევს მენეჯერს გაზომვითი სისტემის გამოყენება ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულია მნიშვნელობები აგრეთვე შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მეთოდიკისა და გაზომვითი ტექნოლოგიის საკითხების შესახებ, რის შედეგადაც დგინდება, რომ ბიზნესის მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს ბიზნეს-მაჩვენებელთა გაზომვითი სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება. ვინაიდან გაზომვითი სისტემა უზრუნველყოფს მაჩვენებელთა გამჭვირვალობას, სიზუსტეს და ცალსახად გადმოგვცემს ბიზნესში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს შესაბამისი გამოსახვის განზომილებებით, ამდენად გაზომვითი სისტემა ეხმარება მენეჯერს მიიღოს მართებული გადაწყვეტილებები და ეფექტურად მართოს კომპანია.

THE ASPECTS OF SYSTEM MEASUREMENT IN THE BUSINESS MANAGEMENT

Gela Shakarashvili, Full Professor

RESUME

The research -"the aspects of system measurement in the Business management" presents the description of the measurement system and the definition of business performance parameters. The methods proposed in this study, are necessary for managers to make good decisions. Properly used system of measurement of business performance manager helps to bring clarity and certainty, make the right decisions and support the activities of the organization. System for measuring business performance management in the process of making an element of transparency.

The idea of using the measurement system in order to improve performance may seem formal and inhumane In fact, it is not. True measurement system provides the necessary clarity. It focuses on the factors that stimulate the activities of the organization, to determine the contribution to the formation of a company's value and ensure proper compensation. It directs and supports managers in making better decisions. This measurement system is not imposed from above, creating the illusion of clear thinking, it is based on the analysis and understanding that is necessary organization to achieve a high level of efficiency. Measurement system is the foundation of management.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები

ხალიანა ჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი
თეა ხორგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საგადასახადო პოლიტიკა ხორციელდება განსაზღვრული პირობის საფუძველზე, კერძოდ საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. საგადასახადო რეფორმები საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. მიუხედავად არსებული რთული პერიოდისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში 1995 წელს გარკვეული დადებითი ძვრები გამოიკვეთა: განხორციელდა ფულის რეფორმა, დაჩქარებული ტემპებით წარიმართა პრივატიზების პროცესი, მოხდა ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია, დაიწყო საგადასახადო სისტემის გარდაქმნა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, პრაქტიკულად შეიცვალა გადასახადების საბჭოური ფორმები და მეთოდები, რომლის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირებას. ჩამოყალიბდა გადასახადების, მოსაკრებლების და სახელმწიფო ბაჟის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები.

საგადასახადო კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს:

ა) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას;

ბ) გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს;

გ) გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს;

დ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესებს.

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ამოცანებია: სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა; ქვეყანაში სამეურნეო რეგულირებისათვის პირობების შექმნა და საბაზრო

ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის შემოსავლების დონის უთანაბრობის აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

საგადასახადო პოლიტიკა წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღების საფუძველზე, რომლებიც ადგენს ქვეყანაში გადასახადების სახეებს, ასევე გადამხდელთა წრეს, საგადასახადო განაკვეთებს, საგადასახადო შეღავათებს, გადამხდელთა პასუხისმგებლობას, გადასახადების განაწილებას ბიუჯეტის დონეებს შორის. საგადასახადო განაკვეთები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში და, აქედან გამომდინარე, გადასახადები ასრულებდნენ ფისკალურ, სოციალურ და რეგულირების ფუნქციას. საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მარტივი და გასაგები გადამხდელისთვის, იყოს მოქნილი, რათა ადვილად მოხდეს მისი ადაპტაცია შექმნილ პირობებთან და ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში.

საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადებია კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომელთა გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება: ა) საშემოსავლო გადასახადი; ბ) მოგების გადასახადი; გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); დ) აქციზი და ე) იმპორტის გადასახადი. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება: ქონების გადასახადი.

2011 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი. ამჟამად გატარებული რეფორმების მიუხედავად საგადასახადო კოდექსი მეცნიერულ შესწავლას, პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციების სიღრმისეული დასკვნების გამოტანას საჭიროებს. აუცილებელია პირველ რიგში განისაზღვროს გადასახადების როლი სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირებაში.

დღეისათვის საჭირო შემუშავდეს გრძელვადიანი საგადასახადო სტრატეგია, რომელიც მომავალში შეძლებს ქვეყნისთვის მომგებიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, ადგილობრივი მეწარმეობისთვის ხელისშეწყობას და მათი ინტერესების დაცვას, ასევე დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამგვარი პირობა შეიძლება ერთი შეხედვით ერთმანეთთან შეუთავსებელიც ჩანდეს, მაგრამ თუ მოხერხდება ამ ინტერესების გონივრული შეთავსება და სინთეზი, ისევ და ისევ უფრო ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის ხარჯზე, მაშინ შედეგი ნამდვილად იქნება ეფექტის მომტანი.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკის რეგულირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბიუჯეტის ხარჯების მიზანმიმართულ გამოყენებასა და სწორ პროგნოზირებაზე, ბიუჯეტის ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის ფორმირებაზე.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლის ერთ-ერთი ნაწილია ახალი საგადასახადო კოდექსის ფორმირება და სამოქმედოდ მიღება, რომლის მიზანია მეწარმისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ბიზნესის სტიმულირება, კონტროლისა და ადმინისტრირების გამკაცრება ურჩი გადამხდელების მიმართ.

ქვეყნის საგადასახადო-საბიუჯეტო პროცესი სახელმწიფო რეგულირებას საჭიროებს, ამიტომ ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მხარჯავი ერთეულების რაოდენობისა და სტრუქტურის ოპტიმალური ვარიანტის გათვლასა და ჩამოყალიბებას. ამასთან ერთად, საჭიროა ეკონომიკაში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და მეწარმეობის განვითარების წახალისება.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, აუცილებელია ქვეყნის საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება ეყრდნობოდეს მაკროეკონომიკურ და ფინანსურ პროგნოზს, კერძოდ, პროგნოზული ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენებას. საგადასახადო პოლიტიკის, ფისკალური გეგმების შემუშავებისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში. განვითარებული ქვეყნების მსგავსად, მიზანშეწონილია ანალიზისა და პროგნოზირების ისეთი ზუსტი რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ფინანსური პროგნოზირების ეკონომეტრიკული და საბალანსო მოდელები.

საგადასახადო კოდექსში ყურადღება ძირითადად არ უნდა გამახვილდეს გადასახადების განაკვეთების სიდიდეზე და გადასახადების რაოდენობის შემცირებაზე, კერძოდ, საგადასახადო ტვირთზე, რომელიც გვიჩვენებს რეალურად, თუ როგორ ხდება საზოგადოებაში შექმნილი მთლიანი პროდუქტის გადანაწილება. ჩვენი ქვეყნის საგადასახადო სისტემის ფორმირებაში ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს გადასახადების გადანაწილებაზე და დიფერენციაციის პრაქტიკაზე, რომელიც გულისხმობს საგადასახადო წნეხის პრინციპულ გადანაწილებას მწარმოებლებს, მომხმარებლებსა და კაპიტალს შორის გადასახადების სახეობების მიხედვით. ხოლო გადასახადების დიფერენციაციის ქვეშ კი მოიაზრება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთების მრავალდონიანობა. სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ქვეყანაში სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას.

საქართველოს ბიუჯეტის ანალიზიდან ჩანს, რომ იგი ეფუძნება საგადასახადო შემოსავლებს, მათ შორის, არაპირდაპირ გადასახადებს. ეს კი გარკვეულ მუქარას ქმნის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან არაპირდაპირი გადასახადები შედის პროდუქციის თვითრეგულირებაში და ზრდის მის ფასს. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, არაპირდაპირი გადასახადების სიმრავლე და მაღალი ხვედრითი წილი ბიუჯეტის შემოსავლებში კიდევ უფრო ამძიმებს მათ გადახდისუნარიანობას, რასაც თან მოსდევს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება და იზრდება რისკი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნებისა.

მართალია, ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევა აქტიურად მიმართულია საგადასახადო შემოსავლების გაზრდის რეზერვების ძიებისაკენ, მაგრამ აქცენტი ძირითადად აღებულია მოკლევადიან პერიოდზე და არ არის ჩამოყალიბებული საგადასახადო პრობლემების დაძლევის კონცეფცია შორეული პერსპექტივისათვის.

ბიუჯეტის დაყრდნობა იმპორტზე და არაპირდაპირ გადასახადებზე ძალზე სარისკოა, რადგან არ არის გამორიცხული იმპორტიორი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ფასების ზრდას და საგადასახადო ბაზის შემცირებას. საქართველოში საგადასახადო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით უახლოეს მომავალში მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

• ისეთი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომ ბიუჯეტის შემოსულობის ზრდასთან ერთად არ ჩაახშოს კერძო მეწარმეობის განვითარება;

• ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაცია;

• საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია ეკონომიკური საქმიანობის დარგებისა და სფეროების მიხედვით;

• ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების მეთოდიკის დამუშავება და მისი თანაბარი გადანაწილება მწარმოებლებზე, მომხმარებლებსა და კაპიტალზე;

• საგადასახადო შემოსავლების ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის პროგნოზირება და მისი ზემოქმედებით საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირება;

• ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის გაფართოება;

• საგადასახადო კოდექსში დაუსაბუთებელი შეღავათების მინიმუმადე შემცირება;

• ბიუჯეტის შევსების მიზნით აღებული საშინაო და საგარეო ვალდებულებების შემცირება;

• საბაჟო კოდექსში იმპორტის თვალსაზრისით ცვლილებების შეტანა, ადგილობრივ საწარმოთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით;

• საგადასახადო სისტემის კიდევ მეტად განვითარება თანამედროვე და მოქნილი კომპიუტერული პროგრამების დანერგვით.

ამრიგად, ნაშრომის ძირითადი მიზანია გადმოვცეთ გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი და მნიშვნელობა. გავაანალიზოთ გადასახადების მნიშვნელობა ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში, დავასაბუთოთ თუ რამდენად დადებითად აისახება ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2011.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე, თბ., 2007.
3. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადების დაბეგვრა, თბ., 2002.

4. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიალიზმის პოლიტეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.
5. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, თბ., ოქტომბერი, 2008.

ინტერნეტ-რესურსები:
1. www.mof.ge - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
2. www.economy.ge - ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.
3. www.statistics.ge - საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.
4. www.parliament.ge – საქართველოს პარლამენტი.
5. www.geplac.ge - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი.
6. www.napr.gov.ge - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
7. www.economist.ge – ეკონომიკური და ბიზნეს სიახლეები.
8. www.24saati.ge - გაზეთი 24 საათი.
9. www.geoeconomics.ge – ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა".

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს ურთულესი პრობლემები შეექმნა. ამ მხრივ თავის სიმწვავით გამოირჩევა ფინანსურ ურთიერთობებთან დაკავშირებული წინააღმდეგობები. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, რეფორმების საწყის ეტაპზე ქვეყანა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყანაში შექმნილმა ჰიპერინფლაციამ. მიუხედავად არსებული რთული პერიოდისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში 1995 წელს გარკვეული დადებითი ძვრები გამოიკვეთა: განხორციელდა ფულის რეფორმა, დაჩქარებული ტემპებით წარიმართა პრივატიზების პროცესი, მოხდა ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია, დაიწყო საგადასახადო სისტემის გარდაქმნა.

ნაშრომში დახასიათებულია გადასახადების როლი სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირებაში. ამასთან, გადმოცემულია გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი და მნიშვნელობა. გაანალიზებულია გადასახადების მნიშვნელობა ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში, დასაბუთებულია თუ რამდენად დადებითად აისახება ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

კვლევის საგანია საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა და სისტემა, მისი მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ხოლო კვლევის ობიექტად მივიჩნევთ, საგადასახადო სისტემის მდგომარეობის ანალიზს, მის ზეგავლენას სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებისა და რეფორმირების პროცესის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების შეფასებას. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია საგადასახადო კანონმდებლობა, მისი ნორმატიული საფუძვლები. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, განსაზღვრულია საბიუჯეტო შემოსულობები. ამასთან, წარმოდგენილია საგადასახადო შემოსულობების წილი ბიუჯეტის შემოსავლებში.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ქვეყნის პარლამენტის, მთავრობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საერთაშორისო ფინანსური კვლევის ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკვლევები.

ნაშრომში აღნიშნული მთელი რიგი რეკომენდაციები და დასკვნები სასურველი შედეგის მომტანი იქნება ქვეყნის ახალ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების შემუშავებისას, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

COURSES OF TAX POLICY IMPROVEMENT

Khaliana Chitadze, Associate Professor
Tea Khorguashvili, Associate Professor

RESUME

The most difficult problems in the transition towards a market economy have arisen to Georgia. From this point of its financial affairs related to its acute contradictions. From the begining of 90s the last century, initial stage of reforms in the country was in dire financial condition, which further aggravated the country's hiperinflation. Despite the difficult period the in 1995 country's socio - economic life there were some positive changes: monetary reform was implemented, was the accelerated pace of privatization process, the trade and price liberalization, began to transform the tax system.

The paper work characterized the role of taxes in the formation of the state's financial resources. In addition, the set of taxes and social - economic essence and meaning. It has analyzed tax revenue in the formation of the budget, proved just how effective fiscal policy will be reflected positively on the socio - economic development.

The paper work described in our tax policy and tax system in general, retrospective analysis of the formation and development. The tax system have revealed the negative and positive sides. Offered recommendations to improve tax policy.

The subject of tax policy and systems research, the importance of the socio - economic development, and as a research object, the tax system and analyzes its impact on the economic situation, the tax system and reforming the process of positive and negative results of the evaluation.

In this paper work a number of conclusions and recommendations will bring the desired result of the new tax code changes to the design and development, the country's economic and business environment in order to improve potential.

რეფორმები სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემაში

***თეა ხორგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი*

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა, წარმოადგენს რა ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, მისი მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, მაგრამ ამ საქმიანობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს. ეფექტური საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს და ამიტომ მისი სრულყოფის გზების ძიება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების კონცეფციის დამუშავება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, ფინანსების თვალსაზრისით, სახელმწიფო ხარჯებში გამოიხატება. სახელმწიფო შემოსავლების ფორმირება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად გულისხმობს შემოსავლების ხარჯებად გადაქცევას. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას სახელმწიფო ხარჯები წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფო შემოსავლების განსაზღვრას. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იგი ხშირად ირღვევა და სწორედ ესაა დაუსაბუთებელი, დაუმთავრებელი სეკვესტრირების ერთ-ერთი მიზეზი, რაც ბოლო წლებში ნაკლებად შეინიშნება და ამ მხრივ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

ნებისმიერ ქვეყანაში, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, უპირველესი მიზანი აისახება საზოგადოების წინაშე არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით არსებული საბიუჯეტო რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებაში. სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა, მათი ურთიერთკავშირი ბიუჯეტში ფინანსური ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი

პრობლემაა. სწორედ იგი განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო დაბეგვრის მოცულობის შემცირებას ან გაზრდას.

საჭიროა და სასურველი, რომ ფისკალური პოლიტიკის შეფასება მოხდეს როგორც ეკონომიკური სუბიექტის (გადასახადის გადამხდელის), ასევე სახელმწიფოს (გადასახდელების მიმღების) პოზიციებიდან. უნდა შევნიშნოთ, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება ფიზიკური და იურიდიული პირების პოზიციიდან სამეცნიერო თვალსაზრისით ყურადღებას არ იმსახურებს, რამდენადაც თვალნათელია არსებული მიდგომა, ვინაიდან რაც უფრო დაბალია გადასახადები, მით უკეთესია გადამხდელისათვის, მაგრამ ფისკალურ პოლიტიკას თუ სახელმწიფოს მხრიდან შევაფასებთ, იგი ორმხრივად შეიძლება წარმოდგეს: პირველი, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება ეკონომიკური სისტემის სამეწარმეო აქტიურობის თვალსაზრისით და, მეორე, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მდგომარეობის თვალსაზრისით. ეს ორი მიდგომა ურთიერთსაწინააღმდეგოა, ვინაიდან, თუ ფისკალური პოლიტიკა მეორე მოდელის თვალსაზრისით ეფექტიანად ფუნქციონირებს, შესაძლებელია სრულიად არაეფექტიანი იყოს პირველი მოდელის თვალსაზრისით.

2011 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო სისტემას შეემატა არაერთი დადებითი ფაქტორი, მაგალითად უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საგადასახადო ტვირთის შემცირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, რადგან მოქალაქეთა ხელში თავს იყრის მეტი თავისუფალი სახსრები, რომლებიც შესაძლოა მიმართული იქნეს წარმოების გაფართოებისაკენ. თუმცა, ამავე დროს არ უნდა მოხდეს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ხარჯების შეკვეცა ან, კიდევ უარესი, ინფლაციის წარმოშობა გარდაუვალი იქნება. ასეთი ორმაგი მიზნის მიღწევა - საგადასახადო განაკვეთის შემცირება და ბიუჯეტის შემოსავლების დონის შენარჩუნება (ან ზრდა) - შესაძლებელია მიღწეულ იქნეს პროდუქციისა და მომსახურების წარმოების დაჩქარებული ზრდის შედეგად, რაც, თავის მხრივ, საგადასახადო წნეხის შესუსტებით იქნება განპირობებული.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავების პროცესში განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პირველად დაიგეგმა სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამული ბიუჯეტის პრინციპებით.

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა სახელმწიფო ფინანსების რეფორმის საკმაოდ რთული და შრომატევადი ნაწილია და წინ დიდი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა. ამ კუთხით მუშაობა 2009 წლიდან დაიწყო. ახალი საბიუჯეტო კოდექსის მიღებით საქართველომ საკანონმდებლო დონეზე დააფიქსირა პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება, როდესაც კანონით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი 2012 წლიდან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები 2013 წლიდან უნდა ითვალისწინებდეს პროგრამულ ფორმატს. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის №718 განკარგულებით განისაზღვრა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებით 2011 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები, რაც გულისხმობდა სამინისტროებისა და ზოგიერთი უწყების მიმდინარე წლის ბიუჯეტების პროგრამულ ფორმატში გადაწყობას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შესაბამის მხარჯავ დაწესებულებებში სამუშაო ჯგუფების შექმნას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ პროგრამული ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში შესაბამისი ინსტრუქციების შემუშავებას. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრები მხარჯავ დაწესებულებებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება და მუდმივი კონტაქტი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან პროგრამული ფორმატის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის მიზნით საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის და მასთან არსებული საბიუჯეტო ოფისის, საქართველოს კონტროლის პალატის, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, სამუშაო შეხვედრებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და საქართველოს კონტროლის პალატასთან შეთანხმებით შემუშავდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია და დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით.

ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტი უფრო ინფორმაციულია და მოიცავს ინფორმაციას არა მარტო პროგრამების დაფინანსების, არამედ მათი შინაარსის, მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების

შეფასების ინდიკატორების შესახებ, შემუშავდა ბიუჯეტის კანონის ახალი სტრუქტურა და იმ დანართების (პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანართები) ფორმატი, რასაც წინა წლების ბიუჯეტები არ ითვალისწინებდა, კერძოდ:

- ✓ პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობები, გადასახდელები, ფუნქციონალური კლასიფიკაცია, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- ✓ მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
- ✓ მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;
- ✓ მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
- ✓ მე-8 და მე-9 თავებში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვიდან გამომდინარე, ბიუჯეტის პროექტის მეტი გამჭვირვალობის მიზნით პროექტს თან ახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია:

პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები; კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემულია ინფორმაცია 2012 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა); ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ; პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში მომზადებულ სახელმწიფო ბიუჯეტში პირველად მოხდა სახელმწიფოს საერთო პრიორიტეტებში სხვადასხვა სამინისტროების თუ უწყებების ერთგვარი კომპეტენციების განსაზღვრა და ამ ფორმატის ბიუჯეტით შესაძლებელი გახდა ქვეყნის ფინანსური რესურსების განაწილების წაკითხვა არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, არამედ სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვითაც. საქართველოს მთავრობის ათპუნქტიანი გეგმიდან გამომდინარე, რომელიც აისახა 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში, „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში განისაზღვრა 12 ძირითადი პრიორიტეტი, რომელთა ფარგლებშიც დაიგეგმა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების პროგრამები. საანგარიშო პერიოდში, მოამზადა ცვლილებები საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში. აღნიშნული ცვლილებების გატარების აუცილებლობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2010 წელს კლასიფიკაციაში შეტანილი ცვლილებებით, ინფორმაციულობისა და აღრიცხვადობის გაზრდის მიზნით საბიუჯეტო კლასიფიკაციას დაემატა დანართები, რომელშიც განხორციელდა ხარჯების ეკონომიკური და არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციების დეტალური ჩაშლა, უფრო ქვედა დონის კოდებზე, ვიდრე ეს წარმოდგენილია თავად კლასიფიკაციაში. იმის გათვალისწინებით, რომ 2011 წელს ელექტრონული ხაზინა დაუკავშირდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას და აღრიცხვა ავტომატურად ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის 07 ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკატორის (CPV-კოდების) მიხედვით, 2011 წელს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში შეტანილი ცვლილებით ამოღებულ იქნა ზემოთხსენებული დანართები და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები დაიხვეწა სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორთან მაქსიმალური თავსებადობისა და ტექნიკური თვალსაზრისით. გარდა შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებებისა, საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა საბიუჯეტო პროცესის ტექნიკური ნაწილის დახვეწის მიმართულებითაც. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად დაიგეგმა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (E-Budget) მეშვეობით და საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ასიგნებების მართვა ხორციელდებოდა ამავე სისტემაში შემუშავებული შესაბამისი მოდულების მეშვეობით. საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (E-Budget) და ელექტრონული ხაზინის (E-Treasury) პროგრამების ურთიერთდაკავშირების მიზნით, რაც წარმატებით განხორციელდა და ამ მიმართულების სრულყოფის

მიზნით სამუშაოები კვლავაც უნდა გაგრძელდეს. 2011 წელს ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ცვლილებები გატარდა პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით, საბიუჯეტო განაცხადის მოდულს დაემატა პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებული ჩანართები, რისი მეშვეობითაც 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სრულად ელექტრონულად აიწყო პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით. 2011 წლიდან სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ასევე ელექტრონულად ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირება, რომლის მეშვეობითაც ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების წარმოება. მუშაობა მიმდინარეობდა აღნიშნული ბაზის გაფართოებისა და მაქსიმალური ეფექტურობის და მოქნილობის მიღწევის და მისი შემდგომ დახვეწის მიზნით.

მომდევნო წლებში კვლავ უნდა გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემაში, რათა ხელი შეეწყოს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ სტაბილურობას და ფისკალურ მდგრადობას, კონსერვატიული ფისკალური პოლიტიკის გატარებით და მაქსიმალურად დაბალანსებული ბიუჯეტის შემუშავებით და ამავდროულად დაინერგოს ნოვაციური მიდგომები საბიუჯეტო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და ქვეყნის ფინანსების სწორი და გამჭვირვალე მართვის კუთხით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო-საბაჟო კოდექსი, 2011.
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2009.
3. საქართველოს საპარლამენტო და საბიუჯეტო ოფისის ვებ. გვერდი www.pbo.ge
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ. გვერდი www.mof.ge
5. საქართველოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ. გვერდი www.rs.ge

რეზიუმე

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება აქტუალურია, ვინაიდან მისი მიზანია უზრუნველყოს ერთიანი სტრუქტურა და ინტეგრირებული მიდგომა ფინანსური მართვის ელემენტების კოორდინაციაში.

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა, წარმოადგენს რა ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, მისი მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, მაგრამ ამ საქმიანობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს. ეფექტური საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს და ამიტომ მისი სრულყოფის გზების ძიება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების კონცეფციის დამუშავება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

REFORMS IN STATE FINANCE MANAGEMENT SYSTEM

Tea Khorguashvili, Associate Professor

SUMMARY

It is vital to carry out the special measurement reforms in state finance management system. The main aim of the above mentioned reforms are to ensure the united structure and the integrated approach in the financial management of coordination.

Tax-budget system is one of the most important lever for the economic management with the help of this the state implements the economic regulation of the country but there are lots of shortcomings during the implementation of this work. Composing the effective tax-budget system is the main problem in economic stability and therefore the search for the ways of its improvement and the development of the national-state interest concepts first of all should be carried out foreseeing economic political tasks and aims.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

შრომითი თავისუფლება

შალვა ვანიშვილი, *აკადემიური დოქტორი*

ყველა ადამიანს დაბადებიდანვე აქვს ნაბოძები ბუნებითი უფლებები და სახელმწიფო მოვალეა დაიცვას ისინი. ადამიანის ერთ-ერთ უფლებას სოციალური უფლებები წარმოადგენს. ადამიანის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური უფლებები განისაზღვრა გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის პაქტში, სადაც თავმოყრილია ადამიანის 7 უფლება: შრომის უფლება, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, პროფკავშირების შექმნის უფლება, ოჯახის, აგრეთვე დედათა და ბავშვთა უფლებები, საკმარისი ცხოვრების დონის უფლება, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლება, განათლების უფლება.

შრომა დასაქმებაა, რომელიც აღიქმება როგორც საარსებო წყაროს მინიმუმი ანუ გადარჩენის საშუალება. სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით. ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი აღიარებს ადამიანის უფლებას, საკუთარი შრომით მოიპოვოს ეკონომიკური გადარჩენის საშუალება ანუ გასამრჯელო.

კონსტიტუციაში სოციალური უფლებების განმტკიცებით სახელმწიფო ძირითადად თავის თავზე იღებს მათი განხორციელების პოზიტიურ ვალდებულებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური უფლებები სახლემწიფოსათვის ძვირადღირებული უფლებებია, ანუ ხშირ შემთხვევაში სოციალური უფლებების განხორციელება შეზღუდულია. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომლის თანახმად „შრომა თავისუფალია“. ამ კონკრეტული უფლების აღიარებით სახელმწიფომ იკისრა თითოეულის დასაქმებისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების ვალდებულება. თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ ამ სახის ვალდებულების აღება და მისი რეალიზაცია არა თუ საქართველოს, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების შესაძლებლობებსაც აღემატება.

საქართველოში, სამწუხაროდ, „შრომითი უფლებების“ დარღვევის ბევრი ფაქტი ფიქსირდება. ძალიან ხშირია სახელფასო დავალიანებები, გაფრთხილების გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების, უმიზეზოდ სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები. სამსახურიდან გათავისუფლებულ ადამიანებს არ გააჩნიათ „შრომით ხელშეკრულებები“, არ იციან როგორ დაიცვან თავისი უფლებები. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც დასაქმება ისედაც პრობლემაა ქვეყანაში, დასაქმებულები თვეების მანძილზე დაგროვილ ხელფასს არც კი ითხოვენ და მუშაობას ხელფასის მოლოდინში განაგრძობენ.

ამ მძიმე რეალობიდან გამომდინარე, საინტერესოა განვიხილოთ როგორ იცავს სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა დასაქმებულთა უფლებებს და რა უფლებები აქვთ დაზარალებულ ადამიანებს.

შრომის კოდექსის I თავში საუბარია მის შესავალ დებულებებზე, შრომითი ურთიერთობის სუბიექტებზე. შრომის კოდექსის II თავში მოცემულია შრომითი ურთიერთობის ცნება, რომ იგი წარმოიშობა მხარეთა თანასწორობის საფუძველზე; ის, რომ შრომით ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის „განსხვავება“. შრომის კოდექსი ასევე კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას, რომელიც ადამიანს ჩააყენებს ღირსებაშელახულ მდგომარეობაში. ეს იქნება დამამცირებელი თუ შეურაცხმყოფელი მოქმედება და ა.შ. ეს ყოველივე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში წერია, რომ დისკრიმინაციად ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც სამუშაოს არსაიდან, სპეციფიკიდან და მისი შესრულების პირობებიდან ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება. ამ მუხლში ერთი შეხედვით სადავო არაფერია. არსებობს შრომითი ურთიერთობები, რომლის შესრულების დროსაც დისკრიმინაცია აუცილებელია, მაგრამ ჩვენ ქვეყანაში დამსაქმებლები ხშირად მიმართავენ დისკრიმინაციას შრომით ურთიერთობებში და ეს დისკრიმინაცია ემყარება ასაკისა და სქესის განსხვავებებს, რაც ჩემი აზრით, კანონის ფარგლებს სცილდება (მაგ., ბევრ განცხადებაში შევხვდებით ასეთ ფრაზას: გვესაჭიროება

გამყიდველი გოგონები 18-დან 25 წლამდე, და კიდევ ბევრ სხვას, რომლებიც აშკარად დისკრიმინაციული სახის არის. იმ სამუშაოს, რასაც 25 წლის გოგონა შეასრულებს 26 წლის რატომ ვერ შეასრულებს?!).

საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების დადებას როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. „შრომის კოდექსის" მე-6 მუხლის თანახმად, „შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით". თავისთავად ჩნდება კითხვა: რა უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების ზეპირმა ფორმამ? დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებს ძალზე გაურთულდებათ გარკვეული გარემოებების მტკიცება. შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში „ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ ხელშეკრულების დადების პროცესს". ზეპირ შრომით ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ამგვარი შემზღუდავი ნორმის არსებობა წარმოადგენს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის შეზღუდვას, რადგან ზეპირი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში სასამართლო დავის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება დაქირავებულის მიერ საკუთარი შრომითი უფლებების დაცვა.

საქართველოს შრომის კოდექსის დიდი ნაკლია დასაქმებაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობა. მე-5 მუხლის მე-8 პუნქტში წერია, რომ „დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ". ამ საკითხთა მიმართებაში დამსაქმებელთა უფლებების დამცველები აპელირებენ იმაზე, რომ ასეთი უარის დასაბუთება დამსაქმებლებს მოუწევთ ბევრ ადამიანთან, მხოლოდ ამით დასაქმებაზე უარის თქმის გამართლება არ შეიძლება. ხშირ შემთხვევაში სამუშაოზე მისაღები პირები, რომლებიც თავისი საქმის პროფესიონალები არიან, კონკურსის შემდეგ მაინც სამსახურის გარეშე რჩებიან. დამსაქმებელი კი მათ სამუშაოზე მიღების უარს არ უსაბუთებს. ეს ყოველივე დღევანდელი შრომის კანონმდებლობის პირობებში სამწუხაროდ კანონიერია. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ძველი შრომის კოდექსი კრძალავდა სამუშაოზე მიღების უარის დაუსაბუთებლობას.

გაურკვევლობის საგნად იქცა ქალებისათვის შრომითი ურთიერთობის შეჩერება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სოციალური ქარტიის თანახმად დადგენილია: ორსულობისა და ბავშვების გაჩენის შემდეგ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქალებისათვის არანაკლებ 14 კვირის ანაზღაურებადი შვებულება. სამწუხაროდ, საქართველოს მიერ სწორედ ეს პუნქტი არ არის რატიფიცირებული. არსებული შრომის კოდექსით, დაცულია ქარტიით დადგენილი 14-კვირიანი შვებულების ვადა, მაგრამ შვებულება უნდა აანაზღაუროს დამქირავებელმა. ცხადია, დამქირავებლისათვის ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება სულაც არ არის ხელსაყრელი, რადგან ეს მათთვის დამატებითი ხარჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

საქართველოს შრომის კოდექსში ჩემს გულისტკივილს იწვევს ასევე შრომის ანაზღაურება. 31-ე მუხლის I პუნქტში წერია, რომ შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. კოდექსში საუბარი არ არის შრომის მინიმალურ ანაზღაურებაზე, კერძოდ იგი უნდა აღემატებოდეს თუ არა საარსებო მინიმუმს, ან მინიმალური შრომის ანაზღაურება ერთ თვეში არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები. თუმცა არც ეს არ არის გასაკვირი, რადგან საქართველომ არ მოახდინა ევროპის სოციალური ქარტიის იმ მუხლის რატიფიცირება, რომელიც განამტკიცებს შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებას. კერძოდ, ჩვენმა ქვეყანამ არ მოახდინა I და II მუხლების რატიფიცირება. შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ: „აღიარონ მუშაკის მიერ ისეთი ანაზღაურების მიღების უფლება, რაც უზრუნველყოფს მათი ცხოვრების ღირსეულ დონეს". საქართველომ, სამწუხაროდ, არ მოახდინა ამ მუხლის რატიფიცირება ანუ დასაქმებულმა შესაძლებელია აიღოს ისეთი შრომის ანაზღაურება, რომელიც მის ღირსებას ლახავს და ეს ყოველივე კანონიერია, რაც ძალიან სამწუხაროა.

14 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს დამოუკდიებლად შეუძლია დადოს შრომითი ხელშეკრულება. მშობლის თანხმობა აუცილებელია მხოლოდ 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანებთან ხელშეკრულებების დადებისას. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის თანახმად, 18 წელი არის ის ასაკი, რომლის შემდეგ ადამიანი ხდება სრულ ქმედუნარიანი. ამდენად, შესაძლებლობა 14 წლის ასაკს მიღწეული პირების მშობლების გარეშე დასაქმების დაშვებაზე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. ამასთან, ევროპის სოციალური ქარტია სავალდებულოდ ადგენს 18 წლამდე პირებისათვის ისეთ სამუშაო პირობების შექმნას, რომლის თანახმად ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ: „უზრუნველყონ 18 წლამდე ასაკის პირებისათვის სამუშაო საათების შემცირება მათი განვითარების და კერძოდ, პროფესიული მომზადების საჭიროების შესაბამისად".

რა შეიძლება იყოს გამოსავალი იმ რთული მდგომარეობიდან, რომელშიც დასაქმებული ან დაუსაქმებელი მოქალაქეები იმყოფებიან? შრომის კოდექსიდან გამომდინარე, გამოსავალი ან აღნიშნული ხარვეზების გასწორება უნდა იყოს, ან მოქალაქეებმა უნდა ისწავლონ მათი უფლებები და მისი დარღვევის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.

დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში

თანასწორუფლებიანობის პრინციპი შეუზღუდავად მოქმედებს მხოლოდ შრომითი ურთიერთობის წარმოშობამდე, ხოლო მისი წარმოშობის შემდეგ კი აღნიშნული პრინციპი გარკვეულ მოდიფიცირებას განიცდის და მას ენაცვლება ქვემდებარეობის (სუბორდინაციის) პრინციპი, რომელიც გამოიხატება დასაქმებულის მხრიდან დამსაქმებლის მითითების შესრულების ვალდებულებაში, ანუ დასაქმებული დამოკიდებული ხდება დამსაქმებლის მითითებებზე და ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ ორგანიზაციულ პირობებზე.

მხარეთა თანასწორობა. ის შრომის სამართალში ასახვას პოულობს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის სახით, რომელიც უშუალოდ კონსტიტუციიდან მომდინარეობს (თანასწორობის პრინციპი). საქართველოს შრომის კოდექსის 3.3 მუხლი იწყება შემდეგი სიტყვებით: შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია... ლოგიკურად გამოდის, რომ დისკრიმინაციის აკრძალვას აქვს ადგილი სახელშეკრულებო ეტაპზე. ისმის კითხვა: რატომ არ ითვალისწინებს კანონი დისკრიმინაციის აკრძალვას წინასახელშეკრულებო პერიოდში? ეს შეიძლება იახსნას იმით, რომ შრომითი ურთიერთობის წარმოშობამდე თანასწორუფლებიანობა, როგორც ფუძემდებელი პრინციპი, აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლებაა, ხოლო შრომითი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ, სუბორდინაციის პირობებში, არსებობს საფრთხე იმისა, რომ მოხდეს ამ პრინციპის დარღვევა, რადგან დასაქმებული ექცევა დამსაქმებლის ნების ზეგავლენის ქვეშ და იღებს სამუშაოს შესრულების ვალდებულებას ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ შრომით რეჟიმში. სწორედ ამიტომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა დისკრიმინაციის აკრძალვას შრომით ურთიერთობებში.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, როგორც სოციალური უფლებების მნიშვნელოვანი ელემენტი

თეორია ადამიანის ძირითადი უფლებების დაჯგუფების სხვადასხვა პრინციპებს გვთავაზობს. სახელმწიფო ხელისუფლებაზე ორიენტირების პრინციპის მოშველიებით ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ: ა) თავისუფლების უფლებები; ბ) სამოქალაქო უფლებები და გ) სოციალური უფლებები. ამ შემთხვევაში ჩვენ გაინტერესებს თუ რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი.

სოციალური უფლებების პირველი ფორმულირება მოხდა XIX საუკუნეში ე.წ. ძმობის სულის გავლენით. ამ უფლებებს „პოზიტიური სტატუსი“ (სტატუს პოსიტივუს) გააჩნია, შესაბამისად, იგი ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების პირობები იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს სჭირდება.

სოციალური უფლებები აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ჩამოთვლის ადამიანის ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება. საინტერესოა თუ რა გარანტიებს სთავაზობს საქართველო თავის მოქალაქეებს დისკრიმინაციისაგან დაცვის კუთხით.

დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებანი საქართველოში მოქმედ შრომის კანონმდებლობაში

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ადრე მოქმედი შრომის კანონმდებლობის მიხედვით აკრძალული იყო დაუსაბუთებელი უარი სამუშაოდ მიღებაზე (მე-17 მუხლი), მაშინ როდესაც ამჟამინდელი საქართველოს შრომის კოდექსის 5.8 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, თუ პროფესიული კავშირების გაერთიანების საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს დაამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, დამსაქმებელი ვალდებული იქნება წერილობით განუმარტოს

დასაქმებულს სამუშაოდან დათხოვნის მიზეზი. აღნიშნული ცვლილება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, ვინაიდან დღეის მდგომარეობით დამსაქმებელს ისე შეუძლია გაათავისუფლოს პირი სამსახურიდან, რომ აღნიშნულის შესახებ არ მისცეს ახსნა-განმარტება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილება აისახება არა 5.8 მუხლში, არამედ 38.2-ში შემდეგი რედაქციით: „შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს წერილობით განემარტება სამუშაოდან დათხოვნის მიზეზი და მიეცემა არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურება“. ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს „სამუშაოდან დათხოვნის მიზეზი“, გამოდის, რომ ეს ეხება სახელშეკრულებო ეტაპს და ისევ პრობლემად რჩება წინასახელშეკრულებო მდგომარეობა 5.8 მუხლის უცვლელად დატოვებით, ვინაიდან კანონმდებლობა კვლავ მაღალ ალბათობას დატოვებს იმისა, რომ ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციას სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმისას.

საყურადღებოა, საქართველოში მოქმედ შრომის კანონმდებლობაში თანდათანობით როგორ იზრდებოდა რაიმე უპირატესობის მინიჭების აკრძალვის ნიშნების ჩამონათვალი. სსრ შრომის კანონთა კოდექსი ითვალისწინებდა აღნიშნულის დაუშვებლობას სქესის, რასის, ეროვნული კუთვნილებისა და რელიგიისადმი დამოკიდებულების მიხედვით. სსრ კანონმდებლობის სამართალმემკვიდრე შრომის კანონთა კოდექსს დაემატა: კანის ფერი, ენა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებები, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი და წოდებრივ მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი.

ამჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 2.3 მუხლი გვთავაზობს ჩამონათვალს, თუ რა ნიშნით არ უნდა მოხდეს დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში. აღნიშნული ნორმის შედარებით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, შევნიშნავთ ერთ ყურადსაღებ ფაქტს: კონსტიტუციისა და ევროკონვენციისაგან განსხვავებით შრომის კოდექსი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილებისა და ოჯახური მდგომარეობის გამო. თავის მხრივ, ევროკონვენცია გვთავაზობს ისეთ ნიშნებს, რომლებიც არ არის ასახული საქართველოს შრომის კოდექსსა და კონსტიტუციაში, კერძოდ: ევროკონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილია ყველასთვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა: გაერთიანება ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი. მიზანშეწონილია მოხდეს ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება აღნიშნულ ნიშნებთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ აისახოს კანონმდებლობაში, ვინაიდან რაც უფრო ფართო იქნება ასეთი ჩამონათვალი, მით უფრო დაცული იქნება დასაქმებულის უფლებები. კოდექსისეული განმარტებით, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის „პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება“. უნდა აღინიშნოს, რომ სსრ და მის შემდეგ მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი, განსხვავებით ამჟამინდელი კანონმდებლობისა, ითვალისწინებდა როგორც უფლებათა რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვის, ისე უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობას, მაშინ როდესაც მიმდინარე კანონმდებლობა რატომღაც დისკრიმინაციად თვლის მხოლოდ პირის შევიწროვებას.

საკმაოდ მნიშვნელოვანია შრომის კოდექსის 2.5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად. სსრ შრომის კანონთა კოდექსი ასეთ დებულებას არ შეიცავდა, მასში მხოლოდ საუბარი იყო იმაზე, რომ დაუშვებელია ამა თუ იმ უფლებათა შეზღუდვა ან რაიმე უპირატესობის მინიჭება. მის შემდეგ მოქმედ კანონმდებლობაში უკვე ჩნდება ასეთი ჩანაწერი: შეზღუდვად არ ჩაითვლება განსაკუთრებული პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის მუშაკებისათვის ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. თუ კარგად დავუკვირდებით გამოდის, რომ კანონმა გაითვალისწინა ზოგადი წესიდან გამონაკლისი, თუმცა მხოლოდ შეზღუდვასთან მიმართებაში, ხოლო რაიმე უპირატესობის მინიჭების აკრალვა კვლავ აბსოლუტურად შეუზღუდავი დატოვა.

ლიტერატურა:

1. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. „ლიტერატურული საქართველო“, 1989.
2. „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ“ რომის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია.
3. „შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ 1958 წლის კონვენცია
4. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.
5. საქართველოს შრომის კოდექსი, თბ., 2010.

რეზიუმე

ყველა ადამიანს დაბადებიდანვე აქვს ნაბოძები ბუნებითი უფლებები და სახელმწიფო მოვალეა დაიცვას ისინი. ადამიანის ერთ-ერთ უფლებას სოციალური უფლებები წარმოადგენს. ადამიანის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური უფლებები განისაზღვრა გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის პაქტში, სადაც თავმოყრილია ადამიანის შვიდი უფლება: შრომის უფლება, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, პროფკავშირების შექმნის უფლება, ოჯახის, აგრეთვე დედათა და ბავშვთა უფლებები, საკმარისი ცხოვრების დონის უფლება, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლება, განათლების უფლება.

ნაშრომი ეძღვნება შრომის თავისუფლებას და მის პრობლემებს.

LABOUR FREEDOM

Shalva Vanishvili, Academic Doctor

RESUME

Each person is granted with own rights and the state is obliged to defend them, among them are social rights. General human rights were determined in the Act by the UNO General Assembly on December 16, 1966 which consists of seven rights: labour rights, rights of labour conditions, rights of creating professional unions, family rights, mothers and children's rights, rights of living standards, rights of physical and psychological health, rights of education.

The work deals with the problems of labour freedom.

რომის სამართალი გვიანდელი რესპუბლიკისა და პრინციპატის პერიოდში (კლასიკური სამართალი)

შალვა ვანიშვილი, აკადემიური დოქტორი

გერმანელი იურისტი, სამართლის ისტორიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი თეოდორ მომზენი (1817-1903) თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „რომის ისტორია“ წერდა: „რომის სამართალი ხასიათდება სხვადასხვა სახის სამართლებრივი ინსტიტუტების უნატიფესი დამუშავებით, საჭირო ქცევის წესების დეტალიზაციით, არგუმენტაციის სიცხადით, ფორმულირებათა სიზუსტით და მაღალი იურიდიული ტექნიკით“. ნათქვამი განსაკუთრებით ეხება კერძო საკუთრების სამართალს, ხელშეკრულების ინსტიტუტს, მემკვიდრეობით სამართალს.

რომის სამართლის განვითარებას, იმას, რომ იგი „კლასიკურ სრულყოფას“ აღწევს, მრავალმა გარემოებამ შეუწყო ხელი, უწინარეს ყოვლისა, სასაქონლო ურთიერთობათა მაღალმა დონემ, რომელსაც რესპუბლიკის გვიანდელ და პრინციპატის პერიოდებში მიაღწია რომმა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა თვით იმპერიის „მსოფლიო“ ხასიათს, რომელმაც დაპყრობილ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა საბერძნეთში, ეგვიპტეში, სირიასა და სხვაგან ისტორიულად წარმოშობილ და არსებულ მრავალ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემათა რაღაც დონეზე შეგუების მოთხოვნილება წარმოშვა. რომაელ იურისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესარგებლათ იმპერიის კულტურული უცხოეროვნული ნაწილების, განსაკუთრებით კი ათენის სამართლებრივი განვითარების შედეგებით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ყურადღება, რომელიც სამართალს ეთმობოდა აქ და ის პატივი, რომელსაც მიაგებდნენ გამოჩენილი იურისტების სახელსა და აზრს. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა რომის იურისპრუდენციის ხუთ კორიფეს: პირველ ადგილზე მდგომ პაპინიანეს, პავლეს, ულპიანეს, გაიუსის (ჩვენამდე მოღწეული სამართლის სახელმძღვანელოს „ინსტიტუციების“ ავტორს) და მოდესტინეს თხზულებებსა და კონსულტაციებს. 426 წლის კანონით დადგინდა, რომ სხვა რომაელი იურისტების -

სცევილის, საბინის, იულიანესა და სხვ. შეხედულებანი და მითითებები ყურადსაღები უნდა ყოფილიყო, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ პირველი ხუთეული იურისტების წარმოთქმულს.

სამართალი და სამართლის მეცნიერული კომენტირება ერთგვარად მთელს შეადგენს: კონკრეტულ საქმეზე გამოჩენილი იურისტის გაცემულ კონსულტაციაზე ისევე შეიძლებოდა დაყრდნობა, როგორც კანონზე. მხოლოდ ეს შექმნიდა სამართლისა და იურისდიქციის განვითარება-სრულყოფის არნახულ შესაძლებლობებს.

ყოველივე თქმულს დავუმატოთ მითითება ამ სამართლის ათასწლიან განვითარებაზე, რომლის შემდეგაც მივიღებთ პასუხს კითხვაზე თუ რატომ გადააბიჯა რომის სამართალმა თავისი ეპოქის ჩარჩოებს. სამართლის პირველი რომაული კოდიფიკაცია ჩვ. წ. აღრიცხვამდე V საუკუნეს განეკუთვნება. მან XII ტაბულის კანონების სახელწოდება მიიღო. მრავალი საუკუნის მანძილზე რომის საჯარო და კერძო სამართლის ძირითად წყაროდ ითვლებოდა იგი. უფრო მეტიც: ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსები XII ტაბულის კანონების ძირითად პრინციპებს ეყრდნობოდა.

კანონებმა თავისი სახელწოდება იმასთან დაკავშირებით მიიღეს, რომ დაწერილი იყო 12 ხის ფირფიტაზე. XII ტაბულის კანონები ქალაქის მოედანზე გამოიფინებოდა. ამიტომ არავის შეეძლო „მოემიზეზებინა კანონის უცოდინარობა“. ზოგიერთი ცნობით, მოქალაქეობამიღებულ ყოველ ჭაბუკს კანონების ზეპირად ცოდნა მოეთხოვებოდა. ითვლებოდა, რომ ამის გარეშე შეუძლებელი იყო მოქალაქის, განსაკუთრებით კი მოსამართლის მოვალეობების შესრულება.

XII ტაბულის კანონები თავისი საფუძვლით ჩვეულებითი სამართლის ჩანაწერს წარმოადგენდა. ყველაზე მეტად იგი პლებეებს ესაჭიროებოდათ (პატრიციელი მოსამართლეების თვითნებობისაგან დასაცავად).

სამართლის კოდიფიკაცია მათთვის ეტაპს წარმოადგენდა პატრიციებთან ბრძოლაში. თვით კანონებს ჩვენამდე არ მოუღწევია და ცნობილია ნაწყვეტებით, რომლებიც შემონახულია ძველი ავტორების, განსაკუთრებით იურისტების - ციცერონის, ულპიანეს, გაიუსისა და სხვ. თხზულებებში.

სიტყვა „ცივიტას“-დან გამომდინარე, რაც „ქალაქს“, „ქალაქის თემს“ ნიშნავს, ტაბულების სამართალს „ცივილურს“ ე.ი. მოქალაქეთა მოცემული ერთობლიობის სამართალს უწოდებდნენ, ხოლო სიტყვა „კვირიდან“ (თვითონ რომაელები ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს საზეიმო შეკრებებზე, ომის ღმერთის იანუს-კვირინის საპატივცემულოდ) გამომდინარე სამართალს - „კვირიტულს“ ეძახდნენ. „ცივიტოსიდან“ მომდინარეობს დღემდე არსებული უფრო ვიწრო ტერმინი „ცივილისტიკა“, რაც ნიშნავს „სამოქალაქო სამართალს“, ქონებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელ ინსტიტუტთა ერთობლიობას.

XII ტაბულის კანონების აღსანიშნავი თვისება იყო ნივთების ორ კატეგორიად გაყოფა. პირველს განეკუთვნებოდნენ მიწის ნაკვეთები (იტალიაში), მონები, მუშა პირუტყვი, ნაგებობები და სოფლის სერვიტუტები. ეს ისაა, რასაც res mancipi (რეს მანციპი) ეწოდებოდა, მეორეს - ყველა დანარჩენი ნივთი res nec mancipi (რეს ნეკ მანციპი).

ასეთი გაყოფის პრაქტიკული მნიშვნელობა ნივთების გასხვისებისას, მათი გაყიდვის, ჩუქების და სხვ. დროს აღმოჩნდებოდა. მიწის, მონების, მუშა პირუტყვის და ნაგებობების გასხვისება მკაცრად დადგენილი ფორმით უნდა მომხდარიყო, იგი mancipatio (მანციპაციად) იწოდებოდა. ეს სიტყვა წარმოდგება manus - ხელიდან. თავდაპირველი ხატოვანი წარმოდგენა საკუთრებაზე მომდინარეობდა ნივთის დაპატრონებიდან, მიტაცებიდან. ანტიკური საკუთრების უცილობელ ატრიბუტს მონობა წარმოადგენს. მოძრავი შემდგომში კი უძრავი კერძო საკუთრებაც როგორც თემური საკუთრების ნორმისა და ქვემდებარეობისაგან გადახრილი ფორმა ასეთ პირობებში ვითარდება.

ამრიგად, ანტიკური საკუთრების ცნება შეიძლება გაგებული იქნეს როგორც ერთობლივი საკუთრება სრულუფლებიანი მოქალაქეებისა, რომლებიც მონათა წინააღმდეგობისა და ახალი მიწების დაპყრობის ამოცანებიდან გამომდინარე, იძულებული იყვნენ შეენარჩუნებინათ და სრულყოფილი გაეხადათ წარმოშობილი ასოციაციის ფორმა, სახელმწიფო ანტიკურ საკუთრებას სახელმწიფო საკუთრების ფორმა გააჩნდა, რაზედაც ცალკეული ინდივიდის უფლება უბრალო მფლობელობით (possession) შემოიფარგლებოდა. ნამდვილი კერძო საკუთრება რომაელებთან, ისევე როგორც ყველა ძველ ხალხთან, მხოლოდ მოძრავ საკუთრებასთან ერთად ჩნდება რომაულ მითოლოგიაში. როგორც პოეტი ოვიდიუსი გადმოგვცემს, მიწა ოდესღაც („იუპიტერის საუკუნეში“) იმდენად საერთო იყო, „რამდენადაც საერთო არის სინათლე და ჰაერი“. რომაული ტრადიცია პირველ მის დაყოფას რომოულს მიაწერდა: თითოეულმა ოჯახმა მიიღო 2 იუგერი, ე.ი. ნახევარი ჰექტარი. როგორც ჩანს, საქმე ეხება საკარმიდამო მიწას, რომელიც შემდგომ კერძო საკუთრებაში გადავიდა.

უკიდურესი სიმკაცრით გამოირჩეოდა XII ტაბულით დაკანონებული სავალო მონობა. სასესხო ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა მოვალის „ხორცი და სისხლი“,

რომში nexum-ად (ნექსუმ) - კაბალად იწოდებოდა. გადასახადის დათქმულ ვადაზე გადაცილებისას კრედიტორი, სარგებლობდა რა სასამართლოს ნებართვით, „მოვალეს ადებდა ხელს“, რაც ბორკილების დადებას ნიშნავდა. სახლის სარდაფში მოთავსებული მოვალე სამჯერ გამოჰყავდა ქალაქის მოედანზე მეგობრებისა და ნათესავებისათვის შველის სათხოვნელად. „მესამე საბაზრო დღეს მოვალეები სიკვდილით ისჯებოდნენ ანდა საზღვარგარეთ იყიდებოდნენ, რაც მონობას ნიშნავდა (ტაბულები, III, 5) როდესაც მოვალეს რამდენიმე კრედიტორი აღმოაჩნდებოდა, კანონი აცხადებდა: „დაჭრან მოვალე ნაწილებად“ (ტაბულები, III, 6)

პლუტარქე მიუთითებს, რომ კანონის ასეთი მოთხოვნა მთელი სიზუსტით არ სრულდებოდა. კრედიტორებს ეკონომიკური სარგებელი აძლევდა სტიმულს მოვალის მონად გაყიდვის სახით. მიჩნეული იყო, რომ ვალის გადახდისას მოქალაქე თავისუფლებას იბრუნებდა. სავალო მონობა ყველაზე მეტად პლებეებს ემუქრებოდა, რომლებიც მოკლებული იყვნენ იმ დაცვასა და დახმარებას, რასაც პატრიციებს აძლევდა გვარი და კურია. სავალო მონობის ლიკვიდაცია მძაფრი ბრძოლის საკითხად იქცა.

რომის მმართველი ზედაფენა დათმობაზე წავიდა. ჩვ. წ. აღრიცხვამდე 326 წელს (სოლომონის კანონიდან 250 წლის შემდეგ) სავალო მონობა რომში გაუქმდა (პეტელის კანონი). გარდა დამნაშავეებისა ბორკილებში არავის ყოფნა არ შეიძლებოდა; ვალებისათვის ქონებით უნდა ეგოთ პასუხი და არა სხეულით; დაკაბალებულები გაათავისუფლეს და მომავალში აიკრძალა მევალის დაკაბალება.

მკაცრად სრულდებოდა პეტელის კანონი? ამ კითხვას, აყენებდნენ რა სამართლის ისტორიკოსები, პასუხობდნენ უარყოფითად. ლივიუსი წერს, რომ მეორე პუნიკური ომის დროს რომის არმიაში ისინიც მიჰყავდათ „ვინც ვალებისათვის ბორკილდადებული იყო“. „ბორკილდადებულ მევალეებზე“ წერდნენ რომაელი კომედიოგრაფი პლავტიუსი და მწერალი და ორატორი მ. ტ. ციცერონი.

XII ტაბულის კანონებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რომაული ოჯახის სამართლებრივ მოწესრიგების საკითხებს და დანაშაულებებსა და სასჯელებს უკიდურესი სიმკაცრით რომ გამოირჩევა, იგი თითქმის დრაკონის კანონებს ემსგავსება, სადაც ყველა სახის დანაშაულზე სიკვდილით დასჯა იყო.

რომის რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნე და იმპერიის პირველი ორი-სამი საუკუნე რომის კლასიკური იურისპრუდენციის სრული აყვავების ხანა იყო. ამ დროს წარსულს ბარდება იურიდიული ფორმალიზმი. აღიარებას პოულობს „მხარეთა თანასწორობის“, „სამართლიანობის“, „კეთილი სინდისის“ პრინციპები.

ლიტერატურა:

1. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, წ. I, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ, 1957.
2. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, წ. II, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო აკაკი ურუშაძემ, 1987.
3. გოზალიშვილი გ., ძველი ისტორიის ქრესტომათია, ტ. I, 1955, ტ. II, 1958.
4. წერეთელი ა., ძველი რომი, ტ. I, 1957, ტ. II, 1961.
5. წერეთელი ა., ძველი რომის ისტორია, თბ., 1992.
6. ალექსიშვილი მ., მონობა ანტიკურ ქვეყნებში, 1971.
7. სანაკიძე ლ., რომის იმპერია, II გამოც. 1984.
8. წერეთელი ა., მარკუს ტულიუს ციცერონი, 1959.

რეზიუმე

გერმანელი იურისტი, სამართლის ისტორიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი თეოდორ მომზენი (1817-1903) მონუმენტურ ნაშრომში „რომის ისტორია“ წერდა: „რომის სამართალი ხასიათდება სხვადასხვა სახის სამართლებრივი ინსტიტუტების უნატიფესი დამუშავებით, საჭირო ქცევის წესების დეტალიზაციით, არგუმენტაციის სიცხადით, ფორმულირებათა სიზუსტით და მაღალი იურიდიული ტექნიკით“. ნათქვამი განსაკუთრებით ეხება კერძო საკუთრების სამართალს, ხელშეკრულების ინსტიტუტს, მემკვიდრეობით სამართალს. რომის სამართალი განსაკუთრებულ სრულყოფას აღწევს გვიანდელი რესპუბლიკისა და პრინციპატის პერიოდში, ხოლო რომაელმა ცნობილმა იურისტებმა მ. ტ. ციცერონმა, პაპინიანემ პავლემ, ულიპიანემ, გაიუსმა, მოდესტინემ და სხვებმა იგი განვითარების უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს. გვარწმუნებენ, რომ რომის კლასიკური სამართალი ახლაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიოს იურისპრუდენციის განვითარებაზე.

THE ROMAN LAW IN THE PERIOD OF THE LATE REPUBLIC AND PRINCIPATE (CLASSICAL LAW)

SHALVA VANISHVILI, Academic Doctor

RESUME

The German lawyer, historian of law, laureate of the Noble prize, Theodor Mommsen (1817-1903) in his monumental work wrote: "The Roman Law is characterized with processing of different kinds of legal institutes, cleanness of arguments, accuracy of formulation and high juridical technique". These expressions refer to the law of private property, institute of contracts, and law of inheritance. The Roman Law reaches its perfection in the period of the Late Republic and Principate; but other Roman famous lawyers M.T. Ciceron, Papiniano, Ulpian, Gaius, Modestine and others assure that the Roman Classical Law influences the development of the World jurisprudence even now.

ყაჩაღობის ობიექტური მხარე

მალხაზ ლომსაძე, სრული პროფესორი

ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია კოდექსის 179-ე მუხლით, რომლის თანახმად ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ყაჩაღობის შემადგენლობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ყაჩაღობის ობიექტური მხარე, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ობიექტი, ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, ობიექტური მხარის სხვა ელემენტები.

ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ობიექტს, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს ქმედების ბუნებას და მისი მართლწინააღმდეგობის ხარისხს.

მეცნიერ იურისტთა უმრავლესობა ყაჩაღობის უშუალო ობიექტად მიიჩნევს სხვა პირის საკუთრების უფლებას მოძრავ ნივთზე და ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უფლებას. ობიექტი არის სამართლით დაცული ის სიკეთე, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი ან დანაშაულის მომზადებით ამ მცდელობით დგას ზიანის მიყენების საფრთხის წინაშე. ყაჩაღობა საერთოდ მიმართულია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებისკენ. ამავე დროს ყაჩაღობა თავდასხმაში გამოიხატება, რომელიც საშიში არის ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა გამოიხატება სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარაში.

აქედან დასკვნა, ყაჩაღობა წარმოადგენს ოროობიექტიან დანაშაულს, ამ დროს ყაჩაღობის ძირითად ობიექტად გვევლინება საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე, ხოლო ფაკულტატურ ობიექტად სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უფლება.

ყაჩაღობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, როგორც ის პირი, რომლის მოძრავი ნივთის დაუფლების მიზანსაც წარმოადგენს ყაჩაღის მოქმედება, ასევე ის პირი, რომლის სიცოცხლე ან ჯანმრთელობაც ღირებულია მოძრავი ნივთის მფლობელი პირისათვის.

ზოგჯერ დანაშაულის საგანსა და ობიექტს ერთმანეთთან აიგივებენ. ამიტომ დანაშაულის, ჩვენ შემთხვევაში ყაჩაღობის უშუალო ობიექტისაგან უნდა განვასხვაოთ ქმედების საგანი.

დანაშაულის საგანი ეწოდება გარე სამყაროს ისეთ ფიზიკურ საგანს, რომელზე ზემოქმედებითაც დამნაშავე ხელყოფს დანაშაულის ობიექტს.[1]

[1] ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 1971, გვ. 87

ობიექტი ყოველი დანაშაულის აუცილებელი ნიშანია, საგანი კი არ არის ყოველთვის დანაშაულის დამახასიათებელი.

კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების ჩადენისას ვნება ყოველთვის ადგება მის ობიექტს, ხოლო საგანი კი ზოგჯერ შეიძლება უვნებელი დარჩეს.

ამრიგად ქმედების ობიექტია ის, რაც ვნებას განიცდის ქმედების შედეგად, ხოლო საგანი არის ის მატერიალური ნივთი, რომელზე ზემოქმედებით სუბიექტი ხელყოფს ქმედების ობიექტს.

ყაჩაღობისას სუბიექტის მოქმედება მიმართულია ფულის, ძვირფასეულობის და სხვა მატერიალური ღირებულების, ერთი სიტყვით, მოძრავი ნივთის დაუფლებისაკენ.

აქედან დასკვნა, ყაჩაღობისას ობიექტს წარმოადგენს პირის საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე, ხოლო საგანს - მოძრავი ნივთი.

ყოველი დანაშაულის ჩადენა, მათ შორის ყაჩაღობისაც შეიძლება ქმედებით, რომელიც ზოგადი ცნებაა და მოიცავს მოქმედებასა და უმოქმედობას. ქმედების შემადგენლობა დაკანონებულია კოდექსით და სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს დანაშაულის ცნების სტრუქტურაში. მოქმედი სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალია. "პასუხისმგებლობის საფუძველს - წერდა თ. წერეთელი - წარმოადგენს კანონით ზუსტად აღწერილი ქმედების ჩადენა და არა პიროვნების საშიში მდგომარეობა". [1]

მოქმედება არის სუბიექტის თავისუფალი ნების აქტიური გამოვლინება. ყაჩაღობა გამოიხატება თავდასხმაში, ხოლო თავდასხმა შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით.

ამრიგად, ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ აქტიური მოქმედებით.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილ ქმედებას ყოველთვის მოჰყვება გარკვეული შედეგი. სისხლის სამართლის თეორიაში მიღებულია ქმედებათა შემადგენლობის დაყოფა შედეგიან (მატერიალურ) და შედეგგარეშე (ფორმალურ) შემადგენლობებად.

შედეგიანი (მატერიალური) შემადგენლობა გულისხმობს, რომ ქმედება დამთავრებულად ითვლება კანონში (მუხლში) აღნიშნული მავნე შედეგის დადგომის მომენტიდან.

ფორმალური შემადგენლობა კი მოიცავს ისეთ ქმედებას, რომელიც დამთავრებულად მიიჩნევა კანონში (მუხლში) მითითებული ქმედების განხორციელების მომენტიდან. ამ დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის რაიმე შედეგის დადგომა საჭირო არ არის.

ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილი არ ითვალისწინებს რაიმე შედეგის სავალდებულო დადგომას, ამდენად იგი განეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას და დამთავრებულად მიიჩნევა თავდასხმისთანავე. ამ ქმედების დამთავრებისათვის საჭირო არ არის, რომ სუბიექტი დაეუფლოს სხვის მოძრავ ნივთს.

ვინაიდან კოდექსის 179-ე მუხლით ქმედება მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც თავდასხმამ, რომელიც ჩადენილია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ თავდასხმასა და სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების საფრთხეს შორის.

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც თავდასხმა, რომელიც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, წარმოადგენს სხვისი ნივთის დაუფლების საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების საფრთხე არ შეიქმნებოდა.

იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. [2]

მოცემული შეხედულება აშკარად მცდარია. ადამიანი შეიძლება იყოს შერაცხვისუუნარო როგორც ასაკის, ისე ფსიქიკური დაავადების გამო. ასევე ადამიანი შეიძლება იყოს შერაცხვაუნარიანი მაგრამ არ შეერაცხოს ბრალად კოდექსის 179-ე მუხლში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება - თუ არსებობს ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი.

საერთოდ, შერაცხადი პირის ცნება ეს იგივე შერაცხვაუნარიანი პირის ცნების სინონიმია და იგი მოიცავს როგორც პასუხისმგებლობის ასაკს, ასევე ნორმალურ ფსიქიკურ მდგომარეობას.

---

[1] თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი, თბ., 1961, გვ. 7.

[2] ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 1971, გვ. 109-117; დ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 1997, გვ. 148-176.

”საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს დანაშაულის სუბიექტი, - წერს ო. გამყრელიძე, - მთავრდება იქ, სადაც გადაწყდება, რომ ეს არის ადამიანი. ის ფაქტი, მიღწეულია თუ არა ადამიანი შესაბამის ასაკს, დაავადებულია თუ არა ფსიქიკურად და სხვა, დანაშაულის სუბიექტთან კავშირში არ არის. ”მხოლოდ ადამიანი (”ვინ”) - წერს გერმანელი კრიმინალისტი ი. ბაუმანი - შეიძლება იყოს დასჯადი ქმედების შემადგენლობის სუბიექტი.

შერაცხვა-შეურაცხაობა, ასაკი, ფსიქიკური დაავადება თუ სხვა რამ მოვლენა დაკავშირებულია არა დანაშაულის სუბიექტთან, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი დანაშაულის სუბიექტს წინასწარვე გულისხმობს. სუბიექტი, ე.ი. ადამიანი წინამძღვარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა.” [1]

ვერ დავეთანხმებით ო. გამყრელიძის ამ მოსაზრებას. თუ პირმა ჩაიდინა სისხლისსამართლებრივი უმართლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. ამ ეტაპზე ჯერ იგი ქმედების, ან სულაც სისხლისსამართლებრივი უმართლობის სუბიექტია. უმართლობის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც შერაცხვისუუნარო (14 წლის ასაკს მიუღწეველი, ფსიქიკურად დაავადებული), ისე შერაცხვისუნარიანი პირი. თუ გამოძიებით ან სასამართლო განხილვისას დადგინდება პირის შერაცხვისუუნარობა საქმეზე უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ”ე” ან მე-2 ნაწილის ”ა” ქვეპუნქტის საფუძველზე. ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი როდესაც უმართლობა ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ სხვა გარემოებებში. ასეთ შემთხვევებში არ ხდება პირის დამნაშავედ ცნობა. პირის დამნაშავედ ცნობა ხდება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით, ე.ი. იმ მომენტიდან, როდესაც მას სასამართლო ბრალად შეარაცხავს ჩადენილ უმართლობას.

აქედან დასკვნა, ქმედების სუბიექტი შეიძლება გადაიქცეს დანაშაულის სუბიექტად მაშინ, თუ მას ბრალად შეერაცხება ჩადენილი ყაჩაღობა.

სწორად მიუთითებს ო. გამყრელიძე, რომ ”ერთპიროვნული ანუ უშუალო ამსრულებელი არის ყოველი ადამიანი, ვინც საკუთარი ხელით ერთპიროვნულად ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. ამ თვალსაზრისით უშუალო ამსრულებლის ცნება უნდა ემთხვეოდეს დანაშაულის სუბიექტის ცნებას”. [2]

ჩვენ აქვე შემოგვაქვს ცნებები დანაშაულის პოტენციური და რეალური სუბიექტებისა. დანაშაულის პოტენციური სუბიექტია ნებისმიერი ადამიანი, ვინც შეიძლება ჩაიდინოს კოდექსის 179-ე მუხლში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება და შეერაცხოს ბრალად მის მიერ ჩადენილი ქმედება, ხოლო რეალური სუბიექტია ის, ვინც ჩაიდინა 179-ე მუხლში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება და შეერაცხა იგი ბრალად.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მთელ რიგ შემთხვევებში ქმედების ობიექტური მხარისათვის აუცილებელია დადგინდეს ქმედების ჩადენის დრო, ადგილი, ვითარება.

ამ ნიშნებს უწოდებენ ფაკულტატურს, რადგან ისინი შესულია მხოლოდ ზოგიერთი ქმედების შემადგენლობაში, სხვა დანარჩენისათვის კი არ ითვლება აუცილებელ ნიშნად.

ქმედების ობიექტური მხარის ფაკულტატური ნიშნების დადგენა აუცილებელია ყაჩაღობის დროს. კოდექსის 413-ე ”ა” ქვეპუნქტში მაროდიორობად ითვლება საომარი მოქმედების დროს მოკლულის ან დაჭრილის ნივთების დაუფლება, აგრეთვე მოქალაქეთა იმ ქონების დაუფლება, რომელიც დატოვებულია საომარი მოქმედების ზონაში ან/და დასახლებული პუნქტის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის გაძარცვა”; ტერმინი დაუფლება ფართო ცნებაა. დაუფლება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით, როგორიცაა აშკარად, ფარულად, თავდასხმით, მოტყუებით და ა.შ.

ამრიგად, თუ ყაჩაღობა ჩადენილია საომარი მოქმედების დროს, საომარი მოქმედების ზონაში ან/და დასახლებულ პუნქტში ან სხვა ტერიტორიულ ერთეულში, ასეთი ქმედება განიხილება არა როგორც ყაჩაღობა, არამედ როგორც მაროდიორობა. ასეთი დანაშაული, მართალია, მიმართულია სხვა პირის მოძრავი ნივთის დაუფლებისაკენ, მაგრამ წარმოადგენს არა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულს, არამედ დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ, კერძოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში ქმედება კვალიფიცირდება კოდექსის არა 179-ე მუხლით, არამედ 413-ე მუხლის ”ა” ქვეპუნქტით.

ყაჩაღობა ერთდროულად ხელყოფს ორ სიკეთეს - საკუთრების უფლებას მოძრავ ნივთზე და ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამის გამო მოცემული დანაშაული განსაკუთრებით საშიშია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის. საკუთრების უფლების ხელყოფა ყაჩაღობის

[1] ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3-4, 2002, გვ. 16

[2] ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 48.

დროს ხდება თავდასხმით, რომელიც ჩადენილია ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.

თავდასხმის ცნების ქვეშ იგულისხმება დამნაშავის აგრესიული ქმედება, რომელიც დაზარალებულისათვის მოულოდნელად, უეცრად ხორციელდება და დაკავშირებულია ძალადობასთან. თავდასხმა უმეტეს შემთხვევაში ხდება აშკარად და აღიქმება დაზარალებულის მიერ. "ზოგჯერ შეიძლება თავდასხმის ფაქტი მის მიერ არც იყოს გააზრებული (მაგალითად, დანის ჩარტყმა ზურგში, მალულად სროლა და ა.შ.). თავდასხმა შეიძლება გამოიხატებოდეს ასევე დაზარალებულზე აშკარა ან ფარულ ზემოქმედებაში ნერვულ-პარალიტიკურ, ტოქსიკური ან სხვა გამაბრუებელი საშუალებით, რათა მან გონება დაკარგოს და დამნაშავემ დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით განახორციელოს დანაშაულებრივი საქმიანობა. ამგვარი ხასიათის ზემოქმედება ხშირად არ აღიქმება დაზარალებულის მიერ, მაგრამ იგი მაინც თავდასხმად უნდა იყოს მიჩნეული. ამასთან, თავდასხმა ვერ ჩაითვლება დაზარალებულზე ზემოქმედება ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალების ან სხვა გამაბრუებელი ნივთიერების გამოყენებით, თუ იგი ნებაყოფლობით იყო მიღებული დაზარალებულის მიერ". [1]

თავდასხმა წარმოადგენს ყაჩაღობის ობიექტური მხარის დამოუკიდებელ ნიშანს. ქმედება რომ ყაჩაღობად დაკვალიფიცირდეს, თავდასხმას თან უნდა ერთვოდეს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა.

ამრიგად, თავდასხმა და სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა ერთიანობაში ქმნიან ყაჩაღობის შემადგენლობას.

სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა გულისხმობს სუბიექტის მიერ დაზარალებულის მიმართ ისეთ თავდასხმას, რომელიც რეალურად უქმნის საფრთხეს ამ უკანასკნელის სიცოცხლეს. მაგალითად, ყელზე თოკის წაჭერა და სხვა.

ჯანმრთელობისათვის საშიშია ძალადობა, რომელიც რეალურად უქმნის ადამიანს ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების საფრთხეს. მაგალითად, თავდასხმა სპეციალურად მომარჯვებული ხელკეტით.

სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარაში იგულისხმება ადამიანის ფსიქიკაზე ისეთი ზემოქმედება, რომელსაც მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოჰყვება ძალადობა. მუქარა შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერად, ჟესტით, მიმიკით და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუქარა შეიძლება განხორციელდეს როგორც იმ პირის მიმართ, რომლის მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაკენაც მიისწრაფვის დამნაშავე, აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომლის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა დაზარალებულისათვის ღირებულია. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში შეიარაღებულები შეიჭრებიან და ჩვილ ან მცირეწლოვან ბავშვს მიუშვერენ იარაღს, რათა ამით მისი მშობელი აიძულონ თავდამსხმელებს გადასცენ ძვირფასი ნივთები, ფული და ა.შ. თუ ძალადობას მოჰყვება დაზარალებულის სიკვდილი, სუბიექტმა პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით - ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობისათვის ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისა და ყაჩაღობისათვის.

ამრიგად, ძალადობის გამოყენების მუქარა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ყაჩაღობის ჩადენის ხერხად, როდესაც იგი იმდენად რეალურია, რომ არსებობს საფრთხე სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალის გამოყენებისა და დაზარალებული არ დაემორჩილება სუბიექტის ნება-სურვილს.

ფიზიკური ძალადობით ნივთის დაუფლებისას სასამართლო პრაქტიკაში სირთულეებია ყაჩაღობისა და ძალადობრივი ძარცვის გამიჯვნის თვალსაზრისით.

განს, ჯანს და რაეს მსჯავრი დაედოთ კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად). საქმის ფაბულა სააპელაციო პალატის განაჩენის მიხედვით ასეთია: 2001 წლის 24 მარტს, დაახლოებით 01 საათზე, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ფერიაში, სოფლის შესასვლელ გზაზე, განი, ჯანი და რაე თავს დაესხნენ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ინს. ფიზიკური ძალისა და დანის გამოყენებით გადაიყვანეს იგი ახლოს მდებარე შენობის ნანგრევებში, სადაც კედელზე თავის რამდენჯერმე მირტყმევინებით სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენეს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მოშლა ხანმოკლე ვადით. თავდამსხმელებმა მიისაკუთრეს ინის კუთვნილი ფული და სხვა ნივთები. სულ დაზარალებულს წაართვეს 1486 აშშ დოლარი.

[1] მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 1999, გვ. 31.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულთა ქმედება კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" პუნქტიდან გადააკვალიფიცირა 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტებზე (ძარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით). კვალიფიკაციის შეცვლის საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ პალატამ არ მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ გან-ის მიერ დანის გამოყენების ფაქტი. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: სასამართლომ გაიზიარა დაზარალებულ ინ-ის განმარტება თითქოს გან-ს ხელში ეჭირა დანა და მისი გამოყენებით დაემუქრა, რასაც თვით გან-ი და მასთან ერთად მსჯავრდებული პირები ჯან-ი და რაე კატეგორიულად უარყოფენ. დადგენილია ის გარემოებაც, რომ დანით დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, დარჩა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, რომელიც სხვა რაიმე ობიექტური საბუთით არ დასტურდება.

... ეჭვი, თითქოს მსჯავრდებულ გან-ს დაზარალებულისათვის ფულისა და სხვა ნივთების წართმევის დროს ჰქონდა დანა, არ დასტურდება და ამიტომ ეს ეჭვი მსჯავრდებულთა სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, მით უმეტეს არ არსებობს დამატებით მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობა." [1]

მოცემულ განაჩენს აკრიტიკებს თ. ებრალიძე. "როგორც ვხედავთ, - წერს თ. ებრალიძე, - საკასაციო პალატის განჩინებაში ყურადღება გამახვილებულია მსჯავრდებულ გან-ის მიერ დანის გამოყენების დაუდასტურებლობაზე, რაც საფუძვლად დაედო კვალიფიკაციის შეცვლას... ჩემი აზრით, მსჯავრდებულთა ქმედება, მათ მიერ დანის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც კი ყაჩაღობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს. საკასაციო პალატამ საეჭვოდ მიიჩნია მხოლოდ დანის გამოყენების ფაქტი და არა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებული სხვა ფაქტები". [2]

სასამართლოს უნდა ემსჯელა არა დანის გამოყენება ან არგამოყენების თაობაზე არამედ იმაზე, რომ თავდასხმა იყო თუ არა რეალურად საშიში სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. რადგან თავდასხმას თან ახლდა ჯანმრთელობის დაზიანება, ეს იმას ნიშნავს, რომ თავდასხმა წარმოადგენდა ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას და ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო ყაჩაღობის მუხლით. ძალადობრივი ძარცვის შემადგენლობა კი მაშინ გვაქვს, როცა ძალადობა არ არის საშიში სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ე.ი. "მან არ უნდა შექმნას საშიშროება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მისი გამოყენების მომენტში, მით უფრო, არ უნდა მიაყენოს დაზარალებულის ჯანმრთელობას რეალური ზიანი". [3] სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ძარცვის დროს "ლაპარაკია ისეთ ძალადობაზე, რომელიც არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან ამ დროს არ ხდება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომის უნარის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვაც კი". [4]

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ხდება თავდასხმა და სათამაშო იარაღით მუქარა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ასეთ შემთხვევებს ყაჩაღობად აკვალიფიცირებენ. ამის შესახებ კრიტიკული აზრი გამოითქვა. [5]

ჩვენი აზრით, მსგავსი შემთხვევები ყაჩაღობის მუხლით არ უნდა დაკვალიფიცირდეს. სათამაშო იარაღით თავდასხმა არ ქმნის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხეს. თუ ასეთ ქმედებას ყაჩაღობად მივიჩნევთ, მაშინ ადამიანზე სათამაშო იარაღის დამიზნება უნდა ჩავთვალოთ მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობად, თუ დაზარალებულმა სათამაშო იარაღი ნამდვილად აღიქვა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მიგვიყვანს იქამდე, რომ ადამიანებს შორის შეუძლებელი იქნება ურთიერთობის დამყარება.

მართალია, ყაჩაღობა და ძარცვა, ორივე აშკარა ხასიათს ატარებს, მაგრამ ყაჩაღობისაგან განსხვავებით ძარცვის დროს გამოყენებული ძალადობა საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. ძარცვის დროს დაზარალებულის წინააღმდეგობის ან შესაძლო წინააღმდეგობის დაძლევა ხდება თავისუფლების უკანონო აღკვეთით, შებოჭვით, ცემით, დარტყმით და ა.შ. ერთი სიტყვით ისეთი მოქმედებით, რომელიც არ იწვევს თუნდაც ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას.

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე, 2002, №4, გვ. 421.

[2] სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 76.

[3] ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, თბ., 2001, გვ. 59.

[4] მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასაუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 1999, გვ. 28.

[5] ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 209-212.

სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, რომელიც ახასიათებს ყაჩაღობას, მოიცავს ჯანმრთელობის დაზიანებასაც და დამატებით კვალიფიკაცია ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულით საჭირო არ არის.

2002 წლის 5 მარტს, დაახლოებით 21 საათზე დონ-ი ქუჩაში შეუმჩნევლად აედევნა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ თან-ს, შეჰყვა სადარბაზოში, გაუსწრო კიბეებზე, უცებ მოტრიალდა და მთელი ძალით დაარტყა მუშტი სახეში, რის შედეგადაც თან-ი წაიქცა. დონ-მა ფეხებით განაგრძო მისი ცემა, შემდეგ გაუჩხრიკა ჯიბეები, ამოაცალა მობილური ტელეფონი და მიიმალა. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად თან-მა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

დონ-ი როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლო განხილვის დროს მოითხოვდა, რომ მას ყაჩაღობა არ ჩაუდენია და ქმედების გადაკვალიფიცირება მომხდარიყო 179-ე მუხლიდან 178-ე მუხლზე (ძარცვა). ამასთან დაკავშირებით სასამართლო განაჩენში აღნიშნულია: "... ყაჩაღობა ეს არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რომელიც ჩადენილია ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დაზარალებულ თან-ისათვის განსასჯელის მხრიდან ჯანმრთელობისათვის საშიში დაზიანება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ განსასჯელის ქმედება ამ ნაწილში სწორად არის დაკვალიფიცირებული და ამდენად არ იქნება გაზიარებული დონ-ის განცხადება, რომ თავისი ქმედებით ჩაიდინა ძარცვა და არა ყაჩაღური თავდასხმა". [1]

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 21 ივლისს.
2. ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 1971.
3. თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი, თბ., 1961.
4. ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 1997.
5. ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნალი "ადამიანი და კონსტიტუცია", №3-4, 2002, გვ. 16
6. ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974.
7. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 1999.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე, 2002, №4;
9. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004.
10. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, თბ., 2001.
11. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998.

რეზიუმე

ნაშრომი "ყაჩაღობის ობიექტური მხარე" ისეთი გამოსაკვლევი თემაა, რომელიც სიახლეს არ წარმოადგენს ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში, მაგრამ ჯერ კიდევ დასახვეწია ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ნაშრომში გადმოცემულია ყაჩაღობის შემადგენლობა, ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემები, დაუმთავრებელი ყაჩაღობა და ამსრულებლობა და თანამონაწილეობა ყაჩაღობაში.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს სწავლულ იურისტებს, სტუდენტებს და ყველა იმ პირს, ვინც დაინტერესებულია ყაჩაღობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხებით.

[1] სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 80.

OBJECTIVE SIDE OF ROBBERY

Malkhaz Lomsadze, Full Professor

RESUME

The work "Objective Side of Robbery" is a subject which is not a novation in the Science of Criminal Law, but there are still some points to study in details referring to this sphere..

My research deals with the components of the robbery, the qualification problems of robbery, unfulfilled robbery and execution and co-participation in robbery.

The survey will be helpful for the professional lawyers, students and the people who are interested in the problematic issues referring robbery.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge